# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 10 ივნისი 2011 №12(142)

1516
2011

ხალიფა ერთი საათით

ვანო ჩხიკვაძის ლექსები

იეიტსი უილიამ ბლეიკზე

ჰერტა მიულერის ნოველა

დიალოგი მაია ჯალიაშვილთან

ზაურ კალანდიას უსიზმრებო ღამე

ცირა ბარბაქაძე დოდონა კიზირიაზე

ერთობა — თავისუფლება — სიყვარული

გოგი ოჩიაურის მემუარული ჩანაწერები

ღიმილიანი ისტორია თუ ისტორიის ღიმილი



# წიგნის თარო



სოსო სიგუა
მარტვილი და ალამდარი
1




გურამ ყორანაშვილი
დიმიტრი ყიფიანი
ახალი
დიმიტრი თავდადებული




სოსო სიგუა
მარტვილი და ალამდარი
2




რევაზ კვერენჩხილაძე
საბუთები ღაღადებენ




პაატა ჩხეიძე როსტომ ჩხეიძე
კონსერვატიზმის ისტორია
პიტერ ვირეკის




ქველმოქმედება და
ქართული მწიგნობრობა

# შინაარსი


წუთები და წლები 2 როსტომ ჩხეიძე ერთობა — თავისუფლება — სიყვარული
(ალექსანდრე მენი და დიმიტრი მერეჟკოვსკი)

ექსპრეს-ინტერვიუ 9 ავთანდილ პოპიაშვილი „არასოდეს თქვა „არასოდეს“
(მომამზადა ნატა ვარადამ)

პროზა 10 ზაურ კალანდია უსიზმრებო ღამე

პოეზია 14 ვანო ჩხიკვაძე ხიზანი ნისლი და სხვა ლექსები

18 დალი კახიანი AVE MARIA და სხვა ლექსები

ესეისტიკა 20 უილიამ ბატლერ იეიტსი უილიამ ბლეიკი და წარმოსახვა

ისტორიის თეთრი ლაქები 22 გოგი ოჩიაური შინშები (ლადო ბალიაური და გაბრიელ ჯაბუშანური)

ჩემი პატარა ქალაქი 31 ბარბარე ბიძინაშვილი „100 ლექსის ქვეყანა“ — ლენტეხში
(ესმა ონიანის „100 ლექსი“)

დიალოგი 32 მიწიდან ამოსული ხელი ბროწეულის ყვავილით...
(მაია ჯალიაშვილს ესაუბრება თამარ შაიშმელაშვილი)

რეპორტაჟი 36 ეკა ბუჯიაშვილი „თუ ერისა ხარ, ერისად უნდა დარჩე“
(ოთარ ჩხეიძის პიესა „უკვდავების ზღაპარი“ სცენაზე)

პირველი შთაბეჭდილება 39 იოსებ ჭუმბურიძე ვუსმინოთ და მივყვეთ

40 მერაბ გეგია და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება...

მოგონებათა სკივრი 41 ჯუმბერ ხანთაძე მოგზაურობა სკანდე-მუჯირეთში

კრიტიკა 44 ცირა ბარბაქაძე გულახდილი, როგორც საუბარი ბუხართან
(დოდონა კიზირიას პოეზია)

ჩვენი ყოფა. წუთისოფელი 46 რიტა ბაინდურაშვილი ღიმილიანი ისტორია თუ ისტორიის ღიმილი
(შეხვედრა გია მურღულიასთან)

დაუვიწყარი სახელები 49 იკა ქადაგიძე დუმილის ანათემა
(შალვა მჭედლიშვილის პორტრეტისათვის)

სალაღობო 52 მურმან ბულათურქია ხალიფა ერთი საათით

ჩანახატი 55 ქარდა ქარდუხი განუკურნებელი სენი
(მარტენ პაჟის „როგორ გავხდი იდიოტი“)

გამოხმაურება 56 ანდრო ბედუკაძე ...უსამკაულო
(არჩილ მინდიაშვილის პოეტური კრებული „შეტირილი“)

პოეზიის მერიდიანები 57 ტედ ჰიუზი ციკლიდან „ყვავი“

უცხოური ნოველა 59 ჰერტა მიულერი დამპალი მსხლები

გამოხმაურება 62 ლალი ბარბაქაძე სამშობლო — ჩალეწილი გარსის ნალველი
(ნინო სადღობელაშვილის ერთი ლექსის გამო)

მოზაიკა 63 დაკარგული ხალი



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სცენა სპექტაკლიდან „უკვდავების ზღაპარი“
ფოტოეტიუდი ნინო ანთაძისა

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა ტეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი : 995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE : 995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 ივნისს

როსტომ ჩხეიძე

# ერთობა — თავისუფლება — სიყვარული

✵

## ალექსანდრე მენი და დიმიტრი მერეჟკოვსკი

დალი კანაშვილი, ვინც თვითონ ავტორის — ნაირა გელაშვილის — ალტერ ეგოა რომანში, „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, ეპისტოლეს სახით ჩართულ ერთ მონაკვეთში აცხადებს, თუ რაოდენ მიუღებელია მისთვის, გაუგებარიც და დამთრგუნველიც, რუსული ქრისტიანობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი სალოსობის კულტი.

ვთქვათ, მამა ვიტალის, სიდორენკოს, სქემარქიმანდრიტს, ეს მიდრეკილება საკმაოდ ჰქონია გამოკვეთილი.

ატარებდა თითქმის სხეულზე შეზრდილ, ხორცში ჩაჩირქებულ ჯვარს, ძალიან პატარა ზომის ფეხსაცმელებს, მთელ ტერფებს რომ უწყლულებდა, სულ შიმშილობდა, ჭამდა გაფუჭებულ, დამპალ, თვით მატლებდასეულ საჭმელსაც კი, იმ მოსაზრებით, ღვთის გამოგზავნილი საზრდოს გადაგდება არ შეიძლებაო, რითაც კუჭ-ნაწლავი მოისპო და სხვა კიდევ ამგვარები.

ამიტომაც გაორებულიყო მის მიმართ დალი კანაშვილი:

— და მე ეს მაწუხებს, რომ თან დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანს და თან მთლიანად ვერ ვიღებ.

ადამიანის სხეული ტაძარიაო, — შეგაგონებდა სახარება.

დალი კანაშვილი სავსებით იზიარებდა ამ შეგონებას და მიიჩნევდა, რომ რაკილა ეს უდავო ჭეშმარიტებად ელიარებინა ქრისტიანულ მოძღვრებას, მაშ სხეულს კიდეც სჭირდებოდა შესაფერისი პატივის მიგება და მოვლა, როგორც ტაძარს. თორემ უამისოდ სასიკეთო მომავალი არ გადაგეშლებოდა თვალწინ — როგორც კი ადამიანის სხეულს ან დედამიწას უწმინდურად გამოაცხადებდი, მაშინვე უნებურად აჩენდი მის მიმართ აბუჩად აგდების, მისი მოხმარების, მისი დაზიანებისა და განადგურების ინსტინქტურ სურვილს.

ამ პასაჟში მწერალი უფიქრდება იმ უმწვავეს პრობლემას, რაც, ვთქვათ, დიმიტრი მერეჟკოვსკის რელიგიურ-ფილოსოფიურ ძიებათა ერთი რკალის ქვაკუთხედს შეადგენს და წარმოგვიდგება მიზანსწრაფულ მცდელობად — არ დაკნინდეს ხორცი სულის ფონზე და ორივემ ერთდროულად შექმნას ის ჰარმონია, ურომლისოდაც იესოს მოძღვრებას ჯეროვნად ვერ ჩავწვდებით და მხოლოდ ჩვენ-ჩვენ არშინს მოვარგებთ, რაც აგვაცდენს გზას ჭეშმარიტებისა.

თანამედროვე ნიჰილიზმს უძველეს დროში აქვს ფესვი გადგმულიო, — ეს შეხედულებაც რომ ტრიალებდა ფილოსოფოსთა წრეებში, და ნიმუშად იშველიებდნენ პლატონის იდეალიზმსა და ყველაფერს, რაც ამქვეყნიურ არსებობას ნამდვილობას არ მიაწერს და მას მეორე თუ მეათე რანგის მოვლენად განიხილავს, დალი კანაშვილი სავსებით გაიზიარებდა ამ შეხედულებასაც და ისევ თავის პოეტებთან ამიტომაც არჩევდა ყოფნას, რომლებიც ღმერთის ქმნილებას შეჰხარიან და განადიდებენ, როგორც თვით უფალი შეჰხარის თავის პირმშოებს — ხეებს, ყვავილებს, ცხოველებს, თევზებს, მზეს, ვარსკვლავებს... რადგანაც „კარგები“ ანუ ლამაზები და კეთილები არიან მის თვალში.

— ჰო, შეჰხარიან და ამ გზით გასწავლიან ღმერთის სიყვარულს, თუნდაც თვითონ „ულმერთონი“ იყვნენ.

თვითგვემისკენ მიდრეკილებას ფსიქოლოგიურ სარჩულად დაფარულ აგრესიას მოუნახავდა დალი კანაშვილი და ისევე შეეშინდებოდა ამ განცდისა და ისეთივე უკიდურესობად მიიჩნევდა, როგორც ამქვეყნიური ცხოვრებით უაზრო ხორციელ ტკბობას.

ამ უკიდურესობათა საპირწონედ ალმოაჩენდა ალექსანდრე მენს, სულიერ მოძღვარს, მისთვის ასერიგად ახლობელსა და გასაგებს, გერმანიიდან რომ გამოუგზავნიდნენ მის წიგნებს და ნაირა გელაშვილიც და მისი ალტერ ეგოც სულმოუთქმელად გადაიკითხავდნენ.

— მაგრამ, ეტყობა, ეს კაცი რუსეთის ეკლესიისათვის იყო სრულიად უცხო და ამიტომაც რუსულად მოკლეს: ნაჯახით.

მას წამიერადაც არ სჯერა, რომ მამა ალექსანდრე მძარცველმა იმსხვერპლა — ძალდაუტანებლად განაზოგადებს და ამ ტრაგიკულ ეპიზოდში ხედავს დიდბუნებოვან ადამიანთა გარდუვალ ბედისწერას და იდუმალად ილია ჭავჭავაძის ლანდს ამიტომაც ამოაფენს: იგი რუსეთის მასწავლებელი გახლდათ, თვისტომთ აზროვნებასა და მაღალ იდეალებს რომ ულვიძებდა რელიგიის შემწეობითო.

თუკი ასეა, მაშ კიდეც უნდა გაეწირათ.

და რუსული ხასიათის შესაბამისადაც — ნაჯახით.

ესაა და ეს, რასაც ალექსანდრე მენის შესახებ შეიტყობს მკითხველი ამ ვეება რომანის გაცნობისას, მაგრამ ეს ორიოდე შტრიხიც — მითუმეტეს, სალოსობისა და ქართველ პოეტთა აზროვნების ასერიგად პრინციპული შეპირისპირების ფონზე — თავისი ტევადობითა და განზოგადებით უსათუოდ გაუღვივებს ცნობისწადილს, რათა უფრო უკეთ და ღრმად გაერკვეს იმ სულიერი მამის ბიოგრაფიულ ქარგასა და ნააზრევში, საბჭოთა ჟამიანობისას რომ შეინარჩუნა რწმენის შეუბღალაობაც, მორალური ძალაც და შეუდრეკელობა-თავგანწირვის უნარიც.

ამ სულიერებისა და აზროვნების პიროვნების ნალვაწს აუცილებლად უნდა გამოეკვლია გზა ქართული ენობრივი სივრცისკენაც, და ნიშანდობლივია, რომ სწორედ ნაირა გელაშვილის შეგულიანებითა და თანადგომით მოჰკიდებდნენ ხელს მისი საუბრების თარგმნას — ჯერ ჟურნალი “აფრა“ (1997, №1) გააცნობდა ჩვენს მკითხველს რუსი მოძღვარის ზოგიერთ თვალსაზრისს მზია გელაშვილის მეოხებით, შემდგომ კი „კავკასიური სახლი“ ითავებდა ამ ორიგინალური წიგნის გამოცემას — „შეკითხვები და პასუხები“: მისი დიალოგების ერთი ნაწილისას, ქართულად თამარ კოტრიკაძის მიერ ამეტყველებულის.

აი, რას ნიშნავს აზროვნების დიაპაზონი და დინამიკურობა.

რას ნიშნავს თავგადადებული მცდელობა — აზიარო ადამიანები ღვთის ცოცხალ საიდუმლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მრწამსი ჩამოგვიყალიბეთო, — ერთხელ ესეც ეთხოვათ მამა ალექსანდრესათვის, და თუმც მასაც სხვებივით დაბეჯითებით სწამდა, რომ თვითეული ქრისტიანისა და, მითუმეტეს, თვითეული მღვდლის მრწამსი სარწმუნოების სიმბოლოშია გამოთქმული, ამ თხოვნას მაინც სავსებით კანონზომიერად მიიჩნევდა იმ უბრალო მიზეზით, რომ: ქრისტიანობა ამოუწურავია, და ყურადღებას მიაქცევინებდა ყველას, რომ ჯერ კიდევ მოციქულთა ეპოქაში ჩვენს წინაშე გადაშლილია ქრისტიანობის ურთიერთშემავსებელი ტიპების მთელი სპექტრი.

ორიოდ სიტყვით კი თავის მრწამსს ამ ფორმულებში ჩაწურავდა:

— მე ვაღიარებ ქრისტიანობას, როგორც დინამიკურ ძალას, რომელიც სიცოცხლის ყოველ სფეროს მოიცავს და ღიაა ყოველივე იმისათვის, რაც ღმერთმა ადამიანსა და ბუნებაში შექმნა. მას იმდენად ოცი საუკუნის მანძილზე არსებულ რელიგიად კი არ აღვიქვამ, რამდენადაც მომავლისაკენ მისწრაფულ გზად.




სხვა დროს ოცი საუკუნის ნაკლებმნიშვნელოვნებას ამ მოძღვრების მარადიულ სულთან შედარებით უფრო თვალსაჩინოდაც შეაგონებდა მსმენელთ: ქრისტიანობა, მეგობრებო, ახალი დაწყებულია. ის მსოფლიო რელიგიაა და მისთვის ათასი წელი ერთ დღეს უდრის. ეს მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ პირველი ნაბიჯებიო.




ამ შეგონებას მაშინ დაისაჭიროებდა, როდესაც ინტერესს გამოამჟღავნებდნენ: თუ არის ცნობილი რაიმე სხვა მაცხოვართა შესახებ, გარდა იესო ქრისტესიო?

დიდი წინასწარმეტყველი მუჰამადი? დღეს ჩვენს შორის რომ ყოფილიყო, არაფრისდიდებით არ იტყოდა, მაცხოვარი ვარო, არამედ — ღმერთია ჩვენი მხსნელი, მე კი მისი წინასწარმეტყველი გახლავართო, — პასუხობდათ ალექსანდრე მენი და მოადევნებდა, რომ ბუდიზმის ფუძემდებელი გაუტამაც მხოლოდ ამას განუცხადებდათ: უბრალო კაცი ვარ, გარკვეული მეცადინეობით ნირვანას მდგომარეობას მივაღწიე. ეს არის და ეს. ამას ვასწავლი სხვებსაც, მაგრამ მაცხოვარი არ გახლავართო.

დაე სხვანიც გამოეხმო სულიერ მოძღვარს მსოფლიოს უდიდეს ბრძენთაგან?

მაცხოვარი არცერთი არ აღმოჩნდებოდა.

მაგრამ მაცხოვრის დიდი მოლოდინი ოდითგანვე რომ არსებობდა?

იმ წლებში, ოდეს იშვა ქრისტე:

სპარსელები ელოდნენ მხსნელის დაბადებას;

ინდუისტები ელოდნენ ღვთაება ვიშნუს ახალ განსხეულებას;

ბუდისტები — ბუდას ახალ განსხეულებას;

იუდეველნი — მესიას.

ბევრი ხალხი გრძნობდა გუმანით, ჭეშმარიტი მაცხოვარი უნდა დაიბადოსო.

და მამა ალექსანდრე ამ ყოველივეს იმიტომ ჩამოთვლიდა, რათა თვალნათლივ გაეცხადებინა, თუ როგორ ცოცხლობდა ამ მითებში, თქმულებებსა და ლეგენდებში წინათგრძნობა იმ მსოფლიო ჭეშმარიტებისა, რომელიც მხოლოდ ახლახან დაიწყო.

მხოლოდ დასაწყისი...

მხოლოდ პირველი ნაბიჯები...

დაე ადამიანებს შეეგნოთ, რომ ქრისტიანული მოძღვრების არსებობა-დამკვიდრება ჩვენი ქრონოლოგიური ჩარჩოებით არ გაიზომებოდა და მარტოდენ სულიერი საწყაო მიგვახვედრებდა, ჩვენც მომავლისაკენ მისწრაფულ გზად რომ უნდა დაგვესახა ეს რჯული, თუკი ფორმალურად კი არ ვაღიარებდით ჩვენს რწმენად, არამედ მართლაც მის ემბაზში ამოვევლებოდით, მიუხედავად იმისა, რომ ძე ღვთისა „ამ სამყაროში დამდაბლებული სახით შემოვიდა და არ გააჩნდა არც ინდოელ ბრძენთა იდუმალება და არც აღმოსავლური ფილოსოფიის პოეტური ეგზოტიკა".

ამიტომაც ერჩივნა, რომ რასაც ამბობდა, მარტივი და ნათელი ყოფილიყო, და იგავებში მოყვანილ მაგალითებსაც ყოველდღიური ცხოვრებიდან დასესხებოდა.

— ეს არის საიდუმლო, რომელსაც თვითონ ძალზე სიტყვაძუნწად გვიცხადებს.

ფილიპე რომ ეკითხებოდა: უფალო, გვიჩვენე მამაო? — ალექსანდრე მენი ყურადღებას მიგვაქცევინებდა, იესო ისე პასუხობს, როგორც არცერთი მიწიერი ფილოსოფოსი არასოდეს მიუგებდაო: ამდენი ხანია თქვენთან ვარ და არ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა.

ამ სიტყვების ხშირად მოსმენამ ბევრი რომ აღაშფოთა და კიდეც განაშორა მას, გამომწვევად ლაპარაკობსო?

გამომწვევად მართლაც მოჩანდა უფალთან თავის გაიგივება და ის აღშფოთებაც და ზურგშექცევაც სამწუხარო რეალობა გახლდათ?

მამა ალექსანდრე არ უარყოფდა ამ განწყობილებას, მაგრამ სწორედ აქეთ უბიძგებდა ადამიანებს: ნუკი გაერიდებით, ამ სიტყვების შეცნობას ეცადეთ მათი ხშირი განმეორების აუცილებლობას ჩახვდით და იგრძნობთ, თუ როგორ ჩაწვდებით უდიდეს საიდუმლოსო.

და იმასაც შეაგონებდათ, რომ იესოს შეკითხვა: რას ამბობს ხალხი, ვინ ვგონივართ მე, ძე კაცისა? — და პეტრეს პასუხი: შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა, — იქ კი არ დარჩენილიყო, სახარების ფურცლებზე, არამედ თვითეულ პიროვნებას ამდენი საუკუნის შემდგომაც ეს კითხვა უშუალოდ თავის მიმართ დასმულად უნდა აღექვა და თანაც მხოლოდ ასე: ადამიანური ბაგით ღმერთი მომმართავსო.

მამისა და ძის ერთარსებობის შესაცნობად ჩვენში რაღაც შინაგანი გამოცდილება უნდა გახსნილიყო, ამ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილების გასახსნელად კი უპირველესად ის განცდა შეგვეწეოდა, რომ ჩვენც პირადად მის მონაფეებად გვეგრძნო თავი იმ სხვა განზომილებაში, სადაც უფლის სიტყვას გადავყავდით.

იესო ქრისტე ადამიანური სახებაა უსასრულო, გამოუცნობი, მოუხელთებელი და უსახელო ღვთისაო, — ალექსანდრე მენი რომ გვიცხადებდა და ლაო-ძისაც იშველიებდა, როგორც ამ ჭეშმარიტების მთქმელს: სახელი, რომელსაც წარმოვთქვამთ, არ არის მარადისი სახელიო, — დასძენდა: დიახ, უსახელო და შეუცნობელი, მაგრამ აქ იგი არამარტო სახელდება, არამედ ადამიანურ სახელსაც იძენს, მეტიც — ჩვენს ცხოვრებისეულ ტვირთსაც იზიარებს... აი, ესაა ქრისტიანობის ცენტრი და ღერძიო.

ამიტომაც იყო, რომ მაცხოვარი საკუთარ სიტყვას წმინდა წერილის რანგში აწვდიდა გარშემომყოფთ... და თუ ვინმე მისი პიროვნების ერთადერთობასა და უნიკალურობას ეჭვქვეშ დააყენებდა იმ მოტივით, ღვთაებრივ და ადამიანურ საწყისთა ურთიერთგანმსჭვალვა მარტოდენ მის არსებაში კი არ მომხდარა, არამედ ამ აქტს წინასწარმეტყველთა ბიოგრაფიებშიც ვპოულობთო, მამა ალექსანდრე შეახსენებდათ, რომ წინასწარმეტყველთა არსებაში ეს ურთიერთგანმსჭვალვა წუთით იჭრებოდა — იგი სხვასავით ცხოვრობდა და შრომობდა, ვიდრე მოულოდნელად ღმერთი არ მოუხმობდა.

ვერც იმ მოსაზრებას შეიწყნარებდა: ქრისტე აჩრდილი იყო, მიწაზე გადმოსული ღვთაებრივი ზმანებაო, — და ყველას ურჩევდა ყური დაეგდოთ ეკლესიისა და სახარების შემოქმედთა მტკიცებისათვის, მაცხოვრის ადამიანურობას დაბეჯითებით რომ გამოკვეთდნენ.

— ის იყო ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ადამიანი, რომლის არსებაშიც არ მოიპოვებოდა არც შინაგანი ბრძოლის კვალი, არც საკუთარი ცოდვილობის განცდა /„რაც ასე დამახასიათებელია ყველა დროის წმინდანისა და მისტიკოსისათვის"/, არ შეიმჩნეოდა ეგზალტაცია, რაც ნიშანდობლივია თითქმის ყველა რელიგიის ფუძემდებლისათვის, და შეეძლო უშუალოდ და პირდაპირ განეცხადებინა ვინც მე მიხილა, მამა იხილაო.

თვითონ მამა ალექსანდრეს კი ამ მსჯელობისას ექსტაზი დარევდა ხელს და მტკიცებას პოეტური ეგზალტაციით განმსჭვალავდა:

— ის იდუმალი, შემზარავი და დიდებული სიცოცხლე, ყოველწუთიერად რომ ქმნის ქვეყნიერებას, იმდენად დიდი, რომ მასში ეთიკური, ზნეობრივი საწყისის დანახვაც კი არ ძალგვიძს, უეცრად ჩვენკენ მომართავს თავის სიყვარულს. ამის განხორციელება მხოლოდ ადამიანური პიროვნების, ცოცხალი ადამიანური სახის საშუალებით იყო შესაძლებელი.

ამ ყოველივეს წიგნის იმ ნაწილში ამოიკითხავთ, მეთორმეტე თემად სახელდებულსა და დამაგვირგვინებელში, იესო ქრისტეს პიროვნებას რომ უტრიალებს და ყველა სიუჟეტურ ხაზსა თუ მსჯელობის დინებას აქეთ მოუძლვის — საიდუმლოებასთან მიახლებასა თუ ადამიანის სულიერებას, კეთილისა და ბოროტის ბრძოლასა და პოლარიზაციას თუ სულის ეკოლოგიას, ქრისტიანობისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებასა თუ ბიბლიის სამყაროსა და ეკლესიის ისტორიისა და ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თემატიკას, მადლისა და კანონის შეფარდებასა თუ ქრისტიანობის გააზრებას სხვა რელიგიათა ფონზე, სიყვარულის ეპოქასთან მიახლოებასა თუ ქრისტიანული სიწმინდის არსს... მოუძლვის, რათა ეს ფუნდამენტური საკითხები თუ საფიქრალი კომპოზიციურად მარჯვედ ამოეხვეს და იმ შარავანდით გასხივოსნდეს, იესო ქრისტეს პიროვნება რომ გვითვალსაჩინოებს — ასეთი იდუმალი და... ასეთი ახლობელი.

ამდენი ხანია თქვენთან ვარ და არ მიცნობთ?

იქ კი, ალექსანდრე მენის აუდიტორიაში მსმენელებს ძალაუნებურად ეს შეკითხვაც რომ ებადებოდათ: შესაძლებელია თუ არა ყველა რელიგიის შეერთება სიყვარულის, სიკეთისა და სიმართლის საფუძველზეო? — სულიერი მამა ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს მოიშველიებდა, როგორც შესანიშნავ განმარტებას:

— მთავარში — ერთობა, საკამათოში — თავისუფლება, ყველაფერში — სიყვარული.

თავის მხრივ კი დაუმატებდა, რომ რელიგიათა შეერთება გაუმართლებლად ეჩვენებოდა, რაკილა მაშინ არცერთი რელიგია აღარ შეგვრჩებოდა, არადა — ღვთისაკენ მიმავალ თვითეულ გზას ჭეშმარიტების საკუთარი მარცვალი მოეპოვება, ქრისტიანობა კი უნივერსალური რელიგიაა.

და მაინც, ქართველი მწერლისათვის ალექსანდრე მენი განსაკუთრებით მახლობელი და გასაგები აკი იმიტომაც შეიქნა, რომ სალოსობის კულტს ემიჯნებოდა და სულისა და ხორცის განუყოფლობაში ხედავდა ადამიანის ამქვეყნიური მოღვაწეობის გეზს — სულის ერთგვარი უპირატესობით, რაკილა ჩვენთა საქმეთა საზომი ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა მატერიალური გარსის დამცირება-დაკნინების ხარჯზე.

მამა ალექსანდრეს ქადაგებანი გინერგავდა, რომ ადამიანს ორი სამშობლო ებოძა — ერთი ჩვენი დედამიწა და ის წერტილი, სადაც ვიბადებოდით და ვიზრდებოდით, მეორე კი სულის ის იდუმალი საუფლო, რომელსაც ჩვენი თვალი და ყური ვერ შესწვდენოდა, მაგრამ რომელსაც ვეკუთვნოდით ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე. ამიტომაც დაგვრქმეოდა მიწის შვილებიც და, იმავდროულად, ამქვეყნის სტუმრებიც.

— ყველანი ერთიმეორესთან ვართ დაკავშირებულნი და სწორედ ამით აიხსნება კაცობრიობის სულიერი და კულტურული ერთიანობა. მსგავსად იმისა, რომ პირველი ადამიანი თავის გენეტიკურ საფუძველში მთელ კაცობრიობას ატარებდა და ყოველი ჩვენგანის სხეული მხოლოდ კაცობრიობის ხეზე ამოსული ნერგი თუ რტოა, აქაც ასეა: სული ამქვეყნად ზევიდან კი არა, ისევ და ისევ ადამიანური მოდგმიდან მოვიდა.

ამ გადასახედიდან ადამი უბრალოდ ჩვენს წინაპრად კი აღარ უნდა მიგვეჩნია, არამედ ყველა ჩვენგანის მომცველად... და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა ვიაჩესლავ ივანოვის მშვენიერი პოეტური სახე, თუ როგორ სძინავს ადამს დაცემის შემდეგ და სიზმრად ხედავს კაცობრიობის ისტორიას მთელი მისი საზარელი დრამებით, ხოლო როდესაც გაიღვიძებს, კვლავაც მარტოა იმ მარადიული ხის ქვეშ, და მასში ჩვენ ვართ, ყველანი...

სულიერი სრულყოფისათვის უნდა გვეზრუნა დღენიადაგ, მაგრამ რა არის აუცილებელი საშუალება სულიერის გამოსახატავად? — ცხადია, მატერიალური. და თუ ჩვენი სულიერი სიმაღლე და ცნობიერება ვერავითარ გავლენას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ახდენდა მატერიალურზე, მაშინ ჩვენი გარჯა ფუჭი და ზედაპირული დარჩებოდა — ეგაა და ეგ. ხოლო თუკი ჩვენი ბედნიერება პირველ ყოვლისა იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც ჩვენს შიგნითაა, მერე მაინც ისიც უნდა გაგვეთვალისწინებინა — და გულმოდგინედაც — რაც გარს გვერტყმის.

მხოლოდ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა მეტყველებს იმაზე, რაც ჩვენ გვსურსო, — აზროვნების ახალი საფეხურისათვის ამზადებდა ალექსანდრე მენი სულიერ შვილებს. ჩვენ კი ის გვსურდა, რომ სული კვლავ დაბრუნებოდა თავის წინარე სამშობლოს, ეს სამშობლო კი ხორცს წარმოადგენდა:

— სხვა ხორცი, გარდასახული, ფერშეცვლილი, მაგრამ მაინც ხორცი, მაინც ბუნება, მაინც მატერია! მაგრამ ის მაშინ სრულებით სხვაგვარი იქნება.

ვიაჩესლავ ივანოვის სტრიქონებს რომ დაიმოწმებს, ეს რაღაც შემთხვევითობა კი არ ყოფილა, არამედ მამა ალექსანდრეს რელიგიურ თხზულებათა თუ ქადაგებათა სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი ნაკადია — უხვად დაესესხოს საერო ლიტერატურას და შემოგვთავაზოს ისეთი ღრმა და ზუსტი დაკვირვებანი და დასკვნები, საუკეთესო კრიტიკოსებს რომ ემარჯვებათ. აშკარაა, სულიერი მოძღვარი ყოველმხრივ განსწავლულიყო საერო მწერლობაშიც — როგორც კლასიკურ, ისე თანადროულ მიმდინარეობებში, ის კი არა, მაქსიმ გორკის რომანიც — "დედა" — საკმაოდ საფუძვლიანად გაეაზრებინა და, როდესაც მის კავშირს ახსენებდა ბიბლიასთან, მსმენელებს სთხოვდა: ნუ გაიკვირვებთო.

რა კავშირს გულისხმობს?

— გორკის სურდა შეექმნა სრულიად ახალი მითოლოგია და შემთხვევით როდი ჩნდება პავლეს ოთახში სურათი — მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს გამოსახულება, თავის მოწაფეებთან ერთად რომ მიაბიჯებს. რომანის გმირი ერთგვარი პროლეტარი ფსევდო-ქრისტეა, რომელიც თუ სასიკვდილოდ არა, საბრძოლველად მაინც მიდის, დედამისის სახე კი თითქოს ღვთისმშობელს უტოლდება, ის შვილის მეგობრების საერთო დედად იქცევა. დედა შვილს მიჰყვება ბრძოლაში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში მართლაც იქმნებოდა ასეთი პროლეტარული მითოლოგია...

საგულისხმოა ულმერთო ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ამ თვალით განჭვრეტა და შეფარდება ბიბლიურ სამყაროსთან, როგორც მისი ერთგვარი პაროდიისა... თუმც მამა ალექსანდრე სტალინზე მსჯელობისას არსად ახსენებს პროლეტარულ მითოლოგიას, არადა, ეს მოვლენა სწორედ სტალინის მიერ არის დასრულებული და მისი ხელითვე დაბეჭდილი — მოჭრილი ახალი აღთქმის ქარგაზე და იერშეცვლილი ღმერთსმოკლებული სინამდვილის კვალობაზე. მაგრამ ამ პროცესის სრულყოფილი გაანალიზება და შეფასება, პროლეტარული საბჭოური მითოლოგიის სრული სურათის წარმოჩენა, როგორც ჩანს, ჩვენი საქმე უფროა და მამა ალექსანდრესაგან ამას ნულა მოვითხოვთ. ვიკმაროთ ის დაკვირვებანი, რაც ამ ეპოქის ირგვლივ გამოუთქვამს და ამ კრებულშიც არაერთხელ შევხვდებით.

— მე როდი ვასწავლი, თვითონვე ვსწავლობ. კი არ ვიბარებ აღსარებას — თვითონვე ვამბობ. მე არ მსურს ერესი, არ მსურს აფეთქება; მხოლოდ ჭეშმარიტი ცეცხლი მწყურია იმ ლამპართა ასანთებად, რომელთა შესახებ ნათქვამია: ქრისტეს ნათელი გაანათლებს ყოველს.

ეს სიტყვები თავისებურ იდეურ ბირთვად წარმოგვიდგება ალექსანდრე მენის თუნდაც ამ კრებულისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრიქონები მამა ალექსანდრეს კი არ ეკუთვნის, არამედ დიმიტრი მერეჟკოვსკის, ვისი ვრცელი ნაშრომიც „ქრისტე და ანტიქრისტე რუსულ ლიტერატურაში: ლევ ტოლსტოი და დოსტოევსკი", შექმნილი XIX-XX საუკუნეთა გზაგასაყარზე, სპეციფიკურად რუსული მოვლენაა და მთლიანი სახით ეგებ ისე აქტუალური აღარც იყოს სხვა ენობრივ გარემოში, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილები კვლავაც ინარჩუნებენ იმ სიცინცხალეს, რასაც ღრმად განზოგადებული ანალიზი აღწევს და მწვავედ წამოჭრილი შეკითხვები დღესაც ამიტომ მოითხოვს ფიქრსაც, ჩაკვირვებასაც, პასუხის მოძიებასაც.

ამ თვალით გადახედავდა ამ ნაშრომს თამარ კოტრიკაძე და შეარჩევდა ჩვენი ჟამისათვის შესაფერის ფრაგმენტებს, რომელსაც საერთო სახელწოდებად მიუსადაგებდა ერთ-ერთი მონაკვეთის სათაურს — "სული წმინდა და ხორცი წმინდა" /მის გამოცემასაც „კავკასიური სახლი" ითავებდა/.

ზედაპირული შეხედვით, ამ თხზულების თარგმნა უფრო რთული უნდა იყოს. რელიგიურ-ფილოსოფიური სტილისტიკა თითქოს უფრო ძნელად გადადის სხვა ენაზე, ვიდრე ზეპირმეტყველების სტენოგრაფიული ჩანაწერები... მაგრამ ვინც ჩახედულია თარგმნის პროცესში, შემოქმედების ამ ერთ-ერთ იდუმალ ლაბორატორიაში, დამეთანხმება, რომ ორივე ნაკადს თავთავისი სიძნელე ახასიათებს და თანაბრად ესაჭიროება შესაფერისი მანერის მიგნება, იმ შინაგანი რიტმიკის, რაც ნაკლებშესამჩნევია ალექსანდრე მენის დიალოგების წიგნში და ხელშესახებია დიმიტრი მერეჟკოვსკის პოეტური სურნელით გაჯერებულ თხზულებაში, მაგრამ ორივე ერთნაირად მოითხოვდა მთარგმნელის ხელოვნებას.

პოეტური სურნელით გაჯერებულიო...

არცაა გასაკვირი რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და თეორეტიკოსისაგან, ვინც — მთარგმნელის მიერ წინასიტყვაობად წამძღვარებული ესეის /„სიმბოლო და მითოსი — დიმიტრი მერეჟკოვსკის მსოფლმხედველობა და ძიებანი"/ ერთი პასაჟისა არ იყოს: სიმბოლო საკუთარი აზროვნების საკვანძო ცნებად აქცია. მითოსი ღვთაებრივი და ადამიანური სინამდვილის სიმბოლურ ასახვად აღიარა, ჩვენი ყოველდღიური ყოფა კი უზენაესი მარადიული ყოფიერების სიმბოლოდ.

წამიერისა და მარადიულის გადაკვეთა, ზემიწიერის განჭვრეტა მიწიერის ღრმად წვდომის გზით მისთვის ნიშნავდა ღვთის იდუმალების გათანაბრებას არამარტო სულისა და სიტყვის იდუმალებასთან, არამედ სისხლისა და ხორცის იდუმალებასთანაც, რადგანაც სიტყვა ჩვენი იქცა ხორცად.

ესეის ანალიტიკური განსჯა მოხდენილად ბოლოვდება მერეჟკოვსკის თვითირონიული სიტყვებით:

— რუს მკითხველებს არასოდეს ვყვარებივარ და გამუდმებით მლანძღავდნენ, ევროპელებს ვუყვარდი და მაქებდნენ კიდეც, მაგრამ არც აქ და არც იქ არავის ესმოდა ჩემი.

და ამ თვითირონიის ფონზე წარმოჩნდება მისი ნაწერების აქტუალურობაც და ის გარემოებაც, რომ ჩვენ, დღევანდელებმა, ძალზე ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ მისგან, უპირველესად კი: ძიების თავისუფლება /"ნუ შეგვაშინებს ცდუნების, გზიდან გადახვევის საფრთხე, თუ მართლა მთელი არსებით ვეძიებთ, თუ საკუთარი სულის წინაშე გულწრფელნი ვართ..."/.

თამარ კოტრიკაძე თვით ალექსანდრე მენსაც გაეპაექრება, როდესაც იგი მერეჟკოვსკისადმი მიძღვნილ საჯარო ლექციაში განაცხადებს: იგი სიტყვის უბადლო ოსტატი გახლდათ, თუმც დიდ მწერლად მაინც ვერ ჩამოყალიბდაო, — და გაპაექრების უფლებას იმიტომაც მისცემს თავს, რომ თვითონ — რუსი სულიერი მამისგან განსხვავებით — ამ შეხედულებას მერეჟკოვსკის ყველა რომანზე არ განაზოგადებს, და ორ ეპიკურ ნიმუშს /„პეტრე და ალექსი" და „სუფევა მხეცისა"/ მიიჩნევს იმ გამორჩეულ რომანებად, რომლებშიც მრავალი ზუსტი შტრიხით მოიხაზა რუსეთის ბედისწერა და კულტურა.

და მაინც — მერეჟკოვსკი არც გოგოლია, არც ტოლსტოი, არც დოსტოევსკი, არც ჩეხოვი... და დიდი გადასახედიდან ის მაინც ესეისტად და რელიგიურ ფილოსოფოსად უფრო რჩება, ვიდრე რომანისტად.

იქ კი, ფიოდორ დოსტოევსკის რომანში /„ძმები კარამაზოვები"/ ჭაბუკ ზოსიმეს ეს შეკითხვაც რომ აალელვებდა: ნუთუ ცხოველებსაც ჰყავთ ქრისტე? — აბა, სხვაგვარად როგორ იქნებაო, — პასუხად მოისმენდა, — სიტყვა ხომ ყველასთვისაა, ყოველი ქმნილება და ყოველი არსი, ყოველი ფოთოლი სიტყვას ეშურება, ქრისტეს შესტირის და თვითონაც არ იცის ეს, თავისი ცხოვრების უცოდველობით სჩადის ამასო.

და მერეჟკოვსკი კი ამ განცდას რაღაც უხსოვარ რელიგიურ ფიქრთან დააკავშირებდა, ჯერაც დაუსრულებელთან:

— ფიქრი არა მხოლოდ უხორცო სიწმინდეზე, არამედ წმინდა ხორცზეც, ფიქრი იმაზე, რომ ღვთაებრივისაკენ გზა ადამიანურისათვის მხოლოდ სულიერი კი არა, — ცხოველურიცაა.

და რომ:

— ადამიანი მხოლოდ გზაა, მხოლოდ გადასასვლელი, მხოლოდ უფსკრულზე წუთით გადებული ხიდი პრეადამიანურიდან — ზეადამიანურისაკენ, მხეციდან — ღვთისაკენ.

მხეცმა მიიძინა ადამიანში?

ვინ იცის, როდის გამოიღვიძებდა.

და მერეჟკოვსკის ეჭვისა არ იყოს, იქნებ მართლაც წინ მოგველოდა ადამიანის ორთაბრძოლა მხეცთან, ღმერთკაცისა — ღმერთ-მხეცთან?!.

ხორცის აღდგომა, სხეულის სიწმინდე განყენებულად, დოგმატურად იქნა გაგებული, ხორცის გვემა და მოკვდინება კი — მართლაც ცოცხლად, მთელი გზნებითო, — თავისას გვარწმუნებდა დიმიტრი მერეჟკოვსკი და ემიჯნებოდა რუსულ სალოსობას, როგორც უკიდურესობას და უშუალო ნაყოფს იმ ისტორიული ქრისტიანობისა, რომელიც აიგივებდა ხორცის სიკვდილსა და ხორცის აღდგომას, მაშინ, როდესაც ქრისტეს მოძღვრებაში ასეთი ტოლობის ნიშანი არ მოიპოვებოდა... და რუსული სიმბოლიზმის მამას თითქოს მათემატიკური ფორმულის შექმნის სურვილიც უჩნდებოდა: იქ ხორცის უკიდურესი დამდაბლების უარყოფა მხოლოდ ხორცის უკიდურესი აღმატების ჯამში გვაძლევს აღდგომასო.

ქრისტეს მოძღვრებისაგან ისტორიული ქრისტიანობის განცალკევება უბიძგებდა მას, სიცოცხლე ცისარტყელისებურ ფერებად აღექვა და არა გაქრობის, განადგურების ერთ ფერად — შავად, რაც გულისხმობდა, რომ ისტორიულ ქრისტიანობაში კაცობრიობა თითქოს საკუთარ თავს უმხედრდებოდა და საკუთარ თავს უარყოფდა.

რა გამოდიოდა — სულისა და ხორცის ამქვეყნიური პოლარული წინააღმდეგობა მათ იმქვეყნიურ, მისტიკურ ერთობას ხომ არ გვიმტკიცებდა?

თუკი ასე იყო — და მერეჟკოვსკის სწამდა, რომ სწორედაც ასე იყო — მაშ სულიც „ხორცად" უნდა აღგვექვა, სხვაგვარ, ფერგამოცვლილ, ამაღლებულ, მაგრამ მაინც „ხორცად", ხორცის ხორცადაც კი, ყველაზე მყარ, უხრწნელ, ნამდვილ და, ამასთან, ყველაზე მისტიკურ ნაწილად ხორცისა, რაც მას განამტკიცებდა და ასულდგმულებდა:

— სული უწყვეტი მოძრაობაა, სწრაფვა ხორცისა უმდაბლესი მდგომარეობიდან უმაღლესისაკენ, — „ნათელიდან ნათელისაკენ", — ფერისცვალების, აღდგომის იმ საბოლოო, თეთრი ნათელისაკენ, რომელშიც ჩაედინება სიცოცხლის ცისარტყელას ყოველი ცალკეული ფერი. სული უხორცო სიწმინდე კი არა — წმინდა ხორცია.

ვერ გაიმეტებდა მერეჟკოვსკი ადამიანის სხეულს, ვერ დათრგუნავდა, ვერ დატანჯავდა თითქოსდა სულის ხსნისათვის, რაკილა ხორცს იმ ტაძრად აღიარებდა, რომელშიც სული დავანებულიყო, და რატომ დაივანებდა სული ისეთ ადგილას, რაც უარსაყოფი და გასანადგურებელი უნდა ყოფილიყო?.. თავისი მადლით აღავსებდა სული სხეულს, ისევე, როგორც სხეულიც თავის მადლს გაუზიარებდა და ერთობლივი სვლა განწმენდისაკენ ჰპოვებდა სულს არა უხორცო სიწმინდედ, არამედ წმინდა ხორცად.

ქრისტეს მოძღვრება პირდაპირ თუ არ განუმარტავდა მორწმუნეებს წმინდა სულისა და წმინდა ხორცის ერთობას, მინიშნებით მაინც მიგვანიშნებდა სულაც სამ გზას ამ ერთობისაკენ, და რუსული სიმბოლიზმის სულისჩამდგმელი ამ მიმართულებით რომ გაჰყვებოდა ფიქრსა და ანალიტიკურ განსჯას, დაგვიბეჯითებდა და გვამცნობდა, ამ სამ ამომწურავ მომენტს, ამ სამ ნიშანს დაუკვირდითო:

ჯერ დასაწყისში, შობის, ხორცშესხმის საიდუმლოში /„და სიტყვა ხორცად იქცა"/; შემდეგ ზიარებაში, სისხლისა და ხორცის წმინდა წესის საიდუმლოში; და აღსასრულის ჟამს — ხორცის მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოში.

რათა ადამიანებს თვითონაც გაეაზრებინათ ეს პროცესი, თუ როგორ მეტყველებდა ყოფიერების ეს სამივე მომენტი არა უხორცო სიწმინდეზე, არამედ სწორედაც წმინდა ხორცზე.

ისტორიულ ქრისტიანობას უარყოფით არ უარუყვია ეს სამი საიდუმლო გზა, მაგრამ არც გაყოლით გაყოლია მათ, და როდესაც ცხოვრებით, ქმედებით თითქოს შეჩერდა მათ წინაშე, მერეჟკოვსკის გულს ეს დააკლდებოდა — განყენებულ დოგმებად აქცია, უმოქმედო რიტუალებად გააქვავა, წმინდა წესის სამივე ეს საიდუმლო საიდუმლოდვე დატოვა ანუ გაუხსნელ ჭეშმარიტებად, მაშინ, როდესაც საიდუმლოს აზრი სწორედ ისაა, რომ გაუხსნე-

ლი ჭეშმარიტება გაცხადოს, რათა საიდუმლო იქცეს გამოცხადებადო.

მიზეზს, თუ რატომ აუმხედრდა ლევ ტოლსტოი ეკლესიას, მერეჟკოვსკი იმაში დაინახავდა, რომ „აღდგომის“ შემოქმედმა უარყო წმინდა ხორცის სამივე საიდუმლო — ხორცშესხმისაც, ზიარებისაც და აღდგომისაც — და მიიჩნია უდიდეს რელიგიურ მატერიალიზმად, მაგიად, ჯადოქრობად თუ ხორცის მკრეხელურ გალმერთებად... და მერეჟკოვსკი არ ერიდება ტოლსტოის უდიდეს ავტორიტეტსა და პოპულარობას როგორც მწერლისა და როგორც ახალი მოძღვრების ქადაგის, და დაურიდებლად შეაფასებს ჩვეული ხატოვანებით: როგორც ღვინო ძმარდება გადამეტებული დუღილისაგან, ისე ტოლსტოის ქრისტიანობაც ბუდისტურ ნიჰილიზმად იქცა — არყოფნის, ნირვანას, გალმერთებული არარას რელიგიადო.

და კიდევ: მისი უკიდურესი სპირიტუალიზმი სინამდვილეში უკიდურესი მატერიალიზმის საფარველს წარმოადგენსო.

მარტოდენ ტოლსტოის მიმდევრები კი არა, ბუდისტური ნიჰილიზმის ცდუნებას, გამოხატულს ისტორიული ქრისტიანობის ცალმხრივი ასკეტიზმით, მთელი ევროპა დაემონებინა... და რუსი სწავლული, ნიცშეანიზმის არსზე დაყრდნობით, ამ ცდუნების დაძლევის გზად სულისა და ხორცის მისტიკურ ერთიანობას სახავდა, მათ თანაფარდობას, თანასწორობას, რასაც დასავლური რელიგიური სწრაფვა ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა.

ფრიდრიჰ ნიცშე ჯვარცმული დიონისეს ხატს აფარებდა თავს, რათა უშუალოდ ამ რწმენისათვის გაეიგივებინა საკუთარი თავი და არ ეკმარა დიონისეს მოციქულობა, ქურუმობა თუ ზვარაკობა; მერეჟკოვსკის მზერას კი არ გამორჩებოდა, რომ გონებისა და არაცნობიერი სტიქიის დაპირისპირებას გამოეწვია როგორც ნიცშეს, ისე ლევ ტოლსტოის ტრაგედია, განსხვავება კი ის გახლდათ, რომ თუ ერთთან უსინათლო და ნათელმჭვრეტელი სტიქია დაუპირისპირდა გონებას, მეორესთან პირიქით — გონება აუმხედრდა არაცნობიერ სტიქიას.

ამ ორი მოაზროვნის შედარება კი ამ დასკვნამდე მიიყვანდა: ჩვენს თვალწინ ჩვენი გაპობილი სულის ორი ნახევარი ხორცს რომ შეისხამდა ნიცშესა და ტოლსტოიში, ვიდრე ამის მომსწრენი გავხდებოდით, ფიოდორ დოსტოევსკი მთელი ცხოვრება დაატარებდა საკუთარ თავში ამ გაორებას, მხოლოდ მასზე ფიქრობდა, მხოლოდ მისით იტანჯებოდაო.

ნიცშესა და დოსტოევსკის უდიდესი უკანასკნელი თხზულებანი („ესე იტყოდა ზარატუსტრა“ და „ძმები კარამაზოვები“) დროში თითქმის რომ ემთხვეოდა ერთმანეთს და მრავლად მოინახებოდა მათ შორის ისეთი თანხმობანი, თითქმის სიტყვა-სიტყვითი განმეორებანი, თითქოს ფარულად მიუყურადებიათ ერთიმეორისათვისო, მერეჟკოვსკი ამ სიახლოვეს სასწაულად შერაცხავდა — ცოცხალ სასწაულად ისტორიისა.

— განა დროის სული არ გვესაუბრება აქ ერთსა და იმავეზე სამყაროს ორ სხვადასხვა ნაპირზე?

სასწაულად, აბა, სხვა რა, როდესაც დოსტოევსკი საერთოდ არ იცნობდა ნიცშეს, სახელიც კი არა სმენოდა მისი, ხოლო თუ ნიცშე ღრმად განიცდიდა დოსტოევსკისთან სიახლოვეს, მის გავლენას გრძნობდა და არც დაუმალავს, მერეჟკოვსკისათვის ეს აღიარება ბევრს არაფერს ნიშნავდა და მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა არა გარეგნულ მიბაძვაზე, არამედ ამ ორი პიროვნების იშვიათ და განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეზე, მათი მეტყველების ერთხმოვანებაშიც რომ გადადიოდა.

მთავარიც სწორედ ეს გახლდათ, თორემ ნიცშეს დოსტოევსკის ზეგავლენა ასე მძაფრად როგორ უნდა განეცადა, როდესაც:

— არსებითად ცუდად იცნობდა მის შემოქმედებას, — მხოლოდ უვარგისი თარგმანებით /თუმცა კარგი არც არსებობს/, — ბევრი რამ კი, თანაც ძალზე მნიშვნელოვანი, საერთოდ არ უნახავს.

გახსოვთ ტომას სტერნზ ელიოტის თვალსაზრისი, ედგარ პოს დიდ ზეგავლენას ფრანგულ მხატვრულ აზროვნებაზე მისი ნაწერების უვარგისი თარგმანებით რომ ხსნიდა? თუმც წამითაც არ უძებნია სულიერი საერთო პოსა და ფრანგ მწერლებს შორის, რადგანაც „ყორანის“ შემოქმედი მადლცხებულ პოეტად და ბელეტრისტად კი არა, ერთ სუსტ, ინფანტილურ ლიტერატორად მიაჩნდა, ვისაც იმ დიდებულმა ფრანგმა პოეტებმა უნებურად საკუთარი ნააზრევი მიაწერეს, თორემ მათ შორის ერთი თანხვედრაც არ შეიძლება მონახულიყო.

ამ თვალით თუ შევხედავთ, დოსტოევსკის გავლენაც ნიცშეზე შეუძლებელია სუსტ თარგმანებს გამოეწვია, და ამჯერადაც „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ შემოქმედი საკუთარ შეხედულებებს მიაწერს „ძმები კარამაზოვების“ შემოქმედს, როდესაც იმ უვარგისი თარგმანების მიუხედავად აღტაცებას გამოთქვამს იმისი მსოფლხედვით.

თუმც შინაგანი თანხმობა, სულიერი ერთიანობა უდავოდ განსაზღვრავდა თუნდაც იმ სიტყვა-სიტყვით დამთხვევებს, მათ ნაწერებში რომ შეინიშნება.

ედგარ პოსაც ეს სულიერი თანაზიარობა თუ ერთიანობა აღმოაჩნდებოდა შარლ ბოდლერთან, სტეფან მალარმესა თუ პოლ ვალერისთან, და გადამეტებული უნდა იყოს მის მიმართ ტომას ელიოტის კრიტიციზმი, თორემ უსუსური გონება ამხელა ტალანტის შემოქმედებზე განა რა გავლენას მოახდენდა.

ყველა ის სახელი, ვისაც მერეჟკოვსკი გამოიხმობს რუსული თუ დასავლური ხელოვნებიდან თუ აზროვნებიდან, აქეთ მოემართება, რათა მკითხველს თვალსაჩინოდ გადაეხსნას რუსული აღორძინების ორი ღმერთი თუ ორი დემონი — სხეულის უფსკრულში ჩამხედავი ტოლსტოი თუ სულის უფსკრულში ჩამხედავი დოსტოევსკი, რომელთაც თვითონ ვერ გაეგოთ, რომ უერთმანეთოდ არც გაეძლებოდათ — და სწორედ ეს შინაგანი მიზიდულობა თუ გადაჯაჭვულობა დარჩებოდა ახალ თაობათა სასოებად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი მწვერვალის შემდგომ — რუსულმა სულმა რასაც მიაღწია — უეცარ ვარდნად აღიქმებოდა აზროვნების დაქვეითება, კატასტროფულ დაცემად და მერეჟკოვსკის ისიც კი დასცდებოდა: ეგებ ასეთი წინაპრები ჩვენთვის გამართლება კი არა, სასჯელიაო?

როდესაც ტოლსტოისა და დოსტოევსკის ევროპულ რენესანსში მოუნახავდა თავთავის არქეტიპს /ერთს მიქელანჯელოს — სხეულის ნათელმჭვრეტელს, და მეორეს ლეონარდო და ვინჩის — ნათელმჭვრეტელს სულისას/,

მათ შემაერთებელ ხიდად დაიგულებდა რაფაელს, ოღონდ როგორც დროებითი ზავის ჩამომგდებს, მხოლოდ გარეგნულსა და ზედაპირულს, მეტად უსაფრთხოსა და კეთილგონიერს, არც მწვადს რომ არ დაწვავდა და არც შამფურს.. ასეთი ხიდის არსებობას კი მოეტანა ყოველივე თვალთმაქცური, აკადემიურად პირობითი, გულცივი, მეშჩანურად მდარე, ულიმღამო და უგვანო, რაც სეჩენტიზმის სახელით გაფორმდებოდა.

რუსული აზროვნებისათვის სეჩენტიზმისმაგვარი მიმდინარეობაც ჯერჯერობით მიუწვდომელი რჩებოდა.

თუმც მერეჟკოვსკის ფარ-ხმლის დაყრა არ ენება — რუსული სინთეზი გარდუვალია, ეს უნდა იყოს ტოლსტოის თეზისისა და დოსტოევსკის ანტითეზისის საბოლოო სიმბოლური ურთიერთშერწყმა, ჰარმონია, უფრო დიადი, ვიდრე პუშკინისა, რადგანაც ის უფრო ღრმა და გაცნობიერებული იქნებაო.

თუკი ევროპული რენესანსი სეჩენტიზმს შეეწირებოდა, ამიტომაც ვერ დასრულდებოდა და ჯერაც მოელოდა თავის სრულქმნელს, ვითომ რუსული აღორძინება მიაღწევდა ამ ნანინანატრ, ეგებ კიდეც ნალოლიავებ სინთეზს?

ყოველ შემთხვევაში, თუკი დაცემის, ვარდნის კატასტროფულობას გააცნობიერებდი და მისგან თავდაღწევას მიზანმიმართულად შეეცდებოდი, თავგამოდებად ნამდვილად ღირდა... თუ არადა, რა აზრი ექნებოდა არსებობას, თუ აზროვნების სამუდამო უსუსურობასა და სიბერწეს შეეგუებოდი?..

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად მერეჟკოვსკიც მრისხანე და დაურიდებელია თანამედროვეობის მიმართ, საამისოდ კი განაწყობს ეროვნული მისიის შეგნებაც, საკუთარი თავის დანახვაც დიდი სულიერი გარდაქმნის ერთ-ერთ თაოსნად და მისი ისედაც ეგზალტირებული მეტყველება კიდევ უფრო მძაფრდება და აპოკალიფსის მოახლოების შეგრძნებასაც გიჩენს.

ნიკოლაი ბერდიაევს ამ თხზულებაში თუ რაიმე ჭრიდა ყურს, მათ შორის მეტყველების ეს მანერულობაც, რასაც „რიტორიკად" მოიხსენიებდა, თუმც თამარ კოტრიკაძე ამჯერადაც შეეცდებოდა მერეჟკოვსკის გამართლებას: რასაც ბერდიაევი „რიტორიკას" უწოდებს, „ექსტაზური პათოსი" უფროა, და საკმაოდ გადამდებიცო. მოშველიებით კი მოიშველიებდა ნიცშეს თხზულებას — განა ასეთივე რიტორიკით არ არის დაწერილი „ესე იტყოდა ზარატუსტრა"? ანკი სხვანაირად როგორ უნდა დაწერილიყო ამგვარი წიგნიო?

ხოლო იმ მოარულ თვალსაზრისს, თითქოს მერეჟკოვსკის ამჯერად განეზრახა ტოლსტოისა და დოსტოევსკის, სხვა თხზულებებში კი პუშკინის, გოგოლის, ჩაადაევის, წმინდა სერაფიმე საროველისა თუ სხვა მწერალთა და მოაზროვნეთა პირწმინდად გაცამტვერება, იმ შეხედულებას დაუპირისპირებდა, რომ სინამდვილეში მერეჟკოვსკი ცდილობდა გაყინულ სტერეოტიპთა დანგრევას და გათვალისაჩინოებას რუსული კლასიკის ისეთი ფასეულობებისა, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა.

ამ კუთხით მთარგმნელი უშუალო მსგავსებას ხედავდა დეივიდ ლორენსის წიგნთან „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ", რომელშიც ხორცი შეესხა ზუსტად ისეთივე ჩანაფიქრს, რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ მედროშეს რომ ახასიათებდა. ეგაა, ერთი ქვეყნის კლასიკურ ლიტერატურას მეორე ქვეყნის კლასიკური ლიტერატურა ჩაენაცვლა და მისი მდინარება დინამიურ პროცესად ამიტომაც წარმოისახა, და იმ სიცოცხლით აღივსო, სახელთა ანდამატის იქითაც რომ გადაგახედებს და, სნობური ინტერესით კი არა, ჭეშმარიტი ცნობისწადილით ჩაგრთავს მრავალფეროვან ნაკადთა ბრუნვა-ტრიალში.

მერეჟკოვსკისა და ლორენსის მსოფლმხედველობის პრიზმაში გატარებულთ?

მათი იდეების, სიმბოლოებისა და ცნებების ენით გაშიფრულთ?

და ეს კმარა ამ მხატვრულ სამყაროთა შესამეცნებლად?

არც ერთს და არც მეორეს არასოდეს უმტკიცებია: კმარაო. მათი მიზანი ხომ სწორედ ეს გახლდათ — ძიების თავისუფლებისათვის მიეჩვიათ ადამიანები, მთელი არსებით რომ გადაშვებულიყვნენ ამ ნაკადებში, — მათი შეცნობის მოწადინენი, ოღონდ აუცილებლად საკუთარი სულის წინაშე გულწრფელნი.

* * *

ის სიტყვის უბადლო ოსტატი იყო, თუმც დიდ მწერლად მაინც ვერ იქცაო...

ეს ხვედრი ერთსა და ორ კაცს არ რგებია.

მხატვრული სიტყვის ოსტატობა კიდევ სხვა მადლია, იმ მიჯნის შემდეგ რომ იწყება, სადაც დიმიტრი მერეჟკოვსკიმ აღწევით ააღწია, მაგრამ გადაბიჯებით კი ველარ გადააბიჯა.

ფილოსოფოსის კვალობაზე კი დიდი ექსტაზი გაამჟღავნა და, თუმც ვასილი როზანოვისა ეხარბებოდა: აი, რუსი ნიცშეო, — თვითონაც არანაკლები გზნებით მიჰყვებოდა კვალდაკვალ „ესე იტყოდა ზარატუსტრას" შემოქმედს ძიების თავისუფლების წყურვილითა და მკვეთრი გადაფასების ჟინით აღვსილი.

ალექსანდრე მენი მერეჟკოვსკის სტილური არტისტიზმით მოხიბლულიყო, და მასავით ეოცნებებოდა ის სულიერი გარდაქმნა, რომელიც — სამწუხაროდ და სავალალოდ — საუკუნის დასაწყისში ძალიან ტლანქად განხორციელდა, ველური სტიქიის ამოფრქვევითა და რევოლუციური გარღვევით, იმ პოლიტიკურ რეჟიმს რომ დაუდო სათავე, საიდან თავდაღწევისთვისაც ასეთი თავგანწირვით ილვწოდა მამა ალექსანდრე და საუკუნის მიწურული ეგულებოდა იმ ხანად, როდესაც ჩაწყნარდებოდა მხეცურ ძალთა ზეობა და ყველა და ყველაფერი სულიერებისაკენ შემოტრიალდებოდა.

დაე, დიმიტრი მერეჟკოვსკის ოცნების ახდენას ალექსანდრე მენი მაინც მოსწრებოდა და საკუთარი სიტყვითაც განემტკიცებინა დიდი შემობრუნების პროცესი.

არადა, თურმე საკუთარი სისხლით უნდა დაეკირა ველურ და ღვთიურ სტიქიათა დაპირისპირების ჟამი.

და, ვინ იცის, რომელ სტრიქონებს მარცვლავდა გუნებაში მამა ალექსანდრე, ნაჯახით წამოპარებულ მკვლელს გულმშვიდად რომ გაუსწორებდა მზერას... ეგებ სულაც ამ შეხედულების ირგვლივ იკვროდა ფიქრთა წყება: აპოკალიფსი ხომ იმას გულისხმობს, რომ ნათელი მაინც გაიმარჯვებს, რაგინდ იმძვინვარონ ბნელმა ძალებმა ისტორიაში, გამარჯვებული მაინც ღვთის ძალა და ნათელი იქნება, ამიტომაცაა აპოკალიფსი ნათელი წიგნიო.

ავთანდილ პოპიაშვილი

# „არასოდეს თქვა „არასოდეს!“



**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა ერი არ ერობს.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ სამშობლოში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— ვაჟა-ფშაველას „ვედრება“ სრულად ასახავს.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ალუდა ქეთელაური.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— გრიგოლ ხანძთელი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ფიროსმანი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ნიკო სულხანიშვილი და სხვა მრავალი.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ინტელექტს, გაუტეხლობას.

**— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

—სიყვარულის ნიჭს.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბვლელი?**

— მიმტევებლობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ხატვა, მიწასთან ურთიერთობა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— რაც ვარ.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— სიჯიუტე — ზოგჯერ უაზრო.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გულითადობას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— მიჯაჭვულობა წარსულზე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ყველა რომ კარგად იქნებოდეს.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ამაოების განცდის ვერ მოცილება.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— მობილიზებული. ნაკლებად გულუბრყვილო.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— განწყობას გააჩნია.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ია.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ფასკუნჯი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მიხეილ ჯავახიშვილი და სხვანი მრავალნი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— გალაკტიონი, ვაჟა, ტარიელ ხარხელაური, მარიამ წიკლაური.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— შუშანიკი, ალაზა.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ტყუპი ძმები ნიკლაურები აფხაზეთში დაიღუპნენ გმირულად.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ნინო, თამარი, ქეთევანი.

**— საყვარელი სახელი?**

— ქიტესა, მზია, მთვარისა, შავლეგო.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ფარისევლობას.

**— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ივანე მხარგრძელი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— „ძლევაი საკვირველი“.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ქართული ენის გამოცხადება სახელმწიფო ენად. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ერთი ისეთი ნახატი შემაქმნევინა, რომ მომწონდეს.

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— ვალმოხდილი.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— მაძიებელი.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— სიყვარულით გამოწვეულნი.

**— თქვენი დევიზი?**

— არასოდეს თქვა „არასოდეს“!

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ნუ გეშინია, საქართველო გადარჩება.

ზაურ კალანდია

# უსიზმრებო ღამე

სამი დღის წინათ, კვირა დილას ამოვედით. მამამ მანქანით ამოგვიყვანა, აქ, დეიდასთან დაგვტოვა და ენგურს გაღმა საქართველოში წავიდა.

თხილი აქვს გასაყიდი.

ჩვენი სოფელი აქედან შორსაა. შარშან, ზამთარში რომ ვიყავით, ფეხით ვიარეთ მე და დედამ. ომი დამთავრდაო, ერთი კვირა ზეიმობდა ხალხი. ზეიმი ჩვენთვის არ იყო. თავშესაფრის ძიებაში ვიყავით, ამიტომ მივდიოდით დეიდასთან. მიუხედავად იმისა, სროლები აღარ იყო, მანქანები მაინც არ მოძრაობდნენ გზაში. არაფერი არ იყო, ძროხა და ძაღლიც კი. თან თოვლიც იდო, ციოდა და გზაც არ მთავრდებოდა. ცუდ დღეში ვიყავი, ქურთუკი არ მეკვრებოდა, ჯიბეებიც არ ჰქონდა და თითები ვერსად დავმალე, ლამის მომეყინა.

ნახევარი დღე ვიარეთ.

მაშინ ძია ვანო ცოცხალი იყო, დეიდაჩემის ქმარი. ძია ვანო გზაში შეგვხვდა, სოფელში რომ შევედით, გზაჯვარედინზე, პურის წერტთან, მოტიტვლებულ ადგილას, უცხო კაცებში იდგა — წვერმოშვებული და მხარზე ავტომატგადაკიდებული. კოცონი ენთოთ და თბებოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. რომ დაგვინახა, გაუკვირდა, კაცებს გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა.

დედამ ტირილი დაიწყო, რაღაცა უთხრა ჩვენებურად. ვანო ძიას არ ესიამოვნა, აფხაზურად უპასუხა. კარგა ხანს ვიდექით ყინვაში. ფეხები დამიბუჟდა და ხტუნვა დავიწყე. დედას არ მოეწონა, ქურთუკზე დამქაჩა... გავჩერდი. ვიფიქრე, კოცონთან მივალ, ცოტას გავთბები-მეთქი. არ დამცალდა.

— კარგი, რახან ჩამოხვედით, წამოდითო, — მოკლედ მოჭრა ძია ვანომ და ჩემი ხელში აყვანა სცადა.

გავუძალიანდი.

— ეს უკვე რამხელა გამხდარა, დაქალებულაო, — თითქოს ახლახან შემამჩნია და ხმამაღლა გაიცინა.

— ვანო...

უკნიდან ხმა მოგვესმა.

— რა იყო?

შედგა, არც მიუხედავს.

მე მაინც გამექცა თვალი. ბაბუასავით კაცი იყო, ჭაღარა.

— სად მიხვალ?

— ხომ ხედავ, სტუმრები ჩამომივიდნენ...

უკმეხად მიაძახა.

მე ვანო ძიას ავედევნე და ხელი ხელში ჩავჭიდე.

ეს იყო შარშან, შემოდგომაზე. ახლა ზაფხულია, თბილა, ტყემლები ყვავიან... მანქანებიც მოძრაობენ, ოღონდ უმეტესად მკაცრი სახის თოფიანი კაცები სხედან შიგ.

რომ ამოვედით, ორმოცი წუთის სავალიაო, უმეორებდა მამა მძღოლს გზაზე, თან თავის მანქანას მისტიროდა, აქამდე რომ გვყავდა და წაგვართვეს. ამის გამო მამას გული დღესაც აწუხებს.



მართლაც, ისე მალე ამოვედით, დაღლა არც მიგრძვნია.

ალიკა ჭიშკართან იდგა. მე არც მაკოცა, მამასაც უგულოდ მიესალმა.

რა იყო, ალიკა, ჩვენი მოსვლა გეწყინაო, გაეხუმრა მამა.

ალიკა წარია ჩემი დეიდაშვილია, აფხაზი დეიდაშვილი, თერთმეტი წლისა, მე ათის გავხდები ორ თვეში. რაც ვანო ძია აღარ არის, უფრო ბრაზიანი, გულჩათხრობილი და უხეში გახდა. არადა, მაგაზე ახლობელი ვინა მყავს, ნამდვილი და-ძმა ვართ, ადრე ერთ ლოგინში გვაწვენდნენ მშობლები. გუშინ, სანამ დავიძინებდით, დამიმარტოხელა, იდაყვი ყელთან მომაბჯინა, კედელს მიმასრისა და

— შენ აფხაზი ხარ თუ ქართველიო? — ქართველი-მეთქი, გამიკვირდა, რომ არ იცოდა.

— აფხაზების მტერიო? — თვალები სიძულვილით აევსო, შევშინდი. — შენ ხომ აფხაზი ხარ, ჩემი დეიდაშვილი, და შენი მტერი ვარ-მეთქი?! საშინლად მეწყინა, ტირილი მომინდა... — დედა ხომ ქართველი გყავს? გამოსავალი ვიპოვე. — მამა?.. — თვალები ავად გაუკვესდა.

ვერაფერი ვერ ვთქვი.

გვიანობამდე არ დამეძინა.

დედა მიჯავრდება, ძილისგუდა ხარო. არადა, სანამ დამეძინება, სულ ვწვალობ, ვწრიალებ ლოგინში, რული არ მეკარება... სიზმრები კი, იცოცხლე, მიყვარს... სიზმარში არც შიმშილს ვგრძნობ, არც სიძულვილს და შიშს... სიზმარში ფრენაც შეიძლება... უცხო და მინდვრის ყვავილებივით ფერადია სიზმრები... ასე მგონია. სიზმრების ხათრით მძინავს, ისინიც არ მღალატობენ... იმითი ვცოცხლობ...

გამომელვიძა.

უსიზმრებო ღამე იყო. მეწყინა.

ავდექი, ფეხსაცმელს დავუწყე ძებნა, ლოგინქვეშ ქაღალდის დიდი ყუთი ვნახე. დამაინტერესა, გავხსენი. სულ ქართული წიგნები ეწყო. ყველას დეიდაჩემის სახელი ეწერა ზედ. ალიკამ შემომისწრო, რას იქექები მანდო, ფეხი ჰკრა ყუთს. გავბრაზდი, წუხანდელი წყენაც არ გამსვლოდა და მკლავი დავუჭირე — მინდოდა მეკბინა, ტკივილი მიმეყენებინა... ხელი გამომტაცა, რომელიღაც სქელი წიგნი აიღო და თავში მთხლიშა...

დავრეტიანდი, ჩავჯექი.

ნათელა დეიდამ შემოგვისწრო.

— არ გრცხვენიათ, და-ძმა არა ხართო?

ალიკამ ირონიულად ჩაიცინ-ჩაიქირქილა.

ჩვენი დაძმობაც არ სჯერა.

მეც მაშინებს უკვე, არ ვენდობი. ერთადერთი მესაიდუმლე და ახლობელი მყავდა და იმასაც ვკარგავ...

დედამ შემოგვძახა — ლომი ამოვილეო...

ალიკამ უარი თქვა, საჭმელს პირი არ დააკარა... ზის, ბუხართან, ცეცხლსაა ჩაჩერებული, ბოლმა და სიბრაზე ვერცხლისფერ ლაქებად უხტის სახეზე.

ალიკას მამა არ ჰყავს. ომში მომიკლეს ქართველებმაო, დარწმუნებულია. მეტიც, გეგონება, თავს იწონებსო მამის გმირული სიკვდილით. რა ხანია, ომი დამთავრდა. ომი მაშინ სად იყო, როცა ძია ვანო რაღაც უცნაური სიკვდილით დაიღუპა. აკი მამაც გაუბრაზდა ერთხელ დედას: ქართველებთან რაღა უნდათ... მე არ ვიცი, მოპარულ საქონელს მოერეკებოდნენ შამგონიდან... ენგური რომ გადმოლახეს, ნაღმზე აფეთქდაო. შენ ოღონდ ცუდი თქვა ვანოზე, მეტი არაფერი გინდაო. — არ აპატია დედამ. — ჰო, რომელი აფხაზი ეგ მყავდა... ერთი გააფხაზებული ჩვენებური ნაგავი იყოო. დედას სათქმელი თუ გამოელია — ტირილი დაიწყო... ორი პასპორტი ჰქონდა, როცა ჭირდებოდა, აფხაზი იყო, როცა ჭირდებოდა — ქართველი. — აკი ძმა იყო შენი? — არ შეარჩინა დედამ. — ძმა, ძმად რომ არ გილებს, ის მტერზე უარესიაო, — გაჩუმდი, ბავშვმა არ გაიგოს, არ ძინავსო, დედამ სლუკუნს უმატა...



მხატვარი ბერდია არაბული

მე თითქოს არაფერი, ჩავკვდი, ჩავსამარდი ლოგინში.

ალიკასი ერთი სიტყვისა არ მჯერა. არ ვენდობი, მასთან მარტო დარჩენა მეშინია უკვე.

გავიზრდები და მეც მეომარი გავხდები, ყოყლოჩინობს, ქართველების ამოჟლეტა უდევს გულში, ალბათ.

იმ ოთახში, სადაც ვანო ძიას ნიშანია ტახტზე ახლაც გაფენილი, ჯერ არ შევსულვარ. არც დედა შედის, პირველად რომ მოვედით, მაშინ შეჰყვა დას, ცოტა ნაუტირეს, გაიხსენეს ის ტრაგიკული დღეები და ეგ იყო. მე სასტუმრო ოთახში მაგიდასთან ვიჯექი და მოღებული კარის ჭრილიდან ვუყურებდი ორივეს. იმ ღამეს, ვანო რომ მოასვენეს, მისი ავტომატიც მოიტანეს, სამზადის სხვენში დავმალეო, — თქვა დეიდამ, — ახლახან ვეძებე და ვერ ვნახეო. — რაში დაგჭირდაო, თავი წამოსწია დედამ. აქ ოქროზე მეტად ფასობს ავტომატიო, — მიუგო, — გავყიდდი... — მერე? — რა მერე, ვიღაცამ მოიპარა ან... ან რაო? — დედამ ვერ გაიგო. — მეშინია, ალიკამ ხომ არ გადამალა, ჯერ ბავშვიაო, — ცრემლები გადმოლვარა. — რა ჭირად უნდა ავტომატი... არ გვეყო, რაც იყოო... — ეს დაუმთავრებელი ომია, ამათი მუცელი არ გაძღება, ბავშვის მეშინიაო, ტირილს უმატა დეიდამ. დედა ორცეცხლშუაა, ხან ეთანხმება, ხან — არა... მერე თავადაც ატირდა, — შვილები გვყავს გასაზრდელი, დაო, გაიგეო. — ეს მადარდებს მეც, სხვა არაფერი მინდაო, დეიდამ. მერე დედამ აფხაზი, რუსი, ქართველი ყველა ერთად და ერთნაირად მიაწყევლა და უფრო ხმამაღლა ატირდა.

ასე იცის, თუ დაიწყო ტირილი, ცრემლი არ ელევა...

მეც მიყვარს ტირილი...

დედას ვგავარ, ცრემლებს ვერ ვიჩერებ...

...ბოლოს რომ იყო ძია ვანო ჩვენთან, ის დღე ახლაც თვალწინ მიდგას.

საღამო ხანი იყო.

ჩემი ძვირფასი ქვისლი მეწვიაო, მამამ შესძახა და, სანამ მოიკითხავდა, მანამ დაკიდა ტყემლის ტოტზე თიკანი თავდაღმა... ნათელა და ალიკა სად არიანო, ლამის შეიცხადა დედამ. წესად ჰქონდათ, ყოველთვის მთელი ოჯახით გვესტუმრებოდნენ და ეს არ მოეწონა. სიძემ პასუხის ღირსიც არ გახადა. დას ხომ არ მიჩაგრავო, არ მოეშვა დედა. კვეკვესხე ვის დააჩაგვრინებს თავსო, ხუმრობა სცადა ვანომ.

მამამ გრძელი დანა გამოიტანა და ტყემლის ხისკენ წავიდა.

მთელი კვირა სამზადის უკან, პალოზე გვება თიკანი. ნეკერს ვუგროვებდი და ჩემი ხელით ვაჭმევდი. გული ამიჩუყდა, ცრემლით ამევსო თვალები და სახლის უკან გავედი. არ მინდოდა დამენახა, როგორ გააგდებინებდა თავს თიკანს.

ჩემი ცირუნია სად არისო, ვანო ძიას ხმა მომესმა. მაინც ავითრიე ფეხი, კარგა ხანს არ გამოვჩნდი. რომ მოვედი, დედა ლომს რეცხავდა ჭასთან, მამას კოცონი სამზადის გვერდით დაენთო და ზედ წყლით სავსე ქვაბიც შეედგა.

წინა მეზობელი გვაჯი შარანგია შემოვიდა. — თიკნის სუნი გეცაო, გაეხუმრა ვანო. — თქვენი დარდი მაქვს, ორნი ცოდო ხართ, თორემო, — ალუღლუღდა გვაჯი. მალე გაიშალა სუფრა. ღვინო თუ არაყიო? — იკითხა მამამ, — ღვინო ლხინისააო, — სტუმარმა. — მე რა, გლოვა მაქვსო?.. — გაიკვირვა მამამ. — რა ეჯაჯგურება ღვინოს, დროზე უნდა წავიდეო. არაყი გადაწყდა. მაინც კარგა ხანს გაგრძელდა ქეიფი. სიმღერებიც შემოსძახეს — მეგრულ-აფხაზური...

გვაჯი ადრე დათვრა: „კარკუჩით ჩამოიყვანეს ქალი ლამაზი თმიანი“-ო, ჭიშკრისკენ დაალირა თავი ხმამაღალი სიმღერით. — აქ რო გვიფუჭებდა სუფრასო, — გაიკ-

ვირვა ვანომ. — ცოლი ჰყავს მთიელი, ეს სიმღერა თუ არ უმღერა, არ შეუშვებს ამაღამ სპალნაშიო, წაიქილიკა მამამ. — ის პატარა ქალიო, — გაიხსენა ვანომ. — ჰო, ეგა, ეგაო... მერე კიდევ ერთი დალიეს და ვანო ძია წამოდგა — ჩემი წასვლის დრო დადგაო. მამა ეხვეწა, — გვიანია, დარჩიო. — ამ ღამეს სახლში უნდა ვიყო, გადაუდებელი საქმე მაქვსო, — ჭიშკრისკენ გაბანცალდა, მამაც უკან მიჰყვა.

მეც გამოვედი. ოდაში ავალ-მეთქი, მერე გადავიფიქრე და მივყევი.

დაღამებულიყო.

ზღვის მხარე სულ წითელი იყო, თითქოს ცეცხლი ეკიდა ზღვის შემოგარენს.

ჭიშკართან ელექტრობოძი დგას. ზედ უშველებელი ქუდიანი ნათურაა დაკიდებული, იქვე ჩამრთველიც აქვს. როცა სტუმარი გვყავს, ეზო-კარი გაჩახჩახებული უნდა იყოს, ლხინი როა ოჯახში, იგრძნობოდესო, იტყვის ხოლმე მამა.

მივირბინე და ავანთე.

მთელი ეზო განათდა.

— ეი ვარა!..

რაღაცა არ მოეწონა ვანოს და ამოიგმინა.

— რა იყო?

გამოეპასუხა მამა.

— დიდი ამბებია მოსალოდნელი, დიდი უბედურება...

გალიზიანებული ხმა ჰქონდა ვანოს.

— რა უნდა მოხდეს, ვანო, ტყუილად ბობოქრობ.

არ თმობდა მამა.

— აი, ნახავ... გეუბნები, დაფიქრდი, ჭკუას მოუხმე...

გაჯიუტდა იგი.

— რა ჭკუას? რა ბზიკმა გიკბინა, ვერ გავიგეო.

ბრაზობდა მამა.

სანამ ჭიშკარს გადმოცდებოდა, ძია ვანომ წაიჩოქა, შუბლით შეეხო ლამის მიწას, — ჩემი აფხაზური მიწაო, — აკოცა, ძლივს გაიმართა მერე წელში და, რომ შევხედე, ნათურის შუქზე გაქონილი ტუჩები მიწის მტვერით ჰქონდა გადათეთრებული.

მამა თავიდან გაოგნდა, მერე — ეგრე არ არის, ძმაო, მანაც მოიყარა მუხლი, იქვე, ევკალიპტის ბუჩქში გადაყო ხელი, მიწა მობოჭა, ცხვირ-პირი ჩაყო ლამის მუჭში — ჩემი ქართული მიწაო — აკოცა და აკოცა...

ამაყად გასწორდა.

— რავა გამოჩერჩეტდით ორივე, — გაოგნებული დედა მოგვდგომოდა, — ორივეს ერთ დღეს დაგეყრებათ გულზე მალე ეგ მიწა... კარგადაც გამოძღებით, ამისი ღირსი ხართო.

შევშინდი, დედას ამოვეფარე.

...ერთ კვირაში დაიწყო ის საშინელი ომი.

ომი დამთავრდა და ვანო ძიაც დაიღუპა.

რომ ასაფლავებდნენ საწყალს, მახსოვს, დედამ გაიხსენა ის დღე და დაატირა: მიწას კოცნიდი, ისე გიყვარდა შენი მიწა... ანი გაიხარე, კოცნე, რამდენიც გინდაო...

ის კი არ გაუმხელია, ქმარი და სიძე — ორივე რომ დაწყევლა მაშინ...

...ნაშუადღევს მამა ამოვიდა ისევ იმ მძღოლთან ერთად.

დედას გაუკვირდა, დღეს არ გელოდიო. ობტომ ჩავაბარე, ვერ დავრჩებოდი ზუგდიდში კიდევ სამი დღეო.

ნათელა დეიდამ მამა გადაკოცნა, გული მიგრძნობდა და ხაჭაპური გამოგიცხვეო. — წასვლა მირჩევნია, დაო, რა ამბავია ჩვენსას, არაფერი ვიციო.

ასეც მოხდა, ათ-თხუთმეტ წუთში მანქანაში ვისხედით.

ალიკა არ გამოჩნდა.

არც ჩვენ მოგვიკითხავს.

დავიძარით.

გზაჯვარედინზე, სადაც ძია ვანო ვნახე უკანასკნელად, ახალგაზრდები იდგნენ, თვრამეტი-ოცი წლის ბიჭები. კოცონი არ ენთოთ, არც ავტომატები ეკიდათ მხრებზე, უბრალოდ, იცინოდნენ, ლუდის ბოთლები ეჭირათ და ხარბად სვამდნენ.

ოქუმი რომ გავიარეთ, პატარა მდინარე შემოგვხვდა. ოხოჯი ჰქვია ამ წყალს, — მამა მძღოლს მიუბრუნდა. — იცი რა თევზებია შიგ, გაგიჟდებიო. — წყალი არაა და თევზი საიდანო, იმას გაუკვირდა. — რა ვიცი, ჩემ დროს ასე იყოო. დავიჯეროთ, მდინარის გაქრობაც ომის ბრალიაო, ამოიოხრა.

— ილორში გასვლა ვერ შევძელი... — დედამ მორიდებით წამოიწყო. — მერე რა, მოვბრუნდეთო? — არ ესიამოვნა მამას. — არა, აქვე, ას მეტრზე პატარა ეკლესიაა... ერთი სანთელს დავანთებ და წავიდეთო, ითხოვა. მართლაც, ჩემს მხარეს ქვით შემოკავებულ ეზოს შიგნით ეკლესიის მომცრო გუმბათი გამოჩნდა. მძღოლმა მამას შეხედა და იმანაც დართო ნება.

პირდაპირ შესასვლელთან გავჩერდით.

ახლომახლო არავინ იყო. ერთადერთი მოხუცი მათხოვარი იჯდა ღია ჭიშკართან, ჭადრის ქვეშ.

დედა გადავიდა, ხაჭაპურის ნაჭერი კალთაში ჩაუდო იმ გლახაკს და ეზოში გაუჩინარდა.

მამაც გადავიდა, ოღონდ აქვე დგას და სიგარეტს ეწევა.

საიდანღაც სხვა უპოვარი გამოჩნდა.

— აქ რა გინდა, ადექიო, სასაცილო, დამტვრეული მეგრულით უთხრა. — ვინმეს უფლება თუ აქვს აქ ჯდომის, მე მაქვსო, მკაცრი პასუხი მიიღო. — საიდან? — გაიცინა მოსულმა და ჩვენკენ გამოიხედა ეჭვით, — ასეთი ვინა ხარ? ვისგან გაქვსო? — იმისგანო! — ცისკენ აიშვირა ჯიუტად თითი. — ახლა არ მითხრა, ქრისტეც ქართველიაო, — ჩაიქირქილა, ისევ ჩვენკენ გამოაპარა მზერა. — ესმის ჩემი ენა... ორი ათასი წელი მისთვის მილოციაო...

ავწრიალდი, მანქანის ფანჯრიდან თავი გავყავი და მამას ვკითხე:

— ორი ათასი წლისაა ის მოხუცი?

— რომელი?

ეტყობა, მამას მათი კინკლაობა არ მოუსმენია.

— ისა, რომ ზის...

ხელით მივანიშნე.

გახედა, მხრები აიჩეჩა.

— ორი ათასი არ ეტყობა, ორასისა კი იქნებიან ერთად ორივენიო...

თქვა, სიგარეტი გადააგდო და მანქანაში ჩაჯდა.

დედაც გამოჩნდა...

სანამ დავიძვრებოდით, მძღოლმა ფული მოითხოვა, ბენზინიც ასაღები მაქვს გზაშიო.

მამამ ასლარიანი მისცა, დანარჩენი, კოხტად გაკეცილი და ტკიცინა ფულები დედას გადმოაწოდა, შეინახეო.

დედამ კარგა ხანს ატრიალა... მე შემომხედა, მერე უცებ ხელი კაბის ქვეშ შემიყო და ტრუსში უხერხულად ჩამიჩურთა.

— დედა...

დავიბენი და ავწრიალდი.

— არაფერი გიჭირს, სახლამდე გაუძლეიო...

თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა.

მთავარ გზაზე გავედით.

მივდიოდით...

ორიოდე მანქანამ ჩაგვიარა...

კიდევ კარგა ხანს ვიარეთ.

— დაიღუპეთ! — უცებ იღრიალა მძღოლმა, — თავები დახარეთ, დაწექითო!

სამიხლეა სროლა ატყდა...

ავჯაყჯაყდით, ავეშვით, მერე გვერდულად გავსრიალდით და ვეება თხრილში აღმოჩნდა მანქანის ცხვირი...

ორი ნიღბიანი შეიარაღებული მოგვვარდა, გიჟებს ჰგავდნენ... ერთ-ერთმა მამას კარი გამოუღო, მისი გადათრევა მოინდომა.

— ჩქარა, ფული!..

უყვირა, საყელოში სწვდა.

— რა ფული?

ამოიოხრა მამამ.

— სადა გაქვს, შენი დედა...

ავტომატი ჩასცხო საფეთქელთან... ნარბი გაუსკდა, სისხლმა ცხვირ-პირი შეულება.

მე და დედამ ვიკივლეთ...

დედა სახელოზეც კი წაეტანა ყაჩაღს, მოქაჩა...

— ვინა ხარო?!

უყვირა.

— სიკვდილი, შენი...

იდაყვი მოარტყა სახეში... დედა უკან გადავარდა. მე მუცელზე მოვხვიე ხელები, ჩავეკარი, ავბღავლდი.

— ჩქარა! — მეორე ყაჩაღი დაადგა თავზე მამას, — ნუ ისულელებ თავს... რამდენი აილე იმ თხილში, ისიც ვიციო!..

— ვინ დამღუპაო!

ისევ იკივლა დედამ. მომიშორა, ლამის მანქანიდან გადახტეს.

— რა... რაც ავიღე, ვალში მივეცი... — ალუღლუღდა საწყალი მამა, — ფულს ვინ გაიჩერებს დღეს ჯიბეში?

ყაჩაღმა არ დაუჯერა, ახლა თავში თხლიშა კონდახი...

ახლა მე ვიკივლე...

არადა, გამახსენდა, მე რომ მაქვს ფული... მინდა ვთქვა, ვიყვირო, მე მაქვს, მამას ნუ მომიკლავთ-მეთქი... მუცელზე უჩუმრად მოვისვი ხელი, შევამოწმე, იყო თუ არა, — თან მინდა, თან დედის შიშით ხმას ვერ ვიღებ.

უცებ მძღოლმა გაგლიჯა თავისი კარი... გადახტა და: ვავა-ვავაო, ბღაოდა, თავში ხელებს იშენდა და გარბოდა.

— არ გაუშვა!..

იყვირა ერთ-ერთმა.

ბედად გზაზე მანქანა გამოჩნდა...

რაღაც უცნაური მანქანა იყო, უცხოური... მოდიოდა ზემოდან ჩვენკენ...

გვიახლოვდებოდა...

— ავითესეთ!

იღრიალა რომელიღაცამ მინდორ-მინდორ, ტყის მასივისკენ გაიქცნენ ყაჩაღები...

— გაიქცნენ... გაიქცნენ!..

ვყვირი სიხარულით.

დედა გაშტერებული შემომყურებს.

* * *

გამოვიღვიძე.

ჯერ სიზმარი მეგონა ეს ყველაფერი და გამიკვირდა — მე ხომ ფერადი და ლამაზი სიზმრები ვიცი. მარტო სიზმრები მაქვს სამახსოვრო და გასახსენებელი...

ჩემ წინ დეიდა ნათელა ზის და მიღიმის.

— სად ვარ?

— ზუგდიდში ვართ, საავადმყოფოში... ყველაფერი კარგადაა, გადავრჩით.

— მამა... დედა... სად არიან?..

— მამას ფეხი აქვს მოტეხილი, მაგრამ კარგად არის, გვერდით პალატაში წევს. დედა მასთან გავიდა, ახლავე შემოვა.

კართან ალიკაა ატუზული.

მე მომჩერებია. მოახლოებას ვერ ბედავს.

— მოდი, შვილო, აკოცე შენს დას...

მოვიდა, შუბლზე დიდივით მაკოცა, მკაცრი სახით.

— ნუ გეშინია. აგერ ვარ... გავიზრდები და მაგათ ყველას მოვუვლი, ვაზღვევინებო.

ჩემს ფერხთით ლოგინზე ჩამოჯდა.

— აბა რა, ბიჭი ხარ, შენი და შენი დასაცავიაო!..

— ვიცი...

ჩაიდუდღუნა, თავი გადააქნია, მუხლზე დარტყა ხელი დიდივით.

რაღაც გამახსენდა და შევშფოთდი. ხელი შევიყავი საბნისქვეშ, იმ ფულის ძებნა დავიწყე, რომელიც დედამ ჩამიჩურთა მაშინ ეკლესიასთან. ის მახსოვს, ოღონდ არ მოეკლათ მამა და ფულის მიცემა მინდოდა. თუ მივეცი, რა გავშველეთ, რა გადაურჩება დედას-მეთქი, ცრემლები მომაწვა.

— რას ეძებ?

დეიდა დაინტერესდა, გამიღიმა.

— არაფერი...

ალიკასი შემრცხვა. საბანი ნიკაპამდე ავიწიე და გავიტრუნე.

— ნუ გეშინია, — დეიდა რაღაცას მიხვდა, თან ეშმაკურად გამიცინა და თვალიც ჩამიპაჭუნა, — დედაშენმა გიპოვა, მოასწრო... — რაც მთავარია, ყველანი გადავრჩით.

„გადავრჩით", გავიფიქრე, ალიკასკენ გავაპარე მზერა.

მოკუნტული ზის.

იგრძნო, გამომხედა; თვალებში ძველი სითბო და ცრემლი აქვს.

— დღეს კიო...

ეს უკვე დედის ხმა იყო.

თეთრი ხალათი უხდება დედას.

საოცრად მომინდა მის მკერდში ჩახუტება და ტირილი...

ახლა დედის კალთაში ტირილი თუ მიშველის.



ხანდახან როგორ გვაკვირვებს ვანო ჩხიკვაძის გამოჩენა პოეტური პროფილით. ისე მივეჩვიეთ მის პროზას, ლამის აღარც კი გვახსოვს, რომ ლექსებით დაიწყო, ძალიან კარგი ლექსებით და შემდეგ მოთხრობები გახდა ჟანრული სახესხვაობა მისი მსოფლმხედველობისა.

ერთი შეხედვით, ეს „ჟანრული სახესხვაობაც" რაღაა, პირობითი ტერმინია გარეგნული ფორმის გამოსახატავად, თორემ ისე, შინაგანად, მთლიანი და ერთიანია მთავარი — ხედვა და სათქმელი. რა მნიშვნელობა აქვს, ფიქრს რითი გამოთქვამ, ლექსით თუ მოთხრობით.

თუმცა მნიშვნელობა როგორ არა აქვს. როცა მოთხრობას ლექსი ცვლის, ესე იგი, რაღაც ვერ ითქვა ბოლომდე პროზად და, პირიქით, როცა ლექსს მოთხრობა ენაცვლება, ეს იმას ნიშნავს, ლექსს დასჭირდა კომენტარი, როგორც სქოლიო. ფორმა ფორმად, მაგრამ მთავარი ხომ შინაარსია. შინაარსი კი აქ არის ის, რითაც ფასობს ვანო ჩხიკვაძის შემოქმედება. მართალი, ალალი, გამჭვირვალე. ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნიჭიერი პოეტის ლექსი, როგორიც უნდა იყოს პატიოსანი შემოქმედის სიტყვა.

ვინ არის ნიჭიერი მწერალი? — ეს შეკითხვა დღესაც რომ დასმულიყო, ვუპასუხებდით: ის, ვინც შენს ტკივილს ისე გამოთქვამს, თითქოს თავისი იყოს.

ვანო ჩხიკვაძე

## პლატონი და კირილე

*რამაზ ჩხიკვაძეს*
*გოგი გეგეჭკორს*

მოდიოდით შუკა-შუკა,
ნანვიმმა რომ წალამა,
განახეთ როგორც გამოგკვანწათ
კლდიაშვილის კალამმა.

მამულს თქვენით ეფერება,
ჩახუტებულს უბესთან,
იმერეთის გაზაფხული
გულივით რომ უფეთქავს.

რა ვუყოთ თუ ერთი დინჯი,
ერთიც ლოთი-შფოთი ხართ,
ერთხელ გზას რომ დაადექით,
იმის მერე მოდიხართ.

გავიხარე ცრემლმომდგარმა,
ყელი გავახირიმე:
— გამარჯობა, ძმაო, პლატონ!
— გამარჯობა, კირილე!

კიდევ კარგი გამახარეთ,
თორემ ულვთოდ მოშლილი,
ორ ზღვას შუა ეს ქვეყანა
დევს გაგლეჯილ ქოშივით.

ეჰ, შენსავით, ძმაო, პლატონ,
ბედმა ბევრი დაჩაგრა,
ბევრი ნალი მოიცვალა
მაგ იაბომ, ჩაქჩაქამ.

ნაქმრევს ვჩივით?
ვინ გაუძლებს
ჩვენი დროის ურდოებს,
ნაკრუხალსაც ვერ მონახავ
წილი რომ არ უნდოდეს...

მოდიოდით შუკა-შუკა,
ნანვიმმა რომ წალამა,
განახეთ როგორც გამოგკვანწათ
კლდიაშვილის კალამმა.

ისე მოთოხარიკობდით,
ძილდამფრთხალიც ვყვირი მე:
— გამარჯობა, ძმაო, პლატონ!
— გამარჯობა, კირილე!

* * *

ლიანდაგები აყარეს —
დახოცეს ქალაქში მამლები,
ზარების წკრიალით შემოფრთხიალებულები
დიდუბიდან, ვორონცოვიდან, ავლაბრიდან,
სოლოლაკიდან და ა. შ.
მოხრჭიალებდნენ აღმართებში,
დაღმართებში დამუხრუჭებული,
ლიანდაგებს ჩაფრენილი დეზები ნაპერწკლებს ჰყრიდნენ —

ეჰ, მამლებო, მამლებო,
თქვე ქალაქის ამკლებნო.

(გახსოვს თუ არა, სუსხიანი ზამთრის დღე, ვატმან —
ექვსი ნომერი ტრამვაი გათბა,
როგორც კი სავსე თეძოები
ჩამოატარა სალონში ქალმა.

თუმც ტრამვაიში არ იყო ტევა,
ჯანიანმა და ჯანმრთელმა ევამ,
მისწი-მოსწია მგზავრთა რიგები
და მკერდზე ორი ცხელი გუნდა როცა ამაკრა,
ცეცხლს იკიდებდა ვნებით ბიგელი).

ეჰ, მამლებო, მამლებო,
თქვე ქალაქის ამკლებნო.

საით წახვედით, საით გაფრინდით,
ყივილითა და ანთებული ბიბილოებით,
ან ის მგზავრები სადღა არიან,
ან რეკვიზიტის ჩუჩელასავით
ჩამოწერილ და დამჭკნარ ევასკენ
თვალი ვილას გაუგორდება...

არა, ბებერო, ეს უბრალო მონატრება
სულაც არ არის,

თუმცა შეაშრა ასფალტს მაზუთი —
ყელგამოღადრულ მამლების სისხლი,
მაგრამ ნესტოებს მაინც მიწვავს
მისი ოხშივარი...
არა — მეტიც,
ეს ჯვარია შემონთებული,
თანდათან რომ ყველას გვინელებს...

ეჰ, მამლებო, მამლებო,
თქვე ქალაქის ამკლებნო.

* * *

მეგობარი დავკრძალეთ
გაზაფხულის იებთან,
სადაც ყოჩივარდების
მთელი ბლუჯაც ეთო.

თითო ჭიქა დავცალეთ,
თითოც ნავუქციეთ და
შევატოვეთ კვერნაქის
ქვალორღიან ფერდობს.

უკვე ეჩურჩულება
ძეწნა ტოტებშრიალა,
ვინც დღეიდან სულ ახალ
მისამართზე ცხოვრობს.

ვდგავარ და ველოდები,
მისი სულის ნიავმა,
თეთრი ბაბუაწვერა
იქნებ შეათრთოლოს.

* * *

მაგიდა — ჩემი ნავსაყუდელი,
ადრეებითა და შტორმით დაღლილი.
ხან მოჭიხვინე ფიქრი, უბელო,
ხან უიმედო მზე, გადახრილი.

მეძახის ჩემი ნავსაყუდელი,
მარადიული და შეუცვლელი.
თვინიერი და ავი „პუდელი“ —
თითებთან მიწევს თეთრი ფურცელი.

* * *

ან ჯვარის ზვავი დამმარხავს,
ან მომინელებს ფრიალო.
მითხარი, შენმა პატრონმა
რა გულით უნდა ვიარო.

სანუთროს ჯამში შარბათი,
ზოგსაც ნაღველა უსხია,
საფეთქლები რომ ატუსა
შენზე დარდების სუსხია.

ზამთარს ზამთარი მოება,
შეხედე, გულო ჭიანო,
გაპარტახებულ ქვეყანას
უცხო ქარები ჰგვიანო.

* * *

თანდათან ნებდები სიბერეს,
თანდათან მუქ კაბებს იფერებ.

სარკეში... სარკესთან... სარკიდან,
წყეულმა ასაკმა გაგყიდა.

მაგ ყელზე ნაოჭის ბაწარი,
სუნთქვას რომ გიკრავს და განვალებს.

დარხეულ ხილივით დაცვივდი,
ჩამოხმი, ჩამოდნი, გაცივდი.

შეგაკრთობს ფეხისხმა მზაკვრული,
მორყეულ ქუსლების კაკუნით,

მოდის და ნებდები სიბერეს —
თანდათან მუქ კაბებს იფერებ.

## „თი-ბი-სი“— 2006

*ანა კალანდაძეს*

იდაყვთან შემკრთალი თითებით მეხებით,
მოაჯირს მივყვებით ფრთხილი ნაბიჯებით,
რომ არ გავალვიძოთ მთვლემარე ვეფხვები —
კიბეზე გართხმული წითელი ხალიჩები.

გრიალებს ორკესტრი.
მაისი აპრილობს —
ლურჯად იფერფლება იების წრილი,
მოგვდევს ნებიერი მუზების ალილო,
მომყავს თქვენი ხელი ცერზე დაფრენილი.

მაისის სალამო
შევსვით დათრობამდე,
ის ბოლო შეხვედრა ხსოვნამ შეინახა —
ცერზე დამიტოვეთ თითების ავტოგრაფი
და გიხმეს...
აფრინდით...
უკვე ზეცისა ხართ!

## დაკრძალვა

ამოხსნილია ყველა საიდუმლო,
ყველა უჯრა და ყველა ჯიბე გადაქექილი.
წაკითხულია შენიშვნები ჟურნალის აშიაზე,
უბის წიგნაკები, სახელდახელო ჩანაწერები,
საიდუმლო ტელეფონის ნომრები —

ზოგიერთს სუნამოს მიმქრალი სუნიც რომ დაჰკრავდა, —
ფურცლებმა ყველაფერი უცებ ჩამოფქვეს,
თითქოს ელექტროსკამით ანდა
გილიოტინით დაემუქრნენ,
პირდაღებულები ღაღადებენ,
რაც იციან და რაც არ იციან –
ის კი, ვითომც არაფერი,
„სულთათანას" გალობის ხმაზე,
სამარესთან წევს და თითქოს არც ენაღვლება
პირდაღებული საფლავი რომ მალე ჩაყლაპავს.

* * *

ნეტავ რა ესიზმრებათ
შენს სალოცავ თითებს.
სიყვარულზე ველარ წერ —
სიძულვილი გიტევს.

როგორ მოუწყენიათ,
შენს მგალობელ ჩიტებს, —
სიყვარულზე ველარ წერ —
სიძულვილი გიტევს.

### ხიზანი ნისლი

ნისლო მშობლიურო, სალიახვის შვილო,
როგორ მიატოვე მთები უმანდილოდ.

ნუთუ შენც ხიზანის სიზმარ-ცხადი გტანჯავს,
ნუთუ ჩაეძინა მამაპაპურ ხანჯალს.

შენ რა გიჭირს, ნისლო, ნახვალ ფრთების რხევით,
შეყვარებულ მწყერვალს ისევ მოეხვევი.

მე კი, დილის ცაზე თეთრად დაპენტილო,
ობოლი ბავშვივით უნდა გაგეტირო.
გული გაბზარული როგორ გავამთელო,
როცა დაჩოქილი მოთქვამს საქართველო.

შენ რა გიჭირს, ნისლო, ნახვალ ფრთების რხევით,
შეყვარებულ მწვერვალს ისევ მოეხვევი.

### გამოცხადება

*თთარ ჩხეიძეს*

მადლობა უფალს —
ჩემ სიზმრებში ბუდეს იკეთებ,
გადარკალული ცისარტყელა გადგას ფერადი.
ხილვებში დღემდე მერამდენედ შემოიხედე
მიმტევებელი ღიმილით და თეთრი პერანგით.

არ მაქვს „პატივი,"
იმათ სიაში,
ვყოფილიყავი —
ღვთის შეწევნით არც დღეს არა ვარ,
ვინც უმადური ყეფა-გნიასით
მოგდევდნენ, მაგრამ
რას დააკლებს ყეფა ქარავანს.

რა უნდა ექნათ —
ბოლოს მაინც შემოგირიგდნენ,
როგორც ცეცხლს მგზავრნი
გარს წკმუტუნით შემოგირიგდნენ.

წესია თურმე მორიელის,
მყვართა გუბედან,
ჰკბენს ღირსეულს და აქებს ფარსადანს.
მითხარი, რამდენს შემოუყეფავს
შენს სიცოცხლეში,
შენს დღევანდელ მაქებართაგან.

მადლობა უფალს,
ვერ გაცდუნეს,
ვერ გამოგტაცეს
სხივი, რომელსაც ჩემს სიზმრებში ღამეს უთენებ.
გამოცხადებით რა მანიშნე, ნეტავ, ოსტატო,
ვინ შეიწყალე, მაგ ღიმილით, ვის მიუტევე?

### წიგნის მაღაზია

ძვირფასი ყდების იმატა ფასმა,
მკვდრადშობილ ტექსტს კი —
რაც მართალია,
როგორ „კუბოშიც" არ უნდა ჩასვა,
ვერ გააცოცხლებ —
მკვდარი მკვდარია.

* * *

ცხრა მილიონი თაგვის სოროთი
დაფხავებული სულის მინდორი
მაცოცხლებელი იმედებით აღარ ირწყვება.
აითაფეს ერთდროს ქარსაცავი ზოლებით
დაბმულმა გრიგალებმა,
საბანივით აახვიეს მიწისპირი,
და სხვათა ველებს მოაფრქვიეს.
აბა, ვიღა ვარ —
საკუთარ ქსელში გაბმული
ბევრი ობობა,
სოროების სათოფურებიდან
მღრღნელები რომ უთვალთვალებენ.

აქეთკენ აღარ გადაივლის წვიმის ღრუბელი,
დილის ნამსაც
დასიცხული დღეები სვამენ,
ბალახი ჩამჭკნარი და რძეგამშრალი მებადეება,
შემომბლავის სული, როგორც
გაბერნებული უშობელი —
ამ დალოცვილმა

ერთი ყვავილი მაინც გააჩინოს,
მეოცნებე გოგო სამიჯნურო წიგნში რომ ჩადებს.

ვიცი, სიგიჟეა რაც ამოვთქვი,
მაგრამ ვშიშობ
ეს სიგიჟეც მოგენატრებათ,
როცა ყვავილი გაიქცევა თქვენი წიგნიდან,
როცა თქვენ სულსაც ობი მოედება —
ობი თოვლში არ აგერიოთ —
თოვლი თოვლია, ობი ობია,
აი, მარტივი ფილოსოფია!

საით იყურები დაელმებული ნათესავო,
რა მნიშვნელობა აქვს უბედურება საიდან მოვა,
ოკეანეებს გადმოივლის
თუ მძიმე მათრახს
მთების იქიდან გადმოგიშხივლებს...

აღარც მათრახი აღარ გიკვირს,
მაგრამ სადღაა გამძლე ტყავი და მაგარი ზურგი,
შენ ხომ ორსიტყვიანი გზავნილი ხარ და
ვიდრე თავგზააბნეულ სამყაროს
ხელებში არ ჩაფშვნეტიხარ,
იმ ყვავილზე იფიქრე
მეოცნებე გოგო სამიჯნურო წიგნში რომ ჩადებს...

* * *

სატახტოდან სატახტომდე
ზარებს არისხებდა ბერი.
იდგა ჯვარი — ირმის ყელი —
თოვლის თეთრი საბურველით.

მაყვლიანში ლობემძვრალა
ჩიტი ტოტზე წიწკინებდა,
ჰგავდა სივრცე, ფერნაკლული,
წმინდა ნინოს მიძინებას.

სამთავროდან ზარის „ნაუ"
მოჰყვებოდა ფიფქთა ცვენას,
გვეგონა რომ ყურს ვუგდებდით
საქართველოს გულისცემას.

გზაზე ეტლი მოდიოდა,
ეტლში ლურჯა დარახტული,
მდუმარე თოვლს აღვიძებდა
ფლოქვთა მშვიდი თქარათქურით.

გვეგონა რომ მძიმე დუმილს
გულს მოხვეულს მარწუხებად,
შეარყევდა, წინამურთან,
თოფის ერთი დაქუხება.

ცხადი იყო თუ სიზმარი,
ზეცა ვერცხლის ფიფქებს თოვდა,
სატახტოდან სატახტოსკენ,
გზაზე ეტლი მიდიოდა.

## ავტობუსი „გორი-თბილისი"

ყურებმა როგორ უნდა გაუძლონ
ტირიფონაზე მორეკილი სოფლების ბღავილს —
ვის რას დავუშლი, ფანჯრისაკენ ზურგშექცეულმა,
რომ ამოვყარო გულის ვარამი.

თქვენ, მეგობარო, სალონის ხვატში
ბედუინივით გადამჯდარო „ფუთების" კუზზე,
უნდა შემინდო, ძილს თუ დაგიფრთხობ —
აბა, ჩვენს დარდებს რა აქვთ საერთო,
ჩვენს ცრემლებს ხომ — მითუმეტეს,
ან შენს ფიქრს როგორ დავეწევი, ვერცხლისწყალივით
სარფიდან თბილისამდე რომ გადი-გამოდის.
ეს გზაც ჩემი ავადმყოფი ქვეყნის იღლიაში გაჩრილი
თერმომეტრია,
რომელიც ითვლის მეორადი „აბებით"
ამ ნაგავსაყრელს როდის ამოტენი.

რა გენაღვლება, მეგობარო,
მთავარია დიდ გზას თვალი არ მოაცილო,
ბეტონის ვიწრო საფარიდან მზერა და ფეხი
არ გადაგიცდეს,
არ მოიწამლო იმ ტკივილით,
შხამა სოკოსავით ამოყრილ,
წითელსახურავიან სახლებში რომ ბუდობს...

შემეძლოს მაინც
მეც შენსავით არ გავიგონო,
ზურგი ვაქციო
მავთულივით გაწელილ ზმუილს...

სადარდელი იქნებ არც არის —
გზა ამ სოფლებსაც
ნარიყივით გაიყოლიებს.

ჩემო „ფუთებს" ჩაფრენილო თანამგზავრო,
შენ რომ ძილფხიზლობ, თურქის ნაცვამი ნიფხავი რომ
არ გააძროს ვინმემ ტომრიდან,
მე მოლოდინით ზურგი მეწვის —
ეს ბეჩავები,
შენსავით როდის შემოსხდებიან,
ლაჯებში როდის ამოიდებენ
დაბერილი ჩანთების კუზებს.
და მათ უბადრუკ ქოხმახებსაც,
მღვრიე ტალღები,
თანდათან როგორ გადალოკავენ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



მართალი იყო ფოლკნერი, როცა ამტკიცებდა, ყოველი ადამიანი თავისთავად კი არ არსებობს, არამედ წარსულისა და მომავლის ჯამიაო. აწმყოც ალბათ სხვა არაფერია, თუ არა წარსულისა და მომავლის შეხვედრის ადგილი. იგივე შეიძლება ითქვას პოეტურ ხედვაზეც.

ერთი სიტყვით, აქ დრო არის მთავარი, სხვაგვარად ვერ აღიქვამ ამ ლექსებს და, კაცმა რომ თქვას, არც არის საჭირო სხვა გზის ძიება, რადგან რაც არის, რასაც ვკითხულობთ, დროის განცდის და ინტელექტის ბედნიერი შეხვედრის შედეგად არის დაბადებული.რაც უნდა იყოს, ფორმა მაინც უცნაურია. რა შეიძლება ამას ვუწოდოთ, ცნობიერების ნაკადი ლექსად? კი, მაგრამ მთელი პოეზია ცნობიერების ნაკადი არ არის! საგნები?პოეზია საგნების გარეშე არ არსებობს, მაგრამ როგორი ლექსი შეიძლება შექმნას საგანთა სიჭარბემ, რომელიც პანოპტიკუმს მოგვაგონებს? სწორედ ისეთი, როგორსაც დალი კახიანი გვთავაზობს. მხატვრობაში არსებობს საგანთა მსგავსი მოტივები. გავიხსენოთ თუნდაც კოკა იგნატოვის კომპოზიციები. რატომ არ შეიძლება ეს მანერა პოეზიაშიც გამოვიყენოთ?სხვა საკითხია, ვის მოსწონს და ვის არ მოსწონს.

მთავარია, რომ საინტერესოა და სიცოცხლით სუნთქავს ეს სევდიანი ქრონოტოპი, რომელიც დალი კახიანის პოეტურმა წარმოსახვამ შექმნა.

**დალი კახიანი**

## AVE MARIA

*მიქელანჯელოს „პიეტას“ შთაგონებით*

Ave Maria, დიდება შენდა, უფლის დედაო!
შენს ლანდურ იერს ოქროვან მღვიმეში, თითქოს ვხედავო,
კანდელს ზედაო, ხელებს უწვდიან უთანაბრონი და უტოლონი,
შეჭირვებულნი ამოების გულისთქმათაგან.
და თვალწინ მიდგას მარადი „პიეტა“, გრძნეული დიდი
ფლორენციელის,
რა დამავიწყებს ჟესტს უსასოოს, უფრო ვიტყოდი,
ჟესტი-შეკითხვა,
გულსაკლავობას თვალთა ციალის,
ლოდივით ტკივილს და ამაო ლოდინს სიტყვა არ ეთქმის,
...გამოხდა ხანი და შეიცვალა განა რაიმე?
კვლავაც ყოველდღე არ მოვიხილავთ თუ არ სხეულით,
სულით ჯვარცმულებს?
და თავად ტანჯულს, ისევ შენა გთხოვთ შველას და
ოდნავ შვებას,
Ave Maria!
აკვამარინის ელვარებას ვიტრაჟი აფრქვევს,
მისტიკურ სიჩუმეს აცრემლებული სანთლების ნაღვენთი
არღვევს,
და გარინდებულ ეთერს ტალღები არხევს დედო-ზარების
ხმათაგან,
ათასეულნი და ბევრეულნი გზას შესდგომიან,
თვალით ხილულნი და მაინც ბრმანი, ავაზაკები და მათნი ძმანი,
ვინაც იცოდა და ისე სცოდა,
ცნებებს და მცნებებს სათავისო სახელებს არქმევს,
ეგ ხომ ბევრსა სჭირს, შეგონებანი ვისთანაც არ სჭრის,
ამ ვიწროებში, ფლატეს უფსკრულის შავი სამარეა,
ვაი მარიამ.
შემოდგომიდან შემოდგომამდე ფარცხავს და ლეწავს
ცხოვრების კალო,
ჯოჯოხეთისკენ მავალი გზები ნაკვერცხლებია,
უფლის დედაო, ჩვენო ღმერთქალო, ვით გიბედავო,
მოწყალებისა კარი გაუღე,
ნუ უკუაქცევ პირსა მისგან, ვინც არ იცოდა და ისე სცოდა,
გონით უგნურით,
მტკიცე ზღუდენი ვინც ვერ აღმართეს, ვინც არ იწვოდა,
ფეხი დაუცდა და ვერ აუყვა დამრეც აღმართებს,
ამდაგვარებიც ბევრნი არიან, Ave Maria!
ვაი მარიამ.
სჯასა შენსა ვინც ვერ გაჰმართლდეს, მაინც შეუნდე,
მისაგებელი ცოდვილთაი მეტად მძიმეა,
შემცდართ ძე კაცთა, მართ გზას ვინც ასცდა,
საგრილსა ფრთეთა ქვეშე ფარვიდე, სიტყვისა მისგან
განსაკრთომელის,
და აარიდე ღამის შიშები.
ყალბი ღიმილი ვერვის უშველის, ღმერთის წინაშე
ყველა ვართ შიშვლები,
დასაბამიდან არის ორი გზა — ერთია ქრისტეს, მეორე ბარაბას,
აქ ევრისტული აღმოჩენები უადგილოა, ჭეშმარიტება
არის ხილული,
მას აქეთია, ადამის მოდგმა შესჭიდებია ამ დავიდარაბას,
იქეთ ლექი და ბილწება და სხვა ეპიზოდები, აქეთ საუნჯის
ზოდები,
თითქოს ხელახლად იშვები და ლამის უწონადი ხარ,
მათ შორის ბონდი ირწევა; თითქმის ჭკუიდან იშლები,
ზესთაზე გვაძლევს არჩევანს, ვისთვის რომელი ირჩევა.
ხომ ვიცით ყველამ, გამორჩეულთა ხვედრი მძიმე ჯვარია,
მხრებზე ტვირთული გულის ჯავრია, ზოგჯერ კიდევაც
სასჯელია დამსჯავრია.
და მაინც, მაინც, ამგვარ მისიას, როგორც წყალობას
ისე იღებენ სულის გრანდები.
Ave Maria! კანდელს ზედაო, მინანქრისებრი ელვარე
თვალით, წმინდა შანდლებში
იცრემლებიან თაფლის სანთლები.
საკმევლის ნისლში იშოლტებიან სპეტაკი ლანდები,
ჩვენო ღმერთქალო, ვით გიბედავო,
რომ შენ გაგანდო ფორიაქ გულის ნადები,
შეჭირვებულთა გზებია შორე,
სულ მათ მიეგოთ, თუ ვის დააკლდა მადლი შენდობის,
მომლოცველებს კურთხეულ შენობის,
მოწყალებისა კარი განგვიღე, მნათეს მოველით,
მწუხრი გვაშორე,
სულმნათ იესოს დედაო...

## ნეტავ იმ მრწამსს და ნეტავ იმ რწმენას

ბუმბერაზებო,
ხელის გულებზე მიდევს სამყარო და ვახარისხებ,
ზარებს ვარისხებ,
კვლავ გამოგიხმობთ სულიერების ლაბირინთიდან,
თქვენს ხატებასთან გავირინდები და
მუხლს მოვიყრი.

მელანდებიან სულით გრანდები და ეს ზმანება გარდასულ
დღეებს დაემგვანება,
ჩამოცოცდებიან წიგნის თაროდან და ცოცხლდებიან
ძველებურ სადაფის ღილებით
საკინძეშეხსნილი ხილვები,
ნეტავ რა მრჯის და მავალებს, რომ გამოვიხმო
სპეტაკი ლანდები
გამორჩეულნი ზნეობით სრულით,
და თითქოს ვხედავ ცისფერი ორდენის კავალრებს,
არისტოკრატებს გონით და სულით,
გულის ფიცარზე დაილევენთება ცხელი სტრიქონი
და საოცარი კვლავ გაცოცხლდება ქიმერიონი.
ძველმა თბილისმა შიგ ჩააქსოვა გრძნეული თილისმა,
ეს ის დრო იყო, როცა ახსოვდათ
მტკვარზე ტივები,
დუდუკის ხმებით ანატირები და არა მხოლოდ
მტკვარზე ტივებით,
იქით რიონით, ძველი ბორანით, ფარანში მბჟუტავ
ელნათურებით,
ქუთათურებით, მოტაშფანდურე ენამჭევრების,
ჩახლეჩამდე მოძახილით
გამოლეულ არაქათით „ეძგვერაძე ბარნაბა“-თი,
სიცოცხლის ტკბობით არც თუ უმადურები,
ვინ დაეძებდა ახირებულთა აყალ-მაყალს და დავიდარაბას,
თავს იწონებდნენ მერიქიფითა და მაყრიონით,
ბოლოს და ბოლოს, უწვერულვაშო, ღვთივკურთხეული
გალაკტიონით,
და არც წასულებს არ ივიწყებდნენ, დაკარგულ ძმათა
მოსაგონებლად
რეკდნენ და რეკდნენ ზარები სიონის.
და ელოდნენ დიდ გარიჟრაჟებს, ცა მოიქარგა ურიცხვ
ვარსკვლავით და კიდეც გათენდა
...რა რიგ თვრებოდნენ ლექსის შარბათით, ტაეპებითა და
ექსპრომტებით,
სიტყვის პურობით დანაყრებულნი, პირთამდე სავსე
იყო ხელადა,
დიასახლისად ჰყავდათ მენადა, ყელყელაობდა ნადიმის სუფრა,
თვით იგი იყო აკადემია და იმშვენებდნენ დენდივით
სამოსს,
გარშემო კედლებს ნახატებიანს, და მასპინძლობდა
ბოჰემურ მღვიმეში
ჩინდრიკა შველი, მომცრო ტაბლაზე თვალებს აჭყეტდნენ
ფიროსმანის ნატურმორტები
გაზნექილ შოთებით და ნაზუქებით, წიწმატით, ყველით,
ვარიებით ნასუქებით,
თხელ სინებზე ორაგულით, კალმახებით, მაყალით,
მეზობელ სუფრის შფოთების ლოთიან
აყალ-მაყალით. და თუნდ ეს იყო საგანი ნიზლავის,
მაინც მგონია, ამ ორომტრიალში არის
რაღაც მეტად მხიბლავი,
ის ახელებდა არტისტულ ჟინსა და არტისტულ გზნებას,
თუმც ვინ რა იცის, ვის რას უმზადებს ბედი ტიალი
მელანდებიან აზრის მეტრები თეთრი ტოგებით, დაფიქრე-
ბულნი ქვეყნის სვე-ბედზე,
ირგვლივ სუფევდა ანტიკური ძალმოსილება და შერთულობა,
ეს ყოველივე მომაგონებს რაფაელ სანციოს
„ათენის სკოლას“, მედიტაციურ განსჯებით.

ეს იყო მაშინ, ხოლო მას შემდეგ უგუნურობამ ტახტი
დაიდგა, როცა იძალა დელგმამ და რისხვამ,
ქვეშ დაიტანა გოლიათები, ხოლო ჩიები, ვით ბაჭიები,
ჩირგვებში ჩაძვრნენ.
ამ ყიამეთში დაისადგურა იმგვარმა გარინდებამ,
რაიც სავსეა საზარელი მოლოდინებით,
თითქოს ვიღაცა გითვალთვალებს ბნელი კუთხიდან,
როცა შენს ნაბიჯს თავად უფრთხი,
და ყურს მიუგდებ, ყველა კითხვა დახურულია და
ვერც ვერავის პასუხს მიუგებ.
შემდგომ ამისა, მზემ ვერ მოიხსნა დიდხანს ჩადრები,
საყვარელ ქუჩაზე დაობლებული დარჩნენ ჭადრები,
ცისფერი ყანწები დაიბზარა და გაზაფხულიც დაიზაფრა,
ბროლის ლარნაკებში წითელი მიხაკები კოლომბინას
მიჯნურს ამაოდ ელოდნენ,
მამადავითზე ბულბულები და შაშვები საამო ხმებით
ველარ მღეროდნენ,
თითებით შევიგრძნობ, რომ ჟონავს, ჟონავს უნატიფესი
ცისფერი ყანწიდან,
არა წითელი, სისხლი ცისფერი, უფლის რჩეულთა
ალმასტებითა და ნამეტობით,
ყანწის ტუჩებზე ცისფერ მტრედებსაც მოუწყენიათ,
ზღვა კოვზით დაილევაო და დაიწრიტა სულიერების
მფეთქავი ძარღვი სულ წვეთ-წვეთობით.
სულ აგერ ახლა არ იყო განა, ეთხოვებოდნენ
მამულიშვილებს,
თითქოს, დედის მკერდიდან აგლეჯილ ჩვილებს და ბოლო
გზაზე მიაცილებდნენ ტანჯულ რაინდებს
ძმებს იუნკრებს, ბაგეშეუმშრალ თვალებფოფინა ნუკრებს,
როს აოცებდნენ ავსულ მომხდურებს გმირი თეზევსის
ძალგულოვნებით და საკვირველი ერთსულოვნებით,
და კიდევ რამდენ ჩაუქს ამოხადეს წამებით სული,
მარად მბორგავი, შეუბორკავი, გამოისობით
მხოლოდ იმისა, რომ იყვნენ თავისი ქვეყნის
უუნაგირო ბედაურები.
ნუთუ არ კმაროდა, რით ველარ გაძლა შავი მოლოხი,
როგორც მევახშემ ჩამოუარა პარნასის ედემს
და გამოხშირა პოეტთა საძმოს ტურფა ბაღნარი,
მილეწ-მოლეწა, რა მიუძლოდათ განა ამგვარი.
და დავუბრუნდეთ კვლავ ქიმერიონს...
სად მაიაკოვსკის თამადობაც ახსოვთ მის კედლებს,
ჯერ ისევ თბილია ნატერფალები
თითქოს მინახავს პასტერნაკის მძაფრი პროფილი,
მაფხიზლებელი თვალებით, მსუსხავით,
გადმოხვეწილი გულისხმის ყოფით და დავალებით და
ახმატოვას ქორული მზერა ხიბლით მნუსხავით,
ერთ რამედ ღირდა ხილვა ესენინის, ოქროსქოჩრიანის,
ლალად მოსეირნის.
ამ თბილ სავანეში ყველა თავს იყრიდა, თავს მდაბლად
გვიხრიდა და ათვლას იწყებდა ჩვენეულ ნიხრიდან.
ვინ აღარ იყო, მაშინაც, მერეც და სწუხდნენ მეტად,
გადარჩებოდაო ცვეტაევა მარინა,
ჩამოეღწიაო ნეტავ, გადაეწვა და გადაებუგაო სული იმ
წყეულ ელაბუგაში,
ველარ მიაღწია იმ დასაწვავ ივლისს,
ოცნებებში ეალერსებოდაო თბილისს,
იქ კარგია, იქ თბილაო მეტად...

გამიგონია, თავად ქუჩა ყოფილა სცენა, ვის არ ნახავდით
ავლილ-ჩავლილს პენით, ლაზათით,
ზოგს ბაფთით და ფრაკით, ზოგი ჩოხებით, მრავალ უძილო
ღამის მთევარი,
განვართულ მნევარით კვალდაკვალ მდევარით, ზოგიც ევროპულად,
გვერდულა ბერეტით,
ალექსანდროვში, თურმე რიბი-რაბოზე სკამზე მიწოლილს
ნახავდით ტერენტის,
ხის კენწეროდან დეკლამირობდა შენგელაია ცეცხლოვან გზნებით,
და კიდევ რამდენი რამ ამდაგვარით, სხვებით და სხვებით,
ხელდასმულს განგების ნებით.
თავი ვანებოთ მისიონერებს, უფლის რჩეულებს, ხაბაზი იყო
თუ ხარაზი, თავს არ იწონებდა დარბაზით
მცირე ფიცრულიც სავსებით ყოფნიდა და დღიურ ლუკმას
მოიპოვებდა თვისი ოფლითა,
სამაგიეროდ, მასაც ჰქონდა მიკროსამყარო, არვის ტანჯავდა
ხინჯი უკმარობის
და ერთ დიდ ქვაბში იხარშებოდა მრავალგვარობა ნაირგვარობის.
და ამ საოცარ სპექტაკლს, თავად ცხოვრების წესი დირიჟორობდა
(გამოისობით რომლის ყველა ილვწოდა, ყველა შრომობდა),
და მიართმევდა ფეშქაშად ქალაქს.
გაჯერებულს და განებივრებულს სარაჯიშვილის ღვთიური ხმებით,
მრავალჭირთამთმენს, დიდებულ ალაგს,
მაინც კი მადლიანს, მეტად ხათრიანს, უშურველ მასპინძელს.
თბილისი იყო მექა, გადანასკვული გზაჯვარედინი კულტურების,
სტილების, რელიგიების,
და ეს არ იყო ეკლექტიკა, ხელს არ უშლიდნენ ერთიმეორეს
ბოჰემურ თრობით,
(ყველა იყო მეტად თვითკმარი და იმავდროულად ურთიერთმარგი),
ანდამატივით იზიდავდა,
აქ მოდიოდნენ სულის შიმშილის დასანაყრებლად და ეს საგზალი-ბარგი
შემდგომ დიდხანს ყოფნიდათ
და იზოგავდნენ კვლავ მოკითხვამდე, ვინ დაეძებდა ორდენებს,
მედლებს, აქ ხომ სულ სხვა რამით ზომავდნენ
საკვირველია, შემოქმედური ალტყინების ძალუმ ნიაღვარს,
წამლეკავს როგორც ნიაგარა.
ენოდებოდა დეკადანსი? განა ასეა? ეს შემდგომ უფრო გადმოიღვარა
დროები თარსი, ნაზავი ფარსით.
სრულიად არ კმარა სურვილი „და ცაპო“, განმეორდება განა რაც იყო?
ეჰ, რა დრო იყო, ბალი პარნასის, პირთამდე სავსე იყო ნიჭით ხალასით,
პილიგრიმობა, ურთიერთხმობა და კულტურათა გადაძახილი,
ურთიერთისთვის სრული მზაობით მუდამ შებმული ჰქონდათ მარხილი,
ნეტავ იმ მრწამსს და ნეტავ იმ რწმენას, სულის მზეობას და გულთასმენას,
რა რიგ თვრებოდნენ ლექსის შარბათით,
კეთილაღნაგნო, კეთილშობილნო სისხლით და გენით, ნასაზრდოებნო
დედა-სამშობლოს რძითა და ხსენით
მიხეილ, პაოლო, ნიკოლო, ტიციან... ნუთუ არ იცოდნენ ან დღესაც არ იციან?
როგორ ინვოდნენ სამშობლოს ცეცხლით, რარიგ ეტრფოდნენ
მშვენიერ ბანოვანთ,
მერის, თამუნიას, მელიტას, ისიას,
გულთანაღრებით გოდებდა ტიციან „ისევ სხვისია ნეტავ ისია?“
და ხომ ცხადია არ იყო ფსევდო, არამედ იყო სრული ელიტა.
და იყო, იყო ეს ყველაფერი...
ბუმბერაზებო, ზარებს ვარისხებ, ხელისგულებზე მიდევს სამყარო
და ვახარისხებ,
კვლავ გამოგიხმობთ სულიერების ლაბირინთიდან,
თქვენს ხატებასთან გავირინდები და მუხლს მოვიყრი.



უილიამ ბატლერ იეიტსი

# უილიამ ბლეიკი და წარმოსახვა

არსებობენ ისეთი მამაკაცები, რომლებიც მომავალს საყვარელი ქალივით ეტრფიან და მომავალი კი თავის სუნთქვას ისე შეურევს მათსას, ისე შემოახვევს თავის თმას და ისე შებურავს, რომ დრო-ჟამის შეგრძნებას დააკარგვინებს. ერთ-ერთი ასეთი კაცთაგანი იყო უილიამ ბლეიკი, და თუ თავის აზრებს მორიდებითა და ბუნდოვნად გამოხატავდა, ეს იმიტომ, რომ მის მიერ შეცნობილ სამყაროში თავისი სათქმელის შესაფერისი მოდელი ვერ ეპოვნა. ბლეიკმა ხელოვნების ისეთი რელიგია აღიარა, რომლის მსგავსზეც ვერცერთი ადამიანი ვერ იოცნებებდა. ეს რელიგია მას უფრო სრულყოფილად ჰქონდა გააზრებული, ვიდრე ათასობით დახვეწილი სულის მფლობელს, რომელთაც ნათლობა ჩვენს მიერ ნაცნობ სამყაროში მიიღეს; რადგანაც მნიშვნელოვან საგანთა საწყისში, სიყვარულის საწყისში, დღის საწყისში ან ნებისმიერი გარჯის საწყისში დგება ისეთი ჟამი, როცა ყოველივეს ხელახლა სრულყოფილად აღვიქვამთ, ვიდრე ეს ჟამი საბოლოოდ გასრულდებოდეს. მისი დროის განათლებულ ადამიანებს სჯეროდათ, რომ თავს შეიქცევდნენ წარმოსახვაზე დამყარებული წიგნებით, ხოლო სულს ქადაგების მოსმენით ან რაღაც ქმედებებით ანდა უმოქმედობით „სრულყოფდნენ“. როდესაც უწევდათ იმის ახსნა თუ მათი მსგავსი სერიოზული ხალხი რატომ მიაგებდა დიდ პატივს დიდებულ პოეტებს, პასუხი არ გააჩნდათ, რადგან შესატყვისი გონიერება აკლდათ. ჩვენს დროში კი ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენი „სულების სრულყოფაში“ გვეხმარებიან ძველი დროის დიდი პოეტები, შემდეგ კი შელი ან უორდსვორთი, გოეთე ან ბალზაკი, ფლობერი ან გრაფი ტოლსტოი, ვიდრე წიგნების წერას თავს დაანებებდა და წინასწარმეტყველებას მიჰყოფდა ხელს ან უფრო დაბალი რანგის მწერალი გახდებოდა, ან კიდევ მისტერ უისლერის ნახატები; ჩვენ კი თავს ვიქცევთ ხოლმე, ან უფრო სწორად სულს ვილატაკებთ ქადაგებათა მოსმენით ან გარკვეული ქმედებებითა თუ უმოქმედობით. ჩვენ ვწერთ დიდი მწერლების შესახებ, იმ მწერლებზეც კი, რომელთა ლამაზი გამონათ-

ქამები და მომხიბვლელი წინადადებები უხამსად გვეჩვენებოდა, ისეთნი, რომელთაც ჩვენი მამები ეკლესიისათვის ნეტარებისა და იდუმალების მისანიჭებლად იყენებდნენ. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სწამთ ჩვენს ბაგეთ, რა სწამთ ჩვენს გულებს იმ სილამაზეში, რომელზედაც ბრაუნინგი წერდა თავის ერთადერთ პროზაულ ესეიში, რომ: სილამაზე „ღვთაებრივ ხელისგულზე ძევს და ინვის"-ო, და როცა დრო დადგებოდა, ღვთაებრივი ხელი დალახვრავდა მდარე გემოვნებასა და ვულგარულობას. როცა ეს ყოველივე არავის არ სწამდა, — სწამდა უილიამ ბლეიკს და მან ფილისტინელთა წინააღმდეგ დაიწყო ისეთივე ქადაგება, როგორც შუა საუკუნეებში ქადაგებდნენ სარკინოზთა წინააღმდეგ. ბლეიკმა იაკობ ბოემისა და ძველი ალქიმიკოს მწერალთაგან ისწავლა, რომ წარმოსახვა ღვთაებრიობის პირველი გამოსხივება იყო, — „ღვთის სხეული", „ღვთაებრიობის წმინდა ნაწილები", და სხვებისგან სრულიად განსხვავებული დასკვნა გამოიტანა, რომ წარმოსახვითი ხელოვნება უდიდესი ღვთაებრივი ზეშთაგონებაა და სიმპათია, რომელსაც წარმოსახვითი ხელოვნება აღძრავს ყოველი ცოცხალი არსებისადმი, სულერთია — ცოდვილია თუ უცოდველი, ის შენდობაა, რომელსაც ქრისტე ქადაგებს. მიზეზობრიობა, რომელშიც ბლეიკი გულისხმობდა იმ დასკვნებს, მან შეგრძნებებზე დაკვირვების შედეგად რომ გამოიტანა, გვაკავშირებს მორალსა და შეგრძნებებთან და ერთმანეთისგან განგვასხვავებს ინტერესთა შეჯახების წარმოჩინებით. მაგრამ წარმოსახვა სილამაზის უკვდავყოფით გამოგვყოფს მოკვდავობისგან და ერთმანეთთან გვაკავშირებს ყოველი გულის იდუმალი კარის გაღებით. ბლეიკი მრავალჯერ წარმოთქვამდა, რომ ყოველი, რაც ცოცხალია, წმინდაა, და რომ არაფერია უწმინდური უსიცოცხლო საგანთა გარდა, — ლეთარგიები და ბოროტებანი, გაუბედაობა და წარმოსახვის უარყოფა, რადგანაც წარმოსახვა ის ფესვია, რომელიც უძველეს დროიდან ამოიზრდება. მისი დროის სკანდალური პარადოქსი სწორედ ძლიერი ვნებებია, და რადგან ცოცხალი არსებანი ითვლებიან წმინდათანმინდად, სწორედ ადამიანი შეაღწევს იმ უკვდავებაში, რომელიც ვნებათა ფრთებზე დაიბადება. ბლეიკს ზედმიწევნით ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ მის და ჩვენს დროშიც „ვალას" გარკვეული ნახატები, რომელიც მან ფანჯრით მკრთალად მოხაზა და მკრთალადვე შეაფერადა, საკმაოდ დიდ სკანდალს გამოიწვევდა. ფილოსოფიის მიხედვით იგი მარტივ პოეტად ითვლებოდა მისი დროის პოეტთა შორის, რადგანაც ყოველი ლამაზი შეგრძნება აკმაყოფილებდა, რაც კი აზრად მოუვიდოდა და სულაც არ აწუხებდა, ამ შეგრძნების მარგებლობა ან მისი გადაჯაჭვა რაიმე მარგებლობასთან. ხანდახან ადამიანი თავს მაშინ გრძნობს პოეტად, თუკი მას უკეთეს დროში კითხულობენ, — ვთქვათ, ტენისონი ან უორდსვორთი; ისინი ხარჯავდნენ თავიანთი წარმოსახვის ენერგიასა და უბრალოებას, სვამდნენ რა კითხვას, თუ რისთვის არსებობდნენ, — სამყაროს განვითარების ხელშესაწყობად თუ დასაბრკოლებლად, ნაცვლად იმისა, რომ ჰქონოდათ რწმენა, ყველაფერი, რაც ლამაზია, „ღვთაებრივ ხელისგულზე ძევს და ინვისო". მაგრამ როდესაც ადამიანი ბლეიკს კითხულობს, ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს მშვენიერების ულევი შადრევნის შხეფები სახეზე ესხურებოდეს, არამარტო მაშინ, როდესაც „უმანკოების სიმღერებს" ან ლირიკას კითხულობს, რომლისთვისაც მას სურდა ეწოდებინა „კარგი და ცუდი აზრები", არამედ მაშინაც, როდესაც ვკითხულობთ მის „წინასწარმეტყველურ წიგნებს", რომელშიც იგი მორიდებულად და ბუნდოვნად საუბრობს, რადგანაც იმ საგნებს ეხება, რომლებზედაც სასაუბროდ ამ სამყაროში მოდელი ვერ მოეძებნა. იგი გახლდათ სიმბოლისტი, რომელსაც სიმბოლოთა გამოგონება უწევდა. ინგლისის საგრაფოები ისრაელთა ტომების ანალოგიით, თავისი მთებით და მდინარეებით, რომლებიც ადამიანის სხეულის ნაწილების ანალოგებს წარმოადგენენ, და ისეთივე თვითნებურნი, როგორც სიმბოლისტ ვილიერს დე ლ'აილ-ადამსის „აქსელში", სადაც აქსელისთვის უჩვეულო, შეუთავსებელ საგანთა შეკონება ხდება. მითოლოგიის მაძიებელი შლეიფი ცდილობდა შეექმნა ის, რისი მოხელთებაც ვერ შეძლო. იგი რომ კათოლიკე ყოფილიყო ან დანტეს დროს ეცხოვრა, მარიამითა და ანგელოზებით დაკმაყოფილდებოდა, ან ჩვენი დროის სწავლული რომ ყოფილიყო, თავის სიმბოლოებს ვაგნერის მსგავსად ჩრდილოეთის მითოლოგიიდან აიღებდა, ან პროფესორ რისის დახმარებით უელსური მითოლოგიის ბილიკს დაადგებოდა, რომელიც მან „იერუსალიმში" აღმოაჩინა, ან ირლანდიაში წავიდოდა და თავის სიმბოლოებისათვის შეარჩევდა იდუმალ მთებს, რომლის ფერდობებზე გლეხები კვლავადაც ხედავენ მოჯადოებულ ცეცხლის ალსა და ღვთაებებს; გლეხებს კი არ განელებიათ რწმენა, თუნდაც უბრალო გულის ლოცვით და შეუთავსებელი აზრების გარეშე საუბრობდნენ. თუმცა ბლეიკი, იდგა რა წმინდა სიბნელის კიდეზე, თავისივე ნაგულისხმევის კარიბჭესთან, ეხებოდა იმ მოვლენებს, რომელნიც ემოციებით იყვნენ გაჟღენთილნი და ტრადიციული მითოლოგიის წყალობით შესაძლოა ნაკლებად ბუნდოვანნი ყოფილიყვნენ. თუ ენითარმონს ერქმეოდა ფრეია ან გვიდეონი ან დანუ და ძველ ნორვეგიაში იცხოვრებდა, რომ მათი შემქმნელი მისტიკოსია და „ვალას" არფის ჰიმნი, უბრალოდ მრავალ უძველეს ჰიმნს მოგვაგონებდა.

ქალის ლხენაა უსაყვარლეს კაცის სიკვდილი,
მისთვის თუ მოკვდა.
ულმობელ ეჭვით განამება, თაყვანისცემის
მწარე ტკივილი,
შეყვარებულთა ბნელი ღამე, — ამაზეა სიმღერა ჩემი.
ცხრა სფერო ხარობს და მორჩილებს მძლავრ
მართვას ჩემსას
და უკვდავ ხელის მინიშნებით მღერიან გაბმით,
ჰარმონიული ხმა კიდურებს ზეეფინება,
ფრინველნი, მხეცნი თან ხარობენ, თან თამაშობენ,
თავის სწორს ეძებს ყველა სულდგმული,
რომ გაუმჟღლავნოს ფარული ლხენა;
მძვინვარენი და საზარელნი კვლავ ერთობიან,
მიწისქვეშეთის აპობენ უფსკრულს,
სიღრმეებიდან ზე იწევა პირქუში თავი
და იკარგება მოფარფატე ფრთების მორევში.
მძლავრი ყვირილი ძალას კარგავს და მინავლდება,
მინავლებული ყვირილი კი კვდება აროდეს,
ცოცხალ ხმას ლხენა იდუმალად აცოცხლებს მარად.

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილმა

გოგი ოჩიაური

# შინშები

ინსტიტუტიდან გამოსასვლელში ბორისი და უცნობი ქალი დახვდნენ, — სალაპარაკო გვაქვსო.

ლაპარაკობდა ბორია, ქალი მარტო ილიმებოდა და ხანდახან თავის დაქნევით ადასტურებდა ნათქვამს. ბორია ქართულ ცეკვებსა და ხალხს აქებდა. თვითონ იოსებ ბესარიონის ძე... და სხვა და სხვა.

თბილი საუბრის შემდეგ ბორიამ: კომკავშირის კომიტეტში გადავწყვიტეთ, უფრო სწორად, კომიტეტმა გადაწყვიტა, და განსჯას არ ექვემდებარება!

მოკლედ თმაშეჭრილმა ლამაზმა ქალმა ღიმილით დასძინა: საშვიდნოემბრო საზეიმო კონცერტზე შენ უნდა იცეკვო! უნდა იცეკვო კავკასიური რამე. ჩვენ მალე გვექნება პატეფონის ფირფიტა საცეკვაო მუსიკით, პატარა რეპეტიციაც გვექნება, და, მოკლედ, უარი არ გვითხრა.

— მარტომ?

— თუ იშოვი პარტნიორს, უკეთესი იქნება.

— მთელ ლენინგრადში მარტო თქვენ გიცნობთ, — გაუღიმა ლადომ ქალს.

— ჰოდა, მარტოს მოგიწევს, არა უშავს. კავკასიური ცეკვა ინსტიტუტში შეიძლება მხოლოდ პედაგოგს ენახოს ვინმეს, ისე რომ ეს გადაწყვეტილია! იცეკვებ.

მოვძებნით შემსრულებელს, ვინც მელოდიას როიალზე შეასრულებს. ეხლა ჩემთან მივდივართ. იქ სხვა ამხანაგებიც მოვლენ და ცოტა ამოვისუნთქოთ. ზეიმის მომზადება საკმაოდ დამღლელია. მესამე დღეა, თავი არ აგვილია. ხუმრობაა 7 ნოემბრის ზეიმი?!

ბორია შორს ცხოვრობდა. დიდხანს იჯანჯღარეს ტრამვაით. ორი პატარა ოთახი „კომუნალკაში". კედლებზე მაიაკოვსკის, ლენინის, კიროვის და ლადოსთვის უცნობი ხალხის, იშვიათი, შინაურული ფოტოები იყო გაკრული. ტახტი, პატარა მაგიდა, სკამები.

შვიდნი მოგროვდნენ. სვამდნენ, კითხულობდნენ ლექსებს. პირველად მოხვდა ასეთ შინაურულ, პოეტურ გარემოში. რუსამ ბაგრიცკის ლექსი წაიკითხა უბრალოდ. დამთავრების შემდეგ ლადოს ჰკითხა: მოგწონს ბაგრიცკი? როცა გაიგო, რომ ჯერ არ წაუკითხავს, ჩემზე იყოსო, ცეკვის რეპეტიცია კლუბში გაიარეს. ატყობდა, რომ რუსას მაინცდამაინც არ მოსწონს, თავადაც ხედავდა, რომ ვერ ცეკვავს.

მესამე დღეს რაღაცა აუწყო პატეფონს. სეირის მაყურებლების მოწონებაც დაიმსახურა. ჩოხის ზომა რუსას ჰქონდა ნაღებული და უძიროებიც მანვე მოიტანა თეატრიდან. თეთრი ჩოხა შავი მასრებით მოუხდა. გრძელი სახელოებიც მოეწონა. საცხოვრებლის მეთვალყურე тётя Нюрам ცოტა რაღაცები გადაუკეთა.

საცეკვაო ილეთებიც სხვანაირი გამოჩნდა ჩოხის გრძელი სახელოების გამო და ნელ-ნელა გაილვიძა მიძინებულმა არხოტიონმა.

ერთ დღეს რეპეტიციის შემთხვევითმა მაყურებლებმა ტაშიც დაუკრეს.

7 ნოემბერიც დადგა. ბევრი მგზნებარე სიტყვის მერე ზეიმის მხატვრული ნაწილი დაიწყო და სადღაც ბოლოსკენ კავკასიური ცეკვაც გამოაცხადეს. სცენაზე ნელა გამოვიდა, შუაში დადგა და მუსიკას დაელოდა. მუსიკის ხმაზე კულისებიდან უნდა გამოსულიყო ცეკვით, მაგრამ რუსას და ბორიას გასაკვირად სიჩუმეში გავიდა და დადგა. და ხმა რომ გაისმა, მელოდია რომ გაისმა, სულ სხვა ცეკვა დაიწყო, რეპეტიციაზე გავლილი კი არა, სხვა, თვითონ რომ არ იცოდა, რატომ? საიდან? სად იყო, რატომ ცეკვავდა. მაგრამ მალე რიტმი და ცეცხლი, ბრუნვა და კივილი მთელ დარბაზს გადაედო. ტაშს მთელი დარბაზი უკრავდა რკინის რიტმით. კიოდნენ ფეხზე ამდგარნი, „ასას" იძახდნენ. და როგორც კი დაამთავრა, ისეთი ტაშის გრიალი ატყდა, მანამდე რომ არასოდეს გაეგონა (სად უნდა გაეგო?!).

კულისებში ბორისი და რუსა გადაეხვივნენ და გარეშეების ტაშით გარშემორტყმულები დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს თავმიდებულები. რა იყო ეს? რა იყო ეს? — იმეორებდა ბორისი, აი თურმე კავკასიური ცეკვა, აი თურმე საიდან! საიდან!!!

სცენაზე დააბრუნეს, ტაშს უკრავდნენ, კულისებში ფოტოებს ულებდნენ. ეკითხებოდნენ, იწერდნენ.

დილას მელანიას და ნიკოს სანახავად წავიდა. უკვე კარგა ხანი იყო, არ ენახა.

ნიკო ხმელმაღალი, ჟღალი მეგრელი იყო, მუდამ ბოხი ხმით მოსაუბრე. ალბათ თქვენც შეგხვედრიათ ცხოვრებაში ასეთი ხალხი, ჩურჩული რომ არ შეუძლიათ, ვერ ახერხებენ. ხევსურეთში ხალხოსანი იდეებით მოგზაურობდა, ბალიაურების ოჯახში სტუმრობდა და შემდეგ ლადოს დაი, თათიას ოთხი ქალიდან ერთ-ერთი, მელანია —შეირთო ცოლად. ლადოს არხოტიდან ჯერ თბილისში და მერე ლენინგრადში წამოყვანაც ნიკოს იდეა იყო. ლადოს შრომის უნარმა და ნიჭმა გააკვირვა და უთხრა, ჩქარა დიდი წარმატება გექნებაო.

წლის თავზე თბილისში აიძულა, რუსულის სწავლაც დაეწყო. „ევგენი ონეგინი" და მერე „კაპიტანსკაია დოჩკა" ზეპირად დაასწავლა, მთავარია, მნიშვნელობა გესმოდეს, დანარჩენი ყველაფერი მოესწრებაო. ლადოს მთელი არსება მოეცვა რუსულ ენას: ღამით, დღისით, საუბარში, დუმილის დროს. დაზეპირებული რუსული ფრაზები ფუტკარივით ეხვეოდნენ. ირგვლივ რასაც ხედავდა, თავისთვის, მექანიკურად, დაუფიქრებლად რუსულად ასახელებდა, რაც არ იცოდა, ლექსიკონის წყალობით. იზეპირებდა. ბლოკნოტებს ავსებდა, სიტყვებით, ფრაზებით, აზრებით... რუსულად. ბორიას დახმარებით არჩევდა საზეპიროებს.

რუსული, რუსული ენა, რუსული სიტყვა, ლიტერატურა. ენა, ენა, დღისით, ღამით, ღამით, დღისით, ყველგან, ყოველთვის.

ნიკომ და მელანიამ: ნეტა ჩვენც გვენახა, როგორ იცეკვეო, ღამით თავისთან დატოვეს, მელანიას მეგრულად მოემზადებინა რაღაც კერძები, ბაზარში მეგრელიც შეხვედროდა და აჯიკა ეყიდა. ტრაბახობდა, ისე ვამზადებ, რომ მეგრელ ქალებს არაფრით ჩამოუვარდებიო, ნიკოც უდასტურებდა.

ღამით გაეღვიძა, თენებისკენ. რამდენი ხანია, არაფერი გახსენებია არხოტული. ნათლად გაახსენდა, ხელშესახებად, ახიელაში ყოფნის დღეები. მხედრობაც, ბოლო შუღლიც, სწორფერიც. 24 წელს ქისტების ლაშქრობა, ელამარძაის ლაშქარი. აფორიაქდა. გაახსენდა, ყველაფერი გაახსენდა...

ახიელას ღამით შემოერტყნენ და სოფლის მამასახლისი თათია წაიყვანეს უფროსთან, მოატყუეს რუსული ლაპარაკით: ჩეკისტები ვართ, სოფელი შემორტყმულია და თუ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თომა ამლას არ შეატყობინებთ, რომ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, თქვენც დაგხოცავთ და სოფლებსაც გადავწვავთო. წაიყვანა ძმის შვილიც, რა უნდათ, ვერ ვიგებო, რუსის უფროსებთან და როცა თომა მიხვდა, რომ ესენი მოლაშქრე ქისტები იყვნენ, უკვე გვიან იყო. ელამარძა არხოტში ადრეც იყო ნამყოფი და თათიასთან გაათია ღამე, მაშინ გაიგო, რომ თომა ჩეკისტებს არიდებდა თავს. რა თქმა უნდა, ჩოლოყაშვილის აჯანყების ამბავიც იცოდა. ეხლაც, ორივენი რომ მიიყვანეს, კოცონის ცეცხლის შუქზე გამოვიდა და ბიძა-ძმისწულს ბოდიში მოუხადა, ძალიან შეგვაწუხა თქვენმა ხალხმა მეკობრეობით და ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღვკვეთოთო. დიდი ლაშქარი ვართ წამოსული. მსხვილფეხს, ცხვარს წავასხამთ, სახლებს არ გავძარცვავთ. ტყვეებს წავიყვანთ და მერე ვილაპარაკებთ თქვენ ხალხთანო. ეხლა სთხოვა, ამლაში წასულიყვნენ ბიძა-ძმისწული და ამლიონთათვის აეხსნათ იარაღით წინააღმდეგობის უაზრობა. უკან ჩვენები გამოგვყვებიანთ და თუ ღალატი შეგამჩნიესთ, დაგხოცავენთ და სოფლებსაც ცეცხლს მისცემენო. კიდევ მოუბოდიშა, მე სხვა გზა არ დამიტოვეს თქვენმა მეკობრეებმაო.

ამლაში რომ მივიდნენ, უკვე თენდებოდა და აღმოჩნდა, რომ იმათ ახიელის მოტყუების ამბავი უკვე იცოდნენ. თომა ერთ შუკაში ავლისას ამლივნების გაღებულ ქვითკირის კარში შეიტაცეს მოთვალთვალე ახალგაზრდებმა. ქისტებმაც სწრაფად დაიკავეს საყუჩები და სროლა ატყდა. თათია არ მოკლეს, უკვე გამაგრებული ამლის აღება დიდ მსხვერპლს მოიტანდა და გაეცალნენ, დაბრუნდნენ ახიელაში. წაასხეს მსხვილფეხი. ახიელიდან წაიყვანეს ტყვეები და წავიდნენ. ამლაში ერთი ახალგაზრდა ქალი შემოაკვდათ. სიბნელეში შორიდან კაცი ეგონათ, ერთი კარგი ვაჟკაცი მოკლეს და წავიდნენ.



ლადო ბალიაური

ერთი წლის თავზე მთავრობამ დიდი შერიგება მოაწყო. წინასწარი ორმხრივი შეხვედრებისა და თათბირების შემდეგ გადაწყდა ღილღვებისა და არხოტიონების შეხვედრა-შერიგება შემდგარიყო ნაზრანში, ქისტეთში.

არხოტის დელეგაციაში ლადოც ჩართეს, კარგი ახალგაზრდაა და ცხენიც კარგი ჰყავსო.

გაახსენდა დალმა ხეობაში ნაზრანამდე მგზავრობა. მხიარულად, ლაღად, ერთმანეთის ქილიკში იმგზავრეს მხედრებმა. უფროსების ლაღობაში ლადო არ ერეოდა. მით უმეტეს თათიაც, ლადოს მკაცრი მამა, იქ იყო, სოფლის მამასახლისი და ყველასგან პატივცემული კაცი.

ნაზრანში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. შეიარაღებული მილიციისა თუ ჯარისკაცების მომრავლებაც არ იყო ძნელი შესამჩნევი. როცა ყველაფერი მოათავეს, საგულდაგულოდ დაითვალეს ბოლო წლებში ორივე მხარეს მოკლული თუ მეკობრეების თარეშით მიყენებული ვნება. არხოტიონებს კიდევ დაჯარიმებას უპირებდნენ. ერთი დამატებითი დღე გარჩევას მოუნდა, ერთურთისკენ გაავებული, განევ-გამონევამდე მისული ხალხის დაწყნარებას. და ბოლოს მაინც შესდგა დიდი შერიგება. ხელის ჩამორთმევითა და ქაღალდებზე ხელის მოწერით.

გადაწყდა, შერიგების აღსანიშნავი ზეიმიც კლუბის დიდ დარბაზში მოეწყოთ. მთავრობის ხალხი თბილისიდან, მოსკოვიდან, ვლადიკავკაზიდან და მეზობელი მხარეებიდან ესწრებოდა საზეიმო ხელმოწერას.

დიდი დარბაზი გაანთავისუფლეს საზეიმო მაგიდისგან. კედლებზე მიჯრილ სკამებზე ხნიერები და საპატიო სტუმრები ჩამოსხეს. ნახევარი დარბაზი ფეხზე მდგარ ხალხს ეჭირა. მოიყვანეს დოლი, ზურნა, გარმონი და დასცხეს, მაგრამ რა დასცხეს. შემოცვივდნენ პატარა ქისტისშვილები და დაუარეს, მაგრამ რა დაუარეს, „ასას" კიოდნენ, მაგრამ რას კიოდნენ.

თქვენც იცეკვეთო, პატიჟებდნენ არხოტიონებს, არა უშავს, კარგი და ცუდი არაფერ შუაშია, თუ შერიგება გიხარიათ, თქვენც შეგვიერთდითო. არხოტივნებში ყველაზე უმცროსი ლადო იყო და... კივილით ჩამოუარა. უფროსი მასპინძლების წინ ხელებს ზურგზე ილაგებდა, თითქოს ქორმა ფრთები დაკეცაო და განსაკუთრებულ, სხვანაირ ფეხჩაკვრას აკეთებდა. მერე კიდევ და მერე კიდევ. მერე უფროსებიდან ერთი ხნიერი წამოუდგა და ორივე ილეთით შეეთამაშა, ძალიან ლამაზი გამოვიდა. მერე მოეხვია ლადოს და ესე დაამთავრეს. სად ისწავლეო, ეკითხებოდნენ ქისტები, ეგეთი ლამაზი ცეკვაო...

და უცბად, დარბაზში შემოსასვლელი კარი რომ იყო ხალხის უკან, იქიდან გაისმა, მარტო ქისტს რომ ამოუვა ყელიდან, ისეთი არწივის ხმა. და ლადომ დაინახა ხალხის თავებს ზემოთ აწვდილი მოცეკვავის ორი ხელი; და გზა რომ დაუთმეს, ლეგად ჩაცმული მაღალი ქერა ქისტი გამოჩნდა ცერებზე შემდგარი, ნელა, ნელა რომ მოიწევდა ტაატით დარბაზის შუაგულისკენ. და მერე, მერე ლადოს შეუნელებელი სირცხვილის გრძნობა და რისხვა დაეუფლა. რატომ იცეკვა აქ, ცეკვის სამშობლოში, როგორ შეაცდინეს, ალბათ, როგორ ელიმებოდათ ქისტებს მის სილაღეზე. ნეტა ალარავის შეხვედროდა თვალებით, იქ მყოფებს. პირველად ნახა ღილღვლის ცეკვა და არც ენახა მსგავსი მანამდე, და ნეტა ეხლაც არ ენახა, და დღემდე შემორჩა შეუნელებელი სინანულის გრძნობა შეცდომისა. გუშინდელ საშვიდნოემბრო კონცერტზე ცეკვის მერე, როცა აქებდნენ და თავადაც იფერებდა, ალხასტაის ძის, თუ ალხაზის შვილის, თუ ალხაზის ცეკვა ედგა თვალწინ, არ შორდებოდა. მაგიტომაც გაუფრთხა, ალბათ, ძილი. ალბათ.

და უცბად საიდანღაც ნეტავ, თომას რომ ენახა გუშინდელ ზეიმზე უმცროსი შინშის სილაღე და კომკავშირლებთან ხვევნა-კოცნა, როგორ შემოხედავდა ბიძის, თათიაის შვილს?!

ეტყოდა რამეს თუ საერთოდ ალარ იკადრებდა შინშთან ურთიერთობას...

რომ ჩავა არხოტში (ერთხელაც იქნება, დაბრუნდება და ბევრ რამეს უამბობს), შეეცდება ცოტა მაინც, სულ ცოტა მაინც შეუნელოს ახალი კომუნისტური ცხოვრების წესის, ბოლშევიკების სიძულვილი.

მაგრამ ხვდებოდა სამწუხაროდ, რომ თომას სიძულვილი ღრმა იყო. ნანახი ჰქონდა რუსეთში ბოლშევიკების სისხლიანი თარეში. უზნეობის მდაბიური, ულირსი უტიფრობის ზეიმი. იცნობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ ოფიცრებს. მისთვის სამაგალითო ქცევითა და ერის თავისუფლებისთვის ერთგული თავდადების მაგალითებს. მაგრამ თომას რომ ეცხოვრა ბორიას, რუსას და მათი მეგობრების, განათლებული კომუნისტების გვერდით, იქნებ, შეიძლება... იქნებ... არა! არხოტში რომ დაბრუნდება, ბევრ რამეს შეცვლის ირგვლივ. არხოტივნების საყოველთაო სიძულვილსაც ბოლშევიკობის ყველა გამოვლენისადმი. ბოლშევიკების მიმართ სიძულვილს შეიძლება შეებრძოლოს.

თომა ხევსურეთის აჯანყების დამარცხების მერე გამოეთხოვა შეფიცულებს. ქაიხოსროს. საშას, სხვებს, ვისაც საქართველოს ღირსების დასაცავად აელოთ იარაღი და სიცოცხლის ბოლომდე იბრძოლეს. ისინი კახეთისკენ წავიდნენ. იქიდან გადაწყვიტეს საზღვარგარეთ წასვლა. ორწყალში დაშორდნენ ერთმანეთს, დაღლილები, დაჭრილები, დამარცხებულები. მძიმე იყო დაშორება... ვინ არის თუ იყო გორელი მარჩევსკი ან ია ეკალაძე, რომლებმაც, თომას ჯერ კიდევ ბავშვს, გაუღვიძეს ეროვნული შეგრძნება, რომელიც დღეს თომას ცხოვრების არსად ქცეულიყო. და ყველა ოდნავ მაინც შესუსტებული ეროვნული მრწამსის გამოვლენა ვინმესგან, — მის აფეთქებას იწვევდა.

როგორ მოკლა არხოტში მოვლენილი ჩეკისტი ჩიქოვანი მხოლოდ კომუნისტობისთვის.

ლადომ ჩიქოვანის სახელიც არ იცოდა, ის არხოტში რამდენიმე მილიციელის თანხლებით გადმოვიდა და თომას ნახვა მოისურვა.

შეხვდნენ. სახლში წაიყვანა. ლელა, ბიძაის ცოლი, ოღონდ თომასთვის ესიამოვნებინა, თბილად დახვდა, თორე იმასაც არ ეხატებოდნენ გულზე „ბალშენიკები". მხოლოდ რამდენიმე დღე უნდა დავყო არხოტში და მალევე დავბრუნდებიო. დიდი ხანია არხოტის შესახებ სანდო ინფორმაცია არა აქვს ხელისუფლებას, მე უნდა გავიკითხო, რა უჭირს მხარეს, რა დახმარება უნდა გავუწიო თემს და დავბრუნდებიო. თომას ყოველდღე ხვდებოდა. ან ახიელაში ამოდიოდა ან თომა აკითხავდა ამღაში. შეამჩნია თომამ, რა სწრაფად, როგორ დაიმეგობრა ამღიონი ახალგაზრდები, ისიც არ გამორჩა, რამდენჯერმე საუბარი რომ შეწყვიტეს, თომა რომ მივიდა და აშკარად გამოცვალეს საუბრის თემა. არ იმჩნევდა. ნუ ჩაერევი აქაურ ცხოვრებაში, უცხოსთვის ძნელი გასარკვევია და შეიძლება რაიმე შეცდომა დაუშვაო. გააფრთხილა. გააფრთხილა და თვითონაც გაფრთხილდა. არავის უთხოვია, თავად პირველად რომ გადმოვიდა არხოტში, თომას მსუბუქი ჩანთა და ჯიბეებიც გადმოუბრუნა. უიარაღოდ გადმოვედიო. და ერთ დღეს, იმ დღეს, სწორედ იმ დღეს მარჯვენა მხარეზე ჩამოჭიმულმა ხალათმა დააეჭვა თომა. ბაბუტას ეჭვი გაანდო და სთხოვა ფრთხილად მოესინჯა და დაუდასტურა ბაბუტამ, საიმედომ, ყოველთვის საიმედომ: ბრაუნინგს მალავსო. იმ დღეს ქვევით ჭალაზე მივდივართ ამღელი ახალგაზრდები და ჩემი მილიციელებიო. აინტერესებთ ამ ხეობის ნახვაო. დაპატიჟა, შენც გამოისეირნეო. ჩიქოვანი და თომა ნელა მიდიოდნენ, სვენებ-სვენებით, საუბრით. მილიციელები წინ წავიდნენ. იშვიათი ფიჭვნარით შემოსილი შავყანგიანი კლდეები შევიწროვებულ კალაპოტში წურავდნენ ასას. წყარო დაინახა და დავლიოთო, თომამ.

წყაროსთან რომ მივიდნენ, რა დავალება გაქვსო, პირდაპირ ჰკითხა და უშეცდომოდ რომ იცნობდა ისეთი, მარტო ბოლშევიკებს რომ შეეძლოთ, გამოხედვა, დაუნდობელი, ცივი მკვლელის თვალით შემოხედა ჩიქოვანმა და უმალ ღიმილით რომ უნდოდა გადაეფარა მზერით გამჟღავნებული არსი, აღარ დასცალდა. სისხლის გუბეში მცურავი დატოვა. ორივე არავინ იცოდა, სად გაუჩინარდა ბალიაური. როცა გამომძიებელი გადმოვიდა, გამოჩნდა, გამოძიებისთვის გადმოსულ გამომძიებელს განმარტებითი ბარათი დაუწერა, რომ ჩიქოვანი მისი მცირეწლოვანი დის შეცდენას ცდილობდა და მიუხედავად გაფრთხილებისა, არ მოიშალა უზნეო ქცევა და როდესაც დამ თომას დაცვა მოსთხოვა, ის ჩიქოვანს დაელაპარაკა, მაგრამ უხამსი პასუხი მიიღო. სოფელმა ძიებას თომას ჩვენება დაუდასტურა, ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდებოდაო. ძიებამაც თავი მოიტყუა და დაბრუნდა თბილისში...

ლადო მოგონებებით გათანგული დილით გვიან ადგა. მელანიამ ასაუზმა. ნიკო უკვე სამსახურში წასულიყო.

ღამის ფორიაქი გამოჰყვა. თითქოს ერთ ღამეში განიძარცვა ორ წელს რუსული სიტყვებისა, დაზეპირებული ფრაზებისა თუ ანბანით ნაქსოვი პერანგისგან.

და შეშინდა, ძალიან შეშინდა, ნუთუ ერთი ცეკვა და ნიკოსთან არხოტული მოგონებები შეურყევდნენ ორ წელს მტკიცედ ნაგებ ციხეს.

და არა! დღეიდან ისევ დაივიწყებს ცხენსაც, შულლსაც, არხოტულ წყალსაც და სისხლსაც, სწორებსაც და სწორფრებსაც. ისევ დაიხვევს ფუტკრის ნაყარივით მოფუსფუსე უცხო სიტყვებს, ბგერებს. ისევ მოუსმენს ძვირფას ბორისს, რუსას. იმათგან წაკითხული ლექსიც და მოთხრობაც სხვანაირად იბეჭდება გონში! დღესვე, დღესვე შეუდგება ჭედვას.

ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი თავაუღებელ მეცადინეობაში გაილია. უძილო ღამეები და დამატებით ახალი, სრულიად ახალი, მისთვის მანამდე უცხო კომუნისტური სიბრძნის, რწმენის კარი გაიხსნა ლადოსთვის.

* * *

ნიკოს ქებას იმსახურებდა — ძალიან ბევრი იციო. უკვირდა: ანდრეი ბელიზე და პარმის სავანეზე შეგიძლია ძალიან საინტერესოდ მესაუბრო. შეგიძლია ზეპირად პუშკინის, ტოლსტოის ციტირება, მაგრამ ელემენტარული განცხადების დაწერა უხეში შეცდომების გარეშე არ შეგიძლიაო.

ლადოც ხედავდა, რომ მთელ ბრძოლას, თავდაუზოგავ შრომას რუსული ენის დაუფლებისთვის თითქოს სრულიად უნაყოფოდ ჩაევლო. რუსულად კითხვით ეზიარა მანამდე მისთვის უცნობ სულიერ სამყაროს. თვითონაც გრძნობდა ამაღლების სიამოვნებას.

მაგრამ რუსულად უმარტივესი აზრის გამოთქმას, დაწერას ვერ ახერხებდა.

ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად დააგვიანა. ენა, უცხო ენა, არ ემორჩილებოდა.

თომა განათლებულია და რუსულადაც ქართულივით, მშობლიურ ენასავით იოლად უქცევს. და იმასაც ხედავდა, ყველაფერი თომასთვის მოსაწონებლად რომ უნდოდა, მაგრამ ეს რუსულის ცოდნა ისევე, როგორც თომამ და მისმა

სტუმრებმა (ხანდახან თბილისიდან ჩამოსულებმა, იციან), მისთვის მიუღწეველი გამხდარიყო.

დადგა 1934 წელი.

ახალ წელს მელანიამ და ნიკომ თავისთან სახლში დატოვეს: დაისვენე, დაღლილი ჩანხარ, ალბათ ვერც ჩვენ გაქცევთ ყურადღებასო.

ვახშამზე მელანიამ გაიხსენა მამა. შესანდობარი დალიეს. ძალიან ამაყი იყოო, სწუხდა მელანია. მოიგონეს იმის სიკვდილი... თათიას სოფელთშუა შარაზე დალმა ჩამომავალი მწერელტყვე ახალგაზრდა შეხვდა. შენი საქონი, აგე, ხიზანათ ჯეჯილში იყო და მე გამოვრეკე. მიაქციე საქონელს ყურადღება, ბავშვები გყავთ და თვალი ადევნეთო. პასუხად: შენი გზაზე შეყრა ხო არ უნდა მაშინებდას, წავიდ ის დრო! გამაიცვალ! ვერ გაიგითა? რას მასნავლი, მიდი, გაიარ შენ გზაზე.

მეტი არაფერი უკადრებია. მაგრამ თათიამ სხვა დაინახა. ახალი სიო იგრძნო. განა ჩემ სიტყვას ფასი მამასახლისობის გამო ჰქონდა? და ვაითუ: და ექვმა პირდაპირ საგულეში შეუყო ჭუჭყიანი ხელი. დალმართი აათავა, სახლში წყნარად შევიდა. და ცოტახნის მერე ლელას დაუძახა: ისეთა კაცა რო სიტყვას შამაგიქცევს, აღარ ღირს სიცოცხლე! დარიშხანი მაქვ მიღებული და სოფელს უძახი! საღამომდე კიდევ მაცოცხლებსა და მოვიდან, თუ რაიმე მაქვ სათქმელი, გამავეთხოვები ხალხს. მოგროვდნენ შეშფოთებულები: ეს რა გიქნავ, ვის გულისად, რაის გულისად? თათიამ თავის სათქმელი მოახერხა, ყველას პატიება სთხოვა, თუ რამე წყენას უტოვებდა და მადლობა გადაუხადა. ლელას:

— ამ შვილებს რომ გასაზრდელებს გიტოვებ, მაწუხებს და მაპატიეო. მართლა რო გაწუხებდეს, არ ნახვიდოდი, ვერ გაპატიებო, — უთხრა გიორგათ ქალმა.

გარსიას უთხრა: — ლხინში რომ არ გაწიე, მაპატიე, არ დამვიწყებია, ვიცოდი უშუღლარად არ დასდგებოდი და ამირევდი ხალხს. არ მინდოდა, მშვიდობიანად მინდოდა სტუმრების გაშვება, ეხლა პატიების ნიშნად შენ დამილაგენ თვალნი სიკვდილიდგე. გაიცინა, გარსიას ხელი გამოართვა და ვიდრე სული არ განუტევა, არ გაუშვია.

მამის დაკრძალვის მერე უფროსებმა გადაწყვიტეს, ლადო უნდა წამოვიდეს არხოტიდან და ისწავლოსო. ბევრი ახალგაზრდა მიდის ფშავიდან, ხევსურეთიდან და როგორც ისინი, ისე ლადოც წავიდეს თბილისში. არაფერი გვიანი არ არის, როგორც სხვებმა, მაგანაც ისე მოახერხოს. ზოგმა ანბანიც არ იცის, ძალიან ნიჭიერები არიან, ყველაფერს სწრაფად ითვისებენ, — ამბობდნენ თბილისელი მასწავლებლები.

ჯერ კიდევ ოცდაოთხში ლადოს უფროსი დაი ნათელა და სიძე ალექსი წავიდნენ ფშავში და შუაფხოში ცხოვრობდნენ, მტკიცე მიზნით, რომ შვილებისთვის განათლება მიეცათ. ეხლა ლადოს წაყვანაც იმათ ითავეს.

თომამ და ლექსომ ნათელაის დასწრებით დათქვეს, რომ დღეიდან მათ შორის სიტყვიერი შუღლი ჩამოვარდებოდა, ერთმანეთს საჯაროდ გაუწყრებოდნენ, საწყენებს ეტყოდნენ. თომა ლექსოს კომუნისტებთან შემგუებლობას დააყვედრებდა.

ამ შეთანხმებას უახლოეს ოჯახის წევრებსაც არ გაანდობდნენ. სახიფათო იყო... ლექსო თბილისიდან თომას აწვდიდა პარიზიდან არალეგალური გზებით შემოტანილ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებსა თუ სხვა ლიტერატურას. ერთი იყო საფიქრალი, მათი მოგონილი მტრობა გვარებს შორის არ გადასულიყო. ახიელაში ოჩიაურები ჭარბობდნენ და თომასთან მეგობრობდნენ. უნდა ეოსტატა სიძე-ცოლისძმას, რომ მათი ურთიერთობა სოფლელთათვის უფრო გაკიცხვის თემა გამხდარიყო, ვიდრე ფართო მტრობისა, ნათელაც ამ თამაშში მონაწილეობდა. და მიზანსაც აღწევდნენ. მითუმეტეს, ლექსო ახიელაში წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მოახერხებდა გადმოსვლას.

ღამის ზმანებებით აფორიაქებული ლადო ნევის სანაპიროს გამოუყვა. ყოველთვის მოსწონდა ამ სანაპიროზე გავლა. ყველაფერი სწორი ხაზებით შემოფარგლული. სანაპირო შენობების, ტროტუარის დიდი წითელი გრანიტის ლოდები. მდინარის ზედაპირი, ყველაფერი ჩარჩოში იჯდა. მხოლოდ ხეები, მწკრივში დარგული ხეები, განსაკუთრებით ზაფხულში აძლევდნენ სიცოცხლეს ამ განზოგადებულ, გეომეტრიულ სამყაროს. ეხლა მდინარე ჭვარტლის ნალექისგან შავი იყო და სწორ ზედაპირიანი, უძრავი შავი მასა არაფრით ამჟღავნებდა, რომ ეს სუდარა მდინარეს ფარავდა. მანანწალა ძაღლის ფუსფუსით გაერთო. ძაღლი ერთ ადგილას უტრიალებდა და თოვლი გადაექექა, ორი დარბაისელი ყვავიც შორიახლო ბოლთავდა და ძაღლის წასვლას უცდიდა. ძაღლმა ვერაფერს მიაგნო, ყვითლად დანიშნა ადგილი და პატარა, მოხრილი ფეხებით გაღმა სანაპიროსკენ მოუსვა, ყვავებმა იმისი ძიება გააგრძელეს.

ახალწლებზე ბორიაც და რუსაც თავის სანათესაოსა თუ სამეგობროში ისვენებდნენ. მოენატრა. ზეგ მოსძებნის, დღეს კი ძილის მეტი არაფერი უნდოდა. საცხოვრებელთან ნიურა შეხვდა. რანაირად იყო ყოველთვის და ყველგან? ძილი მინდაო, მხოლოდ ძილი, შესჩივლა და იმანაც მოუძებნა განცალკევებული პატარა ოთახი ერთი საწოლით. აქ არავინ შეგაწუხებსო. ღამით ისევ არხოტი ეწვია. ისევ თომა. და აკვიატებული აზრი, რომ თომას მარტოსულობას ის დაუდებს ბოლოს. ოღონდ მოუსმინოს. თომა შეუვალი იყო თავის რწმენაში. და ამის შესახებ ყველამ იცოდა და არავინ ცდიდა მასთან ამ თემაზე სერიოზულ საუბარს. თბილისიდან სხვადასხვა მიზეზით ჩამოსულ ინტელიგენტებთან საუბრისას არ მალავდა გაოცებას არხოტიონების ტაქტის გამო.

ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ თომასთვის უდიერად შეექციათ სიტყვა. ბევრჯერ მოუხდა ხევსურული შუღლი იარაღით, და არცერთ მოშუღლარს სიტყვა, სიტყვაც კი არ უკადრებია მისი რწმენის გამო. პირიქით, სრულიად პირიქითაც, შუღლის დროსაც ადასტურებდნენ მისდამი პატივისცემას.

გორული ჯვარის დეკანოზი ბაბუა ოჩიაური და თომა გააშველეს სოფლელებმა, შარაზე ატეხილი გაწევ-გამოწევის დროს და ისე მოხდა, რომ მაშველებმა თომა დეკანოზის სახლის ბანზე შეაგდეს. გააფთრებული ბაბუა კი შარაზე ჰყავდათ დაჭერილი.

მაშველები ძლივს აკავებდნენ მაშუღლარებს და ბაბუას დიაცი ჭერხოდან გადმოდგა და თომას ეუბნება, თავის ქმართან მოშუღლარს: რა ყურს უგდებ მაგას? ხო ხედავ მთვრალი, შამაე აქ, შინ. თქვენ რო შარაზე შუღლი დაიწყით, მე ხორციანებ მავახვი მაშინ. ტაბლა მიდგას, არაყიან ბოთლაიც მაქვ. შამაედი, მაგან შარაზე იარას, ალმაჩალმ, ვიდრე მაფხიზლდების.

შევიდა თომა... დიაცმა ლუკასაც სთხოვა შესვლა, ჯაბუშანურს, ახალგაზრდებმა იმეშვლონო. შენ აღარ ხარ საჭირო, აქ მობრძანდიო. დასხდნენ თომა და ლუკა და ძალიანაც მოილხინეს. ხანდახან აღწევდა ბაბუას ხმა: უყურეთ

მაგ უნამუსოს, აქ ჩემკენ ხანჯრით იზიდებოდა და ეხლა ჩემ ტაბლაზე სტუმარსაც არაყს ასმევსო.

ქავისკართან მსხვილმა კალმახმა იწყო მობმა და კარგა დაიჭირეს, აღარ მახსოვს, რამდენი წლის წინათ უკანასკნელად ვიკალმახეო. არაფერი ასვენებს ადამიანს ამაზე მეტად. ყველაფერს დაგავიწყებს. თბილ, მწვანე ბალახზე ჩამომჯდარმა თომამ, თითქოს თავისთვისო, ისე თქვა — ცეცხლი დაავზეს. ლადოს მარილი წამოეღო და ღადარზე შეწვეს საკმარისი. შინაც წაიღეს. თუთის უყვარს განსაკუთრებითო, — თქვა ლადომ. თომას გზაში გუნება გაეხსნა, ჩეჩნებზე უამბობდა, ბათხიევზე, ძალიან აქებდა. რუსეთში სადაც ვიყავით, არასოდეს დაგვივიწყებენო, ბოლშევიკების რისხვად ვიქეცითო. იმედი მქონდა და ეხლა ვხვდები, რომ ველარასდროს შევხვდები ბათხიევსა და იმის ჩეჩნებსო.

კალმახობის დროს სრულიად იცვლებოდა, ლადოს ტოლივით, ბავშვივით ექცეოდა, ბევრს ხუმრობდა. ახიელაში რომ არავის ენახა ასეთი აჭაცებული, აქ ყველაფერზე მხიარულობდა.

ერთხელ თომამ: ხიდზე მოვლა მეზარება და ფეხზე უკვე გახდილი მაქვს, მოდი, მხედრულად გადაგიყვან წყალზეო და უარი აუკრძალა, ჩქარა შეასრულეო! — უბრძანა და ზურგი მიუმარჯვა. გაღმა ნაპირს რომ მიუახლოვდნენ, ლადომ კარგ მორევში დაუთრია და თომამ ნაპირზე რომ ჩამოსვა, დიდი, ზანზარა კალმახი გაუტარა ცხვირწინ.

გაკვირვებულმა თომამ შენ ჩემი ზურგიდან იჭერ კალმახსო? და თხილის საკალმახე ჯოხი გადაუჭირა ბეჭზე, მერე უფრო ქვევით და მოსცხო და მოსცხო, ვიდრე ლადომ არ იკადრა განზე, მიუწვდომელ ადგილზე შეხტომა.

უყურე ერთი ამის თავხედობას, საფერხედ მაქცია, და ჩემი ბრალიაო. გაგათამამეო. ძალიან გაბრაზდა. დიდხანს მიდიოდნენ უბრად, მერე: — კალმახი რომ უფრო პატარა დამეჭირა, მაშინაც ეგრე გასცეცხლდებოდიო? და ორივემ მხოლოდლა გაიცინა. მერე კიდევ და კიდევ ეცინებოდა თომას.

ისევ გაუფრთხა ძილი. ხვალვე უნდა მოძებნოს რუსაც და ბორიაც და დაუბრუნდეს სწავლის რიტმს. იმიტომ არ წამოსულა ესე შორს, რომ ისევ არხოტზე ფიქრი ერეოდეს. უკვე თითქმის ყოველ ღამე... ეხლა გატეხილ ღამეში გაიხსენა, რომ, როცა გაიცნო მარუსია, რუსია ვერა თქვა. რუსა უფრო მოახერხა და ბორიაც და ლამაზი მარუსიაც ძალიან გაამხიარულა. მაგის მერე ბორიაც რუსას ეძახდა, კავკასიური აქცენტით. იმასაც მოსწონდა და დღეიდან ეგრე დამიძახეთო.

თვითონ ბორისმა იპოვნა. ძალიან გაიხარეს. ჩემთან წავიდეთ, რუსაც იქ გვიცდისო. სხვებიც იყვნენ ლექსებით, არყით. ლადო და რუსა თავისთან დატოვა ღამით. მონატრებული ალერსით დაღლილს მკვდარივით დაეძინა. ესიზმრა: ნევის სანაპიროზე მოდიოდა მარტო. მარტო, სრულიად მარტო. ქუჩები ცარიელი იყო. გრანიტის სახლებში სინათლე არ ჩანდა. შავი, შავი სილუეტები. ნევას გადახედა. შავი ნევა ცოცხალივით იზნიქებოდა ზევით-ქვევით და დამსკდარი შავი ქერქიდან წითელი ლავა ხან ფართოდ, ხან წვრილად ანათებდა. თეთრი პატარა ძაღლი ისევ ეძებდა რაღაცას. მთლად გამელოტებულიყო. ლადოსაც ამოხედა. თვალები უცნაურად დაწვრილებოდა. ყვავებიც იქვე იდგნენ. ოღონდ უძრავად. შავ ფრაკებში, როგორც პანაშვიდზე. ძაღლი გაშეშდა და ნაპრალებიდან გადმოღვრილ გავარვარებულ სისხლს აღტაცებული უყურებდა. მელოტი თავი წითლად ულაპლაპებდა. თვალები ველურად უელავდა.

თოფნაკრავივით გაეღვიძა. რუსას ღრმად ეძინა. სწრაფად ჩაიცვა და უაზროდ გავარდა ქუჩაში. გათენებამდე იხეტიალა.

როგორც ყოველთვის, ეხლაც ყველგანმყოფი, კეთილი ნიურა დახვდა, შესასვლელში: შენი ბიძა იყო, მაღალი როა, წითური, წერილი დაგიტოვაო.

„წაიკითხავ თუ არა, მაშინვე წამოდი, ტანსაცმელის მეტი არაფერი წამოიღო! ნიკო". უმალვე წავიდა. იგრძნო ავი.

მელანია ველარ ლაპარაკობდა. ხავილი ამოსდიოდა ყელიდან — დეპეშა მოვიდა თბილისიდან, ნათელას გამოგზავნილი: „თომა მოკლეს, ლადო წამოვიდეს. ნათელა". დანარჩენი არაფერი იცოდნენ. ბილეთი ორჯონიკიძემდე აღებული მაქვს. საღამოს რვაზე გადის. მე გაგაცილებო, — ნიკომ თქვა.

ცოტა დანაზოგი თავისი ჰქონდა, ნიკომაც დაუმატა: კიდეც დაგრჩება. თბილისში გზა გახსნილი არ იქნება. ჯუთაში მოგიწევს ასვლა. ეცადე, ყურადღება არ მიიქციო. მოახერხე, ღამე იმოძრაო. კარკუჩაში მარსაგიშვილებთან გაათიე. რამე ეცოდინებათ, თან სანდონი არიან. დანარჩენი შენ იცი. ადგილზე გაარკვევ ყველაფერს. საღამომდე თავზარდაცემული უსიტყვოდ იჯდა. არ ლაპარაკობდნენ. მელანია შეუჩერებლად ტიროდა. სადგურზე ნაცნობი არავინ შეუმჩნევიათ. დაიძრა მატარებელი. ფანჯრიდან მოჩანდა, ნიკოს სილუეტი როგორ გაცურდა სველ პერონზე და სიბნელეში გაუჩინარდა.

კუპეში მკვდარივით დაეძინა. დილით ჩაი მოითხოვა და კიდევ დაეძინა, უფრო სწორად, კი არ დაეძინა, არხოტში გადაცურდა უწონოდ, რაღაც ძილღვიძილის შეპყრობილი.

ბორიას ცხრა საათზე დაურეკა ნიურამ: ბიძამ მოაკითხა, ტანსაცმელი აკრიფა და საჩქაროდ წავიდაო. წერილი ჩვენ ქართველს ვათარგმნინე და იქ არაფერი ეწერა ისეთი. თვითონ რაღაცა დაყნოსა. კავკასიელია, ხომ იცი. დასთან მივა და ყველაფერს გაიგებს. ალბათ რამდენიმე დღეში წავა, საერთოდ, თუ წავიდა, ვნახოთ. ხვალ დაუკავშირდით თბილისს და ყაზბეგს. არ უნდა დაუშვან მაგის გადასვლა აულში. თუმცა ჯერ თოვლი იქნება კავკასიონზე. მაგრამ, ალბათ, ერთ თვეში შესაძლებელი გახდება გადასვლა. ამდენი შრომა წყალში ჩაგეყრებათ თქვენც და მეც. ბორიამ: აღარსადაც არ წავა, ეგ ჩვენია, და საჭიროა სადაც იქნება, იქ გაგრძელდეს მუშაობა. თუ აქ დაბრუნდა, აქ, თუ თბილისში წავა, იქ! ბორიასაც და რუსასაც უკვე მობეზრებული ჰქონდათ დაკისრებული როლის თამაში და ვიდრე თბილისს დაუკავშირდებოდნენ, თავს დასვენების უფლება მისცეს. გადაეჭდნენ ერთმანეთს. შენ როლი ძალიან გსიამოვნებდაო, უტიფრად, ყველასგან დაუფარავად ეალერსებოდი კავკაზეცსო. როცა ლოშნა მოამთავრა, უთხრა ბორიამ.

როგორ მოუვიდა ეს? რა არაკაცურად მოუვიდა, ერთმა წუთმა დაავიწყა ყველაფერი. ბორიასნაირი მეგობარი ხომ ჯერ არ შეხვედრია. და ყველაფერი ერთ წუთში როგორ ამოუვარდა თავიდან. არც გამოთხოვება, არც მადლობის თქმა, რა უნდოდა დარეკვას, სირცხვილია, მაგრამ რუსას გარეშე ცხოვრება აღარ წარმოედგინა. და თავად ბორგავდა ძილღვიძილში, მეორე ღამე იყო თუ დღე. სამარცხვინო ფიქრებით გალია დრო, ვიდრე მატარებელი ორჯონიკიძეში ჩამოდგებოდა. ორჯონიკიძეში დილა იყო. დავიწყებული ხმამაღალი საუბარი, ამდენი ხანი რომ არ გაეგონა. ქისტების, ოსების, ქართველების. ყვირილით ლაპარაკი მანძილზე დაშორებულ მოსაუბრესთან.

ყური გადაჩვეულიყო. ესე მოკლე დროში? ორი წელი. თუმცა სამყაროს მოწყვეტილ რუსულ ენაში შეხვეული ცხოვრება. გამოვიდა ქუჩაზე. ნახა, მძღოლი როგორ აგროვებდა მგზავრებს ყაზბეგამდე და მიადგა.

— რამდენ ხანში ნახვალ?

— მე შენ გითხრა, ასარჩევად გიდგას მანქანების რიგი. როცა მოგროვდება მგზავრი, წავალ. მერე შეხედა და: ჩქარა წავალ, ჩქარაო. — წამო ჩემთან, კაბინაში დაჯე, არ დაგაგვიანებ.

მართლა ჩქარა დაიძრნენ. თერგი დაინახა და „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, მთანი ბანს ეუბნებიან"... ამოტივტივდა, ყველაფერი როგორ ღიად ხმაურობს: კაციც, თერგიც. წელანცა დაინახა, ცის ფერი. რამდენი ხანი არ ენახა. წელი? ორი წელი? რა ხდება, როგორ ჰქონდა ეს ყველაფერი დავიწყებული.

— რა გქვიან? სადაური ხარ? მე ვალიკოს მეძახიან! — ვითომ გალმა იყო, ისე ხმამაღლა შემოჰკითხა მძღოლმა.

— ლადო მქვიან. გუდამაყრელი ვარ. დაი მყავს ხევსურზე გათხოვილი და იმის სანახავად მოვდივარ ჯუთაში. რუსეთში ვცხოვრობ.

— ვისა ჰყავს შენი და ჯუთასა? — არ მოისვენა ვალიკომ.

არა, არასოდეს გამოსდიოდა ტყუილი და ეხლა, როცა აუცილებელი იყო, მთლად დაიბნა.

ვისა ჰყავს დაი, მანდ გუდამაყრელი დედაკაცი არავისა ჰყავს.

— არა, მანდ სტუმრად არი ნათესავებში, თოვლმა მოუსწრო და მთაზე ველარ გადავიდა, — მოახერხა ლადომ ახალი სიცრუე.

— ნუ მეტყვი, თუ არ გინდა, უკაცრავად, რო შაგაწუხე. ვიფიქრე, ბალიაური ხო არ არი, იმასაც ლადო ჰქვიან და ლენინგრადში სწავლობს, იქნება ის არი და სისხლის ასაღებად ხო არ წამოვიდაო? ჯუთაში დაცა ჰყავს გათხოვილი, ერთი კი არა, ორი დაცა ჰყავ მანდა.

— ვისი სისხლი აქვს საძებარი? — ხმა შეეცვალა ლადოს.

— თომა რო მაკლეს, ბალიაური, თვეც არი გასული. აქ კი გვიან გავიგით. მაგათ სახლში ცხოვრობდა, ლადოს დედმამასთან, არხოტში.

— ყველაფერი გცოდნია, ვინ მოკლა? გეცოდინება. — ხელოვნური ღიმილით, ვითომ მე არ მეხებაო, მთლად სულელურად იკითხა.

— მამიდაშვილმა მაკლა ამლაში. თომაი 21 წელს, დარიალს რო ბალშევიკები მაადგნეს, გვარდიელებსა და ჩვენებურებს ხელმძღვანელობდა. ერთი ბალშევიკი არ შამასულა დარიალს გზითა. ჩემი უფროსი ძმაც თომას ედგა გვერდში. ჩვენსაც ყოფილა სტუმრადა. კარგა მახსონს, ლამაზი ვაჟკაცი იყო და ძალიან მამაცსაც ამბობდნენ. შენ ალბათ თოვლის ალებას მაუცდი და გადახვალ ბაკურხევსა. უკაცრავად, რო შაგაწუხე, ცხვა მეგონე.

ლადომ შეამჩნია, რომ მახევემ, ვითომ შეეშალა, გუდამაყრელის მაგივრად ბაკურხეველი თქვა. რაც კარნახის



გაბრიელ ჯაბუშანური

ტოლი იყო, ასე სჯობიაო. ბაკურხევში ხევსურები ცხოვრობდნენ და უფრო გაუიოლებდა ვინაობის დაფარვა, თუ საჭირო იქნებოდა.

ვალიკომ ხალხი ყაზბეგში რომ ჩამოსვა, ლადოს მიმართა, შენ ცოტახანს მამიცადეო.

ლადოს გაახსენდა, როგორ შესჩივლა მამამ, თათიამ, ერთხელ თომას: რა ეშველება ამას, ასეთ ადვილმოსატყუებელსო!

დედის ფერი, რას იზამს, ცხოვრებაში როგორ გაიკვლევს გზას?

ვალიკო, როგორც ჩანს, ყველაფერს მიხვდა და მხოლოდ ზრდილობის გამო აგრძელებდა თამაშს: ფიქრობდა: ვისაც გინდა, იმის სახელი დაირქვი. მე ვიცი, ვინცა ხარო. და როგორც შენ გინდაო.

ცოტა ხანში დაბრუნდა; დიდი თეფშით ცხელი მწვადი გამოიტანა. ერთი ჩანგალი.

მიირთვი, მოგშივდებოდაო. საიდანღაც პატარა არაყიანი ბოთლი ამოაძრო, პატარა ყანწიც და თითო გადავკრათ, მოგიხდებაო.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ეს შენ საქმეს, ეს თომას შესანდობარი იყოსო. — შეინახა ბოთლი. თვითონაცა და ლადოსაც გადააკვრევინა. მე მიგიყვან საჭირო ხალხთან, მარსაგიშვილები ცხოვრობენ კარკუჩაში და ბაკურხეველი ნათესავებიც ჰყავთო. ლადო აღარ ლაპარაკობდა. არც ვალიკომ გააგრძელა და ესე ჩუმად, კაი ნჯღრევის მერე — ესეც კარკუჩაო.

— იჯე! — უბრძანა, — მე ეხლავე მოვალო და კიდევ დაიკარგა. ჩანთით გამოჩნდა — ეგ შენი ფეხსაცმელი ძალიან გამოსაჩენ კვალს ტოვებსო, მოხეური ბანდულები მოუტანა. ქუდიც მოხეური, განიერბეწვიანი დაბალი ფაფახი მისცა. ესე სჯობიაო. გამონაცვალი ჩანთით წაიღო და ორ კაცთან ერთად გამოჩნდა.

— აბა, გადმაბრძანდი, გაუმარჯოს ბაკურხეველ ბიძაშვილს! — უთხრა მაღალმა და გადაეხვია. მეორემაც გადაკოცნა. მე როსტომაი ვარ, ტომეეთი.

ვალიკო გამოეთხოვა. ხელ მაგიმართას საქმეში! — მოეხვია. მაგრად ჩამოართვა ხელი და მანქანიანად გაქრა.

მარსაგიშვილებმა სახლში შეიყვანეს. ჩვენ ნათესავებად ვერგებით ერთმანეთსა, იცოდე ჩვენი სიახლოვე. იცოდა, როგორ არ იცოდა. მაგათი სტუმრობაც ახსოვდა არხოტში. ახსოვდა, თომას რომ შეხვეული ჟურნალ-გაზეთები გადმოუტანეს და გერმანული შაშხანის ვაზნები.

აი მოხევეებზე ყოჩაღი ხალხი არ არსებობს! — ამბობდა თომა. — საიდან იციან ყველაფერი, და ყველაფერსაც შოულობენ.

ტრაპეზის მერე: — ეხლა შენ დაისვენე, დაიძინე. ჩვენ გაგაღვიძებთ, როცა საჭირო იქნება. ჯუთაში სიბნელეში სჯობიან მისვლა. არსენაი გამოგყვება და ცხენებსაც ეგ დააბრუნებს. თუ შესაძლებელი იქნება მთაზე გადასვლა, ჯუთაში ეცოდინებათ, თორემ გუშინწინ შენი წამასვლის

შესახებ ლენინგრადიდან აცნობეს ყაზბეგის ჩეკას: ნუ გადაუშობთ არხოტშიაო, შენზედა.

ჩეკაშიით გამოდიოდა ხმა და ბევრმა იცის, რო შენ აპირებ არხვატს გადავლასა. შენს მეტი საქმის გამკეთებელი აღარვინაა. ჰოდა, არხოტში რადიოკავშირია ყაზბეგთანა და შეიძლება შენი ჩამოსვლა შეატყობინონ, ამიტომ ისე გააკეთეთ, რო შენ ვითომ მთას ვერ დასწონე და უკვენ დაღბრუნდი. ლენინგრადში თუ სხვაგან სადმე. გიგიტა რას გირჩევს, კიდევ სხვა არი. შენც შენი ჭკუ გაქვ.

ბინდისპირზე გაალვიძეს. თბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

— აბა, ღმერთი გეწეოდეს!..

მეზობელი სახლის ბანიდან ცნობისმოყვარე ბალღები იყურებოდნენ, ერთმანეთს ეფარებოდნენ.

არა! აქ ყველამ ყველაფერი იცის, — გაეღიმა ლადოს.

ჯუთაში გიგიტას სახლს ბნელში მიადგნენ. არსენა დაბრუნდა. აქ საჭირო არ არის, ვინმემ დამინახოს. აბა, კაი ამბის მოლოდინში ვიქნებით, ღმერთმა ხელი მაგიმართოს... წავიდა დაღმართში, გაუჩინარდა, ნიავს ცხენის ფეხის ხმა კიდევ ამოჰქონდა.

გიგიტაის დიაცს თარუას, ლადოს დებში ყველაზე უმცროსს, შინაურები ტუნტოს ეძახდნენ. ყველასგან განებივრებულს ლადოს ნახვაზე გული ამოუჯდა და დიდხანს ტიროდა, ლადოს მხრებს ეფერებოდა. აუ, რამ მაგიყვან? ღმერთო მაღალო, თორე გული აღარ სძლებდ, რო არვინ გამაჩსინდით! ღმერთო მაღალო, იდიდას შენ სახელი, დიდო გორულო ჯვარო!

ლადომ შეამჩნია, აქ არც კი ეკითხებიან, რისთვის ჩამოვიდა. შეუძლია თუ არ შეუძლია. და ბოლოს: აპირებს წლების წინ სასწავლად ჯერ თბილისს, მერე ლენინგრადში წასული წესის ასრულებას. იქნებ სხვა ჭკვაზეა ჩამოსული. ნასწავლებს სხვანაირად აქვთ ცხოვრება მოწყობილი.

სვინდის-ნამუსის საქმეს უცხო ხალხის სასამართლოს ანდობენ.თ ავის ასალებ სისხლს უცხო ხალხის გასარჩევად იმეტებენ. არ არი ეს იმათთვის სირცხვილი, მერე კაცებად დადიან ქვეყანაზე, — ფიქრობდა ტუნტო, მაგრამ დედის ნებიერმა ისიც იცოდა, რა ფოლადის ნატეხი იყო მაგის ძმა, თათიას შვილი.

გიგიტამ: თუ დასწონ მთას, ხვალ ჯობ შენ წასვლა. რადიოს იჭერენ კვირაში ორჯერ არხვატსა და თუ გაიგეს შენ ჩამასვლა, გაფრთხილდებიან ამლიონნი.

გადასცა თომაის დანაბარები, რომ მომკლავის მამა მოკლან და არა თვითონ მომკლავი ახალგაზრდა. შვილს მამა აქეზებდა. ორჯონიკიძესთან მეგობრობას გამოიყენებს და შეიძლება ლადო დააჭერინოს, იცის, რომ ბალიაურები აღარავინ არი სისხლის ამღები და იკადრებსო.

ჩიქოვანიც არხოტში მაგ დავალებით იყო გადმოსული, რომ თომას მოკვლა მოემზადებინა, — უთხრა გიგიტამ: ვერ მაასწვრ, მაკლ ბალიაურმ.

ვახშამზე ტუნტომ სიცილ-ტირილში მოიგონა:

ზაფხული იყო და ბანზე რო ავჴე, შამავბრუნდი და სოფელს გადმავხენე და უცხო ხალხი ვნახი, ქალაქურად ჩაცმულები და არ იყვნეს აქაურები და ქაზდარში რო შაველი, ტახტზე თომაის თოფი და მასრანი ვნახენ მიყრილები. თომა უაიარაღოდ ზაფხულში ნაბიჯს არ გასდგამდა. და დედაო, — უძახი, სად ასავ თომაივ. ქვენ ჩაიარავ. კალოთანელთ ბანზე ფეხონიაო და გავირთავავ.

ავიტაც ე თოფ ერთ ჴელში, მეორეში პატრონტაში. ჴელნ ალმ აწეულნი, აი, ეესრ იდაყვში მახრილები. ცოტა ვიყავ მაშინა და თოფს მიწას სად გავზდებდი თუ არა ეგრა და განა გავიქეცი? გავფრინდი. ვერც ვისა და ვერც რას ველარ ვხედავდი და სოფლის ბოლოში სადამ, აი, მასულებს ქოო ზედ შავასქდი. და თომა არ დგასა იმათ შუაში გაცინებული. აი, სხვებიც გაცინებულის პირით მიაზრებდესა და თომამ მაშივ ამირქოლა და — ჩემო ჭკვიანო! — კოცნა დამიწყ! მე ტირილ დავიწყი, ამამიჯდ გული. რაირა მატირებდ მაში, რაი მქონდ სატირალი. როგორ ბედნიერეებ ვიყვენით მაშინა და ვერც ვიცოდით.

მასულებში ერთ ვერა იყვ, ძალიან კა ქალი, მემრ თომასა და იმას მასწონდ ერცხვაი და არ იმჩნევდესა კი. მგონი, ერთ მხატვარ იყვ, კაკაბაძე დავითი. ისი და თომაიც გაუყრელებ იყვნეს. ისეები დიდხანს დარჩეს არხოტ, თავის საქმეები ჰქონდ, მეცნიერებ იყვნეს. აი, თომაი და ვერა კიდევ აღარას იგებდეს სხვებისას, ველარ ღმალევდეს სიყვარულს. თუ ახლოს ვინ იყვ, სუ რუსულად ამბობდეს. სუ საუბარში გალიეს აის ზაფხული.

დილა ლამიანად, როგორც ვახშამზე დათქვეს, ვეშათ წყარომდე შეიარეს, ფეხსაცმელები გადაცვალეს, ლადოს უცხო კვალის მბეჭდავი ბათინკები ჩაიცვა გიგიტამ, ლადომ მარსაგიშვილების მოფიქრებული ბანდულები და ჯერ გათენებული არ იყო, რომ უცხოური, ლადოს ფეხის კვალი გიგიტას სახლში დაბრუნდა. მეორე დილა, თენებისას, სოფლიდან ჩალმა ყაზბეგისკენ გაიტანა გიგიტამ ლადოს ფეხსაცმელის კვალი და ცხენით დაბრუნდა, ქვემოთ რომ წისქვილებია, იქიდან.

ყაზბეგიდან ჩეკას დაშიფრული ტელეგრაფით აცნობეს თბილისს. რომ სუბიექტი ვერ გადავიდა მთაზე და უკან დაბრუნდა. ჯუთაში აღარ დარჩა, ეტყობა, სადღაც ეჩქარება, ან თბილისში ან ლენინგრადში. ყაზბეგში კვალი დავკარგეთო.

ჯუთიდან არხოტში გადასავალი მთა კავკასიონის ქედია, ძალიან გრძელი და მაღალი ყოფილიყო, ამდენი ხნის ფეხგაუშლელს ძალიან გაუჭირდებოდა, მაგრამ ქარებს თავისი გაეკეთებინა და გადასავლამდე იოლად მიაღწია.

ჩრდილო კალთებზე მაღალი თოვლი იდო, მაგრამ ზვავებიც უკვე ჩამოსულიყო. და სათავიდან ქვემოთ რომ ჩანჩქერებია გადაჭიმული, თოვლმოყრილ ფირნზე სრიალით იარა. გიგიტასგან წამოღებული სქელი მაღალი ჯოხი ძალიან გამოადგა. შემდეგ ცირცლოვანამდე უკვე ღრმა თოვლი კვალა და ახიელის ბოლები რომ გამოჩნდა, მოფარებული ადგილი შეარჩია, დაღამებამდე რომ გაეძლო ყინვისთვის.

ლელა და თუთი თომას დაკრძალვის მერე მარტონი დარჩნენ სახლში და ღვთისოს, ოჩიაურს, ლადოს სიყრმის მეგობარს, სთხოვეს ღამე მაგათთან ეთია. შიშმა დაისადგურა უკაცო სახლში. ხვთისომ ჭერხოში გადმოინაცვლა. ვახშმობის მერე კიდევ ცოტას წაისაუბრებდნენ ხოლმე და მერე ადიოდა ჭერხოში დასაძინებლად.

არც ახიელლები იყვნენ გულგრილნი გაუკაცურებული სახლის მიმართ.

თუთი პირველი ცოლისგან ჰყავდა თათიას და ლელა მის მიმართ განსაკუთრებულად ხათრიანი იყო, როგორც მის ღირსებას შეჰფეროდა.

თავისი ოთხი ქალის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი, თუთის არასდროს მიუთითებდა საქმეზე ან ქცევაზე. ლადო ამდენი დისგან ცოტა ზედმეტად განებივრებული იყო.

მშობლების მიერ შვილისადმი სითბოს, სინაზის გამოხატვა სირცხვილია და ლელაც შესაფერისად თავშეკავებული იყო. თათია კი ზედმეტად, ზედმეტად მკაცრი. ისე, საუკეთესო იარაღი და ულამაზესი წითლა კი მამამ უყიდა.

ერთხელ გორული ჯვარის კალთაზე ორ ძმათ უფარა და ორივე დაჭრა. დალმართი სათიბემდე ხანჯრების პრიალით ჩამოიარეს ამლიონმა ძმებმა და ლადომ და ვერ დაჰკრეს. ძალიან სწრაფად ხმარობდა იარაღს. ბექზე უძრავად გადმომდგარი, უსიტყვოდ უყურებდა თათია, ვიდრე მეშვლებმა არ გაათავთავდეს. სულ ბოლოს უკან-უკან ნაბიჯის დგმითა და ფარებით ბალახში დაფარულ ქვას დაეჯახა ლადო და გადაიქცა. ორთაგან ერთი ძმა ზედ წაადგა და მაშველმაც მიუსწრო. მინდოდ ხანჯრის წვერით მამეჩხვირა და მავჰკლევდ კიდევაც, ისე ვიყავ გაბრაზებული, მაგრამ ლელა მამგონდა და ერთის ვაჟის დედა ვერ გავიმეტეო, — ამბობდა შემდეგ დაჭრილი, თავზე ჭრილობას რომ უხვევდნენ. ეგ ისეთი ამბით იფარებდა ხანჯარს და სცემდა, რომ, ვშიშობ, ნაჭრევისა ძალიან უნდა ეშინოდას. — თქვა თათიამ, თორე რა იქნებოდ გასაკვირი, რომ ერთი იმათაც დაეკრ.

იმ საღამოს ხვთისომ: ცოტა დავიღალეო, ვახშამზეც უარი თქვა და ავიდა დასაძინებლად.

ჩამონვა ფიქრისა და დარდის გაუსაძლისი ღამე.

...თუთიმ, გარედან რომ ხელი შემოეხვია კარის ნაპირს და ფრთხილად აღებდა, იცნო ძმის ბალღობიდან მრავალგზის ნაფერები და ნაკოცნი ხელი და გაშრა, ალბათ მეჩვენებაო. ლადო შემოვიდა და კარი მიხურა. ლელამაც თავი ასწია, სულ რომ ძაფს ართავდა და: — აუ! შენ ხარა, ბაბუავ! ბაბუაი ხარა? (ხევსურეთში დედები ვაჟებსა და ქმრებს სახელით არ მიმართავენ, არასოდეს ეფერებიან საჯაროდ). ლადოც თუთის მოეხვია.

— რაჴელ ხართ? რაჴელ? ძალიან დალონებულხართ! თუთი უაზროდ იცემდა ფეხზე ხელს და გაუგებრად რალაცას ბუტბუტებდა. საით მახვე, მთა მარტუამ გადმაიარე? — ლელამ ჰკითხა. ვაჲ შენს დედას! რო ან ზვავს დაელიე და ან სხვა ნადირ რა შაგყრიყვ.

დასვეს. ცეცხლს შეუკეთეს. ლელამ თუთის სთხოვა, ხვთისოს უძახე, თორე სირცხვილია, არ ეგონოს, რომ რამეს ვუმალავთო. ხვთისოს და ლადოს ბევრი შულლიც ჰქონდათ გადაყრილი ერთმანეთის მხრის ჭერაში და ბევრი სეირის მოგონებითაც ხშირად ერთობოდნენ. ძალიან გაიხარეს ერთმანეთის ნახვით. ტაბლას მოუსხდნენ და ბევრი, ბევრი ისაუბრეს.

თომაის მაკვლისაც და შემდეგ მამკლავთა საქციელისა ლელამ იცის და გიამბობს, — თქვა ხვთისომ.

— გიგიტამ ჯუთაში მიამბ მოკვლის ამბავი, როგორ დაჰკრ უმეცარმა თოფი ფანჯრიდან მეგობრებში მოლხენით ეგრე მისვენებულს.

ძალიან ცუდად მაკლეს, თოფ დაჰკრეს ნათესავ, მინდობილ კაცს, — თქვა ხვთისომ. მაკვლის ამბავსა და ჩვენგან მაგის გაგებას ველარ გიამბობ, ცა დაგვეცა და აღარ შამიძლავ ჯერჯერობით მაგის მბობაი. საქმისად გიამბობ, რაიც შენ უნდა იცოდ — და ვინ გიამბობს ჩემს მეტი. ყველა უნდა იცოდ! მაგათ საქციელისა, — თქვა დედამ.

(მკითხველო! აქედან, ვიდრე ვახტანგის მოსვლამდე წაკითხვით თავს ნუ შეიწუხებ. ეს ტექსტი მაგნიტოფონის სიზუსტით ლელასგან, თავისი ბებიასგან, 1952 წელს შუაფხოში ჩაიწერა მისმა შვილიშვილმა თინა ოჩიაურმა და მხოლოდ ეთნოგრაფიულ ინტერესს შეიცავს)...

„თომა რო მაკლეს, ჩვენ რიგ არ გვიყენეს; მიწათ შესამსვლელო საკლავ დაკლეს. ბეწიკა ამბობსავ — რიგს არ უყენებავ. უნდა მაეყვან ერთ ასამტეხლო საკლავი და დაეკლ. დაკვლამდე კაცებ ვერ იუბნებენ. ერთ ცხვარი და ერთ კურეტი სახლში რჩებიან. წესი: მამკლავის ძმა მაკლულის ძმას რიგს უყენებს საკლავით. შინშიც შინშს უყენებს რიგს. სამის რიგისა უნდოდ სრუ. ძმაი და შინში ერთნაირად უყენებენ რიგს. კაცებ დის, მაგრამ ჭირის პატრონი რიგს არ დაუყენებს ადვილად. წესია და მაგათ არ შაგვისრულეს.

ჩვენ არ გვილალევდეს კაცებს, იმაად, რო არვინ გვყვანდ, უკაცურნ ვიყვენით. მემრ გიგიტა იყვ იქ შამსწვრალი, იმან თქვა, რო დღეს ღამავ მგონავ რიგ მააქვავ. საუბარი მეედინ კარჩიითა და მინდიაი შამავიდ. მაგას შამაჰყვ თავის ძმა თოთიაი, ძმანი ოჩიაურნი.

ამლით ჯლუნათ მიხიელ წამაელალ. იმის მამა ხომიზურათ ბაბუაის — ჩემის სახლისკაცის — მაკლულ იყვა და ლელაივ მამკლავთ ქალიაო და მიხეილს არ გააჯავრებსავ... მე უთხარ მიხეილს, — ნუ მიწყენავ, რო საუბარ დავიწყავ, შენ ხათრ კი მაქვავ, მაგრამავ ეხლა არ მაქვავ მაგის დროივ. გავედ კარში. მასულები კაცები. ახიელლები და ამლივნები. მაღებული თომაის რიგიცა და ძმა — შინშებისაიც. კვირაე თავდებისაო და კაც არ გვინახავ მასულივ. მე არ ავიღებავ რიგსავ, გამეედიოდ შინ წეედივ!

— არ მაგვიტევავ შინავ, ლელაო? — მითხრ მინდიამ.

— შამეედივ, — უთხარ იმას, შამაბრუნდ მუხლისკვრით სტეფანი. თოთიაი. ჯლუნათ მიხეილი. მაიყვანეს ასამტეხლო საკლავი. უნდა დეეკლ.

არ დახკლავ! — უთხარ თათარათ ბაბუას, თორე საკვირველს ვიქავ. ახლა ვახტანგმაც უთხრ. დავეზიდ სტეფანს საკლავზედ, გაუშვივ, თორე გავიბრუნებაო-დ ერთს ისეთს კი შამაგკრავავ, რო სისხლ დაასხავ! შენ გნახასავ კაცმავ, შენ შუაკაცობაივ! ამადგ თოთიაი — რაად ისრევთავ საკლავსავ. მემრ ჯლუნათ მიხიელმ დაგვიწყ საუბარი. უთხარ, რო დაგვანებ თავივ, არ მწადისავ შენთან საუბარივ, გეხვეწებივ, არ გებრალებიაევ? კაც მაკლესავ, თოფ დახკრესავ. იარაღ რო დეეკრავ, — ვიტყოდივ, მაუჴდავ. იმან დალიშნებულ თოფ დახკრავ.

მამიჴადეს ქუდები, შამამეხვეწნეს. გამავყარენი. მემრ შამავიდ ტორუაი, ჯვარის ხელოსანი. გვითხრ, რიგ დაიყენეთავ. მამკვდარიავ კაცივ. თუ რას იქმენავ ბალიაურნივ, იქმენაო-დ თუ არა, რიგის არ ყენებით არა იქნებისავ. ვიყენეთ მემრ. ვახტანგმაც თქვა. შამაიყვანეს საკლავი,. ქაზდარში მაშჭრეს თავი-დ გაისრიეს. მემრ ძმის რიგი, მემრ შინშის რიგი. სამივ ქაზდარში დაიკლ. ცხვარი-დ კურეტ ცოცხალნ გაუშვენი. აი, ძროხის ქვაბ იყვა-დ ქვე შავინახი. ძალად იციან თავის მაჭრა საკლავისად, ჴელოსან მაშჭრის ან შუაკაცები.

თომა რო მაკვდ, ტანიეს იყვნეს მამკლავნი. ისენ სახლში არ უნდა მასულიყვნეს, თემჩი უნდა წასულიყვნეს. მამკლავი-დ იმის წილ არ უნდა ყოფილიყვნეს შინ, სხვებ-კი. მემრ უთხარ ვახტანგს — შენ ჩაუტანევ უკენავე რიგივ, ტორუასაც. წუხრ ჩაუტან თუთიმ, ჩაავლივ კურეტი-დ ცხვარი. ეეგ ამლიონთ რო რიგ გადმაუყარესავ. მავიდეს კაცები და გაიღეს რიგ ჯურუმით. რიგ თუ გადმაყარეს, ის აღარ დაბრუნდების უჯურუმოდ. დრამაი ხქვიან. რიგ მაიღეს საკლავითა და მააყოლეს კიდევ ერთ ცხვარ ჯურუმს. სრუ ორ საკლავ მააყოლეს. ისეებ დაჴოცეს, ავიტანეთ ის რიგ იქავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემრ ბერდიშვილთ ითხოვეს — მკვდარ გვატირებიეთავ, თომა დისნწულიც იყვ იმათაი-დ ნესიც ას. მავიდეს დიაცები. მაიყვანეს საკლავი. მაისტელ მაჰყვ ამლით. ჴელში საკლავ ეჭირ. ჩვენ ტალავარ გამავილითა და იტირეს.

მემრ ამლიონთ აკლიყვ არბითი. ისენ გიგიტას აბრალებდეს, მაგის ენაზე მახჴდავ შულლივ. მე ახიელელთ მითხრეს ჩუმად: — გიგიტასავ ვაჟებ რო არ ჰყვანდანავ, ბალიაურთ ქალის შვილებივ, მაშინ იქნებისავ მეარბითეივ. გიგიტაივ წილ ჩადებულ მაკეთეიავ, ვაჟები ჰყავავ, ისივ არბითს არ გაიტანსავ.

მემრ დამტკიცდ, რო მეარბითე ჩაჩაურთ გიგია იყვ, ამლიონნი, იმის ენაზე მახჴდ. გაილ იმან არბითი-დ ჩვენ მაგვიტანეს. მემრ გავიგით, რომ მამკლავის მამას ჰქონდ ნათქვამი, მაკვდასავ თუ მაკვდებისავ, ძაღლ ჩაადნასავ. ეგიც გავწირეთ შენ მასვლამდე. გიორგის გაეგონ კიდევ სხვა დროს, სხვაგან — კიდევ ეთქვ ამლივნებს ეგეთური, ისიც მაგვივიდ ამბავ, რო ზოგს ხალხში ნამღერალიც ჰქონდა — ზოგს ნათამაშარიც. ეგიც შენ მასვლამდე გავწირეთ.

ეხლა ჴარნ შეებნეს ნისლაურთ ჴირჩლას. მამკლავის ახლობელი, განა შორებელი. ნუ შააბომთავ, დაუბარი-დ გავიგ, რო არას ყურს უგდებდეს ჩვენ დანაბარებს. გავწირეთ შენის მასვლისად სუყველაი“...

დილას ვახტანგი გადმოიყვანა თუთიმ, გაიხარეს შინშებმა. ეხლა აღარა მიჭირს. ვახტანგმა კარგი ღია სიცილი იცოდა. შეთანხმდნენ, ხვალვე ჩაუჯდებიან ქალაის გზაზე მუშობად (ცაცხვის ლაფანის ასაყრელად, რომელსაც თოკების საგრეხად იყენებენ). ქავის კარი აარჩიეს საყარაულო ადგილად. ლადომ თქვა, მე მამას ვერ ვიძევ, სახლიდან ალბათ სულ არ გამოდისო და ნამდვილ მამკლავს მოვკლავო. ვახტანგი უმცროსი იყო და ხათრიანი, დათანხმდა.

ნადირობა დაიწყო.

ღამით ადრე წავიდნენ და ჩაუჯდნენ. დურბინდი ვახტანგს ჰქონდა, რადგან სახეზე ის იცნობდა მომკლავს. არავის ჩაუვლია საეჭვოს. ახალგაზრდებმა კი ჩაიარეს, მაგრამ ვახტანგმა — იმას არ ჩაუვლიაო. ამოვლილებსაც დაუცადეს და ახიელაში გათოშილები დაბრუნდნენ სიბნელეში. ვახტანგი თავის სახლში წავიდა.

ღამით, ხვთისო რომ გადმოვიდა, ლადომ ხვთისოს აუწერა ჩავლილ-ამოვლილ ამლიონთა გარეგნობა, ჩაცმა. ჯერ კიდევ შეიძლებოდა კვალის გარჩევა და საყუჩიდან რომ ჩამოვიდნენ გზაზე, ორნი ერთად რომ მოდიოდნენ, ერთის ნაბიჯი განიერი იყო თანამგზავრისაზე.

ეგაც უამბო ხვთისოს. შავი, შავ ულვაშ გაშვებული ხვთისო სულ გაშავდა, ისე დაელრიჯა სახე. ის ყოფილაო და შეიძლება ვახტანგმა დაგიმალა, რადგან, როგორც თომას ანდერძია, მამა უნდა მოკვდესო. ამიტომ აღარ გითხრა. გადაწყვიტეს, რომ არაფერს ეტყვიან ვახტანგს, რადგან იმისი ქცევა გონიერია და შენიშვნა ეწყინებაო.

ვახტანგიც გადმოვიდა და ლადომ: მე მაგათი ყარაულობა არ მაწყობს, გაგვიტყდება ხმა და მერე ძალიან გაგვიჭირდებაო.

გადაწყვიტეს, ღამით მივიდნენ და ფანჯრიდან დათოფონ. ფანჯარაც ვახტანგმა იცოდა და როცა სინათლის წინ მაღალმა ლანდმა გადაიარა — დააყარეს. სროლაზე ლამფა ჩაქრა და ესენიც მოტრიალდნენ. ამბავს, ალბათ, ხვალ დილას უკვე მთელი სოფელი კი არა, თემი გაიგებსო.

დილაზე ამლიდან მოიტანეს ამბავი, რომ ტყვიამ მამას მხარზე ჩოხა გაუხია და არც გაუკაწრავს. გატყდა ხმა, ლადოს დამალვას აზრი აღარა ჰქონდა. დაიშალა ყველაფერი... გათავდა...

იწყეს მოსვლა ახიელლებმა, ლადოს მოკითხვა და თათბირი. მთელ დღეს ტაბლა არ აუღიათ. სტუმარი არ გამოლეულა. აქებდნენ ლადოს, რომ ესეთ მთაზე გადმოვიდა და ანუგეშებდნენ: სად წავა, აუცილებლად გააკეთებთ საქმესო.

ამლიდანაც მოვიდნენ მამკლავის გავლენიანი მეზობლები და მოჰქონდათ ამბავი, რომ ყველა წესს შეასრულებდნენ და რაც დააკლეს, სჯულით დადგენილ ჯურუმსაც მოაყოლებდნენ, ეხლა, რახან გატყდა ხმა, ველარ დარჩება დიდხანს, და ყველაფერი სასწრაფოდ მოაგვარონ, რაც წესია, შეასრულონ და მხოლოდ მერე დაბრუნდება ლენინგრადში. — ეუბნებოდა ლადო.

და სისხლის საძიებლად ზაფხულში ჩამოვა, რადგან ეხლა მეტი დრო არ მომცეს სასწავლებელშიო.

მეორე დღიდან მოზიდეს მოსატანი და ჯურუმიც, როგორც ეკუთვნოდა. და მიხვდნენ ამლაში, რომ ბალიაურებმა სრულად იცოდნენ მაგათგან ყველა წესის დარღვევის შემთხვევა და ჯურუმი იმისაც იკისრეს, რაც ლადომ არ იცოდა, ფიქრობდნენ, ალბათ, რომ ეგაც ეცოდინებათო და სირცხვილს ნუ დავიმატებთო.

ახიელლები ხედავდნენ ყველაფერს და ამლიდან ჯურუმი რომ მოჰქონდათ, გაიმართნენ. დიაცები ლადოს ხმამაღლა ლოცავდნენ, მარჯვენას ულოცავდნენ. ღმერთს სთხოვდნენ ხელის მომართვას ლადოსთვის.

ზეგ-მაზეგ დავბრუნდები, გადავივლი მთას. შუაფხოში მოვამზადებ ადგილს სახლის ასაშენებლად და, ალბათ, შემოდგომამდე დედასა და თუთისაც იქ წავიყვან, ნათელას და ლექსოს გვერდითო. მარჯვე იქნება ჩემთვისაც მათი მიხედვა და გვერდშიც საიმედო ქალ-სიძენი, ნათელაი და ლექსო ეყოლებიანო. ახიელაშიც, როგორც ლადოს გადაეწყვიტა, ისე ფიქრობდნენ, ოღონდ თემიდან თქვენი წასვლა ძალიან გვწყინსო. რაღას იზამდნენ. ვინ იცოდა მაშინ, რომ კომუნისტები მოგვიანებით მთელ ხევსურეთსა და არხოტსაც ბარში გადაასახლებდნენ. და ძნელად შესაგუებელ ულირს ადგილებში დაფანტავდნენ.

ხათრით არავინ კითხულობდა, როდისღა მიხედავდნენ ბალიაურები სისხლის საქმეს, თან ყველამ იცოდა, რომ სისხლის ამღები გვარში აღარვინ იყო ლადოს მეტი. ლადო კი სწავლის გზას შესდგომოდა და, როგორც სჩანდა, აღარც გადაუხვევდა არჩეულ გზას. ხომ სცადა, ხომ შესძლო ლენინგრადიდან თავის გამოღწევა, თოვლიან კავკასიონზე გადმოსვლა და მოსისხლეებმაც ხომ იკისრეს შეურაცხმყოფლად შეგვიანებული სჯულით მისჯილი ვალდებულების შესრულება... ანუგეშებდნენ ლელას მეზობლები.

ზეგ-მაზეგ გადაივლის მთას და როდის გადმოვა დედადის წასაყვანად, ზუსტად ვერ ამბობდნენ ვერც ლადო, ვერც ლელა, ვერც თუთი, ვერც ახიელლები და ვერც ამლივნები. გაურკვევლობამ, დაუმთავრებელმა საქმემ დრო ზამბარასავით დაჭიმა.

რა იქნება, როდის წავა, როდის დაუბრუნდება სწავლას...

იმ ღამეს ვახტანგი მოაყვანინა თუთის. სიბნელეში წავიდეთ, მე აღარ მახსოვს კარგა ამლა, სოფლის თავს რო ტყეა, იქიდან უნდა ჩანდეს მაგათი სახლის ზურგი. შარაზე გამოსვლას, ალბათ, ჩემ წასვლამდე მოერიდებიან, ფრთხილობენ და სოფლის მხარეს უფრო თამამად იქნებიან. შუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამიდგე გადმოიტანე თოფი და ხანჯარი წამოიღე საყუჩის მოსანყობად.

თუშთ ხვთისომ გერმანული შაშხანის ვაზნები, საიდანღაც გადანახული ექვსი ვაზნა მოუტანა. თომას სად ჰქონდა თავისი სამალავი, ვერ მიაგნეს, დროც აღარ იყო.

თენებამდე ბევრად ადრე გავიდნენ. ლელამ და თუთიმ პირჯვარი გადასახეს, სალოცავებს შემწეობა სთხოვეს.

ჭალა სწრაფად ჩაიარეს, რკენასთან აუხვიეს და ტყის პირზე სავარაუდოდ იქამდე იარეს, საიდანაც თოფის სროლა საიმედო იქნებოდა. ტყეში დიდი ფიჭვის ბოლოზე გაჩერდნენ. რომ გათენდება, საყუჩებიც მაშინ მოვიმზადოთ და ერთად ვესროლოთო. დრო ძალიან ნელა, ნელა გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მთა და ცა გაეყარნენ ერთმანეთს. დაშორდნენ.

და გათენდა. ვახტანგმა სახლი აჩვენა. ცოტა ქვევით ჩაინაცვლეს და კარგი, მაგარი საყუჩები შეირჩიეს ერცხვის ახლოს. ვახტანგმა წინ წვრილი ფოთლიანი ტოტებისგან მოასუფთავა სასროლი არე და პირჯვარი გადაიწერა...

მზემიმდგარი ქვითკირის კედელში კარი გაიღო, მაღალი, ზერელედ ცხვრისტყავმოხვეული კაცი გამოვიდა და ყველა მხრისკენ გაიხედ-გამოიხედა. მიხვდა ლადო, იცნო მამკლავის მამა. სინამდვილეში ნამდვილი მკვლელი. ვახტანგმაც შემოხედა და გათეთრებულმა თავის დახრით დაუდასტურა, — ეგ არისო.

— აბა, — ჰკითხა ლადომ, — მაგრა გიდგასა თოფი? სამს რომ ვიტყვი, ვესრიათ. და დაიქუხა ორმა თოფმა ერთ ხმაში. მზეზე გამოსულს ცხვრის ტყავი ჩამოუცურდა, კარისკენ შეტრიალდა, მკერდზე და მუცელზე ხელები შემოიხვია და წაქცეული თავით შეასქდა კარებს, მერე უკან გადმოიქცა.

წამოდგნენ. ღამით რომ ფრთხილად გამოარჩიეს გზა, წამში გამოათავეს ტყე და დაეშვნენ. ჭალამდე სირბილით ჩაიარეს და ახიელისკენ გაფრინდნენ. ამლიდან არაფერი ხმა გამოჰყოლიათ.

ახიელაში რომ შევიდნენ,ფ ურნი დაეწველნეს ხიზანაის დიაცს!

— „საით მაზღით ამ დილას, ბალიაურნო, თოფიანები? და უმალ თვითონვე მიხვდა და: რაი ჰქენით?“ და იმასაც მიხვდა, რაიც ქნეს, სახეებზე ეტყობოდა ორივეს.

რძიანი ტაგანი დადგა, ჯერ ჩაიმუხლა, მერე წამოდგა.

— ჴელ-მჴარნიმც შაგჩებიანთ, ახხიელლებო, და ორივეს მოეხვია, ჴელები დაუკოცნა.

ხვთისო, ლელაი და თუთი დახვდნენ ბანზე.

— რა ხქენით? ვერ დახკარითა? — იკითხა შავმა ხვთისომ.

— დავხკარით, — თქვა ვახტანგმა.

— ეეეხლა აღარას ვთხოვ ღმერთს, — თქვა ლელამ... — მოვიდნენ ამლიდან მზირები! ორივე მოხვედრილი აქვს, ორივე სასიკვდილოი.

სისხლის აღების მერე ათი დღე დასჭირდა სარიტუალო საქმეების გაძღოლას.

— ეხლა გინდა ისწავლე, გინდა აქავ მაბრუნდი, არხოტ. სირცხვილიანი არც ქმრეულნი მინდანა და არც შვილი...

კაცმ სირცხვილი არ უნდა ზიდას კისრით, ცოდვაი. ეხლა ჯარჩი დაჯდომისა აღარ შაგცხვენდებისთ არც შენა და არც სხვებს, თქვენის გვარისებს. დალოცვილი ხარ, დიდო გორულო ჯვარო, ჯაჭველო ჴმელის გორისაო, იდიდას შენ სახელი!

# „100 ლექსის ქვეყანა“ – ლენტეხში




გამომცემლობა **„ინტელექტის“** სერია „100 ლექსი“ უკვე 50-ზე მეტი გამორჩეული პოეტის კრებულს აერთიანებს. ამავე სერიას უკავშირდება გამომცემლობის ახალი პროექტი **„100 ლექსის ქვეყანა“**, რომელიც „100 ლექსის“ სერიით გამოცემული ავტორების პოპულარიზაციას არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში გამომცემლობამ თანამედროვე პოეტების „100 ლექსი“ უკვე გააცნო ბათუმისა და ბორჯომ-ბაკურიანის მკითხველს. ამჯერად კი არჩევანი გამორჩეული მხატვრისა და პოეტის, **ესმა ონიანის** „100 ლექსზე“ შეჩერდა და 7 მაისს, „ცისფერყანწელების“ მიერ პოეზიის დღედ დაწესებულ დღეს, გამომცემლობა „ინტელექტმა“ ესმა ონიანის შემოქმედება, პოეტის მშობლიური კუთხის, ლენტეხის მკითხველს გააცნო.

ამ იდეის ინიციატორი ასევე გახლდათ პოეტი **სოსო მეშველიანი**, რომელმაც ლენტეხის კულტურის სახლის დირექტორის, **გელა გუგავას** მხარდაჭერით ღონისძიების ორგანიზება ითავა. ღონისძიებაც სწორედ კულტურის სახლში გაიმართა. იქ შეკრებილ მაყურებელს ესმა ონიანის შემოქმედების შესახებ თბილისიდან ჩასული სტუმრები ესაუბრნენ და თითო ლექსიც წაუკითხეს პოეტის კრებულიდან.

პირველი მაყურებლის წინაშე სოსო მეშველიანი წარსდგა, რომელმაც დამსწრეებს სტუმრები წარუდგინა, შემდეგ კი სიტყვა ახალგაზრდა მწერალს, გამომცემლობა „ინტელექტის“ რედაქტორს, **ზვიად კვარაცხელიას** გადასცა, რომელმაც მაყურებელს სერია „100 ლექსი“ და პროექტი „100 ლექსის ქვეყანა“ გააცნო, შემდეგ კი მიმოიხილა ესმა ონიანის ცხოვრების გზა და შემოქმედება და ასევე ახალი კრებული, რომელიც მისი თქმით, ცოტა ხნის წინ გამოიცა, მაგრამ უკვე მოჰყვა გამოხმაურება, რადგან მასში ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი ნიმუშებია შესული. ლექსთმცოდნე **თამილა წოწორიამ** კი პოეტს ვერლიბრის დიდოსტატი უწოდა და აღნიშნა, რომ მის პოეზიაში ულრმესი ფილოსოფიური სიბრძნით გამოწრთობილი დაღდასმული სიტყვები აღმოაჩინა. პოეტისა და პროზაიკოსის, **ნინო სადღობელაშვილის** თქმით, ესმა ონიანი არის განხორციელება იმისა, რისთვისაც ჩაიფიქრა ღმერთმა ადამიანი. ღმერთმა კი ადამიანი შემოქმედებისთვის ჩაიფიქრა. ესმას შემოქმედებაზე ასევე ისაუბრეს პოეტებმა **ნატა ვარადამ** და **გვანცა ჯობავამ**. საღამოს მუსიკალურად ადგილობრივი ფოლკლორული **ანსამბლი „ლაგუშედა“** აფორმებდა. საღამოს ესმა ონიანის და, **ირინა ონიანიც** ესწრებოდა, რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ მისი დის შემოქმედება ახალმა თაობამ შეიყვარა და მისი პოპულარიზაციაც მოიწადინა.

**ბარბარე ბიძინაშვილი**

# მიწიდან ამოსული ხელი ბრონეულის ყვავილით...

*

## მაია ჯალიაშვილს ესაუბრება თამარ შაიშმელაშვილი

**— მაია, თქვენ მრავალმხრივი შემოქმედი ხართ — ლექსები, იგავ-არაკები, მოთხრობები, რადიოპიესები... რომელს ანიჭებს უპირატესობას თვითონ მაია ჯალიაშვილი — ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი თუ შემოქმედი...**

— უპირატესობას შემოქმედებას ვანიჭებ. ასე იყო ბავშვობიდანვე. ყოველთვის ყურადღებას ვიქცევდი როგორც ბავშვი, რომელიც ლექსებს წერდა, მართალია, გამოვირჩეოდი სწავლითაც, მაგრამ ყველაზე მეტად ლექსის დაბეჭდვა მახარებდა. ასეა დღესაც. ვფიქრობ, ჩემს შემოქმედებაში საუკეთესოდ გამოვხატავ საკუთარ თავს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სამეცნიერო საქმიანობა, ლიტერატურული წერილები, გამოკვლევები თანამედროვე თუ კლასიკურ ლიტერატურაზე, მაგრამ... მხატვრული შემოქმედება უპირველესია. გამოცემული მაქვს ორი კრებული, ერთი მცირე: „დუმილის მიღმა," მეორე „გულის ბარძიმი," რომელშიც ლექსებთან ერთად, ჩემი მოთხრობები, რადიოპიესები, იგავ-არაკები და დღიურებია დაბეჭდილი.

**— თქვენ წერთ: „ნაცარქექიამ შემოუძახა ქართველს: რაღა ნაცრის ქექვაში მებაძებიო". რას მიიჩნევთ ერის ყველაზე ულირს თვისებად?**

— თქვენ მოიხმეთ ერთი ქარაგმული იგავ-არაკებისა და ქარაგმულების ციკლიდან, რომელიც დაბეჭდილია ჩემს წიგნში „გულის ბარძიმი" (2009). საზოგადოდ, სოციალურ-პოლიტიკური თემატიკა ჩემი შემოქმედებისთვის უცხოა. ჩემს ყურადღებას ყოველთვის მარადიული ღირებულებები იქცევს: სიკვდილი, სიცოცხლე, სიკეთე, სიყვარული, დროში არსებობის ტკივილი. სიძულვილსა და ბოროტებასა და სხვა ნაკლოვანებებზე თითქმის არაფერს ვწერ. ამ ქარაგმულში კი ქართველთა ნაკლზე გამახვილდა ყურადღება. ეს იუმორით შეზავებული კრიტიკაა. საზოგადოდ, იმ ჩემს იგავ-არაკთა ციკლს ეპიგრაფად წავუმძღვარე სულხან-საბას სიტყვები: „მეც სიცილს ძალა მივეც" იგავ-არაკიდან „მოცინარი და მოტირალი."

ამ იგავ-არაკში ორი კაცი ერთსა და იმავე ამბავზე შეჭირვებულა: ხალხი არ ფიქრობს მარადიულ ცხოვრებაზე, მიწიერ საზრუნავებსაა გადაყოლილი, ვუქადაგეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდაო. თუმცა ამან ერთი აატირა, მეორე — გააცინა. რომელია მართალი? ალბათ, ორივე, მაგრამ ტირილი, ჩემი აზრით, მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ცრემლი ამხელს, რომ გულგრილი არა ხარ იმ ყოველივეს მიმართ, რაც შენ გარშემო ხდება. სიცილი კი ერთგვარად განზე გადგომაა, ტკივილის შემსუბუქებაა. მე სწორედ ეს გზა ავირჩიე: „სიცილს ძალა მივეც."

სხვათა შორის, ეს არ უნდა იყოს რიგიანი საქციელი. ქრისტე სახარებებში არც ერთხელ არ იცინის, იცინის კი არა, არც ილიმება, რადგან ცრემლითა და სულის ტკივილით ცდილობს ცოდვათა შემსუბუქებას. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ იგავ-არაკებს 2008 წლის ზაფხულში, აგვისტოში ვწერდი. გარეთ, როცა ჰაერიც კი გაჟღენთილი იყო შიშითა და გაურკვევლობით, ტელეეკრანიდან კი ტრაგიკომიკური ინფორმაციები გაისმოდა, მე ქართული ანდაზებისა და გამოთქმების ბრძნულ სივრცეს შევეხიზნე. სწორედ ამ ენითაა ნაკარნახევი ჩემი იგავ-არაკები და ქარაგმულები, რომლებშიც ირონიაა ადამიანური სისუსტეების მიმართ გამჟღავნებული. მათ შორის, ქართველთა მიმართაც, რომელნიც, საზოგადოდ, ხერხით ცნობილნი (ნაცარქექიამ ხომ ჭკუა-გონებითა და მოხერხებით აჯობა დევებს), ახლა მხოლოდ „ნაცრის" ქექვას, ესე იგი, უაზრო ფუჭსიტყვაობას სჯერდებიან. ისე, ცნობილია, გურამ ასათიანის არაჩვეულებრივი დაკვირვებები ქართველთა ხასიათზე, მათ შორის, ნაცარქექიასთან პარალელი, მერე აკაკი ბაქრაძის შესანიშნავი განსჯა ამ თემაზე წერილში „მკვახე შეძახილი." ამ უკანასკნელმა მიკარნახა ამგვარი ქარაგმული: „ნაყოფი მწიფეა კარგი, შეძახილი კი მკვახეო". როსტომ ჩხეიძემ მთელი მონოგრაფია მიუძღვნა ნაცარქექიას სახის გააზრებას და დიდძალ მასალასაც მოუყარა თავი ამ თემაზე („ქება სიზარმაცისა").

რაც შეეხება ერის ულირს თვისებას. ერი ხომ ადამიანებისაგან შედგება, ამიტომ ჩვენი ერის ულირსი თვისებაც ისაა, რაც, საზოგადოდ, ქართველებში ჭარბობს. ისე, ადამიანი ყველგან ადამიანია, საქართველოში გააჩენს ღმერთი თუ აფრიკის ჯუნგლებში. ამიტომ ვფიქრობ, ქართველებს რაიმე განსაკუთრებული ულირსი თვისება არ გაგვაჩნია. სახარებისეულ მცნებათა დარღვევა (კაცის კვლა, ქურდობა, პატივმოყვარეობა, შური... და ამ რიგის უკეთურებანი) ამრავლებს ცოდვებს, ესე იგი, ერი ავლენს ულირსობას. ისე დიდი ნუგეშია პავლე მოციქულის სიტყვები, სადაც ცოდვა მრავლდება, იქ მადლი გარდაემეტებისო...

**— თქვენ საინტერესო ნახატების ავტორიც ხართ. გამოვარჩევდი „დედის მონატრებას," კომპოზიციას ჯვარცმის თემაზე, „დაბადებას," რომელიც პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ნანახმა ბრონეულის ყვავილმა შთაგაგონათ. როდის ხატავთ?**

— ახლა, სამწუხაროდ, იშვიათად ვხატავ, მაგრამ ნახატებიც ჩემი შემოქმედების ნაწილია. ისევე, როგორც ჩემს პოეზიაში, აქაც სჭარბობს რელიგიური თემატიკა თუ რელიგიური განცდა ყოველივესი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ტიციან ტაბიძეს უწერია, ჩვენ ქრისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდეო. ამას ისე რეალურად და ცხადად განვიცდი. ქრისტიანი ვარ ბუნებით, შინაგანად. ჯვარცმის, შობის და სხვა ამგვარ თემაზე რამდენიმე ნახატი მაქვს.

საერთოდ, თვითნასწავლი მხატვარი ვარ. ფანქრით ხატვა მიყვარს. ადრე ხატვისას ზედ დამთენებია. ახლა — აღარ. სხვათა შორის, ჯვარცმის თემაზე ერთი კომპოზიციის ხატვისას ფანქრის გათლისას თითი გამეჭრა და ჩემი სისხლი საღებავად გამოვიყენე. შევურიე ქრისტეს ფეხში გაყრილ სამსჭვალის ადგილას გაჩენილ ალისფერ სისხლს. ნახატში ეს სამსჭვალი განედლდება და ყვავის.

საერთოდ, ამ ნახატთა ხატვისას საოცარი გზნებით განვიცდიდი ქრისტეს სიყვარულს. ჩაფიქრებული მქონდა მოციქულთა პორტრეტები, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დავხატე: იოანესი და იუდასი. დახატული მყავს იოანე ნათლისმცემელი. კიდევ — მოსე და ზარატუსტრა. უფრო სიმბოლურ სურათებს ვხატავდი. ვთქვათ, მიწიდან ამოსული ხელი ბროწეულის ყვავილით, ან გამჭვირვალე ლარნაკში ყვავილის ღეროებივით ჩაწყობილი ხელები, ან ლამფის შუშაში გამომწყვდეული სინათლის ჯინი და სხვ.



*მაია ჯალიაშვილი*

**— რომელია თქვენი საყვარელი ფერი?**

— ჩემი საყვარელი ფერია მწვანე, ხასხასა, ჯეჯილის ფერი, მაგნოლიის პრიალა ფოთლისფერი, ახლადგაფურჩქნილ კვირტებისფერი, ბალახისფერი, „აპრილი აკრავს მწვანე აფიშებს," ან „ტყის იალქანი" — ვალერიან გაფრინდაშვილი ზუსტად გამოხატავს გაზაფხულის სიმწვანეს. ერთი ლექსი მაქვს, რომელიც მწვანე ფერის ქებათაქებაა. მდინარე — მასში არეკლილი მწვანე მთებით... ნესტანი — სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლო — ერთ ეპიზოდში არის „მწვანითა მოსილი."

მომწონს, როცა სიმწვანეა, როცა მწვანისკენ გადახრილ ფერშია ირგვლივ ყველაფერი. მწვანე სიცოცხლესთან, სიჯანსაღესთან, სიხარულთან ასოცირდება ჩემს წარმოსახვაში. ოღონდ ეს მწვანე ცოცხალი უნდა იყოს, უნდა სუნთქავდეს, როგორც იმპრესიონისტთა ნახატებზე, და ფერს იცვლიდეს, ლივლივებდეს. ამიტომ მხოლოდ ბუნებაში მხვდება ჩემი საყვარელი მწვანე — უთვალავი გრადაციით.

**— რა აქვს საერთო ლექსსა და მხატვრობას?**

— ორივესთვის მთავარი წარმოსახვაა. ნახატი ფერით და ხაზით ქმნის პოეზიას, ლექსში კი სიტყვებით იქმნება. თუმცა, რა თქმა უნდა, სიტყვა აღემატება ფერსაც და ხმასაც (მინდა გითხრათ, რომ სტუდენტობისას ჩემს ორიოდე ლექსზე მელოდია დავწერე და მეგობრებთან ერთად ვმღეროდი გიტარის თანხლებით... „ეჰ, როგორ გაქრა ახალგაზრდობა, დაუნდობელი სურვილი ლომის და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა დრო შემოდგომის", — გალაკტიონი გამახსენდა).

ზემოთ ნათქვამს დავუბრუნდები... სიტყვა ფერს, მუსიკას, სურნელს ერთდროულად გამოხატავს და ეს ყოველივე აზრით დაგვირგვინებული — უმაღლესი პოეზიაა. ამიტომ მიყვარს სიმბოლისტები — ცისფერყანწელები — გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, რომელთაც იცოდნენ სიტყვის ჯადოსნური ძალის საიდუმლო.

**მზემ შეალბო შეყინული ბზარები,**
**დნება წეროს თოვლი,**
**რეკენ ყინვის იისფერი ზარები**
**უკანასკნელ თრთოლვით.**

— გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები ჯერ მუსიკაა, მერე ფერები (ნახატი) და მერე მხოლოდ აზრი და განცდა.

ამიტომაც მიყვარს პოეზიაც და მხატვრობაც. ფიროსმანი — საოცარი სახარებისეული სიწმინდით, გუდიაშვილი — მისი მალალყელიანი და ნუშისთვალებიანი ქალწულები ჩემს ნახატებშიც გადმოდიოდნენ... ვან გოგი უფრო შემაყვარა მისმა წერილებმა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ ლონდონში ნაციონალურ გალერეაში ვნახე მისი ორიგინალები და „დამაბრმავა" მზესუმზირების ულევთო სიკაშკაშემ... მიყვარს რენუარი, არ ვიცი, რატომ... ამიტომ ერთი ჩემი წერილების წიგნის ყდა „სიცოცხლის საიდუმლო" მისი ნახატით — დები — გავაფორმე. მეუბნებოდნენ, რომ მე თვითონ რენუარის ამ ნახატს ვგავდი, რაც ძალიან მახარებდა.

**— „სულს სინანულად შეენისლება ფიქრი შორეულ სასუფეველზე..." — რა არის თქვენთვის სასუფეველი?**

— სასუფეველი აქ სახარებისეულიც არის და პოეტურიც — რწმენა და პოეზიაა, წარმოსახული სამყაროა. რაღაც მიუწვდომელი სიწმინდეა, იდეალია, რომლისკენაც მიისწრაფის სული. ამ გზაზე ის ცდილობს სრულყოფას, განწმენდას, რაც ჩემს ყოველდღიურ ყოფაში იმით გამოიხატება, რომ მეტ სიყვარულს ვგრძნობ ყველას მიმართ, არავის განვსჯი, არ განვიკითხავ.

უფალი ყველას თავისას მოჰკითხავს და სხვათა ცოდვების გამო მე არ დამსჯის. რომ ჩემი ტვირთი ჩემთვის ყველაზე მსუბუქია და ყველას თავისი ჯვარი აქვს, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ვინმეს ჩემზე ნაკლებად სტკივა. სასუფეველი — სიტყვაც ულამაზესია, სითბოს აფრქვევს, შეგიძლია ძნელბედობისას შეეფარო და შეეყუჟო.

**— თქვენს ლექსებში დიდი სულიერებაა განფენილი, ახალ წიგნს „გულის ბარძიმი" ჰქვია. „გულის ბარძიმში ყვაოდა მადლი..." — ამბობთ ლექსშიც. როგორ ახსნით ამ პოეტურ სტრიქონს?**

— ზემოთაც ვთქვი, არ ვიცი, რატომ მეწერება ასეთი ლექსები. ალბათ იმიტომ, რომ სულთან დაკავშირებული თემები უფრო მაღელვებს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ცხოვ-

რება და მე პარალელური ხაზებივით ვართ. შინაგანი განცდა რელიგიურობისა საოცრად მძაფრი მაქვს. ბევრს ვწერ სხვების ლექსებზე, ვცდილობ ავხსნა და გავიაზრო ესა თუ ის მხატვრული სახე, ამიტომ ჩემს მეტაფორებზე ამჯერად მე არ ვისაუბრებ, თუმცა ამას წინათ ჩემს ერთ ახალ ლექსზე „ოაზისი“ დავწერე ავტორეცენზია (ეს იყო ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი — გიორგი კილაძისა).

თავიდან ვფიქრობდი, რა დავწერო-მეთქი, მაგრამ როგორც კი დავიწყე წერა, სტრიქონები ლაღად და ბუნებრივად მიჰყვა ერთმანეთს. მგონი ეს ჩანაწერი მინიატურას დაემსგავსა. დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (რედაქტორი: როსტომ ჩხეიძე).

**— თქვენს ლექსს „შავი ირემი“ ჰქვია. რატომ? პოეტები ხომ უფრო ხშირად თეთრ ირემს — უფლის სიმბოლოს ელტვიან?**

— შავი ირემი ჩემს ლექსში სიკვდილის სიმბოლოა. ეს პატარა ლექსიც შავეთის იდუმალებაზეა:

**მითიური ღამიდან**
**მოდის შავი ირემი.**
**ჩემი სიზმრის კარიბჭე**
**წყვდიადებში ინთქმება.**
**შენ ნუ შემიშინდები,**
**ჩემო მზეო, სიცოცხლის,**
**შენ ნუ შემიშინდები,**
**თუ ეს ღამე წამიყვანს.**

მითიური ღამე მარადისობის სიმბოლოცაა. რატომ ღამე? იმიტომ, რომ გონებამიუწვდომელია. გალაკტიონი მახსენდება: „წმინდა ნათელში ამბობს ჰეგელი წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში.“ წმინდა ნათელი და წმინდა წყვდიადი. ჩემი შავი ირემი ამ წმინდა წყვდიადიდანაა.

**— ყოველ ლექსს თავისი ისტორია აქვს — როგორ იწერება თქვენთვის ლექსი?**

— მუზა არ მინახავს, მაგრამ შთაგონება — ერთგვარი ექსტაზის მდგომარეობა, გიბიძგებს ლექსის შექმნისკენ. ექსტაზი შეიძლება გამოიწვიოს ტკივილმა ან სიხარულმა, ან წიგნმა, ან მოგონებამ... მოკლედ ლექსს ვწერ მაშინ, როცა რაღაც შემძრავს და ყოფის მდინარებიდან ამომაგდებს. კი, ლექსს აქვს თავისი ისტორია, რომელსაც ხშირად ვერ მოჰყვები, რადგან შეიძლება ცხოვრებისეულმა მოვლენამ აღძრას, მაგრამ ისეთი ჯაჭვური რეაქციების შედეგია, რომ პირველწყაროსთან კავშირს კარგავს. თუმცა ხშირად ამ კავშირს ინარჩუნებს კიდეც.

**— „ხანძთა — ხერხემალგადამსხვრეული...“ სულის შემძვრელია „ტაო-კლარჯეთული დღიური...“ აკი, წერთ: „გეშინია, წარმავლობის მძლავრმა ტალღამ სამუდამოდ არ შთანთქას ის, რასაც შენი სამშობლო ჰქვია...“ როგორია ტაო-კლარჯეთიდან დანახული საქართველო?**

— ტაო კლარჯეთში მოგზაურობა ჩემი ცხოვრების წიგნის საუკეთესო ფურცლებია. ეს იყო 2008 წლის ოქტომბერი. საოცარი დღეები, ჩემი შთაბეჭდილებები შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩემს წიგნში „გულის ბარძიმი“ და ჩემს ბლოგზე: http://maiajaliashvili.blogspot.com

ჩემზე ადრე ჩემმა მეგობარმა იმოგზაურა ტაო-კლარჯეთში და იქ გადაღებული ფოტოები მაჩვენა. ხანძთის ნახვამ განსაკუთრებით იმოქმედა, თვალს ვერ ვაცილებდი, ისე მეცოდებოდა ეს მიტოვებული, დანგრეული განწირული ტაძარი. ამ განცდამ დამაწერინა ლექსი ხანძთა:

**ის მიტოვებულს ჰგავს მოხუც მამას,**
**უძღები შვილის ბედით სნეული,**
**მზე რომ ამოვა, ძვლებს მიაფიცხებს**
**ხანძთა ხერხემალგადამსხვრეული...**

მერე, როცა მე ვნახე, გუმბათიც ჩამონგრეოდა... ახლა ამას რომ ვწერ, უჩვეულო სიცხადით წარმომიდგება მისი ხატი.

ტაო-კლარჯეთიდან საქართველო გამოჩნდა ძალიან დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი. „საქართველო არის ესე“ — ხომ გახსოვთ, მწყემსმა რომ უთხრა წმინდა ნინოს ანა კალანდაძის ლექსში „მოდიოდა ნინო მთებით.“ და კიდევ „უფრო მაღალი რომ გინდა იყო, როდესაც „ასე ახლოა გრემი“ (ოთარ ჭილაძე). პატრიოტული განცდა გამიმძაფრდა.... და კიდევ: „ტაძარი იყოს, მლოცველები გამოჩნდებიან“ (ოთარ ჩხეიძე). ეს დიდი ტაძარი — სამშობლო სხვანაირად დავინახე და მისი მოვლა-პატრონობის განცდა გამიჩნდა.

**— თქვენ საინტერესო ლიტერატურული წერილების ავტორი ხართ. როგორც ფილოლოგს მოგწონთ სასკოლო პროგრამები? რას შეცვლიდით?**

— მომწონს, რომ არის ალტერნატიული სახელმძღვანელოები და მასწავლებელს აქვს არჩევანის უფლება. არსებითად, მაღალი კლასის სახელმძღვანელოებს ვიცნობ და რამდენიმე მომწონს კიდეც. თუმცა, რა თქმა უნდა, მინდა, რომ უფრო დაიხვეწოს და გამდიდრდეს ღირებული მხატვრული ნაწარმოებებით. სხვათა შორის, ახლახან თვითონ ვმონაწილეობდი ამ საქმეში და დავრწმუნდი, რა რთულია. მომავალი თაობის წიგნიერებას ხომ დიდწილად კარგად შედგენილი სახელმძღვანელოები განსაზღვრავს, რომლებიც მოსწავლეებს მეგზურებად უნდა ექცნენ მხატვრულ სამყაროში და არა — დამაბრკოლებლებად.

**— „გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი სიყვარული“ 31 წლის გიტა შტრახვიტცისა და 81 წლის გრიგოლ რობაქიძის დიდ სიყვარულზე მოგვითხრობს. რამ განაპირობა ამ თემით დაინტერესება? რა არის თქვენთვის სიყვარული?**

— გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ბევრი მაქვს დაწერილი. ჩემს მონოგრაფიაში „ქართული მოდერნისტული რომანი“ დიდი ნაწილი სწორედ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ კვლევაა. აგრეთვე, სერიით „ქართველი მწერლები სკოლაში“ გამოცემულია გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული,“ რომელშიც მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად, ჩემი წერილებია ამ რომანზე.

რაც შეეხება სიყვარულის ისტორიას. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გრიგოლ რობაქიძის წერილებმა ახალგაზრდა გიტა შტრახვიტცისადმი. სულ მინდოდა დამეწერა და ბოლოს დავწერე. გიტას წერილიდან ციტატები იყო გრიგოლის ბარათებში ჩართული და ეს გამოვიყენე გიტას საპასუხო განცდის წარმოსადგენად. ეს ძალიან ადამიანური ისტორიაა. სხვათა შორის, ისე მოხდა, რომ სწორედ ამ თემაზე ფიქრისას აღმოვჩნდი რედაქტორი მარტინ ვალ-

ზერის წიგნისა „შეყვარებული კაცი," რომელშიც ხანდაზმული გოეთესა და ახალგაზრდა ულრიკე ფონ ლევეტცოვის სიყვარულის ამბავია მოთხრობილი. რომანი აგებულია გოეთეს სატრფიალო წერილებზე. ოღონდ საინტერესოისაა, რომ გოეთეს ამგვარი წერილები არ დარჩენია და მწერალმა თვითონ შეთხზა, რომანში კი ჩართო ეპიზოდი — ლეგენდა, ვითომ ლევეტცოვს სიკვდილის წინ მოუტანინებია ზარდახშა, რომელშიც ეს ბარათები ეწყო და უთხოვია, დაეწვათ და ფერფლი საფლავში ჩაეყოლებინათ. ეს წიგნი გერმანულიდან შესანიშნავად თარგმნა მარიამ მირიანაშვილმა. ჩემი წერილი კი „ჩვენს მწერლობაში" დაიბეჭდა.

სიყვარული ღმერთია, როგორც იოანე მოციქული წერს. ყოველგვარი სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს და ცასთან აახლოებს.

**— ბატონმა ზურაბ კანდელაკმა გრიგოლ რობაქიძის სიყვარულზე მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის რადიოპიესის დაწერაც შემოგთავაზათ და თქვენ დათანხმდით...თქვენი სამი რადიოპიესა რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა უკვე დადგა საქართველოს რადიოში. რატომ არის ახლობელი თქვენთვის ეს ჟანრი?**

— რადიოპიესებს ბავშვობიდან ვუსმენდი და მომწონდა. საერთოდ, კინოც ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, მეორად ფაკულტეტზე კინოსასცენაროზე ვსწავლობდი და ერლომ ახვლედიანი გვიკითხავდა ლექციებს. ჩემი რადიოპიესები ჩემი შემოქმედების ნაწილია, რომელიც ძალიან მეძვირფასება, ამიტომ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ ზურაბს, არაჩვეულებრივ მწერალსა და რეჟისორს, რომელმაც ჩემი პიესები: „ფლამინგოები ჯოჯოხეთში," „საუზმე ბელურებისთვის" და „პარალელური ხაზები" დადგა. გრიგოლ რობაქიძის „უკანასკნელი სიყვარულის" ამბავსაც, იმედია, მალე განვახორციელებთ.

**— თქვენ უამრავი ლიტერატურული წერილის ავტორი ხართ. მკითხველისთვის საინტერესოა თქვენი აზრი თანამედროვე მწერლობის ტენდენციებზე. რომელ ტენდენციებს გამოყოფდით? რა მოგწონთ და რა — არა?**

— თანამედროვე ლიტერატურის ტენდენციები დაახლოებით იგივეა, რაც, ვთქვათ, საუკუნის დასაწისში. ახალი თაობა ეძიებს, ენობრივსა თუ კომპოზიციურ ექსპერიმენტებს თამამად მიმართავს, ძველმა თაობამ უკვე გამოცდილებით იცის, რომ „არაფერია მზისქვეშეთში ახალი." ორივე ერთად კი ადამიანსა და ცხოვრებას ასახავს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, სიძულვილსა და სიყვარულს... ლიტერატურაც ხომ ეს არის — გულის ჭიდილი საკუთარ თავთან — ფოლკნერის ეს სიტყვები გამახსენდა. ამიტომაც მწერალი ან კარგად ასახავს ან ცუდად, ან ნიჭიერია ან არა. მაგალითად, რა ტენდენციებს ასახავენ ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, რეზო ინანიშვილის, თამაზ ბიბილურის... ნაწარმოებები? ისინი ხატავენ როგორ წარმოჩნდება ადამიანი გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ახლოს არიან თუ შორს უფლისა და მოყვასისგან, როგორ უყვართ და სძულთ, როგორ ანგრევენ და აშენებენ... კი, იცვლება რაღაც — უპირველესად, მატერიალური სამყარო, მაგრამ მწერლობა ხომ სულიერი სამყაროს ნაწილია, რომელიც მარადისობასთან არის წილნაყარი.

**— ამ ბოლო დროს მწერლობაში რატომღაც აუგად იხსენიებენ ძველ თაობას, ცნობილ სახელებს, რომ მათ თურმე ღირებული არაფერი შეუქმნიათ. რატომ?**

— ალბათ, უვიცობის გამო. რისი „გემოც" არ იცი, ის არც მოგწონს. მე მაგალითად, ერთხელ დაველაპარაკე ადამიანს, რომელსაც ლიტერატურაზე მიჰყავდა გადაცემა და რომელიც წაუკითხავად, ჯიუტად ამბობდა მწერალზე, არ მომწონსო. თავისთვის ცნობილ ავტორიტეტს ეყრდნობოდა.

ლიტერატურას, როგორც კულტურის ნაწილს, არ აქვს პროგრესი, იმ თვალსაზრისით, რომ რომელიმე ოცდამეერთე საუკუნის მწერალი სჯობდეს, მაგალითად, სერვანტესს. ჩემი აზრით, დღეს მწერლობა ბევრად „უკანაა," ვიდრე გუშინ იყო... ეს ჩემი აზრია, რადგან მე ძველი თაობის მწერალთა ნაწერების კითხვა მირჩევნია... თუმცა, ვისაც რა მოსწონს, ის იკითხოს და იმაზე წეროს... კითხვამ ხომ სიამოვნება უნდა მოგანიჭოს, სიამოვნება ფიქრისა, სიამოვნება წარმოსახულ დროსა და სივრცეში პერსონაჟებთან ურთიერთობისა. ვფიქრობ, მწერლობა სამყაროს მეოთხე (თუ მეხუთე?!) განზომილებაა და მასში მოგზაურობა ადამიანს ცვლის, ზრდის სულიერად.

**— რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

— ბედნიერება ჩემთვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეა. საერთოდ, ეს შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც ხანდახან სრულიად უმნიშვნელოს გამო აღიძვრება. ვთქვათ, დიდი ხნის ახლობელთან შეხვედრისას, რაიმეში წარმატების მიღწევისას, სურვილის ახდენისას, სიმშვიდისას... სამწუხაროდ, ბედნიერება და უბედურება ერთმანეთს ჩრდილებივით დაჰყვებიან — სიკვდილ-სიცოცხლესავით, სინათლე-სიბნელესავით... საერთოდ, ბედნიერება ცხოვრების თანამდევია და ის ყოველთვის იქ გვეგულება, სადაც ჩვენ არ ვართ და ან იმ საგანში, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ საკმარისია, ეს დაბრკოლებანი მოიხსნას, რომ ბედნიერება კვლავ ხელიდან გვისხლტება... ასე რომ, ბედნიერების დევნაში ვართ.

**— რაზე მუშაობთ ამჟამად?**

— საერთოდ ძალიან მიყვარს ფანტასტიკის ჟანრი. ბავშვობაში ხარბად ვეწაფებოდი და ვნთქავდი ამ ჟანრის ნაწარმოებებს. მერე თითქოს ინტერესი ჩამიქრა. ახლა კი ჩაფერფლილმა გრძნობამ გაიღვიძა. ამჟამად ვწერ ამ ჟანრის მოთხრობას, რომლის მთავარი გმირი ხელოვანია. ამ წუთებში კი, ამ ინტერვიუს თანადროულად, ვწერ წინასიტყვაობას ნიკოლო მიწიშვილის „პუბლიცისტიკისთვის," რომელსაც „ინტელექტი" გამოსცემს.

სამშაბათს, 14 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

საკრავებიან გოგონათა
ანსამბლთან

„გორდელა"

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ეკა ბუჯიაშვილი

# „თუ ერისა ხარ, ერისად უნდა დარჩე“

ძნელად მიიკვლევდა ქართული თეატრი ეროვნული სიუჟეტებისკენ გზას.

სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ეკალბარდები ელობებოდა წინ, თუმცა რაღა სხვადასხვანაირი, მტერი ყოველთვის ერთი ჰყავდა ეროვნულობას — ის, ვისაც ქვეყნის საძირკვლის მორღვევა დაესახა მიზნად და ფესვების გადაჭრით სურდა მუხა ნაექცია.

ოღონდ ყოველთვის, ყველა დროში ჩნდებოდნენ ადამიანები, ხან სულაც მარტოდმარტო დარჩენილნი უზარმაზარ იმპერიას რომ ჩასდგომოდნენ კრიჭაში და კიდეც გაჰქონდათ თავისი.

...და ამ გზაზე თეატრი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ერის მთლიანობას. იყო დრო, უკანასკნელ თავშესაფრად რჩებოდა მშობლიური ენისა. სცენიდან ამბობდნენ სათქმელს — ხან შენიღბულად, ალეგორიულად, შეფარულად, მაგრამ... ერის გული ისეთი რამ იყო, ყოველთვის გულობდა, ძალუმად ძგერდა და მას მიყურადებული ადამიანებიც ხალხში ანანილებდნენ სცენაზე დანთებულ ნაპერწკალს.

ძნელად... ძნელად კი მიიკვლევდა გზას ქართული თეატრი ეროვნული სიუჟეტებისკენ, მაგრამ... სამშობლოს ბედისწერას გამოდევნებულნი მაინც წერდნენ, მაინც აქვეყნებდნენ იმ იმედით, რომ თუ მაყურებელს ვერა, მკითხველს მაინც მიანვდენდნენ ხმას და ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც ამ სათქმელს სცენიდანაც იტყოდა.

ასე შეიქმნა 1981 წელს ოთარ ჩხეიძის „უკვდავების ზღაპარიც“. უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის ამბავი თავდაპირველად უნდა ჩაითვალოს მისი ტრაგედიების ჯგუფში, ისტორიულ-თემატური თვალსაზრისით რომ ერთიანდება და „წმიდა ნინო“, „მეფე აშოტ კურაპალატი“, „გიორგი“, „თედორე“, „ქეთევანი“ და „სოლომონ მსაჯული მეფისა“ მოჰყვა; ზოგიერთმა კიდეც შეისხა ხორცი სცენაზე — მესხეთის თეატრს „თედორე“ და „ქეთევანი“ მოევლინა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. „უკვდავების ზღაპრის“ ადაპტირებული ვერსიაც **მიხეილ ანთაძემ** ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გააცოცხლა ზღაპრის თეატრში თოჯინების საშუალებით, მერე ისე შეიპყრო ამ პიესამ, დიდ სცენაზეც გადაწყვიტა დადგმა და ახლახან კიდეც განახორციელა ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრში (ქორეოგრაფია **ანანო სამსონაძის**; მხატვარი — **ცივა ვახვახიშვილი**, მუსიკალური გაფორმება — **მიხეილ ანთაძის**).

შთამბეჭდავი ქორეოგრაფიისა და საინტერესო მხატვრობის ფონზე, საგულისხმო ალეგორიული სახე-სიმბოლოებით, ზღაპრისა და სინამდვილის ზღვარზე გადის სპექტაკლი, რომელიც თან რეალობის ანარეკლებითა და თანაც ფანტასტიკური სამყაროს ფერადოვანი შუქ-ჩრდილებით ხან ძალიან ნაცნობ, ყოფით გარემოში გაგრძნობინებთ თავს და ხანაც ზღაპრულ სამყაროში გადაგიყვანთ, ბეწვის ხიდზე გაგატარებთ და ჯოჯოხეთში შეგახედებთ — იქ, სადაც გარდაუვალია მოხვედრა, თუკი საკუთარ გზას — სამშობლოს გზას ასცდები.

არადა, ბავშვობისას ვის არ უფიქრია იმაზე, ზღაპრის გმირივით, რკინის ქალამნები ჩაეცვა, ხელში რკინის ჯოხი დაეჭირა და უკვდავების საძებნელად წასულიყო, წუთისოფლის სამანებს გასცდენოდა, ამქვეყნიური არსებობისთვის დაეღწია თავი, დროს დასხლტომოდა და რაღაც უჩვეულოს ზიარებოდა.

ვინ არ შეგხვდებოდათ ამ გზაზე — მშვენიერი ასულნი, ავაზაკი, ბრძენი მოხუცი, ნადირობის ქალღმერთი, ამეტყველებული ცხოველები და ფრინველები, ალნი და ალქაჯნი, მაგრამ... ცხრა მთა და ცხრა ზღვა რომ გადაგეარათ, სამყაროს დასასრულისთვის რომ მიგეგნოთ, ცის დასალიერი რომ გეპოვნათ და დედამიწის გულსაც ჩანვდომოდით, ამაოდ დაშვრებოდით, ფუჭად გაგეპარებოდათ წლები, უმიზნოდ ჩამოიშლებოდა თქვენი წილი წუთისოფლის ქვიშის საათი, რადგან სხვაგან ეძიებდით სხვაგან დარჩენილს — თითოეული ჩვენგანის უკვდავება ხომ იქ არის, სადაც დაბადებულა, გაზრდილა, ჰყვარებიათ და ჰყვარებია... ამ სიყვარულშია მარადიულობა, საკუთარ მიწაზე დამსახურებულად სიკვდილშია უკვდავება, სამშობლოსადმი ერთგულებაშია, შთამომავლობისთვის დატოვებულ სახელსა და ხსოვნაშია... „სხვა უკვდავება ჯერ არ იცის კაცობრიობამ“.

ამ ტრაგიზმით გაჯერებულა პიესა, მსახიობთა საინტერესო ანსამბლის მიერ გაცოცხლებული, პირველი წუთებიდანვე რომ გიპყრობს და თან გულშემატკივრობ ბედის საძიებლად წასულ ჭაბუკს — გინდა იმ უცხო გზებზე სახეტიალოდ გაჰყვე და, ამავე დროს, იქვე თანაზიარი ხდები მოხუცისა, უკან გაბრუნებას რომ ურჩევს, ენდობი მის სიბრძნეს და აცნობიერებ, რომ რაღაც არასწორს, სახიფათოს გამოჰკიდებია მთავარი გმირი, სახასიათოდ რომ განასახიერებს ახალგაზრდა მსახიობი **გიორგი კაჭახიძე**, კიდევ უფრო აძლიერებს სპექტაკლის მუხტს მთხრობელის (**ლელა მახნიაშვილი**) ექსპრესია, გადამდებია ცანგალას (**კახა გაბელაია**) ენერგია, მომნუსხველია არწივი (**ნუგზარ ყურაშვილი**)... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, სპექტაკლი ხომ ბევრი პერსონაჟითა და მასობრივი სცენებით გამოირჩევა. თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია მოხუცის სახე, ამ თეატრის უხუცესი მსახიობის, 82 წლის **რევაზ თავართქილაძის** მიერ შექმნილი — დასტური იმისა, რომ ბატონი რევაზი კვლავაც თავისი მოწოდების სიმაღლეზეა და ამ ღვაწლის დასაფასებლად მალე კიდეც გაუხსნიან დამსახურებულ ვარსკვლავს თეატრის წინ.

თუმცა ამაზე სხვა დროს...

ჯერ კი...

ჭაბუკს გაჰყევით უცნაურ გზებზე სახეტიალოდ, ეზიარეთ ძარღვიან ქართულ ენას — სცენიდანაც მადლიანად რომ ისმის, გაიცანით უჩვეულო პერსონაჟები, ეზიარეთ ჭეშმარიტებას, რომელიც დასაბამიდან მტკიცეა და ურყევი, სულაც ზენაარს დაუწესებია, თვითონ უფალი გასიმბოლოვებულა მასში, მაგრამ... დასაბამიდანვე ხომ ცოდვის გზა აცდუნებდა ადამიანს, თვითონ ცდილობდა ღმერთთან გატოლებას და წერასატანილი ტრაგიკული ბედისწერით ამთავრებდა ძიებას.

ამ ტრაგიზმითაა გაჯერებული პიესა.

ეს არის ყველა დროის, ყველა ეპოქის ტრაგედია.

— გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო, — სხვა საუკუნეშიც შეგვაგონებდა მწერალი.

ძნელი ყოფილა ამ ხსოვნის შენარჩუნება.

და ოთარ ჩხეიძეც:

„ძნელია დღევანდელ პირობებშიც? ძნელია რაღა თქმა უნდა. ყოველთვის ძნელი იყო. სხვაგვარად ძნელი. ახლა ადვილი არ არის მოგერიება „ზოგადისა“. ადვილი არ არის.

უბედურებაა და სხვა რაღა მოხელეა ქართული თეატრი, თუ არ შეეჭიდა უბედურებასა?!.. აღარ ეყოლა მოციქულობაი უბედურებისა?!.. აღარა?!“

* * *

**გასაუბრება რეჟისორ მიხეილ ანთაძესთან:**

**— ბატონო მიხეილ, ალბათ უცნაური არ იქნება, თუ საუბარს ამ კითხვით დავიწყებთ: რატომ „უკვდავების ზღაპარი“?**

— უპირველესად იმიტომ, რომ იშვიათია ჩვენს დროში და თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში ასეთი მხატვრული დონის პიესა. თან ზღაპარია, თან ცხოვრებაც არის, ამიტომ პრაქტიკულ ამოცანას უქმნის რეჟისორს. პიესა დაწერილია აბსოლუტურად ზოგად ზღაპრად. მთხრობელის ტექსტი ჩვენ ავიღეთ ავტორის რემარკად. როცა „უკვდავების ზღაპარი“ პირველად წავიკითხე, ვიფიქრე, რომ ის შეიძლება დაიდგას აბსოლუტურად რეალურ პლანში — თანამედროვე ახალგაზრდის შესახებ. მოხუცი, რომელთანაც ჭაბუკი კამათობს, შესაძლოა მისი მამა ან პაპა იყოს, დედანი — დედა ან ბებია, ასული — შეყვარებული, ავაზაკი და მოქეიფენი — ნაცნობები... ეს დიალოგები შეიძლება ყოველდღე და ყველგან შედგეს, თუკი ადამიანი რამეს აიჩემებს, სადღაც გარბის და უნდა, გასხლტეს იქიდან, რასაც ჰქვია ამქვეყნიური წუთისოფლის და ამ წუთისოფელში საკუთარი ენისა და ქვეყნის ერთგულება. ზღაპარსაც თავისი რეალობა გადაჰყვება ხოლმე. არწივი ტოტალიტარული რეჟიმია; ყვავი, რომელმაც უფსკრული თავისი სკორეთი უნდა ააშენოს და გააბედნიეროს ქვეყნიერება, პაროდიაა დემოკრატიისა; ის მტრედიც — სამშვიდობო ორგანიზაციებთან გასიმბოლოებული — საკმაოდ სარკასტულად არის წარმოდგენილი. ასე რომ, ზღაპარია, მაგრამ რეალურ პლანებსაც შეიცავს.

**— სწორედ ამ ზღვარზე გადის სპექტაკლი — რეალურსა და ირეალურს შორის...**

— რასაკვირველია... და აქ მთავარი მამოძრავებელია ეს არაჩვეულებრივად მადლიანი ენა, რომელიც ერთი მხრივ, ძნელი დასაძლევი იყო მსახიობებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ, ისე აივსნენ ამ მადლით, რომ ველარსად გაექცნენ და დღეს ერთმანეთს ამ ფრაზებით ვესაუბრებით. გენერალური რეპეტიციის შემდეგ გული დაგვწყდა და ცრემლიც მოგვადგა თვალზე, მუშაობა რომ დავამთავრეთ. ახალგაზრდობაში, როცა პირველად წავიკითხე ოთარ ჩხეიძე, თითქოს ძალიან უცხო და უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდი — ტავტოლოგიური ფრაზები, მხატვრული კილოკავი, ემფატიკური „ა“... თუმცა მწერალი გასაღებსაც თვითონ გაძლევს. და ალბათ ნახეთ, სცენასაც როგორ უხდება ეს ყველაფერი, რადგან ძალიან ქართული და ეროვნულია...

**— როცა გკითხეთ, რატომ „უკვდავების ზღაპარი“-მეთქი, სწორედ ამას ვგულისხმობდი — ეროვნულობას, რაც დღეს, ასე ვთქვათ, მოდური აღარ არის, მეტიც — თითქოს სარისკოც კია — ეყოლება მაყურებელი ისეთ ლიბერალურ ღირებულებათა ეპოქაში, როგორიც დღეს არის?**

— თუ კაცი თავის ეროვნულ საფუძველსა და ფესვს მოწყდება, მაშინ მისი ცხოვრება ისეთ ჯოჯოხეთად იქცევა, როგორიც პიესის გმირის თავს დატრიალდა.

ისიც, გარკვეული აზრით, ლიბერალურს გაეკიდა, მაგრამ... სიცარიელეში აღმოჩნდა. მან დაკარგა დრო. ოთარ ჩხეიძეს ამ პიესაში ღრმა ფილოსოფია აქვს გაშლილი — ქართული ფოლკლორის მარადიული თემა — მიწის ყივილი და დაკარგული დროის პრობლემა, რომელიც მთელ კაცობრიობას აღელვებს. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი ზღაპარია იმის შესახებ, როგორ გაუსხლტება ადამიანი ამქვეყნიურ ყოფას მარადიულის ძიებაში, იქაურ სამ დღეში კი აქ ათასი წელი გასულა, „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ — აი, ეს ბიბლიური სიბრძნეა გაშლილი პიესაში, ეროვნულთან და ენობრივთან კავშირში. ამას ვერსად წავუვალთ. შესაძლოა ათასი გლობალიზაცია მოხდეს, მაგრამ მას მაშინ აქვს აზრი, თუ ერები შეინარჩუნებენ თვითმყოფადობას და ურთიერთთანაცხოვრების ჰარმონიას მიაღწევენ, თორემ თუ ყველაფერი წაიშლება, უბრალოდ, დაიქცევა კაცობრიობა. ვინც გლობალიზაციას ოპტიმისტურად უყურებს — მაგალითად, მე — ეს პროცესები ასე ესმის. მთავარია, ადამიანი საკუთარ ენას, ეროვნულ მრწამსსა და ფესვებს არ მოწყდეს და, პიესის გმირივით, ფიცი არ დადოს „კუდიანთან“ ამ ყველაფრის დასავიწყებლად. აი, ეს არის ოთარ ჩხეიძის სათქმელიც...



*გიორგი კაჭახიძე (ჭაბუკი)*

**— რომელიც თითქოს მხიარული ჰანგებით გამოიხატება, მაგრამ სინამდვილეში ტრაგედიაა ადამიანისა, რომელმაც თავისი წილი ამქვეყნიურ წუთი სოფელში დაკარგა. ამის მიტანა მოზარდი ასაკის მაყურებლამდე უთუოდ თავის სირთულეებს უკავშირდება — თეატრს ამ მხრივ განსხვავებული სპეციფიკა აქვს. უპირველესად რა გაითვალისწინეთ, როცა პიესაზე მუშაობა დაიწყეთ?**

— იცით, პიესაში ზუსტად ის ადამიანური იმპულსებია, რომლებიც ამ ასაკისთვის არის დამახასიათებელი. სწორედ მოზარდობისას იწყებს ბავშვი სიკვდილზე ფიქრს და ზარავს მისი გარდაუვალობა, ოცნებობს ყველაფერი ამქვეყნიურის დაძლევასა და უსაყვარლესი ადამიანების უკვდავებაზე.

ჩვენ მათ უნდა ავუხსნათ, რომ უკვდავება შენიანების სიყვარულია, სამშობლოსათვის თავგანწირვაა. ამის სათქმელად გამოვიყენეთ ზღაპრის ელემენტები, ფერადოვნება, მუსიკა, მსახიობთა ოსტატობა. სპექტაკლში სული და გული ჩადო შემოქმედებითმა ჯგუფმა და, ვფიქრობ, გამოგვივიდა. ერთსულოვნად ვმუშაობდით, თითოეული ჩვენგანი შევიდა ამ სამყაროში და ეზიარა მის მადლს.

**— ცხრა წლის წინათ თქვენ „უკვდავების ზღაპარი“ თოჯინებით გააცოცხლეთ სცენაზე...**

— ის იყო უფრო მოკლე ვარიანტი, მხოლოდ ძირითადი მომენტები წამოვწიეთ და ერთგვარი ექსპერიმენტი დაედო საფუძვლად — მსახიობი არ იმალებოდა შირმის მიღმა, ის იდგა სცენაზე, თამაშობდა ამ როლს, ოღონდ ეცვა შავი, უხილავი სამოსი და გულზე ეკიდა თოჯინა, რომელიც შედარებით სტატიკური იყო — მხოლოდ ხელებს ამოძრავებდა. ეს ხელთათმანივით ამოტრიალებული თოჯინების თეატრი იყო. საბედნიეროდ, ის სპექტაკლი ბატონმა ოთარმა ნახა. მაშინვე ითქვა, რომ მას მოუხდებოდა დიდი სცენა. ვფიქრობდით, დიდი დარბაზის სცენაზე გაგვეცოცხლებინა პიესა, მაგრამ საბოლოოდ მცირე სცენა ვარჩიე, მსახიობსა და მაყურებელს შორის უფრო ახლო კონტაქტის გამო. ასე დავიწყეთ მუშაობა...

**— რომელიც დიდხანს გაგიგრძელდათ — მთელი ოთხი წელიწადი...**

— თავის დროზე პიესამ ისე შემიპყრო, რომ როცა ამ თეატრში მივედი სამუშაოდ — 2007 წელს — პირველი, რაც გავაკეთე, იყო ის, რომ გავანაწილე როლები, მაგრამ პიესა რთულია. ტექსტზე ვიმუშავეთ დიდხანს. მერე, გარკვეულ ეტაპზე, რაღაც მიზეზების გამოც შევფერხდით. ფაქტობრივად, სცენაზე წელს ავაბიჯეთ და ინტენსიურად მარტიდან ვიმუშავეთ. ორთვიანი ყოველდღიური რეპეტიციების შედეგიც ეს არის. დიდი ძალისხმევა დაიხარჯა ტექსტთან ჩაღრმავებაზე, კოსტიუმებზე, ცალკეულ მიზანსცენებზე, ქორეოგრაფიაზე...

**— ალბათ მუსიკის შერჩევაზეც, რომელიც სპექტაკლში არ წყდება და მთლიანად ქართულია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეროვნულ მუხტს.**

— გმადლობთ... მუსიკაზე მე ვიმუშავე. ჩემი პრინციპი იყო ქართული კინომუსიკა ამელო ფონად. მხოლოდ ცანგალას ეპიზოდში შემოდის ხალხური სიმღერა, დანარჩენი ძირითადად რეზო ლაღიძის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერნაძისა და დავით თორაძის ნაწარმოებებია — ყველასთვის კარგად ცნობილი კინოფილმებიდან — და, ვფიქრობ, კარგად გამოხატავს ქართულ სულს. რაც შეეხება ქორეოგრაფიასა და მხატვრობას...

ანანო სამსონაძე მხოლოდ ქორეოგრაფი არ არის, ფაქტობრივად, ის მოძრაობასთან ერთად პიესის მიზანსცენებზე მუშაობს და ყოველთვის კარგად გრძნობს მასალას. ახალგაზრდა მხატვრისთვის, ცირა ვახვახიშვილისთვის, ეს, კოსტიუმების თვალსაზრისით, მეორე ნამუშევარია, როგორც სცენოგრაფისთვის კი პირველი ნაბიჯია დიდ თეატრში. ვფიქრობ, ძალიან ორგანული გამოვიდა, ჰარმონიულად ჩაეწერა კომპოზიციურ მთლიანობაში. მხატვრული სიმბოლოებიც შეიქმნა — მოხუცის საათი, როგორც დროის სიმბოლო, მხედრების ეპიზოდში კი წინაპართა სურათები ცოცხლდებიან. აი, ამ ყველაფრის ერთობლიობით შევეცადეთ გამოგვეხატა პიესის მთავარი სათქმელიცა და ის ტრაგიზმიც, რომელიც მას გასდევს.

**— სხვათა შორის, ოთარ ჩხეიძე წიგნის ბოლოსიტყვაობაში წერს: „ტრაგედია ჩვენი ჯერაც არ დამთავრებულა რაღა თქმა უნდა, არც ვინ უწყის თუ როდის დამთავრდება. და ამიტომ და სწორედ ამიტომა, — ქართული თეატრის ნიშნეულ ჟანრად ტრაგედია გადაიქცევა. სხვა გზა არ არის. თუ უნდა რო ქართული იყოს, ეროვნული იყოს, ერის ბედისწერა უნდა გამოჰხატოს... სხვა გზა არ არის, თუ ერისა ხარ, ერისა უნდა იყო“...**

— ასეა. ის, რაც, ვთქვათ, ძველ საბერძნეთში ტრაგედია იყო, თანამედროვე ჰომოსაპიენსს ტრაგედიად ვერ ექცევა. რაც მედეასა და ელექტრას გადახდა თავს, ასეთი რამეებისგან დღეს ტრაგედიას არავინ ქმნის. XXI საუკუნეში ტრაგედია ის არის, რაზეც ოთარ ჩხეიძე წერს — საკუთარი ფესვის და ღმერთისგან ბოძებული დროის დაკარგვა. ამიტომაც ეს პიესა არა მხოლოდ ზოგადეროვნული, ზოგადსაკაცობრიოც არის. რომელი ქვეყნის რეჟისორმაც უნდა დადგას, ყველგან აქტუალური იქნება. ყველა ადამიანი, რომელიც სამშობლოს უღალატებს, ამ მდგომარეობაში ჩავარდება. ამიტომ ეს ვიწროდ ქართული ამბავი, მხოლოდ ქართული ტრაგედია არ არის... საერთოდ კი მეც ასე ვფიქრობ, თუ „ერისა ხარ, ერისად უნდა დარჩე“.

**— თქვენი არჩევანი — „უკვდავების ზღაპარი“ დიდ სცენაზე გაგეცოცხლებინათ, ამის დასტურია. შემოქმედებითი ჯგუფის ძალისხმევაც იმას მოწმობს, რომ თეატრიც ამ გზაზე დგას. „ერისად დარჩენა“ ყოველთვის, ყველა დროში და ყველანაირი რეჟიმის პირობებში რთული იყო ალბათ...**

— რთული? როგორ გითხრათ... უბრალოდ, საცდურები სძლევთ ხოლმე ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ რეტროგრადი არ ვარ, კონსერვატორი არ ვარ, არ ვლაპარაკობ არქაულ ენაზე... არა, არც ფრთიანი ანგელოზი ვარ, ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ... მოხუცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მე არ მივლია და არც სხვა მომწონს მოწოწიალე, მე აქ ვიდექი, ჩემს მიწაზე, ჩემს ნააკვნართან, სადაც რომ ჭიპი მომიჭრია“. და არსად მინდა წასვლა, რადგან აქაურობის ნაწილი ვარ — ამ ცის, ამ მიწის, ამ ქვეყნის ცხოვრებით ვცხოვრობ, ქართველი ვარ, ქართველი მწერალი, ქართველი რეჟისორი და... რაც უნდა მოვინდომო, სხვა ვერ გავხდები. ეს ასე იყო ყოველთვის, უბრალოდ... სხვადასხვა დროსა და რეჟიმის პირობებში სხვადასხვანაირი საცდურები სძლევთ ხოლმე ადამიანებს.

* * *

**რამდენიმე შთაბეჭდილება სპექტაკლის შემდეგ:**
**ზაურ კალანდია, პოეტი:**

„ეს პიესა ჩემთვის ცნობილია. საერთოდ, დიდი ბედნიერებაა, როცა დიდი მწერლის ცოცხალი სიტყვა სცენიდან ისმის. ვფიქრობ, ძალიან საჭირო სპექტაკლია, განსაკუთრებით უფროსკლასელებისთვის. უკვდავება თავად სამშობლოა და ის სხვაგან კი არა, საკუთარ მიწა-წყალზე უნდა ეძებო.

ოთარ ჩხეიძეს ყოველთვის ასეთი მარადიული თემები აღელვებდა, ასეთ საკითხებს ეჭიდებოდა და ამ პიესაშიც ეს პრობლემა დგას — საკუთარ წიაღთან, მიწასთან, სამშობლოსთან დაბრუნება.

პიესაში ძალზე საინტერესოა მსახიობთა ანსამბლი.

გამორჩეულად შთამბეჭდავია რევაზ თავართქილაძე, რომელიც ამ ასაკშიც ინარჩუნებს პროფესიულ ფორმას.

ასევე ძალიან საინტერესოა ნუგზარ ყურაშვილი, გიორგი კაჭახიძე, კახა გაბელაია.

დღევანდელი მაყურებელი შოუს მიეჩვია. სანახაობა არც ამ სპექტაკლს აკლია, მაგრამ მასთან ერთად აქ ღრმა აზრიც დევს, ეროვნული მრწამსით არის გაჟღენთილი და ამისთვის მადლობა მინდა ვუთხრა მთელ შემოქმედებით ჯგუფს".

**მერაბ გეგია, თეატრმცოდნე:**

„პირველი შთაბეჭდილება ნამდვილად დადებითია. ძალიან რთული სპექტაკლია — უდავოდ ფილოსოფიური — რეჟისურის პარტიტურის თვალსაზრისითაც. ამასთანავე, ძალიან თანამედროვეა, ერთ-ერთი მკაფიოდ გამოხატული პოსტმოდერნისტული ნამუშევარია, სადაც ყველაფერია — ტრადიციაც, ნოვატორობაც, შექმნილია საინტერესო მხატვრული სახეები, კარგად ორგანიზებულია პლასტიკის თვალსაზრისით, შთამბეჭდავია ცალკეული — განსაკუთრებით ალეგორიული — სცენები. რეჟისორი ბეწვის ხიდზე გადის — ახერხებს იმას, რომ მთლიანობაში სპექტაკლი შეკრული და მონოლითურია. თუ მაყურებლის რეაქციით ვიმსჯელებთ, წარმოდგენა შედგა — ჩემი აზრით, ფართო რეზონანსსაც უნდა ველოდეთ და სავსე დარბაზებსაც".

**ანანო სამსონაძე, ქორეოგრაფი:**

„სპექტაკლი ჩემთვის, როგორც სამუშაო მასალა, საინტერესო იყო პლასტიკური გადაწყვეტის მხრივ. აქ ბევრი მასობრივი სცენაა და მომეცა საშუალება, განსხვავებული ორნამენტული ნახაზი გამეკეთებინა. ამ თვალსაზრისით, სამუშაოდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდი იყო დალის სამფლობელო, ქალღმერთის ამალა — ნუკრები, ირმები — პლასტიკაში გამოხატავდნენ იმ გარემოს; ასევე ბოლო სურათი — მზეთუნახავის უკვდავების, რადგან აქ ორი სამყარო თანაარსებობს, სადაც ჭაბუკი მოამწყვდიეს და სრულ იდილიაში ამყოფებენ. ამ დროს ღებულობენ ჯოჯოხეთურ ფორმებს და ალბათ დაინახეთ, რომ ასეთი გრადაცია ცეკვაზეც აისახებოდა — ფერხული გადადიოდა ვაკხანალიაში. მთლიანობაში, ვფიქრობ, კარგი გამოვიდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მსახიობებს. ცოტა ვღელავდი, რადგან ისინი პროფესიონალი მოცეკვავეები არ არიან, მათთვის სცენები ქორეოგრაფიული თვალსაზრისითაც რთული იყო და ყველაფერს ძალიან კარგად გაართვეს თავი".

**ცირა ვახვახიშვილი, სპექტაკლის მხატვარი:**

„უკვდავების ზღაპარი" ჩემთვის ძალიან საინტერესო მასალა აღმოჩნდა. ვფიქრობ, გამიმართლა, რომ ბატონ მიხეილ ანთაძესთან მომიწია მუშაობა. მან თავიდანვე სწორი მიმართულება მიჩვენა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი სცენოგრაფიული ნამუშევარია, სრული თავისუფლება მომცა. ამ პიესას თავისი სპეციფიკა აქვს — მისი გმირი ბევრს მოგზაურობს, რეალურიდან ირეალურ სამყაროში გადადის, რის გამოც ხშირად იცვლება დეკორაცია. ეს კი თავის სირთულეებს უკავშირდება, როგორც ტექნიკური, ასევე იდეური თვალსაზრისით. ამიტომ სპექტაკლი ბევრნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო. პიესა ზღაპარია, მაგრამ ამავე დროს ფილოსოფიური ნაწარმოებია — სხვა სიღრმეები აქვს — და სცენოგრაფიაც ისე უნდა გადაწყვეტილიყო, რომ ბავშვს ბავშვურად გაეგო, დიდს კი — მისი ასაკის შესაბამისად. ამიტომაც სპექტაკლში მხატვრული სახე-სიმბოლოებიც შემოვიტანეთ. ვფიქრობ, გამოგვივიდა. დანარჩენი მაყურებელმა შეაფასოს".



იოსებ ჭუმბურიძე

# ვუსმინოთ და მივყვეთ

როცა ოთარ ჩხეიძის ნოველას გასცენიურებულს და გათამაშებულს ხედავ, წინა პლანზე მოდის აზრი და სიტყვა. აზრი ღრმაა, სიტყვა — მდიდარი. შესაძლოა, ზოგჯერ ისეთი, დღევანდელი ქართველობა რომ აღარ იყენებს და ძალიან ცუდი, რომ აღარ იყენებს, რადგან ქართული ესაა — ნამდვილი, მთავარქართული...

როცა სცენაზე ოთარ ჩხეიძის დრამატურგიულ ნაწარმოებებს აცოცხლებენ, აზრსა და სიტყვას სახიერი ქმედებაც ეტოლება.

და, მაინც, ეს ყოველივე საკმარისი არ იქნებოდა, ორივე შემთხვევას რომ არ აერთიანებდეს აუცილებელი რამ — ეროვნული ძარღვი, ისეთი ნერვი, რომლის ერთი ძაფიც არ არის არაქართული.

ეს უკიდურესად თვალსაჩინოა „უკვდავების ზღაპარში", რომელიც ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში დაიდგა.

მოსაწონია თავად არჩევანი.

გასახარია, რომ ამოცანაც დაძლეულია.

მსახიობთა თამაშში, ძირითადად, მიღწეულია ფსიქოლოგიური სიმართლე, რომლითაც გხიბლავს და გატყვევებს ოთარ ჩხეიძის პროზა თუ დრამატურგია.

რეჟისურაც, არსებითად, გამართულია, თუმცა ზოგიერთი სცენა (მაგალითად, ყარაჩოღელების ან მოძველბიჭო ახალგაზრდების) ყავლგასულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუ რაიმე იწვევს უკმარისობის განცდას, უწინარესად, სცენოგრაფიისა და კოსტიუმების სიღარიბე, რაც ალბათ, თეატრის მატერიალური ხელმოკლეობით უნდა აიხსნას.

არადა, უკვდავების ამ ლამაზ ზღაპარს ზღაპრული ფერადოვნება მოუხდებოდა. მითუმეტეს იმ ქვეყანაში, ბერიკაობის, ნაირგვარ თეატრალურ ნიღაბთა გამოგონების, ფოიერვერკულ სანახაობათა შექმნის დიდი გამოცდილება რომ აქვს.

ეს ყოველივე სასურველია, მაგრამ რაც მიღწეულია, ისიც ძალიან მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ თეატრმა შეარხია ჩვენი უმთავრესი ნერვი და შეგვახსენა, რომ სამშობლოს თვინიერ, ყველაფერი ამაოა, რომ „თვით უკვდავებაც არ არსებობს" უსამშობლოოდ.

ეს ის არის, გალაკტიონი რომ ამბობდა, „უსამშობლოოდ, დე, ეს ღვინო გარდმექცეს შხამად"-ო.

განა მართლა ღვინოს გულისხმობდა?

განა მართლა ღვინით ითვრებოდა?

გალაკტიონი ილიას გზას მიჰყვებოდა თავისებურად.

ოთარ ჩხეიძეც, რა თქმა უნდა.

ჩვენც ვუსმინოთ და მივყვეთ...

მერაბ გეგია

# და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება...

ანდერძივით გაისმა ოთარ ჩხეიძის „უკვდავების ზღაპარი" დუმბაძის საბავშვო თეატრში. უძველესმა ქართულმა მითოსმა, „ფარდობითობის თეორიამ", გამოთქმულმა აინშტაინამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, ახალი სიცოცხლე და ახალი ჟღერადობა შეიძინა.

დრამატურგმა საოცარი ძალით გაასხივოსნა ფილოსოფიური იგავი, შექმნა პარტიტურა ულტრათანამედროვე შოუსათვის. და მიხეილ ანთაძემაც აკი საოცარი სანახაობა უჩვენა მაყურებელს, პოსტმოდერნისტული სპექტაკლი, საკვირველად ანსამბლური, ძველბერძნული თეატრის პრინციპების გამოყენებით, სადაც ფიგურირებენ კორიფეები, პროტაგონისტები, დევტერაგონისტები და ქორო. — ლელა მახნიაშვილი (მთხრობელი). უპირველესად იგი ქმნის სპექტაკლის მხატვრულ ინტონაციას, სევდიანს, მაგრამ სიბრძნით ალსავსეს.



ასმათ ქურციკიძე (გოგონა) და კახა გაბედავა (ცანგალა)

სპექტაკლის უმთავრეს მხატვრულ არტერიას ქმნიან პროტაგონისტები — გიორგი კაჭახიძე (ჭაბუკი) და კახა გაბელაია (ცანგალა), რომელთა თამაში ალსავსეა შინაარსის ღრმა გაგებით და არტისტული გატაცებით.

პროტაგონისტებს ტოლს არ უდებენ დევტერაგონისტები. კვლავაც ჩვეულ სიმაღლეზეა დიდი მსახიობი რევაზ თავართქილაძე (მოხუცი). მისი შესრულების ხერხები ნამდვილი სკოლაა, სადაც გათვალისწინებულია მხატვრული მედიტაციის მნიშვნელობა როლის შექმნისა და მაყურებელზე ზემოქმედების პროცესში. ამ როლს იგი მთლიანად სტატიკაში გაითამაშებს, უალრესად ძუნწი მიმიკით და ჟესტიკულაციით, ხმის განსაცვიფრებელი მოდულაციით. სწორედ ამ სტატიკაშია მოცემული სულიერი ცხოვრების მრავალფეროვანი დინამიკა. წარმოდგენის ირაციონალურ პლასტს აძლიერებს ნელი ჯავახიშვილი (დედანი). ერთი მონასმით, ერთი გაელვებით ქმნიან შთამბეჭდავ სახეებს ტრიტაგონისტები: ანო მღებრიშვილი (ასული), შალვა ბახტაძე (სწავლული), ლევან ლორთქიფანიძე (მხედარი), ასმათ ქურციკიძე (გოგონა), კახა ჭოლაძე (ირემი), მაკა ბარდაველიძე (დალი), ნუგზარ ყურაშვილი (არწივი), თამარ მამულაშვილი (მტრედი), ნინო ციმაკურიძე (მტრედი), ზურაბ ავსაჯანიშვილი (ყვავი), ანი ხუროშვილი-სულუაშვილი (კუდიანი, მზეთუნახავი).

აქვეა ქალების ქორო: რამონა მიქელაძე, ნანა მირიანაშვილი, ნინო არჩაია, სალომე წურწუმია, რუსუდან შიოლაშვილი (კახპანი, ნუკრები, მტრედები, ალქაჯები), და კაცების ქორო: ლევან კაციაშვილი, ნიკა კვანტალიანი, ვახო ნოზაძე, იური ვასაძე (ავაზაკნი, მოქეიფენი, მართვენი, ქაჯები).

რეჟისორის მიერ მთლიანად გათვალისწინებულია არისტოტელეს შეგონება, რომ დრამატულ პოეზიაში მთავარია „რიტმი, მეტრი, ჰარმონია". ამის მისაღწევად თავისი წონადი წვლილი შეიტანეს ქორეოგრაფმა ანანო სამსონაძემ და ახალგაზრდა მხატვარმა ცირა ვახვახიშვილმა. სპექტაკლს აქვს თავისი პლასტიკური და სცენოგრაფიული სახე-ხატი (რაც საერთოდ დამახასიათებელია მიხეილ ანთაძის სპექტაკლებისათვის) და მსახიობების თამაშთან შერწყმული, წარმოდგენა ალიქმება როგორც დრამატული სიმფონია.

მიუხედავად მოქმედი პირების ასეთი სიმრავლისა, სპექტაკლში ყველა როლი ინდივიდუალიზებულია.

მიხეილ ანთაძემ იპოვნა თეატრის მეტაენა, ესოდენ ქებული ანტონენ არტოს და პიტერ ბრუკის მიერ. აქ სიტყვა გათანაბრებულია სიმბოლოსთან და კარგავს რა ლიტერატურულ მნიშვნელობას, იძენს მხატვრული იეროგლიფის ძალას. სწორედ ეს ათანაბრებს მას მუსიკის ენასთან და სპექტაკლი აჰყავს ახალ, ირაციონალურ ხარისხში.

ეს დადგმა არ არის გათვლილი რომელიმე ასაკის მაყურებელზე. იგი თანაბრად საინტერესოა ყველასათვის, რადგან შეიცავს მარადიულ შინაარსებს, ზედროულ და ზენაციონალურ ქვეტექსტებს.

ერთ-ერთ ბერძნულ მითში ქალმა ზევსს შესთხოვა უკვდავება და ებოძა კიდეც. მაგრამ საბრალოს დაავიწყდა მისთვის ეთხოვა მარადიული ახალგაზრდობა. მოხუცებულს, დაჩაჩანაკებულს, უკვდავება მარადიულ უბედურებად ექცა.

იგივე მოუვიდა ჭაბუკს „უკვდავების ზღაპარში". თვისტომებს მოწყვეტილმა, უმიზნო და უშინაარსო ცხოვრების შემყურემ, მარადიულ სიცოცხლეს ამჯობინა სამშობლოში სიკვდილი. და მისი ასეთი არჩევანი ჩვენთვის სრულიად ბუნებრივი და გასაგებია.

დაბოლოს, სპექტაკლი-სიმფონია ჟღერს როგორც გალაკტიონის უჭკნობი სტრიქონის — „და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ" — ახალი ტრანსკრიფცია — რაა უკვდავება სიყვარულის გარეშე, რაა მარადიული ყოფა, თუკი იგი არ მოიცავს მარადიულ ადამიანურ ფასეულობებს.

ქართული მითოსი, ფოლკლორული მოტივები, ოთარ ჩხეიძის დიდებული აჩრდილი, სიტყვის, მუსიკის და პლასტიკის საოცარი შეხამება, მსახიობთა ხატოვანი თამაში — ყოველივე ეს ერთად აღებული გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ დუმბაძის საბავშვო თეატრმა გადალახა უძრაობის რუბიკონი და დღეს ქართული თეატრის ავანგარდში იმყოფება.

ჯუმბერ ხანთაძე

# მოგზაურობა სკანდე-მუჯირეთში

**ალბათ ასაკის ბრალია – დავკარგავ მეგობარს და მოგონებებად გადავიქცევი ხოლმე. გუშინ რა ვჭამე, ის არ მახსოვს, აქ კი ყველაფერი წვრილად მახსენდება, ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, მონიფული წლები და ასე ბოლომდე. შემაწუხებს ხოლმე მოგონებები, ღამეც ვფიქრობ, დღისითაც და ძილშიაც. ვიდრე ქაღალდსა და კალამს მოვიმარჯვებდე ვიტანჯები, მერე დავწერ და ამოვისუნთქავ.**

**ახლაც ასე დამემართა – ვანო გამომეცალა, უახლოესი მეგობარი. რა არ გამახსენდა ვანოსთან დაკავშირებით, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით მაინც ჩვენი ურთიერთობის იმ დასაწყისს ვიხსენებდი, საიდანაც ჩვენი მეგობრობა დაიწყო.**

ვანოს უფროსი ძმა, ჯემალი, ჩემი სულ ადრეული მეგობარი სკოლიდან, ომის შემდეგ მძიმედ დაავადდა ძვლის ტუბერკულოზით, ხანგრძლივად იავადმყოფა და ორი წლით ჩამოგვრჩა. მიუხედავად ამისა ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. არ ვიცი მეცოდებოდა თუ თანადგომის გამოხატვის მიზნით, სისტემატურად დავდიოდი მწოლიარე ჯემალთან. სხვებიც დადიოდნენ. მაშინ ჭადრაკი იყო მოდაში და ჩვენც ვთამაშობდით. ყველას თამაზ აბულაძე გვჯობნიდა, ის უკვე თანრიგოსანი მოჭადრაკე გახლდათ. ჩვენზე 5 წლით უმცროსი ვანო გამხდარი, გაჩხიკინებული ბიჭი იყო, ძალიან უჭმელი, მოძრავი და გამორჩეულად აზრიანი. ის თამაზის შეგირდად მიიჩნევდა თავს და კარგადაც თამაშობდა. უკვე იცოდა ნიმცოვიჩის დაცვა, კაპაბლანკას დებიუტი და მისთანანი.

ჯემალის ოჯახმა ძალიან შემიყვარა, ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ზაფხულობით, როცა ჯემალი ბაკურიანში მიყავდათ, მეც გამიყოლებდნენ ხოლმე. იმ წელიწადს, 1949 წელი იყო თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჯემალი, მისი გამზრდელი ბებია, ჩემთვის უცა ბებო, ჯემალის ბიძა — მიშა ძიძიშვილი, ვანო და მე ბაკურიანში, პარკის მიდამოებში დავსახლდით, ახალგაზრდა ოჯახის კუკური ფანჯიკიძისა და მისი მეუღლის მარგოს სახლში. კუკური მაშინ უკვე ცნობილი მოთხილამურე იყო. შემდეგში სათხილამურო ბაზებს, მათ შორის დინამოს ბაზასაც ხელმძღვანელობდა და, როცა ვხვდებოდი, სიამოვნებით იხსენებდა მის ოჯახში ჩვენს სტუმრობას.

ჩვენი დიასახლისი უცა ბებო გახლდათ, ის გვაპურებდა და გვივლიდა. ბატონი მიშა ჩვენს მომარაგებაზე ზრუნავდა და, როგორც წესი, მთელ თავისუფალ დროს ტყეში ატარებდა. ჯემალი მეტწილად იწვა, ამიტომ მე და ვანო დავდიოდით გარე-გარე. მალე აღმოვაჩინეთ ტირი, სადაც დამსვენებელი ბავშვები ხორხოცობდნენ. ამ ტირში სხვა გასართობებთან ერთად სამ სხვადასხვა ფერად შეღებილი დისკო იყო. ტირის მესვეური, ძია გარეგინი, დისკოს დაატრიალებდა, შენ თოფი უნდა გესროლა მბრუნავი დისკოსათვის. თუ ანაზდად წითელ ფერს მოარტყამდი, წინასწარ დადებულ თანხას მოიგებდი, თუ არადა წაგებული იყავი. უმალ მივხვდით, რომ ეს საქმე სარფიანია, მოგების ალბათობა ძალიან მაღალია და სწორი ტაქტიკით შეიძლება ნაყინის ფულიც მოიგო. ჯემალს მოვეთათბირეთ და მეორე დღესვე მივადექით ტირს. ტაქტიკა კი ამგვარი იყო: რომელიმე ჩვენგანი პირველი ისვრის, წაგების შემთხვევაში ჩვენი გუნდის მეორე წევრი თავნს აორმაგებს და ისვრის. თუ მოარტყა წითელში, მაშინ წაგებულ თანხას ამოიღებს და თავნი მოგება რჩება, თუ ვერ მოარტყა, მაშინ მესამე წევრი თავნს ასამმაგებს და ასე მანამდე, ვიდრე წითელში არ მოვარტყამთ. რომელიღაც ჯერზე აუცილებლად მოვარტყამთ წითელში და მოვიგებთ. ეს კი ნიშნავს, რომ ყველა ჯერზე წაგებულ თანხას ვიბრუნებთ და თავნის სახით დადებულ მანეთს ვიგებთ. მთავარია არ გასკდეს, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

რამდენიმე დღე წარმატებით ვთამაშობდით და დღის ბოლოს ნაყინის ან კინოს ფულიც გვრჩებოდა. მაგრამ მალე ძია გარეგინი მიხვდა, რომ ერთი „შაიკა" ვიყავით და ტირთან სათოფეზე არ გვაკარებდა.

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ედიშერ გიორგაძე გვესტუმრა რამდენიმე დღით. მერე კი, ჩვეულებისამებრ, მე და ედიშერმა გადავწყვიტეთ ხეტიალი. ვანო თვალცრემლიანი გვევედრებოდა, მეც წამიყვანეთო. ჩვენ კი დავთანხმდით, მაგრამ უცა ბებოს „გატეხვა" ძალიან გაგვიჭირდა. რო მიდიხართ, სად მიდიხართო? – გვკითხა. ვერ გავეცით პასუხი. ან როგორ გავცემდით, ჩვენც არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ისე მივდივართ ქვეყნის სანახავად-მეთქი — ვუთხარი. ამ ასაკში ამგვარი აქტი დამოუკიდებლობის გამოხატულებაა და, რასაკვირველია, მრავალ ავანტიურისტულ ელემენტსაც შეიცავს. ვანომ ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი მოიშველია, მაგრამ უშედეგოდ. — კარგი, თქვენ წაბრძანდით, ბატონო, მარა ამ ჭიაყელასავით ბაღანას რას ერჩითო? რა გაკლია, ბებიკოო, — მიუბრუნდა ვანოს — საჭმელი თუ სასმელიო. სიარული თუ გინდა ვინ დაგაკავა, აგერ არაა რო დაკუნტრუშობო! ბოლოს ძია მიშა დაგვეხმარა, ჯემალიც შეგვეშველა და უცა ბებოც მოლბა.

დილით შევკარით ჩვენი გუდა-ნაბადი და ფეხით გავუყევით საკოჭავისაკენ, იქიდან ბორჯომულას ხეობაში დავეშვით და ცემამდე ხეობას გავყევით, მერე ტბისა და სადგერის გავლით ბორჯომ-პარკში ჩავედით.

მაშინ ბორჯომი მეტად პოპულარული იყო, მთელი თბილისი იქ ისვენებდა, ნემსს ვერ ჩააგდებდი. ღამის გასათევი არავინ მოგვიჩინა, თანაც ძვირი იყო, ჩვენი ფინანსები კი მეტად მოკრძალებული. მიუხედავად ამისა დაუზოგავად მივირთვით მაშინ საქვეყნოდ განთქმული ბორჯომული საკონდიტრო ნაწარმი. კარგად დაპურებულებმა ორი სეანსი კინოც მოვინახულეთ და ღამის გასათევად სადგურის მახლობლად სკამძელს მოვერგეთ. მეორე დღეს უაზროდ ვიყანყალეთ ქალაქში და ღამე პარკში გავითიეთ. აქ უფრო კომფორტული სკამები იყო, მაგრამ ციოდა. დილის სუსხმა გაგვაღვიძა. მივხვდით, რომ ბორჯომი ჩვენნაირი უფულო ხალხისათვის უპერსპექტივოა. ჩიხში მოვექეცით, გათავდა ჩვენი ყანყალი. მე წინადადებით შევედი, წავსულიყავით იმერეთში, ჩემ დედულეთში, სოფელ მუჯირეთში, სადაც ბაბუაჩემის ძმა, გრიშა ბაბუა, და მისი მეუღლე, ბებია მარიამი, მეგულებოდა. უშვილძირო მოხუცები მარტონი ცხოვრობდნენ, მაგრამ მშრომელი და გამრჯე გრიშა ბაბუას წყალობით ჭადი და ყველი არ აკლდათ. წინადადება ერთხმად იქნა მოწონებული, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რა სირთულეებიც გველოდებოდა: ზესტაფონიდან სოფლამდე დიდი გზაა ფეხით გასავლელი, უფულობის გამო მატარებლით „ზაიჩიკომ", ანუ უბილეთოდ უნდა ვიმგზავროთ. მე და ედიშერს

ეს საქმე დამულამებული გვქონდა, მაგრამ ვანო? შევთავაზეთ — აგერ კუკუშკაზე დაგსვამთ და ბაკურიანში დაბრუნდი-მეთქი. ქვა ააგდო, თავი შეუშვირა, ვერაფრით ვერ მოვტეხეთ, არცერთმა არგუმენტმა, მომავალი მოგზაურობის სავარაუდო სირთულეებთან დაკავშირებით, ვანოზე არ იმოქმედა, ნარბიც არ შეუხრია. ცხადია, უკვე მაშინ ვანო ჩამოყალიბებული ავანტიურისტი იყო, ამ ცნების კარგი გაგებით. ასეთად დარჩა ბოლომდე, არ ჩვეოდა დასახული გზიდან გადახვევა, გასაკეთებელსაც ბოლომდე აკეთებდა.

რა გაეწყობოდა, დავმორჩილდით და დილაუთენია ხაშურისკენ მომავალ „რაბოჩი“ მატარებელს „ზაიჩიკომ“ გავყევით. დასავლეთით მიმავალი სამგზავრო მატარებლები ხაშურში ღამით გამოივლიდნენ ხოლმე. ერთადერთი ერევანი-მოსკოვი მოდიოდა დღისით, მაგრამ ბილეთი ძვირი ღირდა, „ზაიჩიკომ“ მგზავრობა კი შეუძლებელი. უნდა დავლოდებოდით თბილისიდან ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, სოხუმში ან სოჭში მიმავალ ღამის მატარებელს.

ედიშერმა აირჩია, „ტავარნის“ გავყვეთო, ვანომაც აუბა მხარი — ხო, კარგია და თანაც მუქთაო. ჩვენში დემოკრატია იყო, ვეტოს უფლება არავის ჰქონდა და რა უნდა მელონა, დავთანხმდი. შევიგულეთ ერთი ცისტერნებით, პულმანებითა და ღია პლატფორმებით დაკომპლექტებული შერეული შემადგენლობა, რომელსაც წევა, ანუ ელმავალი უკვე ჩაბმული ჰყავდა და ჩანდა, რომ მალე წავიდოდა. ჩავხტით ღია პლატფორმაში და მართლაც, მალე დავიძარით. ჩვენ ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მოლითში კი წაგვითაქა ერთი პირობა მატარებლის გამცილებელმა, მაგრამ საბედნიეროდ მალე მოლბა, უფრო ვანო შეეცოდა და თავის ტამბურში მიგვიჩინა ადგილი.

იმ დროს ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო გადასარბენს ერთი ლიანდაგი ემსახურებოდა. ჩვენი „ტავარნი“ ყველა სადგურში გზას უთმობდა შემხვედრ მატარებლებს. ამის გამო მგზავრობა გაჭიანურდა და რის ვაი-ვაგლახით შუაღამეზე ჩავჯაყჯაყდით ზესტაფონში. ღამე მშივრებმა სადგურში გავითიეთ და უთენია დავადექით მუჯირეთისაკენ მიმავალ გზას.

ქვედა საქარაში მზემ ამოანათა, საკმაოდ დაცხა და სიარულიც გაძნელდა, თანაც მშივრები ვართ.

მზე შუბის ტარზე იდგა რკინის ხიდს რომ მივადექით. აქ ორი მთის მდინარე — ბუჯა და ძუსა — ერთდება. პირველი ქვაციხიდან მოედინება, მეორე — მუხურიდან. ამის ქვემოთ ეს მდინარე ჩოლაბურად ინოდება და აქედან დაახლოებით ათ კილომეტრში მდინარე ყვირილას ერთვის. ამ ადგილებში ძუსა დიდ, კამკამა მორევებს იკეთებს, ლურჯად კიაფობს წყალი. ძალიან დაგვცხა და გაგრილება გადავწყვიტეთ. მივაგენით ერთ მყუდრო ადგილს და დედიშობილად გადავეშვით წყალში. გვარიანად ვიჭყუმპალავეთ, გავგრილდით, მაგრამ ძალიან მოგვშივდა. უფრო ვანომ დაიწყო წუწუნი – მშიაო. ზემოთაც მოგახსენეთ, უჭმელი ბავშვი იყო, სულ ხვეწნა-მუდარით აჭმევდნენ. მივხვდი, არ უნდა გვებანავა. გაგრილებულები, მაგრამ მშივრები გავუყევით გზას და მალე ქვედა საზანოსაც მივუახლოვდით.

მაშინ იმერეთში კიდევ იყო შემორჩენილი კეთილი ტრადიციები: გზაზე მიმავალნი, უცნობებიც კი, მოწიწებით ესალმებოდნენ ერთურთს. თუ ბავშვს მოწიფული კაცი შეხვდებოდა აუცილებლად გამოელაპარაკებოდა, ჰკითხავდა — ვისი ხარ, ბიძიკო, შენეო? ჩვენც გაგვიმართლა. ერთმა გლეხმა, რომელიც იმერული ოდა სახლის წინ ფუსფუსებდა, გამარჯობა გვითხრა, დაწვრილებით გამოგვკითხა, ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით გაგვიწევია.

— გრიშამდე ბევრი გაქვთ კიდე სავალიო, მოშიებულები იქნებით ბაბუაო, — გვითხრა და ეზოში შეგვიპატიჟა.

— არიქა, სტუმრები გვყავსო, — გასძახა დიასახლისს და სულ მალე მშვენიერი ლობიოთი, პრასით, ჭადითა და ყველით გაგვიმასპინძლდა. ღვინოც დაგვალევინა თითო ჭიქა, ოდნავ მჟავე იყო, მაგრამ ცივი და გემრიელი. ვანომაც დააჭაშნიკა. მასპინძელს პაპიროსი შევთავაზეთ, „ტემპი“ გვქონდა. ჩალასავით არიო — დაგვიწუნა და ახალი გამომხმარი თამბაქოს ფოთლები მოიტანა, დაახვია და წალდით კოხტად დაჭრა. თუთუნი გაზეთში გავახვიეთ და გავაბოლეთ, კარგი გემო ჰქონდა, მაგრამ მაგარი იყო. ვანო თვალებდაჭყეტილი გვიყურებდა, ვიგრძენი, რომ გაბოლებაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ ერიდებოდა ალბათ ჩვენიც.

ნასადილევს წელში გასწორებულები დავადექით გზას. მაძღარი კაცი უფრო კარგად შეიგრძნობს ბუნების სიმშვენიერეს. ზემო იმერეთს თავისი ხიბლი აქვს, დავით კაკაბაძის სამყაროში ხვდები. დავარცხნილი სერები, ზედ შეფენილი ათასფრად მოჩითული ვენახები და ყანები, კოხტა, მწვანედ მობიბინე ეზო-გარემო, ალვის ხეები რომ დადგომიან დარაჯებად, სასიამოვნო გარეგნობის, წინსაფრითა და ქამარში წალდით განყობილი, ფაფანაკიანი, ტკბილმოუბარი გლეხები რომ მოგესალმებიან და როგორც ახლობელს მოგიკითხავენ — კეთილად განაწყობს მოგზაურს და ჩვენც გაგვიადვილდა მოძრაობა.

მივედით სოფელ საზანოში. ეს ერთ-ერთი ცნობილი სოფელია ამ მხარეში, იმიტომ, რომ აქ ძველთაგანვე ოთხშაბათობით იმართება ბაზრობა, როგორც აქაურები ამბობენ, „იარმარკა“. მაშინ საზანოში იყო სამჭედლოები, წუღების (ფეხსაცმელების) და იმერული ფაფანაკი ქუდების სამკერვალო, საპარიკმახერო, სამიკიტნო, წისქვილი, პატარა ღვინის ქარხანა და საფოსტო განყოფილება. ამის მერე ფოსტა აღარ შეგვხვდება, ეს ბოლო პუნქტია, საიდანაც შეიძლება დაუკავშირდე გარე სამყაროს. ამიტომ ჩვენი მწირი ბიუჯეტიდან გამოვყავით თანხა და ტელეგრამა გავუგზავნეთ კუკური ფანჯიკიძეს, ანუ უცა ბებოს და შევატყობინეთ, ბედნიერები ვართო.

საზანოს თავში ძუსაში გავტოპეთ, მარცხნივ მოვიტოვეთ ჩიხორის სერი, გავუარეთ ქადაგიძის რაფს, რომელიც ძუსაზე ყველაზე დიდ წისქვილთა დოლაბებს აბრუნებს და მივადექით სკანდე-მუჯირეთს. ეს ისტორიული ადგილია. სკანდე სოლომონ მეფის საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. მას ამშვენებს თეთრად მოქათქათე ეკლესია. მისი ქვედა უბანი — მუჯირეთი, შედარებით პატარა სოფელია მდ. ძუსის ორივე ნაპირზე განლაგებული. გრიშა ბაბუას მამაპაპისეული ნაბლის სახლი ძუსის პირას კორტოხზე იდგა. წინა ეზოს გამორჩეულად დიდი ცაცხვის ხე ამშვენებდა, რომლის ქვემოთ მზეზე მიფიცხებული ვენახი იყო გაშენებული. გრიშასა და მარიამის გარდაცვალების შემდეგ სანათესაომ ეს სახლი სოფელს მიყიდა გროშებად. დაშალეს, სოფლის ცენტრში, ხიდთან ჩაიტანეს და იქ გამართეს. მშვენიერი რვაწლიანი სკოლა განთავსდა შიგ. ვენახის ბოლოს „დობილოში“ ძუსა კარგა გვარიან მორევს იკეთებდა, რომელიც მობანავე ბავშვების თავშეყრის ადგილი იყო.

საღამოს უკვე გრიშა ბაბუას საზოგადოებაში ვიყავით. ნავახშმევს გრიშა ბაბუამ, როგორც ჭადრაკის დიდმა მოტრფიალემ, თითო პარტია შემოგვთავაზა. მარიამ ბებიამ გა-

აპროტესტა გრიშას ეს სურვილი – ბავშვები დაღლილები არიან და რა ეთამაშებათო, ნუ მოაბეზრებ თავსო. ტურნირი მაინც შედგა, უფრო ბლიცი გამოვიდა, ვანომ ყველას გვაჯობა. გრიშა ბაბუა ძალიან აზარტული კაცი იყო და დაგვექადნა – აბა ხვალ მოვუსინჯოთ ერთმანეთს კბილიო.

მუჯირეთში ბევრი გასართობი იყო. გრიშა ბაბუას ცხენი ჰყავდა, ძალიან ლამაზი და თვინიერი, მე ყოველთვის მანდობდა. ახლა სამი კაცისათვის უნდა გაეწია სამსახური. მდინარე ძუსა სავსე იყო თევზით, ახლომახლო ტყეები — ნიყვით, ახალი სიმინდი და კვახი შემოსული იყო, ვენახში აქა-იქა საადრეო ჯიშები დათვალებულიყო, კაკალი იკაჭლებოდა. ერთი სიტყვით ყმაწვილკაცისათვის ბევრი რამე იყო საინტერესო და ჩვენც გადავეშვით ნეტარების მორევში – დილით გასულები სამხარზე თუ ვბრუნდებოდით. მოხუცები ჯავრობდნენ, სულ გვებუზღუნებოდნენ – ან ჭამა არ გინდათ, ან - დასვენებაო?

ვანომ ჭამა ინება, გემრიელად მიირთმევდა ხოლმე. ედიშერმა თქვა, ძუსაში ბანაობა არის მაგის წამალიო. ვახშამზე მე და ედიშერი გრიშა ბაბუას ღვინოს შევექცეოდით, ვანოს ახალმოწველილი თბილი რძით უნდა ეთქვა სადღეგრძელო. ასეთი იყო მარიამ ბებიას ვერდიქტი. მაგრამ მალე ვანომ გააპროტესტა განაჩენი და ადამიანის უფლებათა შეზღუდვაში დაგვდო ბრალი. გრიშა ბაბუაც გამოესარჩლა – ამ ღვინოზე კარგი რა უნდა დალიოსო — გვითხრა და ყოველ საღამოს სამი სათითური ჭიქის დალევა დაუკანონა.


ჯუმბერ ხანთაძე, ედიშერ გიორგაძე, ვანო ყვავილაშვილი

საღამო ჭადრაკით მთავრდებოდა. ჩვენ გრიშას მოწინააღმდეგეები ვიყავით. გრიშა იხტიბარს არ იტეხდა. დავთქვით, გვეთამაშა 12 მოგებამდე. თუ გრიშა პირველი მიაღწევდა თორმეტამდე, ვენახის ბოლოში რამდენიმე კვალი უნდა გაგვეთოხნა, თუ წააგებდა — ჭადრაკი უნდა ეყიდა. დაფასთან ყოველთვის ვანო იჯდა, მე და ედიშერი ვკარნახობდით, ეს წესდებით ნებადართული იყო. შიგადაშიგ ვაჭრობაც მიდიოდა. მაგალითად, გრიშა ბაბუა სვლას დააბრუნებდა, სამაგიეროდ, სანუკარს დაგვპირდებოდა და ყოველთვის გვისრულებდა, ხიდთან ჩადიოდა და დუქანში „პადუშკა" კანფეტებსა და გალეტებს ყიდულობდა. ასე რომ, სანუკარი მუდამ გვქონდა. ბოლოს როგორც იქნა მოვუგეთ გრიშა ბაბუას და იმანაც, დაპირებისამებრ, ლამაზფიგურებიანი, ხისყუთიანი ჭადრაკი გვიყიდა.

როგორც წესი, ჩვენ გვიანობით ვიღვიძებდით, ვნებივრობდით, ვერ ველეოდით ლოგინს. მოხუცები უთენია დგებოდნენ, გრიშა ბაბუა ვენახში საქმიანობდა, მარიამ ბებია ძროხას წველიდა, ფრინველს მოუვლიდა და საუზმის თადარიგს იჭერდა.

ერთ დილას (ჭადრაკი უკვე მოგებული გვქონდა) ვანო ჩვეულებრივზე ადრე ადგა და სადღაც გაიძურწა. დავინტერესდით, წამოვხტით და დავედევნეთ. ვენახში აღმოვაჩინეთ – ოყიანი თოხით, გრიშა ბაბუას გვერდით კვალს მიუყვებოდა. ნამუსზე შეგვაგდო, რა გაეწყობოდა, ის დღე თოხნაში გავატარეთ. ავითვისეთ ის ნაკვეთი, თუმცა ხელებზე ბებერები გაგვიჩნდა.

ჩვენი მუჯირეთის არდადეგებიც დამთავრდა, სექტემბერში სწავლა გვეწყებოდა და ჩვენც გამოვეთხოვეთ ჩვენს მოხუცებს. ჩემი რჩევით ქიათურაზე გადავწყვიტეთ წამოსვლა. გრიშა ბაბუამ კაი დიდზე გამოგვაცილა – ვიდრე არ ავიარეთ ნიფორის მთის ბილიკები და თავასაში მიმავალ საურმე გზას არ დავადექით, არ მოგვცილებია. გამომშვიდობებისას მარიამ ბებიას გამზადებული საგზალი გადმოგვცა და ცოტაოდენი ფული. ასე რომ, „ზაიჩიკობა" აღარ დაგვჭირვებია.

მარდად გავიარეთ სოფელი თავასა და გადავხედეთ ქვაციხეს. მართლაც ძალიან ლამაზია ზემო იმერეთის ზეგანი. აქედან ჩანს რცხალათი, ბილა, ცხრაპირა, ვაჭევი, საკურწე და უფრო შორს — ღვითორის ველი. გზა გრძელი და დამღლელია, მაგრამ ლამაზი და საინტერესო. ვნახეთ კაცხის სვეტიც.

ბოლო წლებში კაცხის სვეტის მიდამოებში საქართველოს პირველობები ჩატარდა მეკლდეურობაში, რომელთა საპატიო სტუმარი ვანოც გახლდათ. ვანო მეუბნებოდა, შთაბეჭდილებას, რაც მაშინ, ბავშვობაში მივიღე, ვერაფერი შეედრებაო.

საღამოს მატარებლში ვისხედით და მარიამ ბებიას კეცებში შემწვარ ვარიას და გრიშა ბაბუას ალისფერ ღვინოს მივირთმევდით. ვანომაც მოულხინა და პაპიროსი „ტემპიც" მიაყოლა. არც მე დამიშლია და მითუმეტეს არც ედიშერს. ან რა აზრი ჰქონდა. კოჭებში ეტყობოდა, რომ ადამიანის ამ სისუსტეზე – სასმელსა და სიგარეტზე — ვანო უარს არ იტყოდა. რაღა დიდი ამბავია, დღეს დავიდებდით ამ ცოდვას თუ ხვალ. ფაქტია, არასოდეს გამოუთქვამს საყვედური, მონია და დალია, დედის რძესავით შეერგო, არც არასოდეს უნანია ამის გამო და არც უცდია თავის დანებება.

ის ჭადრაკი კი, მოგებული ჭადრაკი, უცა ბებოს ოჯახში ინახებოდა დიდხანს, იმ ძველ ერთსართულიან სახლში, რომლის ნაცვლადაც დიდი კორპუსი აშენდა, სადაც ჯემალი და ვანო ცხოვრობდნენ. იმ დიდი კორპუსის მშენებლობისას ჯემალი თავისი ოჯახით და ჯემალის დედა, დეიდა ნორა, დროებით ენგელსის ქუჩაზე გადასახლდნენ, ვანომ ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა და მოსკოვს გაემგზავრა. მერე ცალ-ცალკე მიიღეს ბინები იმ დიდ სახლში და მას მერე ის ჭადრაკი აღარ მინახავს. ალბათ ამდენ გადაბარგება-გადმობარგებაში სადღაც დაიკარგა. გული კი მწყდება — ბევრის მომსწრე, ბევრის მნახველი ჭადრაკი იყო.

ცირა ბარბაქაძე

# გულახდილი, როგორც საუბარი ბუხართან

✵

## დოდონა კიზირიას პოეზია

ბოლო დროს ხშირად ვეკითხები სტუდენტებს: რატომ კითხულობენ პოეზიას? რა ხიბლი აქვს ასეთი სიტყვათა განსაკუთრებულ წყობას, რომელიც თუ მოგეწონა, ზუსტად ვერასდროს ახსნი — რატომ? ამ კითხვას საკუთარ თავსაც ვუბრუნებ... მე მარტივი პასუხი მაქვს: პოეზიამ უნდა დამავიწყოს სიტყვები და გამახედოს მათ მიღმა — სხვა განზომილებაში. უცნაურია, მაგრამ პოეზიაში სიტყვები და მათი მნიშვნელობანი მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ისინი გავაუქმოთ და ვერასდროს ავხსნათ მათი გაუქმებით მიღებული მდგომარეობა. ამ მდგომარეობას სხვადასხვა სახელი შეიძლება დავარქვათ: მონუსხვა, მოჯადოება, შთაგონება... მოკლედ, დუმილში ჩავარდნა. ჰო და, სანამ დრო გაზომავს და თავის ადგილს მიუჩენს რომელიმე ავტორს და ლექსს, მე ასე ვზომავ პოეზიას...

ქალბატონი დოდონა კიზირიას ლექსების წიგნი ***ნაპირები*** რომ გადავშალე და რამდენიმე სტრიქონი ჩავიკითხე... სწორედ ზემოხსენებული სიტყვების გაუქმება და დუმილში ჩავარდნა დამემართა. ახლა შევეცდები დაახლოებით ავხსნა ეს რატომ და როგორ მოხდა, რადგან პოეზიის ახსნა სიყვარულის ახსნასავით უნაყოფო საქმეა, მაგრამ ამავე დროს ისეთი, მუდმივად რომ ითხოვს განსხვავებულად ახსნას და რომ არასდროს არ არის სრული... თვითონ ავტორი ერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია *სიტყვა და მსმენელი* სწორედ ამ აზრს ასე აყალიბებს: სიტყვამ, ლექსმა, პოეზიამ (ან თუნდაც სიყვარულმა) რომ იარსებოს და სიცოცხლით შეიმოსოს, მსმენელი აუცილებლად უნდა: მაგრამ იმისთვის, რომ მან ისუნთქოს და იარსებოს, ნათქვამს უსათუოდ უნდა გამგონი.

დოდონა კიზირიას გამორჩეულად ნატიფი მხატვრული სახეები და მოულოდნელი მეტაფორები ისევე, როგორც მის მიერ აღწერილი სიყვარული, იქნებ მართლაც არის მეშვიდე კარიბჭის საიდუმლო.

***პარასკევა***
*მე შენი ვიყავი პარასკევა იმ პარასკევს*
*და ვისწავლე ლაპარაკი*
*ქაფიან ტალღებში მოსრიალე დელფინების.*
*მე დაგეფინე როგორც ხალიჩა ხასხასა ხავსის*
*და ავივსე*
*შენი კუნთების მძიმე სიგლუვით.*
*მე მძივებივით გულმკერდს მოგეფანტე*
*ჩემი სახელით ხმაგაფატრულს*
*და უკანასკნელი ტკივილივით სანატრელი*
*შენი ვიხილე სახე,*
*არვისგან ნანახი.*
*მე შენს სუნთქვაში ჩავიმარხე*
*და იყო დუმილი,*
*როგორც მეშვიდე კარიბჭის საიდუმლო.*

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ პოეტი ასე მეცნიერული სიზუსტით ახსნიდა დრო-სივრცის მეტაფორას და თანაც ეს ახსნა სულისშემძვრელად ლირიკული იქნებოდა:

***დრო და სივრცე***
*არითმეტიკა დროა, ძვირფასო,*
*გეომეტრია კი სივრცე.*
*ამ ცნებათა ფასი*
*მეც კარგად ვიცი და ჩემმა ტოლებმაც.*
*ჩვენი ცხოვრების მაცდური განტოლება*
*მათ ჯვარედინზე გამოისახება*
*მრავალი უცნობი სახეებით.*
*იგი გვპირდება ოქროს ტახტს*
*და რაშს დარახტულს,*
*რომ გავქროლდეთ და გადავიაროთ*
*ცხრა მთა, ცხრა ველი,*
*რომ მოვიტოვოთ უკან ყველა*
*და ბრწყინვალებას ვეზიაროთ.*
*იგი გვიხმობს და გვეძახის*
*ვეწვიოთ უნახავსა და ნაძრახს.*
*იგი გვპირდება საიდუმლოებათა ხილვას,*
*თვალებს ოცნებით გვალულვინებს.*
*იგი გვაჩქარებს და მიგვერეკება,*
*ყურში ჩაგვჩურჩულებს ეშმაკურად:*
*აი, იქ არის გალავანი ზღაპრების,*
*აი, იქ არის ალადინის ლამპარი.*
*იგი გვახელებს ქარიშხლითა და ელვებით,*
*გვისხლტება და იკლაკნება გველივით.*
*იგი გაგვირბის და უჩინარდება,*
*გვიჩენს სადარდებელს.*
*გვინდა დავეწიოთ, მოვკითხოთ ანგარიში,*
*ვიოკებთ ეჭვებსა და შიშს,*
*ვისწრაფვით, ვეშურვით,*
*ოფლი გვდის წურწურით...*
*და როცა უკან გვრჩება კიდევ ერთი საზღვარი,*
*დროისა და სივრცის*
*ბალახიან ბორცვზე*
*დგას მარტოხელა ჯვარი.*

დამერწმუნებით, როგორი ვიზუალურია ეს სტრიქონები და ამ სევდიან და ღრმა ფიქრში ბალახიან ბორცვზე ყველას ცნობიერებაში როგორ გაჩნდება ეს მარტოხელა ჯვარი.

რატომ გვიზიდავს პოეტის ესა თუ ის სახე თუ სტრიქონი? ბუნებრივია, იქ ყოველთვის ჩვენს სათქმელს ვხედავთ და თუ არ ვიტყვით, აუცილებლად გავიფიქრებთ: რომ, რა თქმა უნდა, ეს მეც ვიცოდი და მეც განმიცდია, უბრალოდ, ვერ ვთქვი და რა კარგია, რომ სხვამ თქვა. ნამდვილი პოეზია ისევე შე-

უცნობელია ბოლომდე, როგორც მაძიებელი ადამიანისათვის საკუთარი თავი... წარმოიდგინეთ, შეხვდით ადამიანს, რომელმაც ზუსტად იცის და იცნობს საკუთარ თავს... ზედმიწევნით იცის, როდის როგორ და რატომ მოიქცევა... ასეთი პოეტებიც არსებობენ ჩვენ გვერდით. დოდონა კიზირია ყველა ლექსში ახალია და სათქმელსაც განსხვავებულად წარმოაჩენს. მის სტრიქონებს აქვს გემო, ფერი, ვიზუალურადაც იმდენად მოძრავია, რომ ლამის კინოკადრებად იქცევა აღმქმელის ცნობიერებაში. მკითხველი ხშირად საკუთარ თავს ამგვარ სტრიქონებში შეიცნობს და ამით აფართოვებს თავის სამყაროსაც.




დოდონა კიზირიას ლირიკული პერსონაჟი (ისე, მე ეს ე.ნ. ლირიკული პერსონაჟი უფრო რეალური მგონია, ვიდრე რეალური ავტორი) არ უფრთხის ბნელ ფიქრებს და მისგან ყოველთვის ახალი გამოდის. სწორედ ეს სიახლეა, რომელიც მკითხველსაც იზიდავს:

***ბნელი ფიქრები***

*ო, ჩემი ბნელი, ბნელი ფიქრების ურდო...*
*როგორ დამიმონეს და გამამრუდეს*
*მათმა ღვარმა და ზვავებმა,*
*წამაშლევინეს საზღვარი*
*ავის და კარგის.*
*რა არ დავკარგე*
*სანუკვარი და საფიცარი.*
*მე მათ წამლეკეს და გამიტაცეს,*
*ისე, როგორც მდინარემ მთვარე*
*და შემაყვარეს*
*ხატი მკვლელი და ხვატი მწველი.*
*მათ მომცეს ახალი სახელი,*
*ახალი სახე*
*და ჩემი წარსული სული*
*როგორც სანთელი,*
*ეკლესიიდან გამოტანილი,*
*ფარფატით მიქრება.*
*ო, ბნელი, ბნელი...*
*ბნელი ურდო ჩემი ფიქრების.*

* * *

ახლა კი გადავწყვიტე, თვითონ ავტორი ვალაპარაკო და მე მხოლოდ კითხვებს შევურჩევ... პასუხებს მისივე პოეზიიდან მოვიტან. მოკლედ, ეს იქნება ინტერვიუ, რომელიც არ შემდგარა და რომელიც მე ნებისმიერად დავამონტაჟე დოდონა კიზირიას პოეზიიდან.

**— ქალბატონო დოდონა, მოდი, თავიდან დავიწყოთ და გკითხავთ: საიდან მოდიხართ, ვინ იყო თქვენი წინაპარი?**

— ჩემი წინაპარი იყო ლოყებდაკაწრული კასანდრა,
ნაწნავებდაშლილი და ფეხშიშველი რომ დაიარებოდა.
მისი შეშლილი ყვირილი და ქვითინი
უშიშარ მეომრებს ართობდა და ახითხითებდა...
*(„კასანდრა“)*

**— და მაინც... რა არის თქვენთვის წარსული...რას ელოდით ცხოვრებისგან და რა მიიღეთ, იმედები ხომ არ გაგიცრუვდათ?**

— რა ლამაზად ირთვებოდა გარემო,
რა კეთილად კამკამებდა მზე!
ილებოდა ფართოდ ოქროს კარები.
მპატიჟებდნენ სასახელო გზები.
არ გამოჩნდა ზღვაზე თეთრი აფრა,
არ აჩქეფდა შადრევნებით ცისკარი.
მერე რა, რომ იმედები გაქრა,
რა ბედნიერ ოცნებებით ვიარე...
*(„წარსული“)*

**— და სად წავიდნენ აუსრულებელი სურვილები...? თუ იპოვეთ, რასაც ეძებდით ამ ცხოვრებაში?**

— ღონე აღარ დამრჩა ვიპოვნო,
რასაც დავეძებდი გულმხურვალედ,
დავეხეტებოდი ქარში და ავდარში.
გადაეხურა მარმარილოს მარმაში
იმ სურვილებს... *(„ღონე აღარ დამრჩა ვიპოვნო...“)*

**— სად მიდის წარსული, როდის მთავრდება?**

— წარსული არასოდეს მთავრდება,
არა იმიტომ რომ გვახსოვს,
არამედ დღევანდელი ავდრები
განვლილს სხვაგვარად გვახსენებენ...
*(„წარსულის მეტამორფოზები“)*

**— რა ემართება რწმენდაკარგულ ადამიანს?**

— როცა გვეკარგება რწმენა, ვკარგავთ უკვდავებას.
სევდა ტყვიისფერი, როგორც წარსულზე ვაება
ცასა და მიწას სუდარასავით ეფარება,
და გულის სურვილებს აღარსად რჩებათ თავშესაფარი...
*(„უიმედობა“)*

**— ქალბატონო დოდონა, თქვენი აზრით, რა დაემართა მსოფლიოს, რატომ გახდა ასეთი შეშლილი?**

— მსოფლიომ დაკარგა ჰორიზონტები,
ის მიუწვდომელი ჰორიზონტალი,
რომელიც ევლო შორეულ საზღვრად
მთებსა და ზღვას,
კანონის სიმკაცრით განასხვავებდა
ყოველ ჩვენიანს და ყველა სხვას...
*(„ჰორიზონტი“)*

**— შეგიძლიათ, გამიმხილოთ, რა გენატრებათ ახლა?**

— მე მენატრება არაბული ცხენის ცხელი ფერდი,
რომ მის გრძელ ნახტომს მოვეხვიო
მთრთოლვარე ხელებით,
რომ გამახელოს მისი ხერხემლის რხევამ
და ამაბოლოს მეხდაცემულ ხესავით,
რომ შეუძლებელი გადავლახო
და გავყუჩდე
ორთქლიან კისერში თავჩარგული,
თითქოს უეცრად
ტყვიას დაეტყვევებინოს ჩემი გული.
*(„მე მენატრება“)*

**— თქვენი პოეზია სავსეა სევდით, ფიქრით, განსჯით.... მაინტერესებს, როდის ხართ უდარდელი?**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— რა უდარდელი ხარ, როდესაც მიდიხარ გზად,
და არ იცი სად...
ისე, უბრალოდ მიდიხარ
და მშვიდი ხარ,
როგორც ბულალტერი...

*(„გაუმარჯოს უდარდელობას!“)*

**— პოეტის ფუნქციაზე რას გვეტყვით საერთოდ და დღეს?**

— ერთ დროს პოეტებს
თვით ღმერთები ესაუბრებოდნენ,
უმხელდნენ მრავლად საიდუმლოებებს
და სთხოვდნენ,
ან ეგებ უბრძანებდნენ კიდეც
ხალხისთვის ემცნოთ ვალდებულებები
უზენაესი და მტკიცე.
ახლა, როგორც სჩანს, განყდა ეს კავშირი
და გვეწვია შიმშილი
სიტყვამრავალი.
ვაი, საბრალონი!

*(„ერთ დროს...“)*

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, რა არის თქვენთვის პოეზია, რას ნიშნავს ლექსი?**

— ლექსი არაფერს ნიშნავს,
იგი არსებობს.
იგია არსება,
რომელიც ტკივილით იშვა
ჩვილივით სასურველი და შიშველი.
მისი სამშობლო
არის მიწა
და სიმწარე
სიტყვით ფრთაშეკვეცილ ოცნების.
იგია ჩემი სისხლი და ხორცი.

*(„ლექსი“)*

**— როგორია დოდონა კიზირიას წარსული და აწმყო და თვითონ როგორია?**

— როდესაც ჩემი მზერა
შორეული კონტინენტის კუთხეს მოარღვევს
და, თითქოს საკურთხეველზე,
დამიდებს სასთუმალთან,
სივრცეები იკეცებიან უმალვე
და წარსული, თვალის გუგებში მოტივტივე,
ხდება ბავშვობასავით მარტივი
და გულახდილი, როგორც საუბარი ბუხართან...

*(„დაძინება“)*

ჩვენი ყოფა, წუთისოფელი

რიტა ბაინდურაშვილი

# ღიმილიანი ისტორია თუ ისტორიის ღიმილი

ერთობ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა **გია მურღულია**, როდესაც **„ჩვენი მწერლობის"** სალონში ერთი შეხედვით არასერიოზულ თემაზე სერიოზულად საუბარი სთხოვეს. და რომ არა წლების მანძილზე მისი დაინტერესება ამ თემით, ალბათ, გაუჭირდებოდა კიდეც. თუმცა სერიოზულად დაწყებული საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, სიცილსა და მხიარულებაში მალე გადაიზარდა, რადგან ეს თემა — არც მეტი, არც ნაკლები — ანეკდოტები გახლდათ. დიახ, ანეკდოტები, რომელთაც ბატონი გია უკვე ბევრი წელია აგროვებს და მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა გინესის რეკორდის დამყარებაზე ფიქრი, როცა შეიტყო, რომ ვინმე იტალიელს 50 000 ანეკდოტი შეუგროვებია, მას კი მხოლოდ — 15 000 აქვს. მაგრამ დამეთანხმეთ, 15 000 ანეკდოტიც მთელი სამყაროა — ფილოსოფია, სიბრძნე, იუმორი და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი განწყობა, რომელმაც სრულად მოიცვა დარბაზი.

სერიოზულად დაწყებული საუბარი კი ასეთი შინაარსისა გახლდათ:

**ანეკდოტი ბერძნული სიტყვაა და გამოუქვეყნებელს, უფრო ზუსტად — დაუნახველს, უჩინარს ნიშნავს. იგი შეიძლება ნებისმიერ ამბავს ეხებოდეს, დასასრულის მოულოდნელი აზრობრივი გადაწყვეტის ეფექტით, რაც ბადებს კიდეც სიცილს.** ყველაზე ძველი ანეკდოტი ისტორიკოსებმა შუმერთა თიხის ფირფიტაზე აღმოაჩინეს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1900-1600 წლებით არის დათარიღებული.

ანეკდოტი — ღიმილიანი ისტორია ან ისტორიის ღიმილი, სახალხო მეხსიერების ყველაზე დემოკრატიული გამოვლენა და გარკვეული ფაქტის თუ მოვლენის მოკლე, ლაკონური ფიქსაცია. **სიმოკლე მახვილგონიერების სულიაო — თქვა შექსპირმა** და მართლაც, ლაკონურობა, სისხარტე ხარისხიანი იუმორის დიდი თვისება და გამოხატულებაა. ერთი წინადადება ზოგჯერ მთელ პროცესს წარმოგვიდგენს. პოლიტიკური ანეკდოტები ამის საუკეთესო ნიმუშია (ბრეჟნევის ცნობილი ფრაზა: ია სტარ, ია ოჩენ სტარ, ია სუპერსტარ!).

სტოკჰოლმის უნივერსიტეტში იუმორის კათედრაც ჰქონიათ.

**იუმორის ფარული წყარო სიხარული კი არა, უბედურებაა - ცაში იუმორი არ არისო — უთქვამს მარკ ტვენს.** ძნელია იმის გარკვევა, რა კავშირი ჰქონდა მარკ ტვენს ცასთან, მაგრამ ღმერთთან ღიმილის დაშორება ცოტათი მკრეხელობა კია.

**იუმორი დისტანციის გრძნობააო, — ბერტოლდ ბრეხტმა.** საინტერესოა, რა დისტანციას გულისხმობდა, როცა იუმორი ასე აახლოებს ადამიანებს.

**თავისუფლება იუმორიდან იწყება — ვიქტორ ჰიუგო.** ამ მოსაზრებას ვეთანხმები ყველაზე მეტად.

და მაინც, რა არის სასაცილო? სად უნდა ვეძიოთ სიცილის ბუნება, მისი არსი?.. როგორც კი ამის ახსნას

ინყებ, შეიძლება თვითვე აღმოჩნდე სასაცილო მდგომარეობაში. იქნებ მისი არსება შეუსაბამობაში უნდა ვეძიოთ, ანდა კონკრეტულ სიტუაციებში, როცა ყველაზე სერიოზული და სოლიდური (ზოგჯერ — ტრაგიკულიც) ადამიანებიც კი სასაცილონი არიან?

ასეა თუ ისე, **მაყურებელთა დარბაზი სიცილს იწყებს მაშინ, როცა რამდენიმე მაყურებელი გაიცინებს. მთელი სირთულე ის არის, ეს რამდენიმე როგორ გააცინოო, — ამბობდა ფრანგი დრამატურგი მარსელ აშარი.** ხოლო **თუ გსურთ გააცინოთ ღმერთი, მოუყევით მას თქვენი გეგმების შესახებ (ვუდი ალენი) და დააფასეთ სიცილი — ის, რამდენიც უნდა იყოს ამქვეყნად, ზედმეტი არასოდეს იქნება (სოკრატე).**

გია მურღულიას თქმით, ანეკდოტის კულტურა საზოგადოდ, ხუმრობისა თუ მახვილგონიერების ბუნება, ყველა დროსა და ქვეყანაში მსგავსია, თუმცა სპეციფიკური კონტექსტები ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ. ის, რაც სასაცილოა აღმოსავლეთში, სასაცილოა დასავლეთშიც; ის, რაც ღიმილს ჰგვრიდათ მეათე საუკუნეში, მეტნაკლებად ღიმილის მომგვრელია დღესაც. მაგალითად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნით დათარიღებული ეს რომაული ანეკდოტი დღეს თქვენც ისევე გაგაცინებთ, როგორც მის თანამედროვეებს აცინებდა: რომაელმა მონა იყიდა და ცოტა ხანში მოუკვდა. მივიდა მის პატრონთან და უსაყვედურა: უხარისხო საქონელი მომყიდეო. პატრონი ერთხანს დაფიქრდა და მერე დაეჭვებით უპასუხა: ვერაფერს გეტყვით, ეს მონა ჩემს ხელში არასოდეს მომკვდარაო.



გია მურღულია

**ანეკდოტი ისე ლაპარაკობს რაღაც ფაქტზე, მოვლენასა და განწყობაზე, რომ არ ახსენებს მას. ამ თვალსაზრისით, მისი ბუნება მხატვრული სახეა. აქედან გამომდინარე, არსებობს ანეკდოტის ესთეტიკა, რისი საუკეთესო ნიმუშიც ინგლისური ანეკდოტებია:**

*ინგლისელი თხას ასეირნებს. პოლიციელმა შეაჩერა: ქუჩაში თხასთან ერთად სეირნობა აკრძალულიაო. ინგლისელმა იუარა, ეს თხა არ არის, ძაღლიაო. რქები რომ აქვსო? — იკითხა პოლიციელმა. ჩემი ძაღლის პირად ცხოვრებაში ნუ ერევითო — მოითხოვა ინგლისელმა;*

*ინგლისელი ჯენტლმენი უდაბნოში მიდის და საპირფარეშო დასჭირდება. გარშემო კი მხოლოდ ქვიშაა და მსგავსი არაფერი ჩანს. შეწუხებული კარგა ხნის შემდეგ ერთ ქარავანს გადააწყდება და მის მეთაურს მიმართავს: უკაცრავად, აქ ტუალეტი სად არის? მეთაური ინგლისელს ყურადღებით დააკვირდება და შემდეგ ჰკითხავს: დღეს რა დღეა? — ორშაბათი.*

*— ჰოო, ხუთშაბათამდე პირდაპირ იარე და მერე მარცხნივ გაუხვიე;*

*როდის ჩაიცვეს ინგლისელმა მოსამართლეებმა შავი სამოსი? — დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალების გლოვის ნიშნად. — კი მაგრამ დღემდე რატომ ატარებენ? — ის ხომ ისევ მკვდარია!*

**ანეკდოტს უწყინარი პირობითობაც ახასიათებს და უხამსობის დაუფარავი შენიღბვაც** — არხსენების მკაფიოობა, თუმცა მსმენელი სრული სიზუსტით ხვდება, რაზე ლაპარაკობ და რას გულისხმობ:

*ორ სვანს შამფურზე წამოუცვამთ სომეხი და ცეცხლზე სწრაფად ატრიალებენ. — ცოტა ნელა დაატრიალეთ და უკეთესად შეიწვებაო, ურჩიეს. — ჰო, მაგრამ ნელა რომ ვატრიალებთ, ქვევიდან კარტოფილებს იპარავსო...*

**ანეკდოტს აქვს სახეებიც. არსებობს პოლიტიკური ანეკდოტი,** რომელიც ცხადად გამოხატავს ეპოქის პოლიტიკურ მრწამსს:

*ნარკომანს სიკვდილით დასჯის წინ უკანასკნელი სურვილის შესრულება აღუთქვეს. მან კი კომუნისტის დახვრეტა მოითხოვა: მაგრად ვკაიფობ, კომუნისტებს რომ ხვრეტენო, აღიარა ნარკომანმა;*

*გარდაცვლილი ბუში საიქიოში ღმერთს მოწიწებით ეკითხება: როგორ მოგმართოთ, უფალო ღმერთო თუ მამაო ჩვენო? — არ გვინდა ოფიციალურობა — უპასუხა ღმერთმა, უბრალოდ, ალაჰი დამიძახე;*

*— რატომ არის საბჭოთა მაღაზიებში ყოველთვის ხორცის ნაკლებობა? — იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება შვიდკილომეტრიანი ნაბიჯებით მიდის კომუნიზმისკენ და ძროხები ველარ ეწევიან.*

საყოფაცხოვრებო ანეკდოტები:

*მუშის დახასიათებიდან: დაზგასთან მუშაობის წესებს ისევე კარგად იცნობს, როგორც თავის სამ თითს.*

*სვანი ურეკავს შეყვარებულს: დღეს საღამოს ჩემთან სახლში ამოდი, არავინ იქნებაო. გოგონა მივიდა და მართლაც არავინ დახვდა.*

*რამდენი წლის ხართ? - მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემი ქალიშვილი ბაღში დადის — პასუხობს ქალი. — აღმზრდელად მუშაობს?..*

*დედა, სკოლაში ყველა დაბნეულს მეძახის და რატომ? — შვილო, დედაშენი მოპირდაპირე სახლში ცხოვრობს!*

ანეკდოტური ხუმრობები:

*პეკინის ოლიმპიადაზე ბედნიერი კენიელი მორბენალი ფინიშის ლენტში გაეხვია და შემთხვევით მოიგო შეჯიბრიც მხატვრულ ტანვარჯიშში;*

ანეკდოტური აფორიზმები:

*თუკი უკვე კუდს აქიცინებ, კბილების დაკრეჭვა უსარგებლოა;*

*ზოგიერთ კაცს რქები იმისთვის სჭირდება, რომ შარავანდედი დაიჭიროს.*

**ანეკდოტური განცხადებები:**

*იყიდება ახალი ვიაგრა პლიუსი — მოქმედებს სახლშიც!*

*აგურის ქარხანა იწვევს მტვირთავებს საინტერესო სამუშაოზე;*

*თუ თქვენ ჩვენთან ცხრა ნათესავს დაკრძალავთ, მეათეს უფასოდ დაგიმარხავთ;*

*ყურადღება! ეზოში კეთილი, მაგრამ ძალიან მერყევი ხასიათის ძაღლია!*

*თუკი თქვენ ღირსება დაკარგეთ, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს ის თქვენი არ იყო;*

*სინათლე გვირაბის ბოლოს გამორთულია დავალიანების გამო.*

**სასკოლო ანეგდოტები:**

*მიხოს საშინაო დავალებად მისცეს თემა — ჩემი ოჯახის წარმოშობა. სახლში კი აუხსნეს, რომ მისი ყველა წინაპარი კომბოსტოში იპოვეს. მიხომაც დაწერა: აგერ უკვე მესამე თაობაა, რაც ჩვენი ოჯახი ვეგეტატიური წესით მრავლდება და არაფერი უწყის სქესობრივი ცხოვრების მშვენიერების შესახებ;*

*ბავშვებო, რომელი თვე შეიცავს 28 დღეს? — თორმეტივე, მასწ!*

**ანეკდოტები სიტყვათა თამაშზე:**

*ქუთაისში: ფულს ხომ ვერ მასესხებ? — სამწუხაროდ, თან არ მაქვს. — და სახლში? — გმადლობთ, ყველანი კარგად არიან;*

*როგორ, თქვენი შვილი უკვე 20 წლისაა?! ალბათ, ძალიან ადრე გათხოვდით... — დიახ, დილის შვიდ საათზე;*

*მაპატიეთ, მაგრამ თქვენ ჩემთვის ხურდა არ დაგიბრუნებიათ. — მიპატიებია!*

**აბსტრაქტული და აბსურდული ანეკდოტები:**

*— აჰა, კანფეტი! — არ მინდა, ნოემბერშია გამოშვებული. — ახლა რა თვეა? — აგვისტო. — აზრზე ხარ, მომავლიდანაა;*

*ორი ნიანგი მიფრინავს: ერთი წითელი, მეორე — აფრიკაში. ერთი ეკითხება მეორეს: რა ღირს ერთი კილო შემწვარი ლურსმანი? მეორე პასუხობს: რად მინდა მაცივარი, როცა არ ვეწევი?!*

**ანეკდოტური დიალოგები:**

*მოსამართლე: თქვენ ბრალდებული ხართ შარლატანობაში, ახალგაზრდობის ელექსირს სთავაზობდით გაბრიყვებულ ხალხს! აღიარეთ, ნასამართლევი ხართ? — დიახ, 1650, 1732 და 1901 წლებში;*

*რა მშვენიერი ტყუპი გყავთ, ქალბატონო! — ტყუპი არ არის, ერთია, მაგრამ ძალიან ნერვიულია;*

*ილარიონ ბიძია, მართალია, რომ ნადირობისას დათვმა გიკბინა? - კი, მართალია. — და სად გიკბინა? — ე, მაგი უკვე აღარაა მართალი!*

**ანეკდოტური ფრაზები:**

*ეს გოგო უშნო კი არ არის, უბრალოდ ალტერნატიული გარეგნობა აქვს;*

*ბედნიერებისაგან მეშვიდე თვეზეა;*

*სჯობს გვიან, ვიდრე — არავის.*

**ფილოსოფიური ანეკდოტები:**

*რა განსხვავებაა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის? სოციალიზმში ადამიანი ამხანაგი მგელია და ბატონი მგელი — კაპიტალიზმში;*

*არსებობს ქალის მართვის ორი ხერხი: ერთი — როდესაც ემორჩილები და მეორე — არავინ იცის;*

*გურული ქალი: გათხოვება მხოლოდ იმისთვის ღირს, ნენა, რომ გეიგო, რეიზა არ ღირს გათხოვება.*

**იუმორისტული ფრაზები:**

*კრიტიკოსები ჰგვანან საჭურისებს ჰარემში: მათ იციან როგორ კეთდება ეს, მათ უნახავთ, როგორ კეთდება ეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ეს;*

*ყველაფერს ახლავს თავისი სიკეთე — რაც გინდა ბებერი იყო, მაინც უფრო ახალგაზრდა ხარ, ვიდრე ოდესმე იქნები;*

*სჯობს ჩუმად იყო და ვინმეს სულელი ეგონო, ვიდრე რამე თქვა და ყოველგვარი ეჭვი გაფანტო;*

*ავადმყოფის მდგომარეობა დასტაბილურდა — იგი გარდაიცვალა.*

* * *

ამგვარად, ბატონმა გიამ ანეკდოტთა ფართო სპექტრი მოიცვა თავის გამოსვლაში. სათანადო ორატორული ოსტატობით მოჰყვა ბევრ ანეკდოტს და მისი გამოსვლის დასასრულს უკვე კარგად გამხიარულებული დარბაზი თვითონაც აქტიურად ჩაერთო საუბარში. ანეკდოტების გარდა რეალური ცხოვრებიდან სახალისო ამბები გაიხსენეს **ქართული ხმების მომღერალმა თემურ ჭკუასელმა და ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, მე-19 საუკუნეში ბევრი იუმორისტული ჟურნალი გამოდიოდა საქართველოში და კარგი იქნება, თუ ამ თემას მეტი ყურადღება დაეთმობა დღესაც. მაგალითად, გამოიცემოდა ანეკდოტების კრებული ერთგვარი ლექსიკონის სახით. რუსებს ანეკდოტების შვიდტომეულიც კი გამოუციათ თურმე.

ენათმეცნიერმა **გიორგი გოგოლაშვილმა** ყურადღება მთხრობელის ფაქტორზე გაამახვილა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ანეკდოტთა მომყოლების კონკურსიც უნდა არსებობდეს.

კრიტიკოსმა **თემურ ქორიძემ** მადლობა გადაიხადა ასეთი საინტერესო და მხიარული საღამოსთვის და აღნიშნა, რომ ზოგჯერ საჭიროა ხელახლა გამოვიგონოთ ცეცხლი და მივუტანოთ ადამიანებს. მივუტანოთ ზეთის ხილის აყვავებული რტო, რათა სიხარული და ბედნიერება კვლავაც მივანიჭოთ მათ; რომ იუმორიც სწორედ ამას ემსახურება — ცოტა ხნით გამოგვტაცებს ხოლმე ყოველდღიურ ჯოჯოხეთს და მძიმე რეალობას გვავიწყებს. ამიტომ რაც ხშირად მივმართავთ მას, მით უფრო შევიმსუბუქებთ და გავილამაზებთ ცხოვრებას.

საინტერესო ორატორი, მკვლევარი, რომელსაც ზუსტი ფორმულირებით შეუძლია შექმნას ნათელი შთაბეჭდილება, ზუსტად დაახასიათოს ყველა და ყველაფერი... გია მურღულია მრავალფეროვანი ინტერესების შემოქმედია, რომლის პიესები, მოთხრობები არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე - ბრძანა თავის გამოსვლაში **„ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ.** მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ანეკდოტები კიდევ ერთი გამორჩეული თემაა, რომელიც მან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული შეისწავლა და ასე შთამბეჭდავად მოიტანა ჩვენამდე. ანეკდოტების ფენომენით დღეს მსოფლიოში არაერთი მკვლევარია დაინტერესებული, ხოლო მწერლები უხვად იყენებენ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში. მათში ჩანს ეპოქის ფსიქოლოგია, ხალხის ზნე-ჩვეულებანი და სულიერება. თუნდაც მარტო ანეკდოტებზე (გია მურღულიასავით მარჯვედ და გონივრულად შერჩეულ ნიმუშებზე) დაყრდნობით შესაძლოა ამა თუ იმ ერის ფსიქოლოგიური პორტრეტიც კი წარმოისახოს. ამიტომაც მივიჩნიეთ მნიშვნელოვნად და შემოგთავაზეთ ეს ერთი შეხედვით სახუმარო, სინამდვილეში კი ღრმად დამაფიქრებელი თემა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკა ქადაგიძე

# დუმილის ანათემა

*

## შალვა მჭედლიშვილის პორტრეტისათვის

*ჩვენთვის ყველა დღესასწაული*
*აუწერელი ნამებაა*
**შალვა მჭედლიშვილი („ცრუ მზეები“)**

ხმაურიან, ჭირვეულ, ცვალებად ლიტერატურულ სივრცეს თეთრლაბადიანი, ქათქათამანჟეტებიანი, სახენათელი, ჭარმაგი მოხუცი როდის გამოერია?!

სანაქებო მეხსიერება მაინცდამაინც ახლა მღალატობს. მოგონებებში უკუქცეული უწესრიგოდ მოფუსფუსე ეჭვს ამაოდ ვჩხრეკ. ცხოველმყოფელი ძალა მინავლულ კადრს საკრალურ შარავანდს შეაშველებდა.



იკა ქადაგიძე და შალვა მჭედლიშვილი (2004)

ტვინისჭყლეტა უშედეგოა. ნუთუ ილბალი მხოლოდ წინდახედულთ ათამამებს, მოწესრიგებულ მოგონებებს სწყალობს, მორჩილად ჩამწკრივებულ ფაქტებს გულგრილად აგვირისტებს და უჩარჩოო განცდებს ალმაცერად უქცევს გვერდს?!

მეხსიერების სარქველს ამაოდ ვეპოტინები. უადგილო დუმილიდან ამოხაპული კადრი უმოწყალოდ სიტყვაძუნწია. შფოთნარევი ბრაზი უმისამართოდ ხრჩოლავს.

და მაინც... დაუჩრდილავი სურათი დაუკითხავად მოცურავს. თეთრლაბადიანი, სახეგაცისკროვნებული ჭარმაგოსანი ნახევრადცარიელი ბიბლიოთეკის კუთხეში წყნარად მიმჯდარა და თხელ ხელებში მომწყვდეულ გაზეთს თვალმოუშორებლად დასჩერებია.

როგორ მოგვძებნა? როდის შემოგვიერთდა ან საიდან მოგვაკვლია?

აბეზარი კითხვების გზაჯვარედინთან უმიზნოდ ვიცხრილები. უმწეობა მთრგუნავს. მეხსიერების მოულოდნელი „გულმავიწყობა“ მარწმუნებს, რომ ბედისწერის ჟინს უთავბოლო თამაშის ჟინი აფერხორცებს.

როგორ უნდა გამომრჩენოდა გაცნობის წამი. დროთა განმავლობაში ახალი ჟამთასვლის სათავედ რომ განივრცო?! გონება სინანულნარევ ფიქრს პოეტურ განზომილებაში ამწყვდევს: ყველაფრის ალმწუსხველი ჟამი თეთრლაბადიანთან მიმართებაში გრძნეული ზემოქმედებისგან ინრიტება ან დროის მიღმა ჩარჩენილ პოეტს შთამომავლობის თვალის ასახვევად განგებ გამოტოვებს?!

დროის აგაზაფხულებას რატომღაც პირი არ უჩანს.

დროა გამოვტყდე: ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ვერაფრით ვიხსენებ ჩემს თვალსაწიერში პიროვნება როდის შემოდის! ბედი ჩემს გამასხრებას ორმაგი სიამოვნებით ეწევა. ამიტომ ვერ ვიგონებ თეთრლაბადიანი პოეტი სად გავიცანი, ჩვენი მზერა პირველად როდის გადაიკვეთა, მორიდებული ღიმილის ტაბუ როდის დაირღვა...

თვითნებური აზრის თხზვას განგება არ შემარჩენს. ისღა დამრჩენია უტყუარ სიმართლეს მივენდო. მეხსიერებას ვძაბავ. მოდური სიტყვა ნიშა მკბენს. სხვას ეგებ ეთქვა, რომ რეპრესირებულ პოეტს მოკრძალებული (ულვთოდ შეუფერებელი ამავდროულად) ნიშა დაუცარიელეს, სისხლხორცეული საქმე ხელიდან გამოაცალეს, ღირსება შეუბღალეს, სამშობლოდან განდევნეს ბოლოს და ბოლოს!

ხმაურიანი სიტყვების მტვერში ულაპარაკოდ ვიძირები. აქ უფრო მეტად გეხუთება სული, ვიდრე კატორღაში, საიდანაც მხოლოდ ღმერთის რჩეული გამოაღწევს „სამშვიდობოს“. გაუგებარ მიჯნას მივადექით. სხვის ჯვარცმაზე სიტყვის გასვლება ალებ-მიცემობის საგნად ქცეულა. არადა დუმილიც აღარ ეგების. წილი ნაყარია. თანდათან ვხვდები მეხსიერებამ რატომ მიმტყუნა: თეთრლაბადიანი კაცი ჩვენს სივრცეში უჩუმრად, ჩვენი ეპოქისთვის არადამახასიათებელი სისადავითა და გულწრფელობით იმკვიდრებს თავს.

სხივმოსილი სახე ჯოჯოხეთური წამების კვალს თავდაპირველად არ ახმაურებს, სიღრმის მოხელთება გულმოწყალეთა უნარია. თეთრლაბადიანს მტანჯველი, არაადამიანური მოგონებები გულში საიმედოდ, ღრმად ჩაუმარხავს, თუმცა დროდადრო დუმილშენივთულ ტკივილს თავისუფლებასდანატრებული სიტყვა ეურჩება. მხოლოდ მას შემოუნახავს წიაღი, რაც ჩვენთვის ფოლიანტებშიც არავის ჩაუტოვებია. სათუთად ალუბეჭდავს ერთი შეხედვით მცირე „დეტალი“: ქაშვეთის ეზოში აღმართული პატარა ანგელოზი, ქანდაკებას სალუქი ფრთები გაზაფხულის დასახვედრად შეუმართავს.

ატმის ყვავილობისას სკოლიდან გაპარული ჭაბუკი ქანდაკებას თვალს ვერ სწყვეტდა. ანგელოზის უწყინარ მზერაში აპოკალიფსური ზმანება დაძრულიყო: ანცად მოვარდნილი ქარის რიტმს აყოლილი თითქოს სისხლიან ცრემლებს აფრქვევდა.

მოგვიანებით გადასახლებული პოეტი სატრფოს სთხოვს მისი ძველი, სანდო მეგობარი (ანგელოზს გულისხმობს) მოინახულოს და რადგან სანთლის დანთება აკრძალულია, მოკითხვის ნიშნად სალუქ ფრთებზე მიეფეროს. ქანდაკებას მოისაკლისებს, რადგან ცოცხლებმა უმტყუნეს, მათი შესმენით ჯურღმულში ამოყო თავი.

„დიად“ იმპერიაში სანთლის დანთება აკრძალულია, სამშობლოს სიყვარული — მით უფრო.

გულანთებული ჭაბუკის მართალ, გაბედულ ლექსს მრავალწლიანი კატორღა მიაჩუმათებს.

„საქართველოში წინათაც, ახლაც და შესაძლოა მომავალშიც — სულ მუდამ ადვილი იქნება უდანაშაულო ადამიანის უფსკრულში შთანთქმა!“ — სიმწარეგამორეული სიმშვიდით დასცდება.

კლასიკური დრამის წრედი იკვრება: შინაგამცემისგან დაბეზღებულს სიყვარულშიც ავბედითი ტრაგიზმი დაჰყვება. გაუზიარებელი გრძნობით შეპყრობილი თანამოაზრე უშედეგო მცდელობის შემდეგ გამძვინვარებულ ვნებას აჰყვება და ნაჩუქარ წიგნში ფურცელს შეუცურებს. ზედ საბედისწერო წარწერა ირკალება: შურს ვიძიებ! ქუდბედიანისთვის ცხოვრების ჩარხი უკუღმა შებრუნებულა: ფარისევლების გარემო, თვალთმაქცი თანამედროვეები, შურისგების ჟინით ატაცებული იმედგაცრუებული თანამებრძოლი ქალი და ლექსი, რომლის სიმართლის ხარისხს თვალს დროც ვერ უსწორებს!

თეთრლაბადიანი თეთრ ყორნად გარდასახულიყო. ტოტალიტარულ გარემოში ჩანერგილ კაცუნებს შორის გოლიათივით დააბიჯებდა, თუმცა ამის შესახებ თავად არაფერი უწყოდა. გულმართალს სხვაც არანაკლებ გულმართლად ეგულებოდა, უშურველს სხვისი ნიჭიერება და ზნეკეთილობა სულს უზეიმებდა, იმედს ულვივებდა, რომ უხინჯო სინათლის წიაღში წარმოქმნილი გულლამპრიანი სიტყვა სიყალბეს უცილობლად დაჩრდილავდა, მოყვასის შერყვნილ ცნობიერებას სალბუნად დაედებოდა. ულმერთო ქვეყანას უფლისადმი რწმენას განუახლებდა.

ვრცელ „დედასამშობლოში“ გაუვალი წყვდიადი გაბატონებულიყო. უწყვეტი რეპრესიების მიუხედავად იატაკქვეშეთში მოძრაობა არ წყდებოდა. ამოსაძირკვად გამეტებულ ეროვნულ ცნობიერებას ახალგაზრდები ინარჩუნებდნენ, სულს უბერავდნენ, ამღვრეულ ტალღებს არიდებდნენ.

თეთრლაბადიანი პოეტი იატაკქვეშეთის სული და გულია. გულწრფელი, პატიოსანი მამულიშვილი, ვისაც საბჭოური მსოფლმხედველობის სატანური დაღის უკუგდება ეადვილება. გამოსავალის ძიებაში ნოსტალგიურ დატირებასა და უსასოობას უუცხოვდება, რისხვას გულში არ იგუბებს, „ქურდულად“ არ განაპირდება, არამედ ყინულივით მჭრელ, კრისტალურ სიმართლეს ლექსად გარდაქმნის, რათა წვრილმანი, უსიამო ვნებებისგან დაცლილმა შინაგანი მუქი სიბნელეში ჩაძირულ სამშობლოს უწილადოს.

სხვა საკითხია, რამდენად მზადაა ვრცელი „დედასამშობლო“ დათანხმდეს რენტგენის სხივებივით გააშუქონ, სიყალბის ფარდა საჯაროდ ჩამოგლიჯონ, ფარისევლობის ჯავშანში შეკეტილი სააშკარაოზე გამოიყვანონ, თანაც ვინ, მოლალურივით „ულონო“, დაუცველმა პოეტებმა, თავი ნათელმხილველებად რომ უცვნიათ და იატაკქვეშ გამართულ სალონში ტოტალიტარული სისტემის ნგრევის გეგმის შედგენაში რომ ათენ-აღამებენ.

თეთრლაბადიანი სალონის გამოკვეთილი ფიგურაა. გაცისკროვნებულ პირისახეს მისი ლექსების ტევადი დინამიკა სრულყოფს. ურყევი სიცოცხლისუნარიანობა უდრეკ სულისკვეთებას ოქროს ვარაყივით ევლება. მის არსებაში მომავლის გაუკეთესების რწმენა ზევით დუღილივით მოიწევს და გაუმართლებელ სიყალბეში ჩამარხულ საზოგადოებას მანამდე არნახულ ცვლილებებს უქადის. გაუგონარ სისასტიკეზე დამყნობილ სისტემას მერამდენე თაობა ეხლება? თავისუფლების მოსაპოვებლად მერამდენე იატაკქვეშელი აზვირთებულა? გაუსაძლისი სიცრუის ჩასაწყვეტად უახლესი წარსულის სისხლიანი გამოცდილება არასასურველი სიზმარივით იმქვრევა, შინაგან შეუპოვრობას ველარ აძაბუნებს, რადგან „თავისუფალი მოქალაქის“ მრწამსი მონისას აღემატება და ამგვარ გარდატეხაში გადამწყვეტი როლი სიტყვას (პოეზიას) ეკუთვნის.

მართალი ლექსის ალქიმიური ნათება ახალგაზრდულ გულებში ძალუმად ილვრება და პოეტებს საბედისწერო არჩევანისკენ უყოყმანოდ მიაქანებს. დრამა საავდრო ღრუბელივით გაუთვალისწინებლად ჩამოწვება. „შემთხვევით“ დაბეზღებას პატიმრობა მოსდევს, მეგობრულ ფიცსა და დაპირებას ორპირი თანამებრძოლის მძვინვარე შურისძიება გადასწონის.

**მშვიდობით, ვტოვებ მშობლიურ ქალაქს,**
**სადაც მაწამეს და ჯვარზე მაცვეს,**
**სადაც ყოველდღე ვხვდებოდი ჯალათს,**
**სადაც ყოველდღე ვხვდებოდი გამცემს.**
**რა მახსოვს ან რას ვნატრობდი ნეტავ,**
**ან სიყმაწვილის წლები სად არი?**
**მამულის ყველა საპატიმროთა**
**გამხადეს მკვიდრი მე ბინადარი...**

განწირულ ჭაბუკს უსასოოდ აღმოხდება. მრუმე სინამდვილე ქარიშხალივით იჭრება და სამსალას შეასმევს. კონტრასტული ვარდნით გამოწვეულ შფოთში შიშზე მეტად გულისტკივილი იკითხება. დამსმენებისგან გამეტებულ ჭაბუკს დრო აღარ რჩება პაწია ანგელოზს გამოემშვიდობოს. გისოსებში შემწყვდეულს ნადირის ხვედრიც სანატრელი გახდომია, რადგან ათასი ჯურის დამნაშავესთან ყოფნა მიუსაჯეს. სწორედ იმ ჯურღმულში ჩაგმანეს, საიდანაც დაჩაგრული ადამიანების დახსნის იმედი ასულდგმულებდა.

დროს ქრონოლოგიური წყვდიადი გაემწესებინა. სისასტიკესა და უსამართლობაში განფენილ სინამდვილეს საპატიმროების აშმორებული სუნი დაჰკრავდა.

თეთრლაბადიანი ადამიანების მრავალფეროვან გალერეას აკვირდებოდა და გონებაში საზარელი ფიქრი უკრთოდა: სულის წაწყმედის ცდუნებას წინ როგორ აღდგომოდა? მტრულ გარემოცვაში მარტოდმარტოს თავი როგორ დაეცვა, როცა კატორღული ცხოვრება არჩევანის უფლებას არავის უტოვებდა.

შავბნელი კადრების უსასრულო მწკრივი ქარავანივით მიიზლაზნება. მორიდებული ჭაბუკის ხასიათი ახალ გარემოში თავს იჩენს და თანაც როგორ! სული მძლევს ერთ-ერთი ეპიზოდი ხელახლა გავაცოცხლო, რადგან მსგავსი საქციელი დიდი ხანია აღარავის ჩაუდენია. ეგებ რუსეთ-

თან „შეხმატკბილების“ პირველ წლებში ქვეყნისთვის თავგამოდებული წინაპრები „რუსულ ცდუნებას“ ჯერ კიდევ უმკლავდებოდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჰეგემონობისას უძველესი ზნე სამარცხვინოდ გადასხვაფერებულა, არასრულფასოვნების კომპლექსმა მეობაც აღარ დაინდო. უცვლელ წესად იქცა რუსული კულტურის შესისხლხორცებისა და მონური მორჩილების კვალდაკვალ გადაულახავი სტერეოტიპი ჩამოყალიბებულიყო. დაუწერელი კანონი, რომლის გადალახვაც აღარც არავის უცდია.

გადასახლებაში ჩასულ პოეტს მოულოდნელად „ბედი გამოუჩნდა“. სოფლის კლუბში შერეკილ პატიმრებს პირუტყვებივით ათვალიერებდნენ და იქაური ქალების ჟინის დასაკმაყოფილებლად ამზადებდნენ. თეთრლაბადიანს არნახულად „გაუმართლა“. მას ყველაზე ლამაზმა და მდიდარმა რუსმა მატრონამ დაადგა თვალი. მომგებიან გარიგებაში თავდაჯერებულმა მდედრმა საგულდაგულოდ შერჩეულ მამაკაცთან კეკლუცობა მოინადინა, გაშეშებულ ჭაბუკს თამამად მიუახლოვდა, გამოიცეკვა, ნიკაპში ხელის ამოკვრასაც არ დარიდებია. ჯიბეში არყის ბოთლი უქანქარებდა. უზომოდ გამომთვრალმა ველური კივილით უწმაწური შაირებიც შემოსძახა. სანახაობით გახელებული საზოგადოების ყიჟინით გამხნევებულმა წრე დაარტყა და ბილწსიტყვაობით კვლავ თავის მსხვერპლს მიუახლოვდა. ის იყო სანდომიანი ჭაბუკისთვის „ალერსიანად“ უნდა „მოეთათუნებინა“ ხელი, რომ პოეტმა ველარ მოითმინა და რუს მატრონას ლაზათიანი სილა უთავაზა. მომხდარით გაოგნებულმა საზოგადოებამ იხუვლა, „სულელი, დიდგულა“ ბიჭი გადარეულად შერაცხეს და შემთხვევით შემოსწრებული უცხოები რომ არა, პოეტს მკაცრი ანგარიშსწორება არ ასცდებოდა.

წელან ხასიათი შემთხვევით არ მიხსენებია. საყოველთაოდ გავრცელებულ კლიშეზეც ამაოდ არ გამიმახვილებია ყურადღება. „რუსული ცდუნების“ მთავარი მამოძრავებელი ძალა რუსის ქალის, როგორც ყველაზე სასურველი, სრულყოფილი ქალის ხატებამ ქართველის ცნობიერებაში იმდენად მყარად მოიკიდა ფეხი, რომ ამ „არაპოლიტიკური“ კომპლექსის დაძლევას პირი დღესაც არ უჩანს. „საბჭოთა სტერეოტიპის“ გამძლეობამ სისხლში გადაინაცვლა და ლიტერატურის გარდა ხელშეუხებელი არაფერი დატოვა. „რუსულ ცდუნებას“ თითქმის ვერავინ გაუძლო, ჯონ სტაინბეკის საზარელი გულახდილობით ნაკვები დასკვნა უკვალოდ ჩაიკარგა. საქართველოში მოგზაურობისას მან ჩვენი აქილევსის ქუსლი უმალ მონიშნა, პირდაპირ განაცხადა, რომ ქართველებს რუსის ქალები ყველაფერს ურჩევნიათ, რაც საკუთარის სიძულვილითაა ნაკარნახევი. დიდი მწერლის განაჩენი ტრაგიკულია: მან ქართველ მამაკაცებს მსოფლიო კლასიფიკაციაში უკანასკნელი ადგილი მიაკუთვნა.

„მრისხანების მტევნების“ ავტორის დასკვნა აუწონავ საფიქრალს აღძრავს, ის რომ ქართველი მწერლების შემოქმედებას (განსაკუთრებით მოთხრობებსა და რომანებს) გასცნობოდა, ვინძლო ამ თემაზე ვრცელი გამოკვლევის დაწერაც მოეწადინებინა. განვლილი წლები (გამოცდილი დაკვირვება) ცხადყოფს, რომ „რუსული ცდუნება“ საბჭოურ სტერეოტიპს საგრძნობლად გასცდა და ამ კოზირით სპეკულაცია არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევაში გამოუსადეგარია.

თეთრლაბადიანი პოეტის ცნობიერება მსგავსი ცდუნებისგან დაზღვევა და ეს ფაქტორი თანამემამულეებთან გაუცხოებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მამაკაცური სოლიდარობის წიაღში არსებული „ბზარი“ მას უცხოდ აქცევს. „რუსულ ცდუნებას“ აყოლილი თანამოკალმეები თავისიანად არ მიიჩნევენ, დამთხვეულად თვლიან. ვერ იგებენ ყველაზე „სასურველს“ ნებაყოფლობით რატომ უარყოფს. ყველას რატომ ემიჯნება. გაუგებრად რატომ იქცევა. აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომით „მშობლიურ“, კარგად ათვისებულ თემატიკას რატომ არ ამუშავებს. მათ როგორღაც გამორჩათ, რომ იმპერიული პოლიტიკის საცეცები ყველაზე პირად სფეროშიც აღწევს და შედეგის თვალსაზრისით მსხვილ პოლიტიკურ გარიგებებს არაფრით ჩამოუვარდება.

თეთრლაბადიანი ამას ინტუიტიურად გრძნობს. იგი თითქოს სხვა, ოდესღაც გამქრალი ქვეყნის მკვიდრია. სხვაგვარი სისხლითა და ცნობიერებით. ამიტომ მისი ქმედება დროსთან, ეპოქასა და საზოგადოებრივ სტერეოტიპებთან უკიდურესად დისტანცირებულია. თანამედროვეობასთან შეუხორცებლობის ტრაგიზმი იმდენად თვალშისაცემია, დანარჩენების მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას მაშინვე კარგავს. ეს მხოლოდ საბჭოური სისტემისადმი პროტესტი არ არის. გაცილებით ღრმა, რთული და წინააღმდეგობრივი მსოფლგანცდაა. ამიტომ „რუსული ცდუნების“ დაძლევის ფორმა ცალსახა ანალიზზე სერიოზულ დასკვნას იმსახურებს. ეგებ ამ სცენას ანალოგი მოეპოვება და მისი მოხმობა რატომღაც ეხამუშებათ. ერთი რამ უდავოა: სტალინური „სამოთხის“ შუაგულში საბჭოური სისტემის ფობისა და „რუსული ცდუნების“ ბობოქრობის ჟამს ჭაბუკი პოეტი ეპოქას ინვევს. უმძიმეს პირობებში ჩაყენებულის უკანდახევა ესიკვდილება, მზად არის ღირსების შესანარჩუნებლად სიცოცხლესაც გამოეთხოვოს.

ეს ეპიზოდი დაუსრულებელი მსჯელობის საბაბს იძლევა. ღმერთს სხვაგვარად განუზრახავს: სასიკვდილოდ განწირულ პოეტს მორგში თანამემამულე ექიმი აღმოაჩენს და ახალ სიცოცხლეს შთაბერავს. სიკვდილის ჟამი ჯერ არ დამდგარა. პირიქით. სააქაოს მობრუნებული თეთრლაბადიანი პატიმრების განკურნებას მიჰყოფს ხელს. იგი სამედიცინო განათლების სრულყოფისთვის სწავლას აგრძელებს და უზომოდ წუხს, როდესაც უსულგულო ჯალათები დაავადებული პატიმრების მორჩენას არ ანებებენ. საჭირო წამლებისა და მედიკამენტების გამოყენებას უკრძალავენ. სხვების სიცოცხლეზე ზრუნვა მის შინაგან გულმოწყალებას ამზეურებს. თავადაც სასიკვდილოდ „მონიშნული“ დანარჩენების გადასარჩენად თავდაუზოგავად ირჯება, მსხვილმან თუ წვრილმან წინაღობას უშიშრად ეგებება. ამ დროს ავიწყდება, რომ ღვთის ანაბარად დარჩენილი მთლიანად სატანური სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანების გარემოცვაში მარტოდმარტო აღმართულა.

„ღმერთო ჩემო, რა ძნელია მარტოდმარტო უფლის წინაშე ცხოვრება, ცხოვრება ისე, როგორც მაღაროში ჩამარხული ადამიანები ცხოვრობენ. რომელთაც იციან, რომ იქიდან ვერ ამოვლენ და რომ ვერავინ შეიტყობს, როგორ იყვნენ იქ, ველარავინ, მაგრამ საჭირო კია ასე ცხოვრება, რადგან მხოლოდ ასეთი ცხოვრებაა ცხოვრება.

ღმერთო, მიშველე". მეოცე საუკუნის დაწყებისთანავე დღიურში ჩანერს ლევ ტოლსტოი, არასრული 60 წლის შემდეგ მაღაროში ჩამარხული ადამიანების შეუმჩნეველი კვდომა საბჭოურ „სამოთხეში" აცხადდება. აქ მხოლოდ საკუთარი ხასიათის სიმტკიცის იმედად ვერ გამაგრდები. რა თქმა უნდა, ღმერთმა თუ არ გადმოგხედა. კატორღაში გარეკილი ადამიანების შეულამაზებელ ხვედრს ყოველნაირ საკტანჯველსა თუ დაუცხრომელ განსაცდელს ბოლომდე ვერავინ ჩასწვდება, ვერ შეიტყობს, რადგან დუმილის ანათემა გადაულახავია, მოურეველია, მისი შელუნვა ერთეულებს ხელეწიფებათ.

თეთრლაბადიანი ამ ერთეულთა რიგშია. პოლარეთის ლანდშაფტის უჩვეულო, „მკვდარი" სინათლე თითქოს სისხლში გასჯდომია. ტუნდრის ყვავილივით იდუმალ სულს ყველაზე ხშირად გრანელის ლექსებით იბრუნებს. მადლობა ღმერთს შოვინისტური თავდასხმების მიუხედავად არ ივიწყებს, რომ რუსული დოსტოევსკისა და ტოლსტოის ენაა.

ბედი მაინც თავისას არ იშლის. ინფექციით დაავადებული პოეტის დასიებული ფეხები ექიმში სევდას აღძრავს და როცა მისგან იგებს, რომ სამშობლოში ოდესღაც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, იქვე მდგარი როსკიპები ამგვარად ახასიათებენ: — ბანდიტია! არავის სჯერა, რომ კრიმინალებთან ერთად მართალი ლექსის გამო დაჭერილი პოეტი სასჯელს იხდის.

ცინიკური იარლიყის მიუხედავად ექიმს სჯერა, რომ იგი ბანდიტი არ არის, სანდომიანი სახის ნაკვთების შესწავლა საპირისპირო დასკვნის გამოტანისკენ უბიძგებს.

— ბანდიტია! — გაკაპასებით ამტკიცებენ დაწუნებული როსკიპები წლების შემდეგ. გადასახლებიდან დაბრუნებული პოეტი ქუჩაში თავის დიდ სიყვარულს შემთხვევით გადაეყრება. მოულოდნელი შეხვედრა ორივეზე მძაფრად მოქმედებს. კვლავ დუმილის ანათემა იჩენს თავს. გახევებულებს თითქოს სუნთქვის უნარიც დაჰკარგვიათ.

თეთრლაბადიანი უფრო ადრე გამოერკვევა, იქვე მეყვავილეს დალანდავს, ადგილს მოსწყდება, თაიგულს იყიდის და ქალს ღიმილით გაუწვდის. ნათელ სახეზე ძველებური გზნება გადაურბენს. ტკბილ-მწარე მოგონებების მორევში გადაშვებული აუწერელ მღელვარებას მინებდება.

გაქვავებული დუმილის კვალდაკვალ ქვაფენილზე დანარცხებულ თაიგულს წამის წინ მხურვალე მზერა შეეყინება.

გამტებით გათელილ ყვავილებს ბინდჩამდგარი თვალებით დააკვდება.

რაღაც მძიმედ წყდება სიღრმეში, ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ჯალათის მიერ წინასწარ გათხრილი საფლავიდან ამომხტარი მინის კოლბოხია, რომელსაც სხვისი უბედურების უნებლიე თანამზრახველობა მსხვერპლზე ადრე კლავს.

დუმილის ანათემა დაუნდობლად გათელილ ყვავილებში ისადგურებს.

თეთრლაბადიანი ხმაურიან ქუჩას უძრავად შეზრდია, ვიღაც ეფარება, თურმე გამვლელებს გზას ულობავს კაცი, რომლის უმაგალითო გმირობის გასააზრებლად ყალბი გმირებით დახუნძლულ სამშობლოს რატომღაც ვერ მოუცლია!

მურმან ბულათურქია

# ხალიფა ერთი საათით

„ათას ერთი ღამის" ზღაპრებში გადმოცემულია მართლაც ზღაპრული ამბავი აბუ-ჰასანისა, რომელიც შინ მიიპატიჟებს უცნობ კაცს და ეს უცნობი გამოდგება, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდი, ვაჭრად გადაცმული რომ დაიარებოდა ხოლმე ბაღდადში, რათა თავისი თვალით ენახა და თავისი ყურით მოესმინა, მის ქვეშევრდომებს რა უჭირდათ თუ რა ულხინდათ. აბუ-ჰასანი თავის სანუკვარ ოცნებას გაუმხელს სტუმარს, ნეტავი სასწაული მოხდეს და თუნდაც ერთი დღით, მხოლოდ და მხოლოდ ერთი დღით, ბაღდადის ხალიფა გავხდეო. ჰარუნ ალ-რაშიდი, თავშესაქცევად, ღვინოში ჩაუყრის საძილე წამალს. მერე ბრძანებას გასცემს, ჩემს სასახლეში გადაიყვანეთ და როცა გაიღვიძებს, ისეთი პატივი მიაგეთ, ხალიფას რომ ეკადრება, უჭოჭმანოდ ირწმუნოს, ნამდვილად ხალიფა ვარო. აბუ-ჰასანი უსაზღვროდ ტკბება სასახლის ფუფუნებით, ენით აუწერელ განცხრომას ეძლევა და ძლევამოსილი ხალიფას როლში შესული ნაირნაირ ბრძანებებს არიგებს მარჯვნივ და მარცხნივ. საღამოთი ისევ დააძინებენ და შინ აბრუნებენ.

„ხალიფა ერთი საათით" — ამგვარი გამოთქმა დამკვიდრდა იმ კაცის დასახასიათებლად, მცირე ხნით რომ ეუფლება ძალაუფლებას.

განა შეიძლება დიდკაცისათვის ამქვეყნად არსებობდეს იმაზე დიდი ნეტარება, რომ უბრალო მოკვდავს მიანიჭოს ბედნიერება — თუნდაც ერთი დღით, თუნდაც ერთი საათით.

ჩვენს დროში ჰარუნ ალ-რაშიდის როლი ერთხელაც ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა შეასრულა. იგი, საყოველთაო აღიარებით, მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი იყო. მსახიობობაც ეხერხებოდა, მოქანდაკეობაც, საუცხოოდ უკრავდა გიტარას და პიანინოს, ჩინებულად მღეროდა. სტალინური ეპოქის მიწურულში, ავი ენების თანახმად, საბჭოთა კულტურის საქმეებსაც მეურვეობდა. ჰოდა, ჰარუნ ალ-რაშიდობა გაუჭირდებოდა?!

მაგრამ ეს მერე იყოს. ჯერ მისი მძღოლი, მთელ თბილისში სახელგანთქმული „პრაფესორა" გავჭოროთ. როგორც გადმოგვცემს არანაკლებ ცნობილი კინორეჟისორი გია დანელია (დისწული ვერიკო ანჯაფარიძისა), ეს მეტსახელი თავის სეხნიას თავად ძია მიშამ (ჭიაურელმა) შეარქვაო. თურმე თბილისში ჩამოსული საპატიო სტუმრის დახვედრას რომ შეაწერდნენ, ჭიაურელი, ცხადია, თავისი ავტომანქანით ხვდებოდა აეროპორტში ამ საპატიო სტუმრებს, ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი იქნებოდა, ინგლისელი ჟურნალისტი რანდოლფ ჩერჩილი (ძე სერ უინსტონისა) თუ საბჭოთა-თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი. და თავის მძღოლს ასე წარუდგენდა: იცნობდეთ, ეს პროფესორი არისო. კი არ დასცინოდა, მოკლედ ამბობდა გრძელ სიტყვას, თავისი საქმის პროფესორი გახლავთო. საპატიო სტუმრებიც მოწიწებით მიმართავდნენ: „მისტერ პროფესორ".

სოლიდური მეტსახელი „პროფესორი“ თბილისში „პრაფესორად“ რომ გადაკეთდა, ამაში არაფერია გასაკვირი. რალა შორს წავიდეთ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, თითქოსდა უბნის პირველი ყოჩი ყოფილიყო, ფამილარულად „ზვიადას“ ეძახდნენ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ჭიაურელი, როგორც იტყვიან, დააყირავეს და მერსედესიდან ველოსიპედზე გადაჯდა. მისტერ პროფესორმა კი ფოტოგრაფობას მოჰკიდა ხელი.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა ძველ თაობას, ალბათ, მშვენივრად ემახსოვრება სპორტულ ფოტორეპორტიორად გადაქცეული პრაფესორა, რომლის გამოჩენას სტადიონზე ტრიბუნების გამოცოცხლება და ჟრიამული მოჰყვებოდა ხოლმე. ზოგი ტაშით ეგებებოდა, ზოგიც — სტვენით. მოსწონდათ მარდი და ცქვიტი, ელეგანტურად გამოწყობილი (ჭიაურელის სკოლა!) ფოტორეპორტიორი, ვისაც არაფერი გამორჩებოდა ფეხბურთის მინდორზე — არც გოლი და არც უპატრონო ძაღლის შემოხეტება. მაგრამ სტვენით ვინცა ხვდებოდა, ისინი ამტკიცებდნენ, თარსი და ნავსი არისო.

კარგად ახსოვდათ ჩვენების კარში ერთხელაც გატანილი ექვსი გოლი და ექვსივეს აბრალებდნენ... პრაფესორას!

ცოტა გრძელი ამბავია, მაგრამ ეგებ მოვითმინოთ, ვიდრე ჰარუნ ალ-რაშიდისა და აბუ-ჰასანის თანამედროვე ზღაპარს ვიტყოდეთ.

გარდასულ ეპოქაში, ხანდახან, ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატი აპრილის დამდეგს იწყებოდა, როდესაც ჩრდილოეთის სტადიონებზე თოვლი და ყინვა მძვინვარებდა. ჰოდა, იქაურები ერთი-ორ მატჩს მზიურ და თავისი სტუმართმოყვარეობით განთქმულ საქართველოში ატარებდნენ ხოლმე.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს წყეული მოსკალები თბილისში ეთამაშებოდნენ არანაკლებ წყეულ პიტერელებს და მსაჯმა მასთან შეკამათების გამო მინდვრიდან გააძევა მოსკალთა კაპიტანი ვალენტინ ივანოვი, რომელსაც ავტომატურად ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია ენიშნებოდა. მომდევნო ტურში კი ის წყეულნი ჩვენებს უნდა შეხვედროდნენ. მატჩის დღეს ერთი არასოლიდური გაზეთი მეტის ლხენითა იუწყებოდა: დღეს ივანოვი არ ითამაშებსო. ივანოვი მოსკალთა გუნდის არა მარტო კაპიტანი, არამედ დისპეტჩერიც ანუ დირიჟორი გახლდათ. ჰოდა, დირიჟორი რომ არ ეყოლებათ, ზოგი ჩაიკოვსკის დაუკრავს, ზოგი — რახმანინოვს და ზოგიც — შოსტაკოვიჩსო (ქვეტექსტში იკითხებოდა: წყეულ მოსკალებს ახლა კი დედას ვუტირებთ და იქ შევაძვრენთ, საიდანაც გამომძვრალანო. იმედია, მიხვდით, რომ „ვუტირებთ“ — ზრდილობიანი ევფემიზმია).



მიხეილ ჭიაურელი

მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, მოხდა გაუთვალისწინებელი და გაუგონარი რამ. დირიჟორის ფრაკი კოხტად მოირგო ტანზე მოსკალთა ამომავალმა ვარსკვლავმა ედუარდ სტრელცოვმა და თავისი კუთვნილი პირველი ვიოლინო კი ჭყლინტ გენადი გუსაროვს გადაულოცა. არასოლიდური გაზეთის მიერ დედაატირებულმა მოსკალებმა მინდორზე ინავარდეს და ითარეშეს. ოთხი გოლი ჭყლინტმა გუსაროვმა გაიტანა, ერთი — დირიჟორად დანიშნულმა სტრელცოვმა და ერთიც, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისით შევარდა კარში.

დიახ, დიახ, ცენტრიდან გაგორდა, იგორა, იგორა და ზანტად მიგორდა ჩვენების კარამდე. ყველა მოჯადოებულივით შეჰყურებდა, როგორ მიგორავდა. მეკარემაც გულგრილად გააყოლა თვალი კარში შეგორებულ ბურთს; ალბათ, იფიქრა თავისით გამოგორებულს და შემოგორებულს მსაჯი არ ჩათვლისო. მაგრამ მწარედ შეცდა. ჩათვალეს. ესეც თქვენი მეექვსე გოლი (სხვათა შორის, სლავა მეტრეველმა გოლის გატანისგან ვაჟკაცურად თავი შეიკავა).

რა მოხდა მერე, ექვსი გოლი ვის არ გაუშვია ამ ცისქვეშეთში. იმხანად ინგლისის ნაკრები ზედიზედ ორჯერ ეთამაშა უნგრეთის ნაკრებს, ლონდონში ექვსი გოლი გაუშვა და ბუდაპეშტში — შვიდი! აკი ცხონებულ შოთიკო იამანიძეს უთქვამს ერთხელ, წაგება და მოგება ძმები არიანო.

რაც შეეხება იმ ექვს გოლს, კაპიკის ფასი ჰქონდა ჩვენი ძვირფასი სტუმრებისათვის. წყეული მოსკალები იმ ექვსი გოლით არც აშენებულან, არც დამშვენებულან (სეზონის დასაწყისი იყო), ჩვენებმა კი ექვსი წლის შემდეგ (ამჩნევთ სიმბოლიკას?) ის ექვსი გოლი შხამად შეარგეს მოსკალებს. ტაშკენტში ისეთი სასტიკი სილა გააწნეს, რომ მეტი არ შეიძლება. ჩვენების ოთხით ერთი ათასჯერ სჯობდა იმათ ექვსით ერთს, მართლაც ოქროს ფასი ჰქონდა, ათასჯერ ნანატრი ოქროს მედლები აჩუქეს საყვარელ სამშობლოს.

მაგრამ ეს ექვსი წლის შემდეგ მოხდება. მანამდე კი ის ექვსი გოლი (ექვსივე-მეთქი!) საბრალო პროფესორას გადააბრალეს. ჩვენების კარს უკან ფეხმოუცვლელად იდგა, მწყურვალე კაცივით ელოდა გოლებს და ფოტოს გულდასმით იღებდაო, — ბეჯითად ამტკიცებდნენ ქართველი გულშემატკივრები. ერთი და ორი რომ გაგვიტანეს, რამდენი ვუსტვინეთ, თარსი ხარ, მოშორდი მანდაურობას, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყაო.

ამის შემდეგ ჩვენების კარს უკან რომ მოჰკრავდნენ თვალს ლოტოს კოჭივით გამობრწყინებულ პროფესორას, ატყდებოდა სტვენა და ერთხმად მოუწოდებდნენ, ჩვენების კარს ახლავე მოშორდი, სიცოცხლე თუ არ მოგბეზრებიაო. ამტკიცებდნენ, ჩვენების კარს უკან იმიტომ მოყუჩებულა, რომ გოლის გატანას ელოდება, გადაიღებს და ფოტოს მოს-

კოვში გაგზავნისო. იმათი აგენტია, ჩვენ თვალებს გვიხვევს და გვატყუებს, თქვენი ვარ, თქვენთვის მოვკვდებიო.

მაგრამ პრაფესორას გულშიც არ გაუვლია ღალატი. მილიონებს გადაუხდიდნენ პრავდა და ნეპრავდა, კომსომოლსკაია პრავდა და პიონერსკაია პრავდა, მედიცინსკაია პრავდა და პედაგოგიჩესკაია პრავდა და კიდევ სხვა პრავდები თუ ნეპრავდები — იმ ექვსი გოლის ფოტოსურათებში; მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! ჩვენი ერთგული პრაფესორა სალ კლდეებს როგორ გაცვლიდა ცერცვის შეჭამანდში...

ახლა კი მივადგეთ ჰარუნ ალ-რაშიდისა და აბუ-ჰასანის ზღაპრის თანამედროვე ვარიაციას ანუ იმ დრო-ჟამს, როდესაც მიხეილ ჭიაურელი, ავი ენების თანახმად, საბჭოთა კულტურას განაგებდა (სხვათა შორის, დღევანდელმა მკითხველმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, რომ სწორედ იმჟამად საბჭოთა კავშირში კულტურის სამინისტრო, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა და ხრუშჩოვმა, როგორც კი აღზევდა, ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი მყისვე მონათლა კულტურის სამინისტროდ. გიჟივით უყვარდა კულტურა. ეს რომ ჩეხოსლოვაკიამ გაიგო, დაუყოვნებლივ განაცხადა, საზღვაო სამინისტრო უნდა გავხსნათო. კრემლში წარბები შეჭმუხნეს და შეიცხადეს, კი მარა ზღვა არ გაგაჩნიათ, არც მლაშე და არც მტკნარი, საზღვაო სამინისტრო რა ჯანდაბად გინდათო. პრაღიდან თავაზიანმა პასუხმა იფეთქა: თქვენ რომ კულტურის სამინისტრო გახსენითო?!).

ჰოდა, მოსკოვში იმყოფებოდნენ მიხეილ ჭიაურელი და მისი ერთგული პრაფესორაც. ერთხელ ხაზეინი რაღაცაზე შემოსწყრა თავის ერთგულ ვასალს და გაგულისებით მიახალა პირში: შენ შოფერი კი არა ხარ, ნაღდი ასენიზატორი ხარო.

პრაფესორამ მართალია უცხო სიტყვათა ლექსიკონი ზეპირად იცოდა, მაგრამ ამ ძვირფასი და უაღრესად საჭირო წიგნის იმ გამოცემაში, რომელიც მის ბიბლიოთეკაში იყო დავანებული, სიტყვა „ასენიზატორი" რატომღაც გამორჩენოდათ შესაძლოა ავსურნელოვნების გამო. ამიტომაც პრაფესორა დაინტერესდა და მოკრძალებით ჰკითხა ჭიაურელს, ეს უცხო სიტყვა რას ნიშნავსო. პატრონმა აუხსნა და პრაფესორამ ჯიქურ ატაკა: მიხეილ ედიშეროვიჩ, თქვენ რომ გატარებთ, მაგას იმიტომ მეძახითო?

ჭიაურელი, როგორც შეეფერებოდა დიდსულოვანსა და მლაშე იუმორის დამფასებელ კაცს, გულიანად ახარხარდა, მაგრამ გულში გაიფიქრა, მე შენ გიჩვენებ სეირსო და მეორე დღესვე იყარა ჯავრი.

მეორე დღეს, დილიდან საღამომდე, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ხაზეინიც და შოფერიც, საღამოს კი დიდ თეატრში გასწიეს. „გედების ტბა" გადიოდა ახალთახალი, ჯერ უნახავი დადგმით.

მოსკოვის მთელი პარტიულ-ინტელექტუალური ელიტა ესწრებოდა ამ გრანდიოზულ ღონისძიებას. სტალინური და არასტალინური პრემიების ლაურეატები, სოციალისტური და არასოციალისტური შრომის გმირები, სპორტის დამსახურებული ოსტატები და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი — ერთი სიტყვით, „მთელი მოსკოვი" იქ იყო.

ჭიაურელი და მისი მძღოლი სპეცშესასვლელით შებრძანდნენ დიდი თეატრის შენობაში და სპექტაკლის დაწყებამდე რიგითი მაყურებლებივით ფოიეში გაიარ-გამოიარეს.

ჭიაურელს მოწიწებული ხელკავი გაეკეთებინა პრაფესორასთვის და ოდნავ წინ წაწეულს ისე მიჰყვებოდა, როგორც საჭურველთმტვირთველი — მწუხარე თუ მხიარული სახის რაინდს. თავს კრძალვით ხრიდა და რაღაცას წარმოთქვამდა ყოვლად გაუგებარ ენაზე, რომელსაც ორი კაცი თუ გაიგებდა მთელ მოსკოვში, მაგრამ ის ორნი, თუმცა ერთს ძალიან უყვარდა ბალეტი და მეორეს — ბალერინები, არ ესწრებოდნენ ამ გალა-სპექტაკლს, ვინაიდან არ ეცალათ. გაფაციცებით ადგენდნენ იმათ სიებს, ვინც სისხამ დილით აღზევანს უნდა გაესტუმრებინათ.

დაიწყო სპექტაკლი, მაგრამ „გედების ტბა" ვილას ახსოვდა — თუნდაც ახალთახალი და ორიგინალური დადგმით. არავინ უყურებდა სცენას. ყველანი მიშტერებოდნენ მთავრობის ლოჟას, სადაც გამოჭიმულიყვნენ საბჭოთა კულტურის მარშალი (როგორც ავი ენები ეძახდნენ) და სავსებით უცნობი ამხანაგი, რომელიც არც სტალინს ჰგავდა და არც ბერიას, ხოლო ჭიაურელი, მიუხედავად ამისა, თვალებში შესციცინებდა. ხმამაღლა და ტკბილად ბაასობდნენ ყველასთვის გაუგებარ ენაზე.

არნახული სანახაობის შემყურე ელიტური პუბლიკა ვერც თავის თვალებს უჯერებდა და ვერც ყურებს.

ვილას ახსოვდა „გედების ტბა"! სცენაზე ტყუილად ირჯებოდნენ მსოფლიოში ყველაზე მაგარი ბალეტის ყველაზე მაგარი ვარსკვლავები: ულანოვა და პლისეცკაია, ჭაბუკიანი და წიგნაძე, ნურიევი და ბარიშნიკოვი, ცისკარიძე და ანანიაშვილი ანუ „მეფის მთელი მხედრიონი". დიახ, დიახ, „გედების ტბა", თავის ვარსკვლავებიანად, აღარავის აინტერესებდა.

გაოცებულ-გაოგნებულნი მკითხაობდნენ, ეს კაცი ვინ არისო. ზოგს მაოძე დუნის გარე ბიძაშვილი ეგონა, ზოგსაც — სტალინის უკანონო შვილი.

დამთავრდა პირველი მოქმედება. ჭიაურელმა კვლავინდებური მოწიწებით გარდერობამდე მიაცილა პრაფესორა, ვეფხვის ტყავისგან შეკერილი ქურქი ჩააცვა, ე.წ. ცილინდრი დაახურა თავზე და ზედ ქოლგაც გაუშალა, ხელში მიაწოდა იმპორტული ხელჯოხი და გასასვლელთან მიიყვანა. როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებდა საბჭოთა კულტურის მარშალი, რომ ფოიეში თავმოყრილ პუბლიკას უფრო დიდი პირი დაეღო? დიახ, დიახ, გამოცანა გერგებათ. სწორედ ის გააკეთა, რაც თქვენ გაიფიქრეთ. და კარიდან ტყვიასავით გატყორცნილი პრაფესორა ფეხით გაუდგა გზას შინისაკენ.

ჩვენი დროის ჰარუნ ალ-რაშიდმა დიდი თეატრიდან ასე გაისტუმრა ერთი საათით ხალიფას ტახტზე წამოსკუპებული აბუ-ჰასანი.

თავის ერთგულ მძღოლს ისეთი სიამოვნება მიანიჭა, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე ვერავის დაესიზმრებოდა.

დიდ თეატრში გათამაშებული ეს ეპიზოდი ჰარუნ ალ-რაშიდისა და აბუ-ჰასანის მონაწილეობით არავითარ შემთხვევაში ანეკდოტი არ გეგონოთ. უტყუარი ეპიზოდი გახლავთ სახელოვანი ქართველი კინორეჟისორის მრავალფეროვანი და ფათერაკიანი ცხოვრებიდან. თავად მიხეილ ჭიაურელს უამბია იგი სიმონ ჩიქოვანისთვის, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირში, თუ არ ვცდები, ერთხანს ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის კომისიას ხელმძღვანელობდა და თქვენს მონა-მორჩილს ამიტომაც გაუყადრა თავი და ჭიაურელის ნაამბობი სიცილით უამბო. და გულიანადაც აცინა. თქვენ არ გაგცინებიათ?

ქარდა ქარდუხი

# განუკურნებელი სენი

სათაურიდანვე მოდის ცნობისწადილი და ინტერესი, აბა ყოველთვის ხომ არ ნახავ ასეთ სათაურს — როგორ გავხდი იდიოტი? არა, შინაარსი დიდად არ განაცვიფრებს კაცს, საქართველოში ვის გააკვირვებ იმით თუ როგორ გახდი იდიოტი, მაგრამ ამის აღიარება და ამ ნაწარმოების სათაურადვე გადმოტანაა ცოტათი უცნაური. გამსახურდიასეული — ბრძენი უნდა იყო და თავი შლეგად უნდა მოგქონდეს ცოტა სხვაა ალბათ, აქ უფრო ცხოვრებისეულ, პრაგმატულ იდიოტობაზეა საუბარი. დოსტოევსკის „იდიოტი" არ გაგახსენდება არაფრით, აქ უფრო საუბარია სასჯელზე რომელსაც ჭკუა ქვია ***ai, ჭკუისაგან განკურნება კი შეუძლებელია.*** კარგი, ბატონო, შეუძლებელია, მაგრამ რა საჭიროა? კაცობრიობა მისი დღე და მოსწრება იმას არ მიელტვის როგორ გახდეს უფრო ჭკვიანი, ინტელექტუალური და ბრძენი? რაღა საჭიროა ჭკუისაგან განკურნება? ვაი ჭკუისაგან ვითომ? არადა ვისაც საქართველოში თუნდაც ერთი დღე უმუშავია, განსაკუთრებით კი საჯარო დაწესებულებაში, თითქმის ყველგან, მართლაცდა საოცრად იღბლიანი გამონაკლისის გარდა, ალბათ ადვილად მიხვდება რა საოცრად ზედმეტი ტვირთი შეიძლება იყოს ჭკუა. კი გვასწავლის გურამიშვილი, ჭკუა უხმარს არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარებისო, მაგრამ ბიჭი ხარ და მოიხმარე ახლა ჭკუა დღევანდელ საქართველოში, თან ცოდნით. თუმცა საქართველოში რა, საფრანგეთშიც ვერ მოიხმარ თურმე. არის ერთი ახალგაზრდა კაცი საფრანგეთში, **მარტენ პაჟი,** რომელიც დააფიქრა ეტყობა ჭკუის ტვირთმა თორემ არ გაუჩნდებოდა სურვილი მსგავსი რომანის დაწერის: ***უმჯობესია ბრიყვი გერქვას, ვიდრე ჭკვიანი; რადგან ვერცერთი ბრიყვი ვერ ხვდება, რომ ბრიყვია და ყველა ჭკვიანმა, მათ შორის ყველაზე მოკრძალებულმა და თავმდაბალმა, მშვენივრად იცის, რასაც წარმოადგენს.***






რაც საიტებზე მოვიძიე ინფორმაცია, მისი დებიუტი ყოფილი ეს წიგნი, თანაც ოცდაათისას გამოუცია, 2006- ში, სადღაც 34 წლისა გამოდის და ამიტომაც ვიფიქრე, არაა ურიგო დებიუტი-მეთქი. მართალია რუსულ საიტებზე სუფევს აზრი, სუსტი ნაწარმოებია და მაგის ნაკითხვას „იდიოტი" იკითხეო, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და მართალი გითხრათ ამ ნაწარმოების ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასება არც მომსვლია აზრად, თუმცა არც მხატვრული და ლიტერატურული თვალსაზრისით მომჩვენებია ურიგო, უფრო იმ იდეამ გამიტაცა, ნაწარმოების გმირი — ანტუანი, — ვერაფერს რომ ვერ უხერხებს ჭკუას, რწმუნდება, რომ სრულიად ზედმეტი ბარგია ჭკუა, და იდიოტად გახდომას, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ნორმალურ, დღევანდელობასთან ადაპტირებულ მოქალაქედ გახდომას რომ გადაწყვეტს. ამის მიღწევა ერთი შეხედვით ძალიან ადვილი მოგეჩვენებათ ალბათ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ეს სიადვილე მოჩვენებითი აღმოჩნდება: პირველ რიგში ფიქრის უარყოფას ლამობს, რაც უსაშველოდ გაუჭირდება, მაგრამ მეგობარი ექიმი დაეხმარება და საამისო წამალს ჰეროზაკს გამოუწერს, ჭკუა ხომ ავადმყოფობაა, ჰოდა შესაბამისად აბებით უნდა განკურნო, და თქვენ წარმოიდგინეთ მიაღწევს სანადელს, სამსახურსაც ადვილად იშოვის, ბირჟაზე საოცრებებსაც მოახდენს და რესპექტაბელური მოქალაქეც გახდება. რა თქმა უნდა წიგნში სხვა შრეებიცაა და ძირითადად ალბათ სხვა რამეზეა საუბარი, მაგრამ მე ამ კუთხით მომეწონა და ამიტომაც ამ ჭრილში გავყურებ, რაც არა მგონია დანაშაული იყოს. კი ვიფიქრე, შეიძლება პრაგმატულ საყოფაცხოვრებო უტილიტარიზმზე მეტად ფილოსოფიურ განზომილებაში საუბრობს მწერალი-მეთქი, მაგრამ არც ეს უშლის ხელს. ყველანაირად ზედმეტი გამოდის ჭკუა, საფრანგეთშიც და საქართველოშიც. აკი გვითხრა უფალმა, არ ჭამოთ ხე ცნობადის ნაყოფი, ვერ ატარებთ თქვენ მოკვდავნი ამ სიმძიმესო, ალბათ ამ ცოდვილ ჭკუას თუ გულისხმობს ავტორი.

მოკლედ ანტუანს ყოველგვარი უბედურება ჭკუისაგან და შესაბამისად ფიქრისაგან სჭირდა და მოისვენა კაცმა — შეწყვიტა ფიქრი, დამშვიდდა და ფულიც ბლომად კი არა და იმაზეც მეტი იშოვა, ჰოდა, გააგრძელებდა ანტუანი ასე მშვიდად ცხოვრებას ან და მარადის და სულის აღმოხდომამდე, თუმცა სულიერება უკვე აღმომხდარი ჰქონდა, ასე რომ, ხორცის გახრწნამდე, თუმცა ხორცსაც დაეწყო უკვე გახრწნა, ასე რომ, გააგრძელებდა ანტუანი ასე მშვიდად ცხოვრებას სიკვდილამდე, მაგრამ უშველეს მეგობრებმა, თან ისე უშველეს რომ ჰეროზაკის ორმაგი დოზაც უსარგებლო აღმოჩნდა უკვე და ველარ მოარჩინა განუკურნელი სენისაგან, ჭკუა რომ ჰქვია. ავადმყოფობა კი ფუთამ განუახლა, რომელიც როგორც ვთქვი, მეგობრებმა გამოუგზავნეს ფოსტით და რომელშიც გუსტავ ფლობერის წერილების ჯიბის გამოცემა აღმოჩნდა, ბომბივით რომ აუფეთქდა სულსა თუ ცნობიერებაში და სულისკნელაუფორიაქებულს ამდენი ხნის მკურნალობა წყალში ჩაუყარა.

საქართველოში მოსამსახურე პირებს კი რომელი ფუთა უნდა გამოგვიგზავნონ ნეტა, ჩვენც რომ შევეშვათ მკურნალობას, ჭკუისაგან განკურნების მცდელობას, ფიქრისაგან განკურნების მცდელობას? მე ასე დავინახე ეს პატარა წიგნი და მადლობა მთარგმნელს, ქალბატონ მაია ქაცანაშვილს, რომ მომცა საშუალება კიდევ ერთხელ შემეწყვიტა მკურნალობა, დავფიქრებულიყავი და ფიქრები თქვენთვისაც გამეზიარებინა, ამიტომ მომეწონა ეს წიგნი — ყველას, ვინც კი წაიკითხავს, ფიქრისკენ რომ მიაბრუნებს, თუმცა ისიც საკითხავია, ამ გაგანია უმუშევრობისას რამდენად ღირს მკურნალობის შეწყვეტა და ფიქრი?

ანდრო ბედუკაძე

# ...უსამკაულო

*

## არჩილ მინდიაშვილის პოეტური კრებული „შეტირილი“

მამა არჩილი (მინდიაშვილი) ლექსს რომ სერიოზულად მიუბრუნდებოდა, ველოდი. წელს დაისტამბა მისი ოცდათვრამეტი ლექსისაგან შედგენილი კრებული „შეტირილი“. ლექსებს უძღვის მაკა ჯოხაძის ემოციური და თბილი წინასიტყვა, ხოლო ამთავრებს მამა თეოდორე გიგნაძის ბოლოთქმა.

მამა არჩილს მოძღვრობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. არის შესანიშნავი მქადაგებელი,ღვთის სიტყვის მრევლთან მიმტანი, განმმარტებელი. ვინ იცის, თუ არა მან, რომ ქრისტიანობა სიმბოლიკითაა აღსავსე და თვითონ მოძღვარიც ხომ სიმბოლოა. ამდენად, მისი ლექსებიც სავსეა ქრისტიანული სიმბოლიკით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სისავსე გადაჭარბებას არ გულისხმობს და ლექსები დამძიმებული სულაც არაა ამ სიმბოლიკით. ზოგჯერ მის ლექსში იუმორი და ირონიაც გაკრთება ხოლმე.

მოფიქრალ ადამიანს ხშირად უჩნდება თავისი განვლილი ცხოვრების შეფასების სურვილი, მით უფრო თუ შუახანს გადაცდი და აქედან ნახევარი ღვთისმსახურებაში გაქვს გატარებული, ღვთის სიტყვაზე ფიქრში შემოგპარვია შუაღამეც და ზოგჯერ განთიადიც.

**...თუმცა არ ვიტყვი,რომ სიბერე დიდად მაშინებს**
**ან უძლურება ამ ასაკის ძონძი და ფლასი**
**მე მარტოოდენ ამას ვდარდობ ამას განვიცდი**
**ვერ გავამართლე მოვლინება ჩემი ამქვეყნად**

ამგვარ განცდების მიზეზი კი შემდეგია:

**უგზო-უკვლოდ ძალზედ დიდხანს ვეხეტებოდი.**

ავტორის სინანულის მიზეზი ის ხანა იმიტომ გამხდარა,რომ უფალზე ფიქრის დრო დაჰკარგვია. მაცხოვარზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც კი მძაფრი სინანულის მიზეზია მისთვის. ეს სინანული კი ალბათ ბევრისთვის უნდა იყოს ნაცნობი.

მე რეცენზიას ვწერ და ლექსთა კრებულის მიერ აღძრულ ყველა იმ საფიქრალს რომ შევეხო, რასაც ეს პატარა კრებული იწვევს, მონოგრაფია უნდა დაწერო, რეცენზიის ჟანრი კი სხვას გვავალდებულებს. კრებულზე საფუძვლიან საუბარს სხვაგვარი მოცალეობა სჭირდება ამიტომ ეს მომავლისათვის გადავდოთ, ამჯერად კი კრებულში არსებულ ერთ სიმბოლიკაზე მინდა მკითხველის გულისყური მივაპყრო. მამა არჩილის ლექსებში არაერთგზის გაკრთება ალუბლის ხეც და მისი თეთრი ყვავილიც. ალუბალი დგას მისი ბავშვობის სახლთან;

**ოხ ალუბალო მარტის**
**სარკმელთან ახლოს მდგარო**
**მომგონებელო კარგის**
**სიყრმიდან წარმომდგარის**

**ძველი რუსთავის ეზო**
**სახლის წინ ალუბალი...**
*(„იმ ბავშვობიდან დღემდის“)*

ახლანდელ საცხოვრისთან;

**მშვენიერია სანახავად**
**ლურჯ აპრილში ჩემს სარკმელთან აყვავებული**
**ა ლ უ ბ ა ლ ი**
**ის ფარავს**
**ურბანისტულ ლანდშაფტს**
**და მე ვიძირები**
**ქათქათა პაწაწინა ყვავილების**
**სითეთრეში**
**როგორ მონატრებია სულს**
**პირველყოფილი**
**უცოდველი**
**სიწმინდე**
*(„მიუწვდომელ მხარეში“)*

ერთ ფრაგმენტსაც მოვიხმობ:

**ერთხელ როგორღაც გადაღლილმა წიგნზე დახრილმა**
**სარკმელს მივხედე საკუთარი თავი შევიცან**
**გარეთ კი გარეთ ჩაბნელებულ სარკმლის გადაღმა**
**თეთრად ჰყვაოდა ალუბალი ჰგავდა პატარძალს**
*(„ერთხელ როგორღაც“)*

უფალი ხომ ყველგან ჰგიეს, ალუბლის ხეც უფლის ბრძანებით ჰყვავის მარტის თვეში. არ იცის ალუბალმა, მარტის ცვალებად და დაუნდობელ ამინდებს გადაურჩება თუ არა,მაგრამ მან ღვთის ნება უნდა შეასრულოს — უნდა აყვავდეს. ადამიანის ცხოვრებაც ხომ ასეთია, უნდა მოვევლინოთ ამ ქვეყანას იმისდა მიუხედავად, ჩვენი ცხოვრება როგორ წარიმართება, იქნება იგი უფლისათვის სათნო თუ დაიკარგება ამაოდ უგზო-უკვლოდ ხეტიალში, უფალზე ფიქრის გარეშე. ანუ გადაურჩება თუ არა მარტის ამინდს. აყვავებული ალუბლის ხე ყოველთვის შეგვახსენებს ჩვენ განვლილ ცხოვრებას, ჩავლილ დღეებს.

ლექსების ავტორის განცდები, მისი ფიქრები უფლისაკენ მიმავალნი უბრალოა, უსამკაულო. მათი კითხვისას უნებურად, თუმცა სამართლიანად, გახსენდება თაგორის შემდეგი სტრიქონები „გიტანჯალიდან“:

**ჩემმა სიმღერამ ჩამოიხსნა სამკაულები**
**ისინი კავშირს შებღალავდნენ ჩვენს შორის,**
**შუა ჩადგებოდნენ**
**და შენს ჩურჩულს ჩაახშობდა მათი წკრიალი.**
*(თარგმანი თამაზ ჩხენკელისა)*

მამა არჩილის ლექსთა მკითხველთ დიდი სიხარული ელის — სიხარული ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტედ ჰიუზი

ინგლისელი პოეტი და საბავშვო მწერალი. კრიტიკოსები მას თაობის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიიჩნევენ. 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ტედ ჰიუზი იყო ბრიტანელი პოეტი-ლაურეატი. 2008 გაზეთმა თაიმსმა სიაში „50 უდიდესი ბრიტანელი მწერალი“ 1945 წლის შემდეგ მას მეოთხე ადგილი მიუჩინა.

დაიბადა 1930 წლის 17 აგვისტოს მაიტოლმროიდში, ინგლისში, უილიამ ჰენრი და ედიტ ჰიუზების ოჯახში. პირველი ექვსი წელი მომავალი პოეტი ადგილობრივ ფერმერებს შორის იზრდებოდა. როცა 7 წლისა იყო, ჰიუზების ოჯახი მექსბოროში, სამხრეთ იორკშირში გადავიდა საცხოვრებლად. მოგვიანებით მწერალი აღნიშნავდა: პირველმა ექვსმა წელმა განსაზღვრა ყველაფერიო.

1954 წელს ჰიუზმა კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა, ხოლო 1959 წელს მიენიჭა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის წოდება.

1957 წელს მისმა პირველივე პოეტურმა კრებულმა კრიტიკოსთა აღფრთოვანება და ნიუ-იორკში პრემია „ლიტერატურული დებიუტისთვის“ დაიმსახურა.

ტედ ჰიუზის ადრეული შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან, განსაკუთრებით ცხოველებთან, რაც განპირობებულია მისი ბავშვობისდროინდელი ინტერესებით. მის შემოქმედებაში ცხოველები გვევლინებიან როგორც ღვთაებანი, მეტაფორები, პერსონები, ხატები. პოეტი ცხოველებს იყენებს როგორც მეტაფორას ცხოვრების შესახებ თავისი აზრის გამოსახატავად. ყვავი ალბათ ყველაზე ცნობილი სახეა მის შემოქმედებაში. ტედ ჰიუზი იყენებს ყვავს, როგორც ღმერთის, ფრინველისა და ადამიანის კრებით სახეს, რაც მისთვის ასე მნიშვნელოვანია სიკეთისა და ბოროტების შესაცნობად.

1956 წელს დაქორწინდა ამერიკელ პოეტ სილვია პლათზე, ვისთანაც ქალ-ვაჟი შეეძინა. მათი ურთიერთობა 1963 წლამდე — სილვია პლათის თვითმკვლელობამდე — გაგრძელდა. ამ დროს ჰიუზის საყვარელი, ასია ვევილი უკვე ფეხმძიმედ იყო მისგან. თუმცა პლათის თვითმკვლელობის შემდეგ ასია ვევილმა ხელოვნურად შეწყვიტა ეს ფეხმძიმობა. ტედ ჰიუზსა და ასია ვევილს შვილი 1965 წელს შეეძინათ. ამ დროს ასია უკვე ტედ ჰიუზის ოჯახის დიასახლისია და ტედს და მისი და სილვიას შვილების აღზრდაში ეხმარება... ეს ურთიერთობა დასრულდა 1969 წელს, ასია ვევილის თვითმკვლელობით. 1970 წელს ტედ ჰიუზი დაქორწინდა კეროლ ორჩარდზე, რომელთანაც ცხოვრების დარჩენილი წლები გაატარა.

ტედ ჰიუზის შემოქმედებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მისი ბოლო კრებული „დაბადების დღის წერილები“ იპყრობს, რომელიც პოეტის გარდაცვალებამდე 1 თვით ადრე გამოვიდა. ამ კრებულმა, რომელიც ოთხმოცდარვა ლექსისგან შედგება, მრავალი ლიტერატურული ჯილდო მოიპოვა. ის წარმოადგენს გულწრფელ პასუხს ყველა იმ ბრალდების მიმართ, რასაც მას საზოგადოება მისი მეუღლის, სილვია პლათის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით უყენებდა. ზოგიერთი ფემინისტი ტედ ჰიუზს ხატავდა როგორც მონსტრს, ხოლო სილვიას კი მის მსხვერპლად მიიჩნევდა.

კრებულის გამოსვლამდე ჰიუზს არასოდეს არ გაუცია პასუხი აღნიშნული ბრალდებებისათვის.

გარდაიცვალა 1998 წლის 28 ოქტომბერს.

*ციკლიდან „ყვავი“*

### გამოცდა საშვილოსნოს კართან

ვისია ეს პაწაწინა ფეხები? სიკვდილის.
ვისია ეს ბუსუსა სახე? სიკვდილის.
ვისია ეს ჯერ კიდევ მომუშავე ფილტვები? სიკვდილის.
ვისია ეს გაცვეთილი კუნთების გარსი? სიკვდილის.
ვისია ეს ენით აუწერელი შიგნეული? სიკვდილის.
ვისია ეს საეჭვო ტვინი? სიკვდილის.
ვისია ეს არეული სისხლი? სიკვდილის.
ეს არაფრისმთქმელი თვალები? სიკვდილის.
ეს პატარა ბოროტი ენა? სიკვდილის.
ეს მოჩვენებითი სიფხიზლე?
ბოძებული, მოპარული, თუ გარდაუვალი სამსჯავრო?
მისია.
ვისია მთელი ეს წვიმიანი და ქვიანი დედამიწა? სიკვდილის.
ვისია მთელი სამყარო? სიკვდილის.
ვინაა იმედზე ძლიერი? სიკვდილი.
ვინაა სურვილზე ძლიერი? სიკვდილი.
სიყვარულზე ძლიერი? სიკვდილი.
სიცოცხლეზე ძლიერი? სიკვდილი.
და ვინაა სიკვდილზე ძლიერი?
მე, ცხადია.

შეფრინდი, ყვავო.

### ყვავი მოიღუშა

არის თავად საკუთარი ძალა?
აქვს კი საკუთარი ინიციალები?
იქნებ სამოთხის გასაღებია
მლოცველის თითებში გაყინული?

უფრო მლოცველის კელაპტარია — მისი გული გუგუნებს.
მისი საკვები ქარია —
ქარის ჟინის ურყევი ძალა.
მისი ნაფეხური უსასრულობას მისდევს

ხელმოწერით: ჩვენ აქ ვართ, აქ ვართ.
ხანგრძლივი მოლოდინია, რომ
მას ყველაფრისთვის გამოიყენებს
ის რაღაც, რამაც ასე რუდუნებით შექმნა

არაფრისაგან.

### ბუს სიმღერა

მღეროდა,
როგორ გაქათქათდა გედი სამუდამოდ,
როგორ მოისროლა მგელმა მოღალატე გული შორს
და ვარსკვლავებმა შეწყვიტეს თვალთმაქცობა,
ჰაერმა დაკარგა გამოსახულება
წყალი საკუთარი სურვილით დამუნჯდა

ქვამ თავისი ბოლო იმედი დათმო
და სიცივემ კი ვერც გაიგო, ისე მოკვდა.

მღეროდა,
რომ დასაკარგი არავის აღარაფერი აქვს,

და შიშისგან გაშეშდა

მერე უცქერდა
ვარსკვლავთა მოძრაობის ტრაექტორიას
უსმენდა ქვათა ფრთების ცემას
და საკუთარ სიმღერას.

## გაელვება

ო, ფოთლებო, თრთოლვით მღეროდა ყვავი ო, ფოთლებო
მის ყელზე ფოთლის პირის შეხებამ
თავი მოკვეთა მომავალ სიტყვებს.
და მაინც,
ყვავმა უსიტყვოდ გააგრძელა ფოთლებით ტკბობა
ღმერთის თავიდან, რომელიც მყისვე ჩაენაცვლა.

## ყვავი ავადაა

ყვავის ავადმყოფობა იყო ის, რაც მას ვერ ამოარწყევდა.
ყვავმა გაშალა სამყარო ძაფის გორგალივით
და მეორე ბოლო საკუთარ თითზე გადახვეული ნახა.

გადაწყვიტა სიკვდილის განადგურება,
ჩაუსაფრდა,

მაგრამ ყოველ ჯერზე ხაფანგში საკუთარი სხეული შეეხეტა.

სადაა ის, ვილაც, ვინც თავის ჭკუაზე მატარებს?

ეძება წყალქვეშ, ხმელეთზე, მთაში,
ეძახდა და იწვევდა,
და ბოლოს
აპარპარებული თმით შიშს გადაეყარა.

თვალებმა უარი თქვეს მის დანახვაზე და დაილიბრნენ.

ყვავმა მთელი ძალით დაარტყა და თავადაც
იგრძნო დარტყმა.

შეძრწუნებული ყვავი დაეცა.

## ჯადოსნური საფრთხეები

ყვავმა წარმოიდგინა სასახლე —
სასახლის კარი ზედ დაეცა, მისი ძვლები ნაპოვნია.

ყვავმა წარმოიდგინა სწრაფი მანქანა —
მან კი ძვლები ამოუყარა და დატოვა ცარიელი
და უმკლავებო.

ყვავმა წარმოიდგინა ქარის თავისუფლება —
თვალები აუორთქლდა, ქარმა კი მთელი ტვინი გაუფრიალა.

ყვავმა წარმოიდგინა ხელფასი —
მან კი დაახრჩო და შემდეგ ციმციმ ამოაჭრეს
მკვდარი მუცლიდან.

ყვავმა წარმოიდგინა დიდი ხნის წინანდელი, რბილი და
თბილი —
მან კი აბრეშუმით თვალი აუხვია და ვულკანში გადაუძახა.

ყვავმა წარმოიდგინა ნიჭი —
მან კი გასაღები მის საწინააღმდეგოდ მოატრიალა და
ყვავი თავისსავე ჟანგიან ურდულს
ჩამოეხია.

ყვავმა წარმოიდგინა ბუნების უძრაობა
და ყურიდან მუხა ამოეზარდა,

კენწეროში მისი შავი შვილები რიგებად ისხდნენ.
მერე გაფრინდნენ.

ყვავი
მას მერე აღარ განძრეულა.

## სამართლიანი ყვავი

ყვავი დასცინოდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ყვავი აფურთხებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ჭორებს უვრცელებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ძარცვავდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
წიხლავდა— მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ნიშნს უგებდა მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
სამაგიეროს უხდიდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ატყუებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
კლავდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ჭამდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს

ასე შეინარჩუნა სინდისი სუფთა.
და იყო შავი
(უფრო შავი, ვიდრე
თოფის
თვალის გუგა)

**ინგლისურიდან თარგმნა**
**დალილა გოგიამ**

ჰერტა მიულერი

# დამპალი მსხლები



ბაღების სიმწვანე თვალებს ჭრის. ლობეები თავისი ნედლი ჩრდილების კვალდაკვალ მიცურავენ. ფანჯრების შუშათა სიშიშვლე და კრიალი ერთი სახლიდან მეორეში მისრიალებს. ეკლესიის კოშკი თავის გარშემო ტრიალებს. გმირთა ჯვარიც, ეკლესიის წინ რომ აღუმართავთ, ბრუნავს. მასზე ამოკვეთილი გმირთა გვარები გრძელია და თითქმის გადაშლილი. კეთე გვარებს კითხულობს, ზემოდან ქვემოთ. — მესამე, ქვემოდან ჩემი ბაბუაა, — ამბობს და ეკლესიის წინ მდგარ ჯვარს ხელებს ურტყამს. წისქვილის წინ გუბურა ბრწყინავს. წყლის ოსპები მწვანე თვალები არიან.

ლერწმიანში ტანმსხვილი გველი ცხოვრობს, — ამბობს კეთე, — ღამის დარაჯს ჰყავს შემჩნეული, დღისით თევზებსა და იხვებს ჭამს, ღამით კიდევ წისქვილში გადაცოცდება და ფქვილსა და ქატოს ანადგურებს. ფქვილი, რაც გადაურჩება, სულ მისი ნერწყვისგანაა დასველებული. მეწისქვილე ამ ფქვილს გუბურაში ყრის, რადგან შხამიანია.

მინდვრები მუცელზე ნებივრობენ. მაღლა, ღრუბლებში დგას მინდვრების თავი.

მზესუმზირათა ფესვები ზეცისაკენ მიიხლართებიან.

მამის ხელები საჭეს ატრიალებენ. მე ვხედავ მამის თმას პატარა ფანჯრის მიღმა, პომიდვრების ყუთებს იქით. მანქანა ჩქარა მირახრახებს და სოფელი ცისფერში იძირება. მე მეკარგება თვალებიდან ეკლესიის კოშკი. მანქანის კაბინაში დეიდაჩემის ბარძაყს ვხედავ, იქვე, მთლად ახლოს, მამაჩემის შარვლის ტოტთან.

ქუჩების გასწვრივ სახლები მოიწევიან. ეს სახლები სოფლები არც არიან, რადგან მე აქ არ ვცხოვრობ. ქუჩებს გადაუვლიან უცნაურად მიმავალი პატარა კაცების გაცრეცილ შარვალთა ტოტები. მოყანყალებულ და ხმაურიან ვიწრო ხიდებზე უცხო დედაკაცთა ქვედატანები მიფარფატებენ. მაღალი ხეების ქვეშ უშარვლო ბავშვები მარტოკა, უფროსების გარეშე დგანან გაძვალტყავებული, შიშველი ბარძაყებით. ხელში ვაშლები უჭირავთ.

ბავშვები არ ჭამენ, მხოლოდ ხელებს გვიქნევენ და გაღებული ცარიელი პირით რაღაცას ჰყვირიან. კეთე მათ ერთხელ დაუქნევს ხელს და მერე იქით აღარც კი იხედება. მე კი დიდხანს ვუქნევ ხელს, გავყურებ მათ გაძვალტყავებულ ბარძაყებს, ვიდრე ისინი მზერიდან გასრიალდებიან, მერე კი მხოლოდ მაღალ ხეებს ვხედავ.

დაბლობი ბორცვებს შორისაა. ჩვენი სოფლის ზეცაც ბორცვებითაა სავსე. ისინი ღრუბელთა წყალობით დაბლობზე არ ეცემიან. —ახლა უკვე შორსა ვართ სახლიდან, — ამბობს კეთე და მზეზე ამთქნარებს.

მამაჩემი გაღვივებულ სიგარეტს მოისვრის ფანჯრიდან. დეიდა ხელებს ამოძრავებს და ლაპარაკობს. ლობეებს შორის ქლიავის ხეები მწვანეა და პატარა. მწვანე ბალახში ძროხები დგანან და ცოხნით იყურებიან ბორბლების მტვერში. მიწა ბალახიდან შიშველ ქვებზე, განრთხმულ ფესვებზე მიცოცავს, გზის პირს უახლოვდება და კეთი ამბობს — ეს მთებია, ქვები კი კლდეებია.

მანქანის ბორბლებისგან ავარდნილი ქარის კვალდაკვალ მოჰქრიან ბუჩქნარები, იმათი ფესვებიდან კი წყარო მორაკრაკებს. გვიმრა წყალს სვამს და თავის არშიებიან ქსოვილს იბერტყავს. მანქანა მიხვეულ-მოხვეულ, ვიწრო და ნაცრისფერ გზებს მიუყვება. — ამათ გზაკლაკნილები ჰქვია, — ამბობს კეთე. გზები იკრუნჩხებიან. — ჩვენი სოფელი მთების გულშია, — ვამბობ მე. კეთე იცინის, — მთები აქ არის, მთიანეთში, ჩვენი სოფელი იქ არის, დაბლობზე, — ამბობს იგი.

კილომეტრების მაუწყებელი თეთრი ქვები შემოგვშტერებიან. მამის ნახევარი სახე საჭის გასწვრივ დევს. დეიდა ხელით ყურში ეძგერება მამაჩემს.

პატარა ჩიტები ტოტიდან ტოტზე დახტუნავენ და ტყეებში იკარგებიან. ისინი მოკლედ უსტვენენ. როცა ტოტებს არ ეხებიან, მაშინ ფრენენ, ფეხებს მუცლებზე მიიტმასნიან და ხმას არ იღებენ. კეთემაც კი არ იცის, რა ჰქვიათ ამ პატარა ჩიტებს. კეთე პატარა, ეკლებიან კიტრს ამოძებნის ყუთში, ბასრი პირით ჩაკბეჩს და კანებს ამოაფურთხებს.

მზე ყველაზე მაღალი მთის იქით გორდება. მთა ტორტმანებს და ნთქავს მთელ სინათლეს.

—სახლში მზე სასაფლაოს უკან ჩადის,- ვამბობ მე. კეთე დიდ პომიდორს ჭამს, ამბობს: მთებში უფრო ჩქარა ღამდება, ვიდრე ჩვენთან, სახლში. თავის სუსტ, თეთრ ხელს ჩემს მუხლზე დებს კეთე. მანქანა იმის თეთრ ხელსა და ჩემს კანს შორის გუგუნებს. — მთებში ზამთარიც უფრო ადრე მოდის, ვიდრე ჩვენთან, — ვამბობ მე.

მანქანის მწვანე სინათლეები ტყეთა გასწვრივებს ყნოსავენ. გვიმრა თავისი ქსოვილის არშიებს წყვდიადში აფრქვევს. დეიდა ლოყას აყრდნობს ფანჯარას და თვლემს. მამაჩემის სიგარეტი საჭის გარშემო ვარვარებს. ღამე ნთქავს მანქანის ძარაზე დაწყობილ ყუთებს, ბოსტნეულსაც ყლაპავს ყუთებიდან. პომიდორებს მთებში უფრო მძაფრი სურნელი ასდით, ვიდრე სახლში. კეთეს უკვე აღარც სახე აქვს და აღარც მკლავები. მისი ხელი თბილად ედება ჩემს გაყინულ მუხლებს. კეთეს ხმა ჩემს გვერდით მოკალათებულა და ლაპარაკობს სხვა დანარჩენზე. მე დამუნჯებული ვიკბენ ტუჩებს, რომ ჩემი პირი ღამეში არ დავკარგო.

მანქანა უკან იხევს. მამა მწვანე სინათლეებს აქრობს. იგი მანქანიდან გადმოდის და გვეძახის:

— უკვე აქა ვართ. — მანქანა წაგრძელებული სახლის წინ, ღამეში ჩამოკიდებული ნათურის ქვეშ დგას. ამ სახლის სახურავი ტყესავით შავია.

დეიდა მანქანის კარს უკან იჯახუნებს და მამაჩემს ღამის პერანგს ჩრის ხელში, მერე მოკვარჩხული საჩვენებელი თითით მაღლა აჩვენებს და ამბობს, — იქ, ზემოთ

სოფელია. — მე თვალს ვაყოლებ დეიდას მოკვარჩხულ საჩვენებელ თითს და მთვარეს ვხედავ. — აქ წყლის წისქვილია, — ამბობს კეთე. მამა ღამის პერანგს ილლიაში იჩრის და დეიდაჩემს გასაღებს აწვდის. დეიდა სახლის მწვანე, შესასვლელ კარებს აღებს. კეთე ამბობს: მოხუცი ქალი ზემო სოფელში ცხოვრობს თავის დასთან.

დეიდა შავ კარის იქით, ანუ თავის ოთახში უჩინარდება. მამაჩემი ვიწრო ხის კიბეს მაღლა მიჰყვება და მოღრეცილ კარს ზურგს უკან მიიკეტავს. მე და კეთე წინა ოთახში, ვიწრო საწოლზე ვწევართ შავი ფანჯრის ქვეშ, რომელზეც თეთრი არშიებიანი ფარდაა ჩამოფარებული. ოთახის კედლის მიღმა წყალი ბუტბუტებს. კეთე ამბობს: ეს ნაკადულია.



მხატვარი ირაკლი ფაჩულია

კეთეს თმის ღერი ჩემს ყურში შრიშინებს. პატარა შავი ფანჯრის წინ მთვარეს ღრუბლების ბნელ ხახაში ჩამოუხრჩვია თავი. კეთეს ბარძაყები საწოლის ფერხთით უფრო შორსაა, ვიდრე ჩემი. კეთეს თავიც ჩემსაზე უფრო მაღლა დევს. კეთეს მუცელი ცხელი ჰაერით ფშვინავს. ჩემი მოკლე, ვიწრო სხეულის ქვეშ თივის ტომარა შრიალებს.

შავ კარის მიღმა საწოლი ჭრაჭუნებს. მოღრეცილ კარის იქეთ თივა ტკაცანებს.

ცხელ ჰაერს, კეთეს მუცლიდან რომ ამოფშვინავს, დამპალი მსხლების სუნი უდის. კეთეს სუნთქვა ძილში შრიალს გამოსცემს. თეთრარშიებიან ფარდაზე კი თანდათანობით იზრდებიან ჩამომწკრივებულ ყვავილთა ლვარჭნილები, ატაცებული ღეროებითა და კლაკნილი ფოთლებით.

ჭრაჭუნი ეშვება ხის ვიწრო კიბეზე. მე თავს მაღლა ვწევ და მერე ისევ ბალიშზე ვუშვებ. მამა ჭრაჭუნს კვალდაკვალ მოჰყვება შიშველი ფეხებით. მისი დიდი ხელები შავ კარს ეპოტინებიან. შავი კარი არ ჭრიჭინებს, მხოლოდ მამის ფეხის თითები ტკაცუნებენ და შავი კარის საკეტი უხმაუროდ ირაზება ზურგს უკან. დეიდა ხითხითებს და ამბობს: „ცივი ფეხები“. მამაჩემი ტუჩებს აწკლაპუნებს და ამბობს: „თაგვი და თივა“. საწოლი ჭრაჭუნებს, ბალიში ხმამაღლა სუნთქავს. საბანი უცაბედი შეხლა-შემოხლისაგან თავს შორს გადაიგდებს და იატაკზე გაიფოფრება. დეიდაჩემი კვნესის, მამა ქშინავს.

საწოლი მოკლე დარტყმებით ხის ჩარჩოებში ტოკავს.

უკანა ეზოში ნაკადული ბუტბუტებს. კენჭი წრიალებს, ქვები მინას ეკვრიან. კეთეს ხელი ძილში ტოკავს. დეიდა ქოშინებს, მამა ჩურჩულებს. შავი ფანჯრის იქით მრგვალი ფოთოლი თრთის.

შავი კარის საკეტი ღრჭიალებს. მამის შიშველი ფეხები უქუსლოდ ადიან მაღლა, ხის ვიწრო კიბეზე. მისი პერანგი გაღეღილია. მის ნაბიჯებს დამპალი მსხლების სუნი უდის. მოღრეცილი კარი გაიღრჭიალებს და უცებ დაიხურება. კეთე ძილში სახეს იბრუნებს მეორე მხარეზე. მამის ბარძაყები თივას აშრიალებენ. ნაკადული ჩემს თვალწინ ბუტბუტებს: „მე უწმინდურება ჩავიდინე“, „მე უწმინდურება დავინახე“, „მე უწმინდურება მოვისმინე“, „მე უწმინდურება წავიკითხე“.

მე ხელებს საბნის ქვეშ ვმალავ და გზაკლაკნილებს ვხაზავ თითებით ჩემს მჭლე ბარძაყზე. ჩემს მუხლზე ჩემი სოფელი წევს. კეთეს ძილში მუცელი უტოკავს. ყვავილები ფარდაზე თავიანთ ღეროებს ეტმასნებიან. შავ ფანჯარას ნაცრისფერი ბზარი აქვს. ღრუბლებს თავები სულ მაღლა ჩამოუკიდებიათ თავიანთი წითელი თოკებით.

დეიდაჩემი გახევებული დგას კარში. მისი სალამურის ქვეშ ნესვები თრთიან. იგი რაღაცას ლაპარაკობს წითელ ღრუბლებსა და ქარზე. კეთი ამთქნარებს დიდი, წითელი პირით და მკლავებს პატარა ფანჯრის სიმაღლეზე წევს. მოღრეცილი კარი ჭრაჭუნებს. მოკაკვული მამაჩემი ვიწრო ხის კიბიდან დაბლა ეშვება. მისი სახე ყანყალებს და ამბობს: კარგად გეძინა? მე ვამბობ:

— კარგად მეძინა. — კეთი ფშვინავს. დეიდა კოფთის ღილებს იკრავს. ნესვების პირდაპირ ღილი პატარაა და სალილიდან ისევ უკან სრიალებს. იგი პირდაპირ სახეში უყურებს მამაჩემს და იმავე წინადადებას იმეორებს რაღაც წითელ ღრუბლებსა და ქარზე.

მამა კიბეს ეყრდნობა და თმას ივარცხნის. იგი თავისი შავი თმის ბლუჯას ქონიან სავარცხელს აშორებს და კიბის გვერდით აგდებს. — ორ საათზე მოვალთ თქვენს წასაყვანად, — ამბობს მერე.

სახემღიმარი დეიდაჩემი მწვანე კარს უყურებს და ამბობს: კეთემ იცის. — მანქანა გუგუნებს. დეიდა მამაჩემის გვერდით ზის კაბინაში. ისიც ივარცხნის თმას გაქონილი სავარცხლით. მის ყურებს უკან თეთრი თმაა.

მე ისევ განვაგრძობ წითელი სახურავების ცქერას. კეთე ამბობს: — იქ, მაღლა სოფელია. მე ვეკითხები: დიდია? იგი ამბობს: პატარა და უშნო.

მე ბალახზე ვწევები. კეთე ქვაზე ზის, ნაკადულის გვერდით. მე ვუყურებ კეთეს პატარა საცვალს, ბარძაყებს შორის პატარა, ყვითელი ლაქა რომ აქვს. ეს ლაქა დამპალი მსხლებისაა.

კეთე კაბას ბარძაყებს შორის იკეცავს და წყალს ამათრახებს ჯოხით.

მე წყალში ვიყურები და ვეკითხები — შენ რა, უკვე ქალი ხარ? კეთე ქვებს წყალში ისვრის და ამბობს: ვისაც კაცი ჰყავს, მხოლოდ ის არის ქალი. და დედაშენი? ვეკითხები და არყის ხის ფოთოლს ვკვნეტ კბილებით. კეთე გვირილებს ბრდღვნის და ბუტბუტებს: ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, — მერე გვირილის ყვითელ გულს წყალში მოისვრის. — დედაჩემს ხომ ჰყავს შვილები, — ამბობს იგი. — ვისაც კაცი არა ჰყავს, შვილებიც არ ჰყავს. — მერე სად არის ეგ კაცი? ისევ ვეკითხები.

კეთე ახლა გვიმრას აპუტავს ფოთლებს, — მკვდარია. ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ადე და დედაშენს ჰკითხე, ჩემი თუ არ გჯერა...

მე გვირილებს ვკრეფ. — მოხუცებულ ელის ხომ არა ჰყავს შვილები, — ვეუბნები. — იმას კაციც არასოდეს ჰყოლია, — ამბობს კეთე და ყავისფრად დაწინწკლულ ბაყაყს თავს ქვით უჭეჭკავს. — ელი შინაბერაა. წითელი თმა მემკვიდრეობით გადადის, — მე წყალში ვიყურები. — ეგ კი არა, მისი მამლებიც კი წითელია და მის კურდღლებსაც წითელი თვალები აქვთ, — ვამბობ მე. გვირილებიდან პატარა, შავი ჭიამაიები მოცოცავენ ჩემს ხელისგულზე.

— ელი საღამოობით ბაღში მღერის ხოლმე. — ვამბობ მე. კეთე ახლა ჯირკზე დგება და ჰყვირის: იგი მღერის, რადგან სვამს, ბევრს სვამს. ქალები უნდა გათხოვდნენ და მერე აღარ დალევენ. — და კაცები? — ვეკითხები მე. — ისინი სვამენ, რადგან კაცები არიან, — ამბობს კეთე და ბალახში ისკუპებს. —ისინი მაშინაც კაცები არიან, როცა ცოლები არა ჰყავთ. — და შენი საქმრო? — ვეკითხები მე. — ისიც სვამს, რადგან ყველა სვამს. — და შენ? — ვეკითხები ისევ. კეთე თვალებს გადაატრიალებს, — მე გავთხოვდები.

მე ქვას წყალში ვისვრი და ვამბობ: — მე არ დავლევ და არც გავთხოვდები. კეთე იცინის: ჯერ არა, მაგრამ მოგვიანებით გათხოვდები. ახლა გათხოვებისათვის ჯერ კიდევ პატარა ხარ. — და თუ გათხოვება არ მინდა? — ვამბობ. კეთე ველურ მარწყვს კრეფს. — აი, ნახავ , როცა დიდი იქნები, მაშინ უკვე მოგინდება, — ამბობს იგი.

კეთე ბალახზე წევს და ველურ მარწყვს ჭამს. კბილებს შუა წითელი ქვიშა ენებება. ბარძაყები გრძელი აქვს და გახუნებული. ლაქა კეთეს საცვალზე სველია და მუქი ყავისფერი. კეთე მარწყვის ღეროებს სახის იქით მიმოისვრის და მღერის:

**... და ეს მომიყვანს მე იმ ერთადერთს,**
**ვინც ისე მიყვარს, როგორც არავინ,**
**და ის მაჩუქებს ბედნიერებას...**

მისი ენა წითლად ტრიალებს. ხახა კი ერთ თეთრ ძაფზე ჰკიდია.

— ამ სიმღერას ელი საღამოობით თავის ბაღში მღერის, — ვამბობ მე. კეთე პირს მუწავს. — და მერე? მერე როგორ გრძელდება? — ვეკითხები. კეთე ბალახში ჩაიმუხლებს და ხელებს აქნევს, შორეული სახურავებიდან დაგორებული მანქანა მოდის. მის ძარაზე ცარიელი ყუთებია მიყრილ-მოყრილი.

მამა მანქანიდან გადმოდის და სახლის მწვანე შესასვლელ კარს კეტავს. დეიდა საჭის გვერდით ზის და ფულს ითვლის. მე და კეთე ძარაზე ავდივართ. მანქანა გუგუნებს. კეთე ჩემს გვერდით კიტრის ცარიელ ყუთზე ზის.

მანქანა სწრაფად მიდის. ვხედავ, ტყეები როგორი ულრანია. უსახელო პატარა ჩიტები გზებზე ფარფატებენ. ერთმანეთში გადახლართული ტოტების ჩრდილები ალმაცერად ადგანან კეთეს სახეს. მის ტუჩებს სქელი, ბასრი კიდეები აქვთ, მისი წამწამები ხშირია და ისეთი წვეტიანი, როგორც ნაძვის წიწვები.

სოფლების გზებზე აღარ დადიან არც ქალები, არც მამაკაცები. აღარც შიშველი ბავშვები დგანან დიდი ხეების ქვეშ. ახლა ხეებსა და ხეებს შუა მხოლოდ დამჭკნარი ხილი ჰყრია. დაუდევარი ძაღლები მანქანის ბორბლებს კვალდაკვალ მოსდევენ ყეფა-ყეფით. ბორცვები ფართო მინდვრებისაკენ გარბიან. დაბლობი თავის შავ მუცელზე წევს. ქარი მშვიდად დგას. კეთე ამბობს: მალე სახლში ვიქნებით. იგი აკაციის ჩამოშვებულ ტოტებს ამტვრევს. მერე თავისი თეთრი ხელებით ტოტებს ფოთლებს აცლის. კეთეს სახე აღარა აქვს.

იმისი ხმა ჩუმად ამბობს: ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ. გაშიშვლებულ აკაციის ტოტს კვნეტს კეთე. მდელოს იქით ნაცრისფერი ეკლესიის კოშკი დგას.

— იქ ჩვენი ეკლესიაა, — ამბობს კეთე. სოფელი ბრტყელია, შავი და მუნჯივით ხმაგაკმენდილი.

სოფლის შესასვლელში ჯვარზე გაკრული იესო დგას, მას თავი დახრილი აქვს და ხელები საჩვენებლად წინა აქვს გამოწეული. მისი ფეხის თითები გამომშრალია და გრძელი. კეთე ამ ჯვარს ხელს ურტყამს.

გუბურა ბრწყინავს, შავი და ცარიელი. ის ტანმსხვილი გველი წისქვილში ფქვილსა და ქატოს ანადგურებს. სოფელი უკაცრიელია. მანქანა ეკლესიის წინ ჩერდება. მე ველარ ვხედავ ეკლესიის კოშკს, სამაგიეროდ გრძელ, დაღვარჭნილ, კუზიან კედლებს გავყურებ, ალვის ხეების იქით რომ დგანან.

კეთე დეიდაჩემთან ერთად შავი ქუჩის დაღმართს მიუყვება. ქუჩას მიმართულება არ აქვს და ქვაფენილებს ვერ ვხედავ. მე მამის გვერდით ვზივარ. სკამი ჯერ კიდევ თბილია დეიდაჩემის ბარძაყებისაგან და დამპალი მსხლების სუნი ასდის.

მამაჩემი მიაქროლებს და მიაქროლებს მანქანას. თმებზე ხელების ნერვიული გადასმით, ტუჩების გარშემო ენის სრიალით, ხელებისა და ფეხების ჩქარი მოძრაობით მიჰყავს მანქანა უკაცრიელი სოფლის გულზე. უსახლო ფანჯრის მიღმა სინათლე კიაფობს. ჭიშკრის ჩრდილების გავლით მამას ეზოში შეჰყავს მანქანა და ბრეზენტს ხდის.

დედა მაგიდის კიდეზე, სინათლის ქვეშ ჩამომჯდარა. იგი მთლად ნაცრისფერი შალის ძაფით უქუსლო წინდას კემსავს. ძაფი მსუბუქად სრიალებს მისი თითებიდან. დედა გამჭოლ მზერას სტყორცნის მამაჩემის გრძელ კიტელს და იღიმება. ეს ღიმილი სუსტია და ტუჩების კიდეზე კოჭლობს. მამა ფურცლავს ლურჯ ფულის ასიგნაციებს და ითვლის. — ათიათასი, — ამბობს მერე ხმამაღლა. — და ჩემი და? — კითხულობს დედაჩემი. — მან უკვე მიიღო თავისი ნაწილი, რვაათასი კი ინჟინერს შეხვდება, — ამბობს მამა. დედა ამბავს ეკითხება, მამა თავს გადააქ-

ნევს. დედა ფულს იღებს და ორივე ხელით კარადასთან მიაქვს.

მე ჩემს საწოლში ვწევარ. დედაჩემი ჩემსკენ იხრება და ლოყაზე მკოცნის. მისი ტუჩები ხმელია, როგორც თითები. — როგორ მოთავსდით იქ? — მეკითხება. მე თვალებს ვხუჭავ:

— მამა მაღლა, თივაში, დეიდა თავის ოთახში, მე და კეთე წინა ოთახში.

დედა ზერელედ მკოცნის შუბლზე. მისი თვალები ცივად ბრწყინავენ. იგი ტრიალდება და გადის. საათი მთელი ოთახის გასაგონად წიკწიკებს: „მე რაღაც უწმინდურს მოვუსმინე".

ჩემი საწოლი კი დგას კალაპოტდამშრალ მდინარესა და ტყეების დაღლილ ფოთოლთა შორის, დაბლობზე. ოთახის კედლის მიღმა, მოკლე შეხლა-შემოხლას შორის ოხრავს საწოლი. დედა კვნესის. მამა ქშინავს. დაბლობი მთლიანად ცაზეა ჩამოკიდებული, შავი საწოლებითა და დამპალი მსხლებით. დედის კანი ჩამომჭკნარია. ფორები დაცარიელებული. დამპალი მსხლები კი ისევ უკან, კანისაკენ მიცოცავენ. ძილიც შავია ქუთუთოების ქვეშ.

**გერმანულიდან თარგმნა**
**ნინო შტოკერმა**



# სამშობლო — ჩალეწილი გარსის ნაღველი

## (ნინო სადღობელაშვილის ერთი ლექსის გამო)

აივანი — ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი დერეფნად განმარტავს. არ ვიცი დღევანდელი დატვირთვა მან საიდან შეიძინა, სადაური სიტყვაა, მაგრამ ვიცი ის, რომ ტრადიციული ქართული სახლის არქიტექტურული დეტალია (ნიკოლოზ გაბაონი „აივნიანი ქალაქი"), ისიც, ალბათ, ქართული ხასიათის გამოვლინებაა — „ქართული მადლის ფენომენი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების შეზღუდვა, ურთიერთობის, სტუმარ-მასპინძლობის, სოციალური ცხოვრების რეგულირების დიდი კულტურა, ათასწლეულობით ჩამოყალიბებული" (გ. ნათაძე).

ჩვენი ხასიათი ვერასოდეს ეგუებოდა ჩაკეტილობას, ჩაკეტილ სივრცეს. ამის გამო, როგორც კი შესაძლებელი გახდებოდა, ქართველი ღია სივრცეში, აივანზე გადიოდა. იმ აივანზე, რომელიც სითბოს, სიხარულის, თანადგომის, თანალმობის სიმბოლო იყო მუდამ... „ვით აივანი, ამაღლდა ხიდი"... გონებაში გაიელვებს ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსის სტრიქონები და ამ ფონზე ნინო სადღობელაშვილის ლექსი „აივნის ბელურები", მიძღვნა ემიგრანტ მეგობრებს — საოცარი მიგნებაა... ბელურები — ერთგულები... ისევ ვალერიან გაფრინდაშვილი: „ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა"...

და რა შუაში არიან აქ ემიგრანტები? ეს უზუსტესი გახსნაა ქვეყნის ერთგულ და იძულების გამო ემიგრანტებად ქცეულ ქართველთა ხვედრის გადმოსაცემად. თითქოს სამშობლო მათ უცხოეთში ყოფნისას აივანში განჭვრიტეს და ეს აივანი სულის მოსათქმელ ერთადერთ ადგილად ქცეულა. ვფიქრობ, მათთვის კიდევ უფრო ძვირფასი გამხდარა, რადგან, ვიცით, არსებობს ფსიქოლოგიური მომენტი — სიმაღლიდან ყურებით ადამიანი საკუთარი თავის რწმენას იბრუნებს და მაღლდება გაბოროტებულ, სულისამომხუთავ რეალობაზე.

რომელ ქართველს არა ჰყავს მეგობარი საზღვარგარეთ? ვის არ გვინახავს მათი ცრემლით დაწითლებული თვალები, ვის არ შეგვინიშნავს ის, თუ როგორ ისწავლეს მათ დარდის უხმოდ გულში ჩაკვლა... „სახელმწიფოთა ერთობა სჯულს არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს!" ჯერ კიდევ როდის განჭვრიტა ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რა მძიმეა „თვისებათა სხვადასხვაობა!.." თავისუფალი ნება, თავისუფლება, რომელიც შემოქმედმა არ დაინანა ჩვენთვის, „ქარის ტოტის" მსხვერპლია უკვე, რადგან ამ გვიან საქართველოში დაბადება გაჩენა (გამოჩინება) კი აღარ არის, არამედ „გამოჩეკა", „გამოსახლება", თავბრუდამხვევი ცხოვრების ტემპს დამორჩილება და თავისუფლებისთვის მოცემული ფრთები ჩანასახშივე „ჩათეთქვილია". ნეტავ რა გაამართლებს მას?!.

„როდესაც ღრუბლის ლიანდაგი ციდან აუხვევს... ჩვენ აივნების ფითრი გვაწუხებს..." რატომ ფითრი? შორეული სამშობლო იკვეთება ალბათ ცაში, მირაჟად ხილვა ეოცნებებათ, იმ ცაში, რომელიც მთელ პლანეტას ერთი გვადგას თავზე. ოღონდ ეგაა, ქართველისთვის სამყოფი „ლუკმა" აღარაა საქართველოში. ტიციანი კი „მწარე ლუკმაზე" წერდა ერთ დროს!.. სხვის ქვეყანაში კი მხოლოდ „ნამცეცებს" გვარგუნებენ, „დიდი ქალაქის ნამცეცებით ძალ-ღონეს ვიკრებთ... ნამცეცებიც — ტკბილი მწარეა". ლეონტი მროველი ქართველს საზეპურო ერს უწოდებდა. სა-ზე-პურო... ზე-პურით — ღვთის სიტყვით იკვებებაო, ღმერთთან ახლოს დგასო... ახლა კი... სხვათა „მოწყობილი" ცხოვრების დამხმარე პერსონალად ქცეულნი: „მივაცილებთ ჩვილებს ბაღებში, დიდებს — სკოლებში" და ამიტომ ბუნებრივია უზუსტესი პოეტური ალღოთი მიგნებული ფრაზა: „ვინც თამაშობს — „არ ვიყოთ-ვიყოთ"...

„ჩალეწილი კვერცხის ნაჭუჭი", არ მოშუშება ბოლომდე გარსში, ცხოვრებისგან იძულებითი განდევნა გველეშაპის მუცელში — დასასრულებლად, სულის გამოსაჭედად, დიახ, ეს იყო და არის მითიური ამირანის, პრომეთეს, ქართველის ბედი და ხვედრი ოდით და ოდით. და ჩვენი სამშობლო ემიგრანტთათვის „ჩვენი კანკალი ზოგს ჰგონია შიში, სისუსტე, ის სამშობლოა — ჩალეწილი გარსის ნაღველი".

დღეს ალბათ იშვიათია, პოეზიის მადლი ასე ძალუმად იგრძნო ლექსში, აქ მართლაც პოეტური ალღოა ის, რაც ასე ზუსტად, სიმბოლურად, მწარე სიმართლის ზედაპირზე ამოტანით ამოაცნობინებს ახალგაზრდა, გრძნობაგაფაქიზებულ, სულმაღალ პოეტ ქალს ლექსში. აივნის ბელურები... აივნის ბელურები... ეგებ არ ვიქცეთ თითოეული აივნის ბელურებად!

**ლალი ბარბაქაძე**

# დაკარგული ხალი

დედა გულახდილად უმხელს თავის შვილს, ყველაზე თავმოსანონ შვილს, ვისაც მთელი ნიგნიერი ამერიკა, და არა მარტო ამერიკა, იცნობს და თაყვანს სცემს, ვისი სახელიც ოქროს ასოებით უნდა ჩაინეროს მსოფლიო მნერლობის ისტორიაში, ვინც კაშკაშა ვარსკვლავად ბრწყინავს XX საუკუნის ამერიკული პროზის დიდოსტატთა თანავარსკვლავედში, აი სწორედ მას ეუბნება დედა გულახდილად და დაურიდებლად:

„აქ რომ მომადგებიან და შენს ქებას მოჰყვებიან, როგორ გაიკაფე გზა და სახელი მოიხვეჭე, ხომ იცი, მე ხმას არ ვიღებ, მხოლოდ ვზივარ და ვუსმენ. მე არ გაქებ, შენი ქება თუ სიამოვნებთ, ეს უკვე მათი საქმეა. ჩემს სიცოცხლეში ჩემი შვილებით არ დამიკვეხნია... ჰოდა, ჩემთან რომ მოვლენ და შენს ამბებს მოჰყვებიან, მე კრინტსაც არა ვძრავ, ხმას არ ვიღებ".

თქვენს ბიჭებს შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი იუჯინი იქნებოდაო, ეუბნებიან რეპორტიორები თუ ლიტერატურის მოყვარულნი სახელგანთქმული მნერლის დედას. ის კი კატეგორიულ უარზეა და აცხადებს: ყველაზე უფრო ნიჭიერი, დანარჩენებს რომ სჯობდა, ყოველმხრივ, ჭკუით, გაგებით, მსჯელობით, ყველაზე უფრო შესანიშნავი, ყველაზე უფრო გონებანათელი, ყველაზე უფრო მშვენიერი ბიჭი იუჯინი კი არა, სხვა შვილი იყოო. მაინც რომელიო, გაკვირვებას გამოთქვამენ ცნობისმოყვარეობით შეძრული მკითხველნი და შემკითხველნი. მაგრამ ამაოდ ირჯებიან, დედა არ გათქვამს თავის სანუკვარ საიდუმლოს. თქვენ თვითონ გაიგეთ რომელიო, ეუბნება აბეზარ ცნობისმოყვარეთ.

სახელგანთქმულ იუჯინს კი ასე მიმართავს: ჩემი ოჯახიდან გონებაჩლუნგი არც ერთი არ გამოსულხართ, მაგრამ გროვერი ყველას გჯობდათო. ვინც კი იცნობდა, ყველა ერთხმად აღიარებდა, ასეთი მშვენიერი ბავშვის მნახველი არა ვარო... ყველანი ამბობდნენ, რა ყოჩაღი ბიჭია, დიდი კაცივით ჭკვიანი და გონიერიო.

და ახსენდება დედას, მატარებლის ვაგონში ერთი ჯენტლმენის გვერდით რომ იჯდა გროვერი, კარგა ხანს ფანჯრიდან იცქირებოდა და მერე იმ ჯენტლმენს გამოელაპარაკა. ეკითხებოდა: ამ მხარეში რა მოჰყავთ, სერ? ეს რა ხეა, იქ რა იზრდებაო, ფერმები დიდია თუ არაო... მხოლოდ თორმეტი წლისა იყო, თორმეტი წლისა გამოესალმა წუთისოფელს.

და დედამ თითქოს ამოიგმინაო: „ახლაც თვალწინ მიდგას: შავი თვალები, შავი თმა, ყელზე დიდი ხალი".

და გროვერის დაც მის ხალს იხსენებს: „შავთვალება, შავგვრემანი იყო. ხალი ჰქონდა. პატარა ბიჭები იმ დროს ყელგახსნილ მეზღვაურის ხალათებს ატარებდნენ და ხალი მუდამ უჩანდა... გროვერი დედის თვალის ჩინი იყო. დანარჩენები ასე ძალიან არ ვუყვარდით".

ალბათ მიხვდით, რომ ზემოთ მოტანილი ციტატები დამოწმებულია დიდებული ამერიკელი მწერლის ტომას ვულფის (1900-1938) გენიალური მოთხრობიდან „დაკარგული ბიჭი" (თარგმანი ციალა თოფურიძისა).

როსტომ ჩხეიძის სიტყვით, ტომას ვულფის გროვერი მონუმენტია დაკარგული ბიჭებისა, ერთი ყოვლისმომცველი სიმბოლო.



ტომას ვულფი

დიახ, ტომას ვულფის დაკარგული ძმა („საბრალო ბავშვი, ცხოვრებიდან გარიყული და ცხოვრებიდან განდევნილი") ყველა დაკარგულ ბიჭს გაგახსენებს, ყმაწვილი იქნება თუ ჭაბუკი, მოხდენილი თუ შეუხედავი, ნიჭიერი თუ მაჩანჩალა...

იმ დაკარგულ ბიჭებზე რაღა ვთქვათ, რომელთაც ვულფისეული გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით მიესადაგებათ, უგზო-უკვლოდ რომ დაკარგულან, საფლავიც რომ არ ეღირსათ, აღარც ცოცხლებს მიეთვლებიან და აღარც მკვდრებს.

...1943 წლის 6 მაისს ერთი ქართული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა განცხადება, სასოწარკვეთილ კივილს რომ ნაავავს:

„ამა წლის 15 იანვარს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ელგუჯა კონსტანტინეს ძე ჯანანაშვილი, 15 წლისა. ნიშნები: შავთვალწარბა, სახეზე ჭორფლი აქვს, ტანზე აცვია მწვანე ხალათი, ნაცრისფერი შარვალი. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, მალაკნის ქუჩა 31, ჯანანაშვილი".

სად გაქრა, სად დაიკარგა? ფრონტზე გაიქცა და ომის გრიალა გზებმა ჩაყლაპეს? თუ აქვე ქალაქში ავკაცთა ანდა ვინმე მანიაკის მსხვერპლი შეიქნა? ომის წლებში ათასები გადიან სახლიდან, პირტიტველანი, თავგადაპარსულნი, დასერიოზულებულნი. ალბათ, გული საგულეს აღარა აქვთ, არავის ენატრება სიკვდილი, მაგრამ არ იმჩნევენ. ცრემლი უფრო გამცილებელთა თვალებს ასველებს. დასაკარგავად განწირული ბიჭები კი ხუმრობენ, იცინიან, ცეკვა-სიმღერით მიდიან საერთაშორისო სასაკლაოზე, მეორე მსოფლიო ომი რომ ჰქვია. 15 წლის ელგუჯას სამშობლოსათვის თავგანწირვაც კი არ აცალა ბედმა. სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. უცვლელი რჩება ყველაფერი, რასაც იცნობდა: მალაკნის ქუჩა, ტრამვაის რახრახი, სკოლის ზარის წკრიალი, ფეხბურთის თამაში ჩვრის ბურთით და ომობანა გამოჩორკნილი ხმლებით; სკოლაში დარიგებული ამერიკული ნობათი — მანდარინის ქერქისგან დამზადებული ჯემი, მომწარო გემო რომ დაჰკრავს, მაგრამ მონატრებულ შოკოლადზე უფრო ტკბილია. ვინ იცის, ეგებ შავთვალწარბა ელგუჯას ისეთი სახელი მოეხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა რომ სჯობს, მაგრამ 15 იანვარს სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

ერთი წლის შემდეგ იმავე გაზეთში კიდევ ერთი განცხადება ქვეყნდება კიდევ ერთი დაკარგული ბიჭის შესახებ:

„1 იანვარს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა 16 წლის კოტე (კონიკ) სარკიშვილი, მუნჯი, არანორმალური, უსაბუთოდ; მაღალი, შავგვრემანი, მარჯვენა ლოყაზე პატარა ხალი აქვს, აცვია შავი ხალათი და ნაცრისფერი შარვალი".

ეგებ ვინმეს მწარედ გაეცინოს კიდეც ამგვარ განცხადებაზე, თქვას: ომში უთვალავნი, ახალგაზრდები, ილუპებოდნენ. არც მუნჯები ყოფილან და არც არანორმალურნიო. მაგრამ რას იზამ, მშობლებს თავისი მუნჯი და არანორმალური კონიკა, ალბათ, მთელ ქვეყნიერებას ერჩივნათ. და გამუდმებით ესიზმრებათ პატარა ხალი, მარჯვენა ლოყაზე რომ ჰქონდა — დაკარგული ხალი.

ხს/22



## სიბერე ინგლისურად

უკვე სამოცდაჩვიდმეტი წლისა იყო სერ უინსტონ ჩერჩილი, როდესაც 1951 წელს საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიული პარტიის გამარჯვების შედეგად ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა (სამოცდაჩვიდმეტი წლის ბერიკაცს ჩვენში, გინდ ჩერჩილი ერქვას და გინდაც ნაპოლეონი, პრემიერობა რა სათქმელია, საზოგადოებრივი ტუალეტის კარისკაცობას მოანატრებენ).

შორიდან ისე ჩანდა, თითქოსდა სავსებით ჯანსაღად გრძნობდა თავს და ძველებური ენერგიით შეეძლო გაძღოლოდა ქვეყანას, მაგრამ სწორედ საპარლამენტო არჩევნების დროს ჩერჩილის პირადი ექიმი ლორდი მორანი ასკვნიდა: „თუკი ის გაიმარჯვებს ამ არჩევნებში და დაბრუნდება დაუნინგ-სტრიტის 10 ნომერში, ვეჭვობ, შეძლებს თუ არა სრულყოფილად გაართვას თავი სამუშაოს".

მალე გამოირკვა, რომ პრემიერ-მინისტრის მოვალეობათა ტვირთი ჩერჩილს, ცოტა არ იყოს, ემძიმებოდა. 1952 წლის იანვარში ზემოხსენებული ექიმი აღნიშნავდა, რომ ხანდაზმულ პრემიერს აღარ გააჩნდა უწინდელი წყურვილი მოღვაწეობისა და ყველაფერს რის ვაივაგლახით აკეთებდა.

1953 წლის ივნისში ჩერჩილს თავს დაატყდა ინსულტი, რომელმაც სხეულის ერთი მხარე დაუდამბლა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინგლისელი ხალხი ბაიბურში არ იყო. ოფიციალურად მხოლოდ ის გამოცხადდა, რომ პრემიერ-მინისტრი ავადაა და ექიმებმა მას დაუნიშნეს აბსოლუტური სიმშვიდე ხანგრძლივი დროით.

ახლობლებმა, რომლებმაც მოინახულეს ავადმყოფი, ერთსულოვნად განსაჯეს, რომ „ბებერი ლომი" ვეღარ დაუბრუნდებოდა პოლიტიკურ ასპარეზს.

მაგრამ მოხდა საოცრება. ჩერჩილს აღმოაჩნდა სიცოცხლისუნარიანობის უზარმაზარი რესურსი და მალე გამოკეთდა. სხეულის მარცხენა მხარეს სასიცოცხლო ფუნქციები აღუდგა და „ბებერი ლომი" იმავე წლის ოქტომბრის თვეში კონსერვატორთა ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვითაც კი გამოვიდა.

მიუხედავად ამისა, 1953-1954 წლების განმავლობაში კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელობა უფრო და უფრო დაჟინებით ფიქრობდა, რომ ჩერჩილის გადადგომა კარზე იყო მომდგარი და ენტონი იდენს უნდა შეეცვალა იგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

1954 წლის ნოემბერში საზეიმოდ აღნიშნეს უინსტონ ჩერჩილის 80 წლისთავი.

1955 წლის იანვარში ჩერჩილმა მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე.

სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა პარლამენტის წევრად, მაგრამ იშვიათად ესწრებოდა სხდომებს და როცა ესწრებოდა, სრულიად გულგრილად უსმენდა ვნებათაღელვას. თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ მხოლოდ კენჭისყრაში მონაწილეობისას გამოხატავდა.

გადადგომისას იქადნებოდა, წიგნების საწერად ახლა კი მოვიცლიო (თითქოსდა ცოტა ჰქონდა დაწერილი!), მაგრამ ფსიქოლოგიური დაძაბუნება და დეპრესია იმდენად დაეუფლა, რომ აქტიური ლიტერატურული მუშაობისათვის ძალები აღარ ჰყოფნიდა. კითხულობდა გაზეთებს და ისტორიული ხასიათის წიგნებს.

ძველისძველ ჰობის — ფერწერას ხელს აღარ ჰკიდებდა. ცხენებისა და დოლის მგზნებარე ტრფიალი ტელევიზორითღა უყურებდა საყვარელ სანახაობას. თავის დროზე ღამეებს რომ ათენებდა სათამაშო მაგიდასთან მონტე-კარლოში — ესეც, რასაკვირველია, ტკბილ წარსულს ჩაჰბარდა. კინოს სიყვარული სიკვდილამდე არ განელებია. ჩარტუელის საagarako სახლში პირადი კინოდარბაზი ჰქონდა, სადაც ნახულობდა ფილმებს, თავაზიანად რომ აწვდიდნენ სხვადასხვა კინოფირმები.

1964 წლის დამლევს თავისი 90 წლისთავი აღნიშნა. არავითარი ზეიმი არ ჩატარებულა. იუბილესთან დაკავშირებით მის სახელზე მოვიდა 60 ათასი მისალოცი წერილი და დეპეშა.

1964 წლის 29 ნოემბერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერდა: „პარადოქსული და ნაღვლიანიც კი არის დღევანდელი ვითარება. ინგლისმა უკვე ჩარიცხა ჩერჩილი ისტორიული დიდების გალერეის გამოჩენილ პიროვნებათა ნუსხაში. ის კი ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა ფეხს ველარ უწყობს თანამედროვეობას... მაგრამ სერ უინსტონი, როგორც ყოველთვის, გამოწვევას სტყორცნის დრო-ჟამსა და ბედისწერას. ასე გგონია, რომ იგი ყველაფერში თავის საკუთარ ვადებს ადგენს. 20 წლის წინათ კინოქრონიკის ერთმა ლონდონურმა კომპანიამ შეადგინა კინოოპერატორთა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა დოკუმენტური ფილმის გადაღება ჩერჩილის დაკრძალვაზე. ამ კინოოპერატორთაგან სამი კაცი უკვე აღარ არის ამქვეყნად".

ესეც თქვენი ამერიკული შავი იუმორი!

## ქრონიკა

27 მაისს, თბილისის წიგნის მე-13 საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში **ჯემალ ქარჩხაძის** შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერთდღიანი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი, ინსტიტუტთან ერთად, „ქარჩხაძის გამომცემლობა" იყო. კონფერენციას უძღვებოდა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ირმა რატიანი**. წარმოდგენილი იქნა მწერლის თითქმის მთელი შემოქმედების მომცველი, მრავალფეროვანი სამეცნიერო მოხსენებები:

**ლევან ბრეგაძეს** „განზომილების" შესახებ"; **ინგა მილორავას** „ტირანიის ზნეობრივი კონვულსიები ჯემალ ქარჩხაძის მხატვრულ ტექსტში („იუპიტერის სინანული")"; **შუქია აფრიდონიძის** „ჯემალ ქარჩხაძე ქართული სალიტერატურო ენის შესახებ"; **მამუკა ბერიაშვილის** „მწერალი, როგორც განმანათლებელი, ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში"; **მაია ჯალიაშვილის** „თხრობის პოეტიკა ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიოსა და დავითის" მიხედვით"; **კახა ჯამბურიას** „ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკა" და **თამარ ჩოკორაიას** „ჯემალ ქარჩხაძის ზღაპრები".

მომხსენებელთა გამოსვლების დასრულების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობას მიიღეს მწერალმა **გივი შაჰნაზარმა**, ლიტერატურისმცოდნეებმა — **მანანა კვაჭანტირაძემ, ნონა კუპრეიშვილმა** და სხვებმა.

„ქარჩხაძის გამომცემლობისა" და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონფერენცია ყოველწლიური გახდება და ყოველ გაზაფხულზე ჩატარდება., რადგან ჯემალ ქარჩხაძე ის მწერალია, რომლის შესწავლა ჯერ მხოლოდ დაიწყო და ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამურაების სული კვდება?



ზურაბ ნიჟარაძე

„ვგრძნობ, ჩემი ნაფიქრალი მთლად მწყობრი, თანამიმდევრული ვერ იქნება, მაგრამ არა მგონია, გულწრფელობა და სიყვარული აკლდეს“. – ასე იწყება **ზურაბ ნიჟარაძის** წერილი **გიორგი შენგელაიაზე** („ჩვენი მწერლობა“ №10, 2011).

გულწრფელობას გულწრფელობა მოუხდება: შესაძლოა, სახელგანთქმულ მხატვარს კალამი მართლაც ისე არ უჭრიდეს, როგორც ყალამი, მაგრამ სტატია მაინც შესანიშნავია – სწორედ გულწრფელობით, სიყვარულითა და სიღრმით, რასაც იშვიათი ერუდიცია განაპირობებს.

რა ბედნიერებაა და რა საამაყოა, როცა გამოჩენილი მხატვარი ლიტერატურის შესახებაც მისთვის საკადრის დონეზე მსჯელობს.

უაღრესად საინტერესოა მისი საუბარი სერვანტესზე, კამიუზე, ტოლსტოიზე, მაიაკოვსკიზე, ბლოკზე, გალაკტიონზე, ჩეხ მილან კუნდერაზე და, რა თქმა უნდა, გურამ რჩეულიშვილზე (ამის შემდეგ როგორღა გაგვაკვირვებს ფრანგი მოქანდაკის **არისტიდ მაიოლის** შემოქმედების ღრმა ანალიზი, მოქანდაკისა, რომელიც ზურაბ ნიჟარაძეს, აშკარაა, როდენს ურჩევნია).

შეუძლებელია, არ მოიხიბლო მხატვრის ნააზრევით, როცა გურამ რჩეულიშვილის „მოუნელებელ ნუხილს“ (ზ. ნიჟარაძის გამოთქმაა) იაპონელი მწერლის ჰარაკირს ადარებს: „იუკიო მისიმა, იმის გამო, რომ თავის ერში გადაგვარების დამამცირებელ ნიშნებს ხედავდა, აიჭრა ტოკიოს სამხედრო ბაზაზე და, უკიდურესად აღგზნებულმა, ასაჯანყებლად ჯარისკაცებს მიმართა: „სამურაების სული კვდება, თქვენ გადაიქცევით ფუნთუშების მჭამელ ნაციად!“ იქ მყოფებმა დუმილი შეაგებეს მწერლის ცეცხლოვან მოწოდებას და განბილებულმა მისიმამ, თავის ერთგულ მეგობართან ერთად, სიცოცხლე მოისწრაფა, შუა საუკუნეების წესით, ჰარაკირი გაიკეთა“.

ასევე საინტერესოა კინოფილმ „ალავერდობის“ ანალიზი და იმის ხაზგასმა, რომ უშუალოდ „ალავერდობის“ შემდეგ გაუჩნდა გიორგი შენგელაიას ტოლსტოის ბოლო შედევრის „ჰაჯი მურატის“ ფილმად გადაღების დაუოკებელი სურვილი.

ზურაბ ნიჟარაძისთვის ეს ფაქტი საგულისხმო და მრავლისმეტყველია, ამიტომაც დიდ ადგილს უთმობს მის ახსნასა და იმ მიზეზების ჩვენებას, რეჟისორის დაუოკებელი სურვილი დღემდე აუხდენელ ოცნებად რომ აქცია.

გულახდილად უნდა ვაღიარო: ამ სტატიიდან უკეთ გავიგე, რატომ ვერ შელევია გიორგი შენგელაია ჰაჯი-მურატის თემას, ვიდრე თვითონ კინორეჟისორის ინტერვიუებიდან.

და კიდევ უფრო დამწყდა გული იმის გამო, რომ ფილმის გადაღება ვერა და ვერ მოხერხდა.

თუმცა ვინ იცის, ზოგი ჭირი ხომ მარგებელია: გიორგი შენგელაიას ნიჭი და სიღრმე არასოდეს აკლდა, მაგრამ ღვთის ნებაა, რომ „ჰაჯი-მურატი“ დაბრძენებულმა ოსტატმა გადაიღოს.

შამილი იმდენად მიყვარს (ეს, უმთავრესად, კონსტანტინე გამსახურდიასა და აკაკი გაწერელიას „ბრალია“), რომ ჰაჯი-მურატისკენ თვით ტოლსტოის გენიამაც ვერ გადამხარა.

ზურაბ ნიჟარაძის სტატიამ კი დამაფიქრა და ამაფორიაქა.

ასეთი კითხვაც გამიჩნდა: ბატონ ზურაბს თუ დაუხატავს „ჰაჯი-მურატის“ პორტრეტი?

ლიტერატურული პორტრეტი კი ჩინებული გამოუვიდა, ისევე, როგორც გიორგი შენგელაიას შემოქმედებითი შტრიხები.

არადა, დასაწყისში გულწრფელი კადნიერებით ვთქვი, შესაძლოა, კალამი ისე არ უჭრიდეს-მეთქი.

ასეთივე გულწრფელობით მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები.

წერილში ერთი მეტად საყურადღებო აზრიც ამოვიკითხე. ის ეხება გიორგი შენგელაიას ჯერჯერობით ბოლო ფილმს „მიდიოდა მატარებელი“, რომელიც რეჟისორს ბევრმა რატომღაც წარმატებად არ ჩაუთვალა. ზურაბ ნიჟარაძის შეფასება რადიკალურად განსხვავებულია. მისი აზრით, გიორგი შენგელაიამ ამ ფილმში „თავი გამოავლინა როგორც გროტესკის დიდოსტატმა“.

ეს მაღალი შეფასება შესაშური ანალიზით არის გამყარებული: „რაოდენ სიმბოლურია ბრმა ქალების გუნდი „ჩემო კარგო ქვეყანას“ მიამიტურად რომ მღერიან და სამუშაო ადგილის მაძიებლებს ბათუმში მიჰყვებიან. ბოლო ორი ათეული წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა რეჟისორს საკმაო საბაბი მისცა, დაბნეული, დაქუცმაცებული, ტერიტორიებდაკარგული საქართველო გზასაცდენილ, უცნაური ტიპებით გადატენილ მატარებლად წარმოედგინა“.

ოღონდ ესეც არის: ოსტატის ნახელავს ერთი „ნაკლი“ აქვს – ადვილად მიღწეულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთ ფილმს ხომ ჩვენც გადავიღებთო, – იფიქრეს შედარებით ახალგაზრდა და კიდევ უფრო ახალგაზრდა რეჟისორებმა და ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდა მდარე და ბანალური ეროტიკული კომედიები („ყველაფერი კარგად იქნება“, „მიდი, ძმაო, მიდი“, „ჭამა და სექსი“...).

ზურაბ ნიჟარაძე ამ საკითხზე, მართალია, ყურადღებას არ ამახვილებს, მაგრამ ქვეტექსტით და ირიბად, უთუოდ გულისხმობს, როცა აღნიშნავს: „გიორგი შენგელაია აქ და სხვა სურათებში ზომიერად წარმოადგენს ეროტიკულ სცენებს და, საერთოდაც, მის ნამუშევრებს ბანალურობას ვერავინ დასწამებს“.

ზემოხსენებულ მდარე კომედიებზე ყურადღების გამახვილება კინო და სათეატრო კრიტიკას მართებს. ის კი გამაოგნებელი გულგრილობით უცქერს, როგორ თანდათან მიაქვს წყალს პროფესიონალიზმის კულტი, რომლის დამკვიდრებას მიხეილ თუმანიშვილმა და მისმა საუკეთესო მოწაფეებმა მთელი ცხოვრება შესწირეს, როგორ ენაცვლება მას არაპროფესიონალიზმი და იოლი „საეკრანო პოპულარობა“.

და ბოლოს, ამაღელვა ზურაბ ნიჟარაძის წერილის ფინალმა, სადაც აღნიშნავს: „მე მაინც ვფიქრობ, მჯერა, რომ გიორგი შენგელაია ხმალს არ ჩააგებს. იგი უთუოდ განახორციელებს ამდენი ხნის სანუკვარ ოცნებას და „ჰაჯი-მურატი“ ჭეშმარიტად იქნება მისი სახელოვანი მოღვაწეობის გვირგვინი“.

როცა გამოჩენილი მხატვარი გამოჩენილ კინორეჟისორზე ასე წერს, უფრო დიდი იმედიც გიჩნდება – იმედი იმისა, რომ საქართველოში არასოდეს მოკვდება „სამურაების სული“.

**იოსებ ჭუმბურიძე**

1-50

პარლამენტის ბიბლიოთეკა



აბსტრაქცია ციური ჩაჩუა

ISSN 1987-773